



**„მისტარ
საქართველო“
— იუმორისტების
ღუგამი თუ
პრესტიჟული
კონკურსი**



**„ინგა გრიგოლია
ეთერში უფრო
სამსუაღური იყო,
ვიღრე უორჩანა
გაგაშვილი“...**

**რეჟი სღებს ბრალს
სათუნა შორღანია
ქმარსა და მანღს**

ზამქარია მუცნაშვილი დაკაბიმრებას ითხოვს




**„მე თუ
მიყვარს,
მთელი
არსებით
მიყვარს“...**



**საუკუნის ბოლი
105 წლის
კაცის
ცხოვრების
საიდუმლო**

„ქართული ჩრთვის სკანდური“

თქვენთვის და თქვენი შვილებისთვის




სულ მალე, ყოველ ხუთშაბათს, ჟურნალ „გზასთან“ ერთად
თქვენ შეძლებთ შეიძინოთ ცნობილი
ქართველი მწერლების თითო ტომი.

ქართული კლასიკისა და თანამედროვე პროზის რჩეული ნიმუშები.

ყოველწვირს ერთი ჩიკნი,
ერთი ჩელოჩხაძე - მთელი სკანდური!

...და თქვენი აზრით რა ეღირება ერთი ტომი?...

**ფასი სასიამოვნოდ
გაგაოცებთ...**



„იმიტირებული სასამართლო პროცესი“ ტელეთარგი

„იმდენად უსუსური აღმოჩნდა გამოძიება ცოტენეს მიმართ და იმდენად არა აქვთ ხელთ ობიექტური სამხილი, იძულებულები არიან, ასეთი პოლიტიკური შოუები მოაწყონ“.

7



„ემოსიური ვარ და ფისხი“


„მე ისეთი მეგობრები მყავს, რომლებიც არავისზე ნაკლები ვაჟუკაცები არ არიან. გადასარევი ოჯახის შვილები არიან, მაგრამ ქუჩაც იციან. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქუჩაში არიან გაზრდილები“.

19



ცხოვრება

ზაქარია ქუსნაშვილი დააბიძგებს ითხოვს



„ძალიან გამწარებული ვარ. ფიზიკური თავისუფლება არაფრის მომტანია, ადამიანი სულიერად უნდა იყო თავისუფალი. იცით, მამას გათავისუფლებით ბუბიას, დედას, მამიდებსა და საკუთარ თავსაც გადავარჩენ. სხვა გამოსავალი აღარ დამრჩა“.

31



- **მინიატიურები** 5
ვიქტორიო — ედუარდოს ვაჟი ანუ ჩვენი ვიქტორა — ჩვენი ედიკას ბიჭი!
- **ჭრელი მსოფლიო** 6
- **ინფორმაცია** 7
- **საუკუნის ფოლი** 8
105 წლის კაცის „ცხოვრების ფილოსოფია“
„რაფერ გუუნყერები ცხოვრებას, ყოველთვის მიხარია...“
- **პოლიტიკა** 10
- **პერსონა** 14
სახალხო დამცველი: „თუ ვამბობთ, რომ ევროპელები ვართ, გარკვეულ საკითხებში დამოკიდებულება უნდა შევიცვალოთ“
- **სკანდალი** 16
- **პრობლემა** 18
- **ფსიქოლოგია** 19
„ემოციური ვარ და ფიცხი, ყველაფრის გულთან ახლოს მიტანა ვიცი“
- **კარიერა** 21
„ცხოვრებას შვლის ნუკრის ცრემლიანი თვალებით ვუყურებ“
- **მოდელი** 23
„ჯერ სიყვარულისთვის არ მცალია“
- **კონკურსი** 25
„მისტერ საქართველო“ — იუმორისტების ლუკმა თუ პრესტიჟული კონკურსი
- **ტანდამი** 27
ნათესაური ტანდემი ანუ ცნობილი მაზლისა და რძლის კამათი
- **პარაკლავები** 29
- **მინირომანი** 31
ჩემი მამაკაცი
- **თქვენთვის, ქალბატონებო!** 35
- **პრობლემები** 36
ზაქარია ქუსნაშვილი დაპატიმრებას ითხოვს

მშენებნილები

სასაცილო სიტუაცია




ამ თემამ ერთი ამბავი... ამბავი კი არა და, ერთი ადამიანი გამახსენა, რომელიც ფრანგულის ექსპანსივ-ლებელია და ყველგან სასაცილო სიტუაციას ქმნის. პატარა ტანის გამო კოკროჭინა შეარქვეს და ჩვენი კოკროჭინაც ერთადერთი შვილის მარტოხელა მშობელი, დაკოკროჭინობდა აქეთ-იქით და 9 საქმეს ერთად აკეთებდა.

85

■ სიზუსტა	38
■ გონიერი მკითხველი	40
■ შიმოქველი	41
რკინისკაბიანი „ინფანტა“ ანუ გუგა კოტეტიშვილის მიერ გაცოცხლებული ძველი ნივთები	
■ ავტო	43
■ კოზი	44
არაბეთის პრინცის ნაქონი უნაგირი, ქართული „გორდა“ და სამოვრების უძვირფასესი კოლექცია	
■ საკითხავი ქალაქისათვის	47
■ ეს სამყაროა	48
■ ბაქარი	50
რატომ არის მართლმადიდებლობა ერთადერთი ჭეშმარიტი სარწმუნოება	
■ ანტიღაერესანტი	52
■ ოსტატი	52
ხატურის ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი	
■ ისტორიის ლაზიკიტები	54
„ჩერქეზეთის შეერთებული შტატები“ და 1836 წლის „ვიქსენის საქმე“	
■ ჯანმრთელობა	56
■ შთამომავლობა	59
დიდი ქართველი „ფრანგული საქართველოდან“ და „ზედარგანსკი ხვრელშიმძრომსკი კნიაზის“ ამბავი	
■ ავკლუა	62
ბალაშვილის მიერ დახვრეტას გადარჩენილი გერმანელი...	
■ თინეიჯერული პონტები	64
■ წვთი პოეზია	67
■ ავტოპორტრეტი	68
მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი (გაგრძელება)	
■ ქართული ღებავები	72
გოჩა მანველიძე. ძმები (გაგრძელება)	
■ რომანი	76
სვეტა კვარაცხელია. სევდის სურნელი (გაგრძელება)	
■ დოკუმენტური პროზა	80
შეხვედრები სტალინთან (გაგრძელება)	
■ რეალური	82
■ გზავნილები	85
■ ყველა ერთისათვის	90
„კრიმინალის სიყვარულით ჯერ არავინ გაბედნიერებულა“	
■ მოგილიზაცია	92
■ მოზაიკა	97
■ შეუსწოებელი	98
■ ერუდიტი	100
„ყველაზე ჭკვიანი“ „ერუდიტში“	
■ გასართობი	102
■ ასტროლოგია	104
■ სკანოვრდი	105
■ საფირმო პროსპორდი	106

სამყარო




„ნამუშავრები რუსეთის მუზეუმების გამოფენილი“

„6 მოსწავლე მყავს და ეს ძალიან მახარებს... ჩემს ახალგაზრდობაში ხელობის გასაიდუმლოება მიღებული იყო, ხელოსანი თავის საქმეს სხვას არ ასწავლიდა, რადგან ამით ოჯახს არჩენდა და მისი ხელობა სხვებსაც რომ ესწავლათ, კლიენტი მოაკლდებოდა“.

41

ადამიანი



„ინგა ბრიგოლიას უფრო სექსუალურად მიჰყავდა პოლიტიკური ტოქსოზი“

გადაცემაზე, რომელსაც საზოგადოების უმეტესობა ხმამაღლა ლანძღვას, ხოლო მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი ახალგაზრდობის მცდარ გზაზე დაყენების მცდელობისთვის უჩივის, ფორუმზეც ბევრს ჭორაობენ.

59

ბიბლუსი



ავტოპორტრეტი

მშობლების შეთანხმება და „ხელშეუხებლობის“ გარანტია მუდმივად დაცული ვერ იქნებოდა, შესაბამისად, 1986 წელი სამი

მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი

მნიშვნელოვანი თარიღით შევიდა ჩემს პირად საქმეში: დავამთავრე სკოლა, გავხდი 17 წლის და ორ კვირაში ქვეყანას კიდევ ერთი ქართველი — სანდრო (ალექსანდრე) ჩაგანავა მოვევლინა.

67

ტაიმ-აუტი



„ყველაზე ჭკვიანი“ „ერუდიტში“

„არ მეგონა, თუ გავიმარჯვებდი. ამ პროექტში წინა წელსაც ვმონაწილეობდი, მაგრამ „ყველაზე ჭკვიანი“ წელს გავხდი“.

97

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ გამოდის კვირაში ერთხელ, ზუთმაგათოვით გაზაფხულის „კვირის პალიტრის“ დამატება

უზრუნავი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე

დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი,
რეზო თხილიშვილი

მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. #49

ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com

რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

ვიქტორიო – ედუარდოს ვაჟი ანუ ჩვენი ვიქტორა – ჩვენი ედიუს დიქი!



შესავლის ნაცვლად

ქართულ, უკრაინულ და თვით რუსულ პრესაში ცნობები გაჩნდა — უკრაინის პრეზიდენტობის ყველაზე რეალური კანდიდატი, ვიქტორ იანუკოვიჩი ჩვენი „ყოფილი მამა-მარჩენალის“, ედუარდ შევარდნაძის შვილიაო!

ამაზე „მამობის კანდიდატმა“ ბევრი იცინა (ხომ გახსოვთ ქართული ხალხური ზღაპრიდან ფრაზა: „მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილით“), მაგრამ მისმა არგუმენტმა კიდევ უფრო დამაეჭვა: ჩემი შვილი საიდან იქნება, თითქმის ტოლები ვართო!

არადა, სხვაობა მათ შორის 22 წელია და, შესაძლოა, როგორც ცხოვრებით რეიგანის ცხოვრებით ბებია იყო ქართველი და ალ კაპონე კი — „გადაცმული“ ალიოზა კაპანაძე, საქმე აქაც იგივე შემთხვევასთან გვექონდეს.

საერთოდ, საქართველოს ცხოვრება სულ უფრო ემსგავსება ლათინურამერიკულ ანუ გაომურ სერიალს. ან პრიტი — ის სერიალები გახდა ისეთი „ჟიზნენი“, რომ რეალობას დაუახლოვდა, ოღონდ ჩვენს, ქართულ რეალობას... აბა, წარმოიდგინეთ, იანუკოვიჩი შევარდნაძის შვილი ყოფილა როგორა?! არადა, სიმართლეს რომ ჰგავს?! მოკლედ, ბოლო „სერიის“ შინაარსი ვნახოთ და მერე თავად განსაჯეთ:



უკრაინის არჩევნების მეორე ტურისთვის ინტენსიური მზადება მიმდინარებს... საქართველოში. „ქართულ დესანტთან“ შესაერთებლად ემზადება ხორხე (გიორგი) ასანიძეც — ადრე შტანგისტი — ჩემიონი და ახლა პარლამენტის წევრი (ესეც ბანძი სერიალის შესაფერისი „მეტამორფოზა“, თორემ სად აკვრა-ატაცი და სად — პარლამენტი?!)

და ამას ინტერვიუში პირდაპირ აცხადებს; მიკვლე (მიშა) ხალხს მგზნებარედ მოუწოდებს თავისი მოძე უკრაინელი ხალხის დასამარებლად გამგზავრებისაკენ; ხუანი (ანუ ივანე, ვანო) თვითმფრინავებს „ჩალიჩობს“; ამ დროს, ნისლის გამო, თბილისის აეროპორტი იკეტება, მაგრამ ერთადერთი რეისის შესრულება მაინც ხერხდება და, ცხადია, ეს რეისი კიევისკენ არის(!); მიკვლე მიუნხენის სამიტზე არ მიდის და „სიაბანდ“ მიზებს ასახელებს: კლინტონის მოადგილეს ველოდები თბილისში და არ მცალიაო; არადა, თვითონ ის კაცი თბილისში მასთან შეხვედრის შემდეგ, სწორედ იმ სამიტზე მიფრინავს გერმანიაში და მასაც სთავაზობს, — ნამოდი, თვითმფრინავში ადგილი მაქვსო; მიკვლე კი, მიუნხენში გრეგორიოს (გრიგოლ ვაშაძეს) გზავნის, რომლის წინააღმდეგაც იმავე დილას რუსეთის გენპროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა, სწორედ იმ ქვეყნის პროკურატურამ, საიდანაც კოკო (კოკო ლათინური ამერიკის ქვეყნებ-

შიც კოკოა, მგონი) ჩამოვიდა და განაცხადა, — იქ „იგორიომ“ და „თენგიზიომ“ დამიდასტურეს, რომ მამაჩემი ედუარდომ (ედუარდო ხომ ვიცით?) მოკლა თხუთმეტი წლის წინო! თუკი ასე არ არის, დამელაპარაკოს და თვალეში ჩამხედოსო! ედუარდოს აღარ გაუცინია, მაგრამ იმ საღამოს გაზეთებში ცნობა გაჩნდა, უკრაინის მომავალი პრეზიდენტი, ვიქტორიო, მაგისი და ლუდმილა ზიკინას (გახსოვთ ვინმეს?) უკანონო შვილიაო და ედუარდომაც, შესავალში მოყვანილი უკბილო მიზეზით, ყასიდად უარყო, სინამდვილეში კი, უფრო გააღვივა ეს ეჭვი; ამ დროს სერიალის მწვიდმეტეხარისხოვანი პერსონაჟები თავიანთი პატარა ცხოვრებით ცხოვრობენ: კატარინა (ეკატერინე) ბესელია) მოულოდნელად 20.000 პესეტს იგებს საბელევიზიო შოუში და მიკვლეს მიერ საპატიმროში უსამართლოდ გამომწყვდეული თავისი ძმის გამოხსნას აპირებს, ამ დროს კუკოს (კოკოში არ აგერიოთ) ზუსტად ამდენივე თანხას ვილაც ქალი შეურაცხყოფის გამო კომპენსაციისთვის ედავება და ესეც კატარინას სთხოვს, — მოსკოვის გზას გასწავლი, სამაგიეროდ, ეგ ფული მასესხე, თორემ მგონი, მიჭერენ ეს ჩემისებო! (კატარინა და კუკო (კუკავა), ორივენი ადვოკატები არიან, აბა, სერიალი უადვოკატოდ გინახავთ?) კატარინა დილემის წინაშე დგას: ძმა თუ ძველი თანამებრძოლი კუკო?!

სამწუხაროდ, სერიალების სერიები (ტაგლოლოგია?) მოულოდნელად და ბრიყვულად მთვარდება ხოლმე, აქაც ასე მოხდა: მიკვლემ კი არა, ნამდვილმა მიშამ, უეცრად „დააბრეხვა“: უკრაინაში გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად ყველა დამკვირვებელი შინ დაბრუნდეს, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლებიცო!!! ამით კი მე, ჩემი ანალიტიკური გონებით, დავსკვენი არა მხოლოდ ის, რომ „დავინვით“ (ანუ არავითარი „დამოუკიდებელი“ დამკვირვებლები არ არსებობდნენ), არამედ ისიც, რომ არა მხოლოდ სერიალის ვიქტორიო გახლავთ ედუარდოს შვილი, არამედ, „ჩვენი ვიქტორაც“ „ჩვენი ედიუს“ ბიჭი ყოფილა, რადგან მომკალით და — „მიშა ენდ კომპანიც“ მაგისი გოგო-ბიჭები მგონია კვლავაც...



P.S.

შემდეგი სერია „ძმების“ — მიკვლესა და ვიქტორიოს შეხვედრით და შეკითხვით („კეფაზე წითელი(!) ხალი ხომ არა გაქვს?“) დაიწყება.

P.P.S. ლიტვაში მოქმედმა „ენის სახელმწიფო კომისიამ“ (ჩვენთან რომ ლომიაიმ გააუქმა), უარი განუცხადა ჩვენს საგარეო საქმეთა სამინისტროს თხოვნაზე, რომ ლიტვურ ენაში „საქართველო“ ინოდეზოდეს „ჯორჯიად“ და არა „გრუზიად“... ეს უკვე ყოველგვარი სუმრობის გარეშე...

პრომოკაბორი



ვიტორ იანუკოვიჩა თანაპარტიულ ძალს სცაბა

უკრაინული მედიის ინფორმაციით, „რეგიონების პარტიის“ ლიდერმა და პრეზიდენტობის კანდიდატმა ანა გერმანს სილა მხოლოდ იმიტომ გაანნა, რომ მან იანუკოვიჩის ნაცვლად იულის ტიმოშენკოსთან ტელედებატებში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. დარტყმა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ანა გერმანმა თავი ვერ შეიკავა და წაიქცა. იანუკოვიჩის ოპონენტმა, იულია ტიმოშენკომ კი საათნახვერიანი ტელედებატები მართომ ჩაატარა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გადაცემის მსვლელობისას ეთერში სარეკლამო რგოლებიც არ გასულა.

არგენტინის პრეზიდენტის სკანდალური განცხადება

არგენტინის მომხიბვლელმა პრეზიდენტმა, კრისტინა კრიშნერმა მელორეობის ეროვნული ასოციაციის შეკრებაზე ლორის ხორცს ორიგინალური რეკლამა გაუკეთა. „ახლახან გავიგე, რომ ლორის ხორცი სექსუალურ აქტივობას ამაღლებს, ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია. თანაც, შემწვარი ლორის ხორცის ნაჭერი ბევრად გემრიელია, ვიდრე ვიაგრის გადაყლაპვა! მე ლორის ხორცის მოყვარული ვარ!.. ოჰ, რას ვამბობ, ჩემი ქმარი მომკლავს!“ — განაცხადა ქალბატონმა პრეზიდენტმა და როგორც მედია აღნიშნავს, „მაცდურად და მომხიბვლელად გაიცინა“. სექსუალური პრეზიდენტის უცნაური გამოსვლა ცხადია, ლორის ხორცის გაყიდვის გაზრდისკენ იყო მიმართული, მაგრამ ვიაგრის ხორცი თანაცვლების თეორია რამდენად ამართლებს, უცნობია.



ქუჩაში სიგარეტის მოწევის აკრძალავენ

დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება თამბაქოს საწინააღმდეგოდ ახალი კამპანიის დაწყებას გეგმავს. ბრიტანელებს აზოფოტებთ ის ფაქტი, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში მწველთა რაოდენობა 4-ჯერ გაიზარდა. ამიტომაც, ბავშვების თანდასწრებით ქუჩებში, სადგურებში, ბინებსა და ავტომობილებში მოწევის აკრძალვას აპირებენ. რაც შეეხება თამბაქოს მწარმოებელ კომპანიებს, მათ ხალხმრავალ ადგილებში თავიანთი პროდუქციის გაყიდვა უკვე აკრძალა.

არქეოლოგებმა მაიას ტომის უკველესი სარკოფაგი აღმოაჩინეს



არქეოლოგებმა სარკოფაგი გვატემალის საზღვრის მახლობლად, უძველეს ქალაქ მაია ტონინამი იპოვეს. სამარხზე გაკეთებული წარწერის თანახმად, სარკოფაგი ჩვ.წ.აღ-მდე 840-900 წელსაა დამზადებული და მასში, სავარაუდოდ, დიდგვაროვანი ქალის ნეშტია ჩასვენებული. მეცნიერები იმედოვნებენ, რომ ამ აღმოჩენის წყალობით მაიას ცივილიზაციის გაქრობის მიზეზების დადგენას შეძლებენ.

ბიონსე ახალი რეკორდი დააყარა

ლოს-ანჯელესში გამართულ „გრემის“ გადაცემის ცერემონიის ვარსკვლავად ამერიკელი მომღერალი, ბიონსე იქცა — მან ერთდროულად, ექვსი „გრემი“ მოიპოვა. ჯილდოს გადაცემის 52-წლიანი ისტორიის განმავლობაში ამგვარი წარმატებისთვის არც ერთ ქალბატონს არ მიუღწევია. გასული წლების ჯილდოების ჩათვლით, ბიონსე სულ 16 „გრემის“ მფლობელია.

ამჯერად, ამერიკის ხმის ჩამწერმა აკადემიამ მას ჯილდო წლის საუკეთესო სიმღერისა და R&B-ის სტილში საუკეთესო კომპოზიციისთვის გადასცა.



ევროპაში ოთხკუთხედი საზამთრო გამოიწვია

„მიმდინარე წლის თებერვლიდან პანამა ევროპაში ოთხკუთხედი საზამთროების ექსპორტს დაიწყებს“, — იტყობინება პანამური კომპანია Panama Fruit Producers-ის წარმომადგენელი, მიშელ ვალარინო. ოთხკუთხედი საზამთროების პირველი პარტია ბელგიაში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიასა და შოლანდიაში გაიგზავნება.



რუბრიკა მოამზადა ხათუნა ბახტურიძემ



ქვეყანა

ლავროვი ნოღაიდალს და მის თანამოაზრეებს ამხელს

„ის, ვინც რუსეთთან ურთიერთობით არის დაინტერესებული, არანაირ პირობას არ აყენებს!“ — ეს განცხადება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა მას შემდეგ გააკეთა, რაც ქართველი ოპოზიციონერების ნაწილმა განაცხადა, რომ საქართველოს დეოკუპაციის სანაცვლოდ ნატოზე უარის თქმა უპრიანი იქნება. „ოპოზიციის წარმომადგენლებს რუსეთთან ურთიერთობის სანაცვლოდ მსგავსი პირობები რომ წამოეყენებინოთ, ასეთი რამ არ მახსენდება. ისინი ათვითცნობიერებენ, რომ ჩვენ შორის მხოლოდ ნორმალური დიალოგი უნდა დაიწყოს. საქართველოსთან ურთიერთობა ჩვენ არ გავგინყვეტია და სხვათა შორის, არც პრინციპებით ვვაჭრობთ. ვალიარეთ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა, რადგან არ გვქონდა სხვა საშუალება, რომ ეს ხალხი განადგურებისგან გვეხსნა“, — განაცხადა ლავროვმა. შეგახსენებთ, არასაპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი მზადაა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სანაცვლოდ ქვეყნის ნატოში გაწევრებაზე უარი თქვას.



საქართველოში სურსათი გაძვირდა

საქართველოს საცალო ქსელში შაქრის, ზეთის, წინიზურასა და სხვა ბურღულეულის ფასები გაიზარდა. ექსპერტები ამის ერთ-ერთ მიზეზად ამერიკულ დოლართან მიმართებაში ლარის კურსის გაუფასურებას ასახელებენ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, გიორგი ქადაგიძე კი ამ ვერსიას უარყოფს და ირწმუნება, რომ დოლართან მიმართებაში ლარის კურსის მცირეოდენი ცვლილება არ შეიძლება, ადგილობრივ ბაზარზე პროდუქციის ფასების ზრდას უკავშირდებოდეს, რადგან იმპორტი ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოდის, ევროსთან მიმართებაში კი ლარის კურსი შესამჩნევად გამყარებულია. როგორც ეკონომიკური საკითხების ექსპერტი, დემურ გიორხელიძე ამბობს, — საქართველოში ფასების ზრდა კვლავ გაგრძელდება. „ჩვენ იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანა ვართ. ადამიანთა შემოსავლები მნიშვნელოვნად შემცირებულია და შესაბამისად, შემცირდა მოხმარებაც, ამის გამო იმპორტიორები ფასებს ზრდიან“, — აღნიშნა ექსპერტმა. მისი აზრით, მნიშვნელოვანი ფაქტორია ისიც, რომ საქართველოში არ არის კონკურენტუნარიანი გარემო და სამომხმარებლო თვალსაზრისით, ბაზარი დაცული არ არის.



რუსულ-ოსური უკანონო ბარიერა

მოსკოვმა და ცხინვალმა უვიზო მიმოსვლის ხელშეკრულება გააფორმეს, რომელსაც რუსეთის მხრიდან საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა მოანერა ხელი, ხოლო ცხინვალის მხრიდან — დე ფაქტო საგარეო უწყების ხელმძღვანელმა, მურატ ჯიოევმა. უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებული შეთანხმების მიხედვით, „სამხრეთ ოსეთის მოქალაქის პასპორტი და პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები რუსეთის ტერიტორიაზეც იმოქმედებს“.

ქართველ დამკვირვებლებს უკრაინაში აღარ გაგზავნიან

საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურზე ქართველ დამკვირვებლებს აღარ გაგზავნიან. სააკაშვილის პრესსპიკერის, მანანა მანჯგალაძის თქმით, საქართველო ცდილობს შეინარჩუნოს ნეიტრალიტეტი ორ კანდიდატს შორის. გარდა ამისა, მიხეილ სააკაშვილი საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომლებიც უკრაინაში გამართულ არჩევნებს საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით აკვირდებიან, საქართველოში დაბრუნებისკენ მოუწოდებს. პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ უკრაინის ბედი უკრაინელი ხალხის გადასაწყვეტია.



18 აპრილს დანიშნული პრაიმერი და საქართველოს გადაწყვეტილების გეგმა

რამდენიმე ოპოზიციური პარტიის პრაიმერი, 2010 წლის 28 მარტის ნაცვლად, 18 აპრილს გაიმართება. პრაიმერში მონაწილე პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა: ზვიად ძიძიგურმა („კონსერვატიული პარტია“), კობა დავითაშვილმა („ხალხის პარტია“), ზურაბ ნოლაიდეშვილმა („მოდრობა სამართლიანი საქართველოსათვის“), ავთანდილ დავითაიამ („ქრისტიანული საქართველო“), გია ბერძენაძემ (ვეტერანთა და პატრიოტთა კოალიციური მოძრაობა „მამულიშვილი“) და „მომავლის პარტიის“ წარმომადგენელმა ზაზა თაბაგარმა შეთანხმებას უკვე მოაწერეს ხელი.

პრაიმერში მონაწილე პარტიების დანარჩენ ოპოზიციას 9 აპრილს, რუსთაველის გამზირზე შეკრებიც კენ მოუწოდებენ. ისინი იმასაც ამბობენ, რომ უკვე „საქართველოს გამარჯვების“ გეგმაც შემუშავებული აქვთ.



რუსეთის პროკურატურა გრიგოლ ვაშაძეს უჩივის

რუსეთის პროკურატურამ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, გრიგოლ ვაშაძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. როგორც პროკურატურის საგამოძიებო კომიტეტის უფროსი, ალექსანდრე ბასტირკინი ამბობს, ვაშაძის მიერ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად ყოფნისას გაკეთებული განცხადებები დანაშაულად მიიჩნევა და რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 280-ე მუხლის მეორე ნაწილითა და 282-ე მუხლის პირველი ნაწილით ისჯება.

რუბრიკა მოამზადა ხათუნა ბახტურიძემ

105 წლის კაცის „სსოპრების ფილოსოფია“

„რაფერ ბუწყებები სსოპრებას, ყოველთვის მიხარია...“

„ცხოვრება ძალზე რთულია, მაგრამ თუ კაცი ხარ, უნდა გაათამაშო“, — ამბობს 105 წლის შირინ ჭელიძე, რომელიც ჯერ არც სმენას უჩივის, არც თვალისჩინს და ნარდსაც მანამდე თამაშობს, ვიდრე პარტნიორს დაღლილობას არ შეატყობს.

როგორია ცხოვრების ფილოსოფია 105 წლის ასაკში — ამის გასარკვევად ბატონ შირინს ბათუმში, მის ოჯახში ვეწვივ. შირინი ბუნებრივად ახლოს, დაბალ სკამზე იჯდა და ლოცულობდა. თვალები ღმერთისკენ მიეპყრო და ისე ჩურჩულებდა, ჩემი სტუმრობა არც გაუგია.

ჯაბა ანანიძე

— ღმერთისთვის არასდროს უღალატია. ყოველდღე ლოცულობს. ალაჰს მშვიდობასა და ბედნიერებას შესთხოვს. ცოტა ხანში გაგესაუბრებათ, ძალიან უყვარს დიალოგი, — მითხრეს ოჯახის წევრებმა, — კიდევ, ნარდი უყვარს უზომოდ. ძალიან ბრაზდება, თუ წააგო. როცა იგებს, სისხრულს ბავშვივით გამოხატავს...

— შირინ ბაბუას ცხოვრება უყვარს. აბა, ისე რა გააძლებებოდა 105 წელს?! — ამბობს შირინის შვილიშვილის შვილი.

— თან როგორ არ ეტყობა ასაკი! — მლოცველისკენ მიმანიშნებს შვილიშვილის მეუღლე.

— პოლიტიკაზეა გადარეული. სულ ჩხუბი აქვს შვილიშვილის შვილთან: საინფორმაციო გამოშვებას მაყურებელი. სულ ნატრობს: ნეტაი, დალაგებული ქვეყანა დამეტევიოსო!..

— სოფელში დაიბადა, მოხუცდა... მუდამ დიდი შრომა და ჯაფა იყო მის მხრებზე, მაგრამ ამის გამო არასდროს დაუჩივლია. ქალაქში იშვიათად ჩამოვიდოდა. მოგვისიყვარულეობდა თუ არა, სოფელზე იწყებდა ლაპარაკს.



1905 წელს ვარ დაბადებული... ხედავ, რამდენი მიცხოვრია?!

აკს. როცა 4 წლის წინ მეუღლე გარდაეცვალა, მარტომ ვეღარ მოიცადა ოჯახში და, როგორც იქნა, ქალაქში ჩამოვიყვანეთ, — მიაბობს შირინის შვილი და ჩემი თხოვნის საპასუხოდ, 105 წლის შირინ ჭელიძის ნაგრამის ოდენობას მაცნობს: 5 შვილი, 19 შვილიშვილი, 33 შვილთაშვილი და მეოთხე თაობიდან კიდევ — 4 შთამომავალი.

შირინ ბაბუა ლოცვას ასრულებს. ვინ გვესტუმრათ? — კითხულობს და როცა იგებს, რომ ყურნალისტი მოსულა, მოხერხებულად ჯდება საყვარელ სავარძელში და ბავშვური სიყვარულით გამთბარ თვალს მახვედრებს.

„ღედ-მაჰის სითხო არ მიბრძნია, ისა გავიზარდა“

— 1905 წელს ვარ დაბადებული... ხედავ, რამდენი მიცხოვრია?! მიკვირს, ცხოვრებისგან დაბეჩავებულ ახალგაზრდებს



მუდამ დიდი შრომა და ჯაფა იყო მის მხრებზე, მაგრამ ამის გამო არასდროს დაუჩივლია



რომ ვხედავ. რაფერ უნდა გამოგათაყვანოს დუხჭირობამ ისე, რომ ცხოვრება აღარ მოგიხდეს, დილის მზის დანახვა და საღამოზე — ყანის აშრიანობა?! თავს რომ იკლავენ, ეს ხომ მთლად უტყვიანობაა. ცხოვრება რთულია, ძალზე რთული, მაგრამ გაათამაშო უნდა, თუ კაცი ხარ. ნარდი ხომ გითამაშიათ? ადვილია მერე? ადვილი აფერი არაა, მარა უნდა გაამართივო. თუ დაგლახდი და ღმერთის მიერ მოცემულ მინას ტყვივლი მიაყენე, იგიც არ დიგინდობს, აბა!..

დედ-მამის სითბო არ მიგრძნია, ისე გავიზარდე. 8 თვის ვიყავი, მამაჩემი რომ მოკლეს, დედა — მოიტაცეს. ამფერი ცხოვრება იყო მამინ, მარა რა გინდა თქვა: ლამაზი ქალის გულობიზა, რას არ იზამს კაცი?! უპატრონოდ ვიზრდებოდი, ხან სად და ხან — სად. სკოლაში არ მივლია, მარა წერა-კითხვა მაინც ვისწავლე. ცეკვაც ვიცოდი ახალგაზრდობაში და სიმღერაც. აბა, აჭარელი კაცი ვის გუფუნია, „განდაგანას“ რომ არ ეთამაშებოდეს?! 20 წლის ვიყავი, როცა გურიაში, სოფელ ქვაბლაში გადაესახლდით... იქ დავალაქე ცხოვრება. რაფერ ვულალატებდი იქაურობას, მარა ცოლი რომ მომიკვდა, რალა მექნა მარტოს?! მაიძულეს ქალაქელობა და ა, ბატონო, ვარ ამფრათ გაშეშებული ამ თქვენს ქალაქში. ტელევიზორის პულტი კიდეე ჩემს ხელში რომ იყოს, რალა მიჭირს. ბადიშს მულტფილმები უნდა, მე — პოლიტიკა. გადარეული ვარ.

„ქვეყნის დაქვეყნის დროა მოსული, ალბათ“

— რეიზა ვარ გადარეული და, ისე არიან ეს პოლიტიკოსები წაკიდებული ერთმანეთზე, რალა ვიფიქრო? რა არ მინახავს, მარა ხალხის ასე შებმა პოლიტიკაში არ ვიცი. დევალაქე ხალხი. სააკაშვილისა გლახას ვერ ვიტყვი, მარა ხალხს უნარი და შნო დიეკარგა. აბა, სად გაგონილა სოფლის ასე დაცლა?! მოვა დრო და ისეე გაივსება სოფელი ხალხით. საქართველო მინის ქვეყანაა. რომ მოშივდებათ, რას გააკეთებენ?! დუზრუნდებიან სოფელს, ბუხარსაც გაათბობენ...

ტელევიზორით ვიქცევ თავს, მარა ხანდახან იმისთანებს მაჩვენებენ, ქვეყნის დაქვეყნის დროა მოსული, ალბათ... სტალინი უნდა ხედავდეს მაგას. სტალინის დისციპლინა უყვარდა და ეს კარგი იყო, მარა ერთმმართველი იყო. მაგას სხვისი აზრი არ აინტერესებდა. ხანდახან ვფიქრობ — სტალინობა სჯობია თუ ყველას აზრის განიარება? ვერ მიპოვია პასუხი. ფაქტი ისაა, რომ სტალინის დროს ბევ-



ტელევიზორის პულტი კიდეე ჩემს ხელში რომ იყოს, რალა მიჭირს. ბადიშს მულტფილმები უნდა, მე — პოლიტიკა

რად უფრო ბედნიერი იყო ხალხი... ახლაც კართანაა ბედნიერება. მთავარია, თვალში ნაცარი არ წეიყარო, ხელი გააქანო, შრომა არ დეიზარო და ბედნიერება ზღაპარი კი არაა!..

„ნასარქაქია მოგონილი კასი ხომ არ გგონიათ თქვენ?“

— ზღაპარში ისე იმდენი სიბრძნია, რამდენსაც მეითხოვ. ახლა ჩვენი ცხოვრება ემსგავსება რაცხა ზღაპარს, რა ზღაპარია, ვერ გეგვებ. ალბათ, ერთი 105 წელი კიდეე მინდა მაგის გასაგებად. ყოველ შემთხვევაში, ბაღნებს რომ გული გუფსკვდებათ ჩვენს ზღაპარზე, ცხადია.

ნაცარქექია მოგონილი კაცი ხომ არ გგონიათ თქვენ? ჩვენი ქვეყანა ყოველთვის ეშმაკობით ცდილობდა თავის გადარჩენას, თორემ არაქათი სად ჰქონდა იმდენი, მტერს რომ გამკლავებოდა?! ახლა რომ რუსეთს ვეჭიმებით, რას ვაკეთებთ? რეიზა არ გვახსენდება „ნაცარქექია“?

ბაღნის ჭკუით დავდივართ... ახლანდელ ბაღნებს არ

გგულისხმობ. წინათ, უფროსები რომ ილაპარაკებდენ, ახლოს ვერ გავეკარებოდი. ახლანდლები თავზე გადაგახტებიან... ისე ვჩივი, თორემ ამ უღურტულა ბაღნებს ენაცვალოს ჩემი 105 წლის ცხოვრება და უჭკვო ჭკვა და გონება!

„სიყვარულის აფრათი გასხალაზა გგონია?“

— რაფერი სიყვარული ვიცოდით!.. დამანახვეს გოგო, მომეწონა, ცოლობა ვთხოვე და არასდროს გამივლია გულში ლალატი. ახლა ყველა სიყვარულზე ლაპარაკობს, მარა თვითონ სიყვარული სადაა, ნეტი?.. დეიკავებენ ხელში ეშმაკისეულ ტელეფონებს, დეელაპარაკებიან და სიყვარულზე სიმღერებს მღერიან. დალაპარაკება და სიყვარული ერთადაა ამ დროში. მაგიზაა, მგონია, სიყვარული რომ მობეზრებული აქვს ხალხს.

სწორედ სიყვარულს ვუსურვებ ყველას და ჩემს საყვარელ ქვეყანას. 105 წელი ცოტა არაა, მარა ისეე მინდა და მიხარია სიცოცხლე.

ჰოდა, თქვენც გხარებოდე! ■

აკლილ-h სირკოში

მსანარქაქული კომპიონირაქული ამოსახველვაქალი საშუალაზა

ამსიქრავს:

- ხველას
- ყვალის ტკივილს
- გრონქაქებში ნახველის შეზუზუებას

სასუნოქი სისტემის შევარე ინფექციების, ფილტვის ინფლუენციული (შველბოთი) დაეფუტის, ბრინქელი ასთმის დროს ძირითადი კლინიკური სიმპტომისა ხველასა და ნახველის გასოქოვის გაძლევა. ასეე შესთხვევენს დაეცხარქათი მქენარქული, პრინქიპი-ზური, ამოსახველვაქალი საშუალაზა აკლილ-h.

აკლილ-h

აკლილ-h

აკლილ-h



„აუსილბელია, რომ ქართველები რასიონალურად აზროვნებას მიჰყვებიან“

კრემლში დაგეგმილი ინტრიგების „წყალობით“, ქართველები კიდევ ერთხელ უპირისპირდებიან ერთმანეთს. საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენლის მიერ მედვედევ-პუტინთან მოლაპარაკებების გამართვა ლალატის ტოლფასია, მეორე ნაწილის აზრით, ნატო კარს მაინც არ გვიღებს, გადამწყვეტ მომენტში არც ამერიკა გვიჭერს მხარს, ამიტომ ოპოზიციის ნაწილის მზადყოფნა — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სანაცვლოდ, ქვეყნის ნატოში გაწევრებაზე უარის თქმა — გამართლებულია.



2008 წლის აგვისტო რუსეთისთვის საქართველოსთან თბის დასაწყებად ყველანაირად ხელსაყრელი დრო იყო

საბუნა ბახტურიძე

ბოლო დროს, ალექსანდრე ებრალოძის მიერ ქართველი ინტელიგენციის გადაბირების მცდელობის ფაქტებსა და ოპოზიციონერი ლიდერების მოსკოვში გახშირებულ ვიზიტებს რეზო მიშველაძე სახიფათოდ მიიჩნევს და ფიქრობს, რომ მოსკოვში საქართველოსთვის მორიგი კაკანათი უკვე დაგეგმილია. ცნობილი მწერალი იმაშიც გვარწმუნებს, რომ ნოლიადელსა და მის მოკავშირეებს მალე ედუარდ შევარდნაძესავე მოუწევთ „საცოდავი სახის“ მიღება და თავის მართლება — მაპატიეთ, ხალხნო, მომატყუესო. მოსკოვის ნდობა რომ არ შეიძლება, ამაში რეზო მიშველაძეს ინტელიგენცი-

თარ პოზიციას ამგვარად გამოხატავს: „მადებლილებენ?! თუ პრეზიდენტი მეუბნება, რომ რუსეთი ჩვენი მტერია, თავად რატომ თანამშრომლობს მასთან? როგორ დავიჯერო, მთავრობამ არ იცის, რომ რუსეთში ბიზნესს ხელისუფლება აკონტროლებს?!“

შესაძლებელია თუ არა, ნეიტრალიტეტის დაცვით აფხაზეთისა და ცხინვალის პრობლემის მოგვარება, რას მოგვიტანს ქართველებს დასავლეთისთვის ზურგის შექცევა და რას შეიძლება ელოდნენ ნოლიადელი და მისი მოკავშირეები მოსკოვისგან? ამ საკითხებზე პასუხების მისაღებად, პოლიტოლოგ **ანდრო ბარნოშ** ვესაუბრეთ.

— ბატონო ანდრო, თქვენი აზრით, რით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ ქართველი პოლიტიკოსების ნაწილი და მათი მხარდამჭერები ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ერთადერთ გზად მოსკოვთან თანამშრომლობას მიიჩნევენ?

— დღეს ქართველი ხალხი გარკვეულწილად, პანიკაშია და ეს ლოგიკურიცაა: ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ძალიან ბევრი რამ მოხდა, ჩვენმა პარტნიორებმა კი სათანადოდ ვერ დაგვიცვეს. პრობლემა ის გახლავთ, რომ საზოგადოებას სწორად არავინ განუმარტავს, რით იყო ამერიკის, ევროპის ან რუსეთის ესა თუ ის ქმედება განპირობებული. მასმედია რატომღაც, ძირითადად პანიკორი პოლიტიკოსებისგან იღებს ინტერვიუებს და მათ განცხადებებს ავრცელებს. ასეთ სიტუაციაში ხალხი უფრო მეტად იზნევა... მეც ხშირად მსმენია, — რატომ ვხვდებით

ბით ნატოს, როდესაც რუსეთი კარს ფართოდ გვიღებს?! მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ დასავლეთისთვის ზურგის შექცევა ჩვენი ქვეყნისთვის დამლუპველი იქნება, რადგან ასეთ შემთხვევაში რუსეთს აბსოლუტური კარტ-ბლანში რჩება. ვისაც რუსეთის კეთილი ნების იმედად ყოფნა სახიფათოდ არ მიაჩნია, ის ან გიჟია, ან მტერი. შეგახსენებთ სერგეი ლავროვის განცხადებას — მან სიტყვასიტყვით თქვა: „ის, ვინც რუსეთთან ურთიერთობით არის დაინტერესებული, არანაირ პირობას არ აყენებს... ჩვენ პრინციპებით არ ვვაჭრობთ. ჩვენ უკვე ვალიაზეთ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა“. მხოლოდ მისი სიტყვებიც კი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ რუსეთს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ფიქრადაც კი არ გაუვლია, პირიქით, ის ყველაფერს გააკეთებს ქართული სახელმწიფოებრიობის მოსაშლელად. შეიძლება, ნატოს წევრი ხვალ და ზეგ ვერ გახვდეთ, მაგრამ ამ ორგანიზაციასთან რაიმე ფორმით თანამშრომლობა ჩვენთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. ასევე აუცილებელია, რომ ქართველები რაციონალურად აზროვნებას მიჰყვებიან. ევროპას და დასავლეთს ჩვენ მიმართ რომანტიკული გრძნობები არ ამოძრავებთ, მათ თავიანთი ინტერესები აქვთ საქართველოში. ძალიან ხშირად ისმის კითხვა, — რატომ არ დაგვემარა ამერიკა აგვისტოს ომის დროს? აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ამერიკა დაგვემარა, როგორც შეეძლო... ახლა ჩვენ უნდა ავხსნათ, რატომ ვერ შეძლო უფრო



ის სხვა წარმომადგენლებიც ეთანხმებიან. მაგრამ ბევრ მათგანს უკვე ამერიკის შეერთებული შტატების მიმართაც აქვს ნდობა დაკარგული. ზოგიერთს კი ისიც ვერ გაურკვევია, ოპოზიციის ერთი ნაწილი თამაშობს რუსეთის სასარგებლოდ თუ — ხელისუფლება...

რეჟისორი, ქეთი დოლიძე ალოგიკურად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ სააკაშვილი ენერგოობიექტების დიდ ნაწილს რუსულ კომპანიებზე ყიდის და ამ საკითხთან დაკავშირებით, საკუ-

გაგრძელება იხ. გვ. 12



მოდია-დენაუმობი
ანტიკრიუსული კრომეჟი
მანქანებს მძინარე უსუსები
თქვენ? 1-8 თბერალი



უსაფრთხოებისა
 და კონტროლის
 იდეალური სინთეზი

KUMHO TIRES

...when you wish just more

~~270~~ 202
 ფაზა: 225/55 R 17

~~127~~ 95
 ფაზა: 195/60 R 15



„სიბუვა და სუჟის“ პირველ მარჯვლელს დაბავალია კარნი,

შაბაროვეთ 2 ტალი. მიიბანეთ „GT ჯგუფის“ ბალანსი

ტაბარაუვილის 13 ტელ: 39 10 52



მომავალი მრუბათიდან
8-15 თებერვალი
 იხილეთ „მელი-დანაუმობის“
 ახალი შემოთბუბებ



„მიკროლაიფის“
სახელებითი
პროდუქტი „მიკროლაიფი“

ამციათი მონაწილეობის ასურაველი კომპანია დაბავალია: danazogi@palitra.ge



მეტად დახმარება. რუსეთმა ძალიან ვერაგულად და ჭკვიანურად შეარჩია საქართველოსთან ომის დაწყების დრო. იმ პერიოდში ვაშინგტონს ძალიან ჰქონდა გაფუჭებული საგარეო ურთიერთობები, პრობლემები ჰქონდა ერასა და ავღანეთში, სერიოზულად დაეძაბა ურთიერთობა თურქეთთან —

აგვისტოს ომის შემდეგ შავ ზღვაში სშირად ჩნდებოდა ამერიკული გემები



ერაყისა და ქურთისტანის გამო. აღსანიშნავია ისიც, რომ პუტინმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყო ევროპელი ლიდერების მოსყიდვა (სხვადასხვა მეთოდით) და 2008 წლის აგვისტოში ევროპა ამერიკას უკვე ამრეხით უყურებდა. ამ ყველაფერს ამერიკაში საპრეზიდენტო არჩევნებიც დაემატა. ამიტომ ამერიკელი პოლიტიკოსები საგარეო პოლიტიკაში ვერ აქტიურობდნენ... ერთი სიტყვით, 2008 წლის აგვისტო რუსეთისთვის საქართველოსთან ომის დასაწყებად ყველაზე ხელსაყრელი დრო იყო.

— ცნობილი გახდა, რომ აგვისტოს ომის დროს ამერიკის ადმინისტრაცია 4 დღე მსჯელობდა, ჩართულიყო თუ არა ომში. როგორ ფიქრობთ — რით იყო განპირობებული მათი საბოლოო გადაწყვეტილება?

— მე ვფიქრობ, რომ ამერიკის ადმინისტრაციამ მაშინ სწორი გადაწყვეტილება მიიღო. წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა, ამერიკას ღია სამხედრო მხარდაჭერა რომ აღმოეჩინა საქართველოსთვის? ვაშინგტონის ერთ ქმედით ნაბიჯზეც კი რუსეთი თავის

„ბულავას“ მაშინვე ბალტიისპირეთს ან ევროპის რომელიმე ქვეყანას დაუმიზნებდა. შედეგად კი მთელი ევროპა მსოფლიო ომის წამოწყებაში ამერიკას დაადანაშაულებდა და ამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკა ერთ დღეში „მოკვდებოდა“. მართალია, ვაშინგტონმა ომში ჩაბმის გადაწყვეტილება ვერ მიიღო, მაგრამ ძალიან ბევრი სხვა რამ გააკეთა ჩვენს მხარდასაჭერად...

— რით ახსნით სარკოზის განცხადებას იმის შესახებ, რომ ბუშის ადმინისტრაციამ საფრანგეთს სთხოვა, რამდენიმე დღის განმავლობაში რუსეთის აგრესიული ქმედება არ შეეჩერებინა?

— ამერიკამ რუსეთს აცალა, რომ რალაც გაფუჭებინა და მისი დანაშაული მთელი მსოფლიოსთვის თვალნათელი გამხდარიყო. სარკოზიმ აგვისტოს ომის დროს ფოსტალიონის ფუნქცია შეასრულა და თავისი საქმეც გაიკეთა... რუსული აგრესიის გაჩერებაში უპირველესი როლი ამერიკას მიუძღვის. შეგახსენებთ — აგვისტოს ომის შემდეგ შავ ზღვაში სშირად ჩნდებოდა ამერიკული გემები. ეს იყო ვაშინგტონის მუქარა, რომ თუ რუსეთი არ შეჩერდებოდა, პასუსაც მიიღებდა. ამ სიტუაციაში უკვე ევროპის რეაქციაც სხვაგვარი იქნებოდა: რუსეთს თავისი აგრესიული ქმედების გაგრძელების უფლებას ნამდვილად, აღარავინ მისცემდა...

— ფენევაში გამართული შეს-



ვაშინგტონმა ომში ჩაბმის გადაწყვეტილება ვერ მიიღო

ვედროს კიდევ ერთ უშედეგო დასასრულს რით ახსნით?

— ეს ლოგიკურიც იყო: რა შედეგი უნდა მოჰყოლოდა რუსეთის ცინიკურ მოთხოვნებს?

— ეს უკვე მოლაპარაკების მეცხრე რაუნდი იყო. თუ შედეგს ვერასოდეს მივიღებთ, შესვედრებს რალა აზრი აქვს?!

— ამ შესვედრას აზრი ნამდვილად აქვს. იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ რუსეთთან დიპლომატიური მოლაპარაკება განწყვეტილი გვაქვს, შენევა ერთადერთი ადგილია, სადაც კონკრეტულ პრობლემებზე, თუნდაც ჰუმანიტარულ საკითხებზე მასთან საუბარი მაინც შეიძლება.

— ნოლიდელოსა და მისი მხარდამჭერების იმედიან განწყობილებას, რომ რუსეთთან დიალოგით გარკვეული შედეგის მიღწევა შეიძლება, რით ახსნით?

— მე მათ ქმედებას ვერანაირ ახსნას ვერ ვუძებნი. ისინი სახელმწიფოსთვის ძირგამომთრეულ საქმიანობას ეწევიან. ჩემი აზრით, ისინი იმიტომ ცდილობენ კრემლთან თანამშრომლობას, რომ რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემთხვევაში თავიანთი „ლუკმა“ მიიღონ.

— ფიქრობთ, რომ კობა დავითაშვილიცა და კახა კუპავაც საკუთარ „ლუკებს“ მოლოდინში არიან?

— არ მინდა, დავიჯერო, რომ კობა დავითაშვილი ამ ყველაფერს დათანხმდება. ვნახოთ, რა მოხდება.

— ეი. ფიქრობთ, რომ რუსეთთან დიალოგს არანაირი აზრი არა აქვს?

— რაზე უნდა ველაპარაკოთ რუსეთს?.. ჩვენი ერთადერთი მოთხოვნა — მათი ჯარების გაყვანაა, ისინი კი გვეუბნებიან, რომ ამის სანაცვლოდ, უნდა ვალიაროთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. სამწუხაროდ, რუსეთი თავად სპობს დიალოგის ყველა შესაძლებლობას, რადგან იმედი აქვს, რომ ოპოზიციური ძალებს შორის გამონახავს დასაყრდენს.

— გამოსავალს რაში ხედავთ?

— ერთადერთი გამოსავალი — ქვეყნის კონსოლიდაციაა. არც ერთმა პოლიტიკურმა ძალამ არ უნდა მისცეს თავს იმის უფლება, რომ ამბიციების გამო ხელისუფლებაზე წინ დააყენოს საკუთარი თავი და ოკუპანტ ძალებთან უაზრო მოლაპარაკებები გამართოს.

— ძალიან სშირად,



ოპოზიციონერი ლიდერები სააკაშვილს აქვეთ ადანაშაულებენ რუსეთთან გარიგებაში...

— სააკაშვილს ყველაფერი შეიძლება დააბრალო, გარდა იმისა, რომ რუსეთთან თანამშრომლობს...

— ინტელიგენციის დიდი ნაწილისთვის დღემდე გაუგებარი რჩება, რატომ გადაეცემა ჩვენი სტრატეგიული ობიექტები რუსეთს. თქვენ რას იტყვით ამის შესახებ?

— როგორც საერთაშორისო ურთიერთობების სტრატეგიის სწავლის დროს ამიხსნეს — როდესაც რომელიმე მოთამაშე შენ მიმართ ანტაგონისტურად არის განწყობილი, მასთან ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავებას უნდა შეეცადო, მაგრამ თან მისი სანინააღმდეგო სვლები აკეთო. ეს ყველაზე კარგი და მიღებული ტონია დღევანდელ დიპლომატიაში. ის ფაქტი, რომ ჩვენი ხელისუფლება რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობის გამყარებას ცდილობს, მაგრამ ნატოში ინტეგრაციისკენაც მიისწრაფვის, მოსკოვს ცივილიზებული მეთოდით მიანიშნებს, — მინდა შენთან მეგობრობა, მაგრამ — არა ჩემი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ხარჯზე. ჩვენი ოპოზიციის ერთმა ნაწილმა, რომელიც რუსეთის მიმა-

რთ დიდ სიყვარულს იჩენს, წესად გაიხადა, რომ აჟიოტაჟი ატეხოს ყველაფერზე. ამას იმიტომ აკეთებენ, რომ უნდათ, ხალხის თვალში რაიმე ფუნქცია შეიძინონ.

— ოპოზიციამ

საკაშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ აშშ თავის საჰაერო სივრცეს დაუთმობდა სამხედრო ტრანზიტული გადაზიდვებისათვის, კრიტიკულად შეაფასა. თქვენი აზრით, ესეც უბრალო პანიკა იყო?

— კი, ესეც პანიკა იყო. რუსეთი, ყაზახეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი — ყველა ჩართულია ავღანეთში მიმდინარე ოპერაციაში სხვადასხვა ფორმით. რუსეთი და ყაზახეთი ამერიკას კორიდორს აძლევენ, აზერბაიჯანს და თურქეთს სამხედროები ჰყავთ გაგზავნილი; სომხეთმაც კი მიავლინა რამდენიმე კაცი.

— და მაინც, ეს, ჩვენი უსაფრთხოების მიზნით, რამდენად გამართლებული წინადადებაა?

— სწორედ რომ ჩვენი უსაფრთხოების მიზნით არის ძალიან კარგი წინადადება. მნიშვნელოვანია, რომ რუსეთმა იცოდეს: თუ ამერიკას კორიდორის გაკეთებაზე უარს ეტყვის



მათ ქმედებას ვერანაირ ახსნას ვერ ვუძებნი

და ამით ავღანეთის ოპერაციის წარმატებას შეუშლის ხელს, ნატოსა და ამერიკის საქართველოსადმი ინტერესი ერთიანად გაიზრდება. ოპოზიციის იმ წარმომადგენლებს, რომლებმაც ამის გამო ნივილ-კივილი ატეხეს, საერთოდ არა აქვეთ პოლიტიკაზე წარმოდგენა.

რადიომკურნალი

იზოვე შენი მკურნალი
„ჯალიცობიზ“
ეთერში!

ყოველ ოთხშაბათს,
15:30 საათზე
სალომი
დილაუაგვილთან
ერთად





სახალხო დამცველი: „თუ ვაგბობთ, რომ ეპროკლეზი ვართ, გარკვეულ საკითხებში დამოკიდებულა უნდა შევიცვალოთ“

„უკომპლექსო, რისკიანი ადამიანი, დამოუკიდებელი, პრინციპული პიროვნება და სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ქართველი“, — ასე აფასებს საკუთარ თავს საქართველოს სახალხო დამცველი გიორგი ბატონოვი. ირწმუნება, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ ცხოვრებაში ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ უკვე 32 წლისაა, სასურველი სასიძოა და მშობლებიც დიდი ხანია, მის დაოჯახებაზე ოცნებობენ, მისთვის რჩევების მიცემისგან თავს იკავებენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ექმი დედისა და ქმიკოსი მამის შვილმა იურიდიული განათლების მიღება არჩია. უყვარს გალაკტიონისა და კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება. შეიძლება, არ დაიჯეროთ, მაგრამ გალაკტიონის რამდენიმე ლექსი დღემდე ზეპირად ასსოვს. მართალია, განათლება ევროპაში მიიღო, მაგრამ მშვიდად მხოლოდ საქართველოში გრძნობს თავს...



სათუნა გახტორია

— ბატონო გიორგი, მაინც რაში გამოიხატება ის, რომ რისკიანი ხართ?

— მაგალითისთვის გეტყვიტ — ძალიან გავრისკე, როდესაც სამსახური მივატოვე და სასწავლებლად შევდეთში წავედი. საკმაოდ ხშირად, სტაბილური და უზრუნველი სამსახური ერთთვისაში გამიცვლია.

— სახალხო დამცველის პოსტის დაკავებამდე რა თანამდებობებზე მუშაობდით?

— რამდენიმე წლის განმავლობაში, ევროპაში თანამშრომლობისა და უსაფრთხოების ორგანიზაციის (ეუთო) საქართველოს მისიაში, ადამიანის უფლებათა საკითხებში მრჩეველად ვმუშაობდი; გარკვეული პერიოდი ევროპის წამების აკრძალვის კომიტეტის წევრიც გახლდით. ასევე ჩართული ვიყავი გაეროს განვითარების პროგრამაში. რამდენიმე წელი თბილისის მერიამშიც ვმუშაობდი — იურიდიულ სამსახურში, წელიწად-წახევარი თბილისის საკრებულოს წევრი გახლდით. პარლამენტში კი ერთ-ერთი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვიყავი.

— ომბუდსმენობა თქვენი სურვილი იყო თუ უბრალოდ, კარგი სამსახურებრივი წინადადება?

— სიმართლე რომ გითხრათ, ამ ინსტიტუტის მიმართ ძალიან დიდი ინტერესი მქონდა. აქ მომუშავე ხალხსაც

კარგად ვიცნობდი და ისიც ვიცოდი, თუ რას უნდა აკეთებდეს ეს დაწესებულება. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ჩემთვის დიდი პატივი იყო, რომ ამ თანამდებობაზე წარმადგინეს.

— რამდენად შესაძლებელია, რომ მომავალში, თქვენი წინამორბედიც, თქვენც პოლიტიკაში გიხილოთ?

— ამაზე არასოდეს მიფიქრია.

— თქვენი აზრით, პოსტსაბჭოთა სივრცეში ადამიანის უფლებები ყველაზე ხშირად რომელ ქვეყანაში ილახება?

— ჩეჩნეთში. ეს არაერთხელაა დადასტურებული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშებში.

— რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ ჩეჩნებს ბოვიკებად მიიჩნევთ თუ თავისუფლებისთვის მებრძოლებად?

— იცით, რაშია საქმე?.. ბოლო დროს ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებით, არაერთხელ დადასტურებულა, რომ ჩეჩნეთში რუსები სამოქალაქო მოსახლეობის უფლებებს ხშირად ხელყოფენ.

— რა ფორმით ხდება მათი უფლებების ხელყოფა?

— როგორც ჩეჩენი ხალხის ქონების განადგურებით, ისე მათი სიცოცხლის მოსპობით. შეიძლება, მოსკოვმა სამხედრო დაპირისპირების დროს განადგურებული მებრძოლების გამო როგორღაც თავი იმართ-

ლოს, მაგრამ როდესაც საქმე მშვიდობიან მოსახლეობას ეხება, აქ უკვე ყველაფერი ნათელია...

— საქართველოში რამდენად არის დაცული ადამიანის უფლებები?

— ამ კითხვაზე მოკლედ ვერ გიპასუხებთ. ნაწილის უფლებები კარგადაა დაცული, ნაწილის — არა...

— თქვენს ოფისში მოსულ მოქალაქეებს პირადად თუ ხვდებით?

— დღეს მთელი დღე მოქალაქეებს ვხვდებოდი...

— ეს მოქალაქეები ძირითადად, რა პრობლემებით მოდიან თქვენთან?

— ჩემთან ხშირად მოდიან ის ადამიანები, რომლებიც კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, სოზარ სუბართანაც დადიოდნენ. ახლა მათ იმედი აქვთ, რომ იქნებ, ახალმა სახალხო დამცველმა მაინც მოახერხოს მათი პრობლემის მოგვარება. სამწუხაროდ, დიდი სურვილის მიუხედავად, ამის გაკეთების საშუალებას კანონი არ მაძლევს. ძალიან ხშირად, სასამართლოს მიერ კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს აპროტესტებენ. არადა, ჩვენ ნამდვილად არა გვაქვს ისეთი გავლენა, რომ სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს გადავხედოთ და განვიხილოთ. შეწყალების დროს ხშირად გვთხოვენ, რომ ამა თუ პატიმარს სიტყვა შევანოთ. ასეთ დროს იმის ახსნა გვიხდება, რომ სახალხო დამცველი შეწყალების კომისიის უბრალო წევრია და სივრცეში მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა არ შეუძლია.

— აბსურდული მოთხოვნებით თუ მოდიან?

— ასეც ხდება. მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაშიც ვცდილობთ, ავუსხნათ მოქალაქეს, რისი გაკეთება შეგვიძლია და რისი — არა.

— თქვენი წინამორბედი, ადამიანის უფლებათა დაცვადად, პროკურატურასა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტს ხშირად უპირისპირდებოდა. თქვენ თუ გადაადგიდგამთ ასეთი ნაბიჯი?

— მე არ ვფიქრობ, რომ ომბუდსმენი პროკურატურას ან სასჯელაღსრულების დეპარტამენტს უნდა დაუპირისპირდეს. ჩვენ უბრალოდ, სხვადასხვა სახის დარღვევაზე მივუთითებთ ამ დაწესებულებებს.

— საუბრისას აღნიშნეთ, რომ უკომპლექსო ხართ. ტაბუდადებული



თემებზე თუ შეგიძლიათ საუბარი?

— რას გულისხმობთ?

— თუნდაც განსხვავებული ორიენტაციის მქონე ადამიანებს...

— კი, ბატონო, ვისაუბროთ, არა მაქვს ამის პრობლემა. სახალხო დამცველის აპარატს ათასნაირ ადამიანთან უწევს ურთიერთობა, მათ შორის, განსხვავებული ორიენტაციის მქონე პირებიც არიან.

— ძირითადად რა სახის საჩივრები შემოაქვთ თქვენთან?

— როგორც მასხოვე, ბოლოს სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დაცვით დაკავებული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მოგვმართეს, მათი თავმჯდომარის დაკავების გამო. როგორც ისინი ამბობდნენ, ის მხოლოდ იმიტომ დააკავეს, რომ სექსუალური უმცირესობების ინტერესებს იცავდა; მერე გაირკვა, რომ მიზეზი სრულიად სხვა რამ გახლდათ.

— თქვენ როგორი დამოკიდებულება გაქვთ ამ ადამიანებთან და რას ფიქრობთ „სექსუალური ორიენტაციის ნადავზე დისკრიმინაციისა და სქესის იდენტიფიკაციის“ კანონპროექტის შესახებ, რომლის მიხედვითაც, ერთსქესიან ადამიანებს კანონით ეძლევათ დაქორწინების უფლება?

— მე ვფიქრობ, რომ ყველას აქვს

უფლება, იცხოვროს მისთვის მისაღები წესით, მაგრამ ამით არც სხვის უფლებებს უნდა ლახავდეს.

— ასეთი ადამიანების მალალ თანამდებობებზე დანიშნვა რამდენად მართებულია მიგაჩნიათ?

— პარიზის და ამსტერდამის მერები ჰომოსექსუალები არიან. რა, ცუდად ართმევენ თავს საკუთარ მოვალეობას?.. სხვათა შორის, ორივე — არჩეული მერია. ამის პრობლემა არც ჩვენთან უნდა იყოს.

— ეს ყველაფერი ქართულ ტრადიციებს ხომ არ ეწინააღმდეგება?

— კი, მაგრამ თუ ვამბობთ, რომ ევროპელები ვართ, გარკვეული საკითხების მიმართ დამოკიდებულება უნდა შევიცვალოთ. მსგავსი პრობლემები ძალიან ბევრმა ქვეყანამ გადალახა, მაგრამ მათ ამის გამო ზიანი არ მისდგომიათ. მესმის, რომ ჰომოსექსუალიზმი საზოგადოებაში ბევრის აღშფოთებას იწვევს, მაგრამ ეს კანონდარღვევასა და აგრესიაში არ უნდა გადაიზარდოს. პირადად მე ვერავინ დამაძალებს — რაზე მომწონდეს ან არ მომწონდეს.

— რამდენად ტრადიციული ადამიანი ხართ?

— ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული დამოკიდებულება მაქვს. ვერ ვიტყვი, რომ სადღეგრძე-

ლობის მოყვარული, მოქვიფე ქართველი ვარ. პატივს ვცემ ნებისმიერი ადამიანის შეხედულებას — ტრადიციებზე, ადათ-წესებზე და ჩემს შეხედულებას თავზე არავის ვახვევ. საერთოდაც, საკმაოდ თავისუფალი ადამიანი ვარ და ვცდილობ, ყველა შეხედულების ადამიანს გაუფგო.

— თქვენს უარყოფით თვისებებზე საუბარი თუ შეგიძლიათ?

— კი, უპრობლემოდ.

— რას მიიჩნევთ თქვენს უარყოფით თვისებად?

— ძალიან მიყვარს კარგად გამოძინება და როდესაც ამის საშუალება არ მეძლევა, ძალიან განვიცდი. ჩემთვის აუცილებელია, დღე-ღამეში 8 საათი მიმინც მეძინოს. კიდევ მაქვს უარყოფითი თვისება — ფიცხი ვარ და ზოგჯერ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, გაცილებით მწვავე რეაქცია მაქვს, ვიდრე საჭიროა. კი ვცდილობ, რომ ამ მხრივ ჩემი თავი გავაკონტროლო, მაგრამ არ გამომდის, რა ვქნა — გურული ვარ...

— სიფიცხეს თანამშრომლებთანაც გამოხატავთ?

— არა, ასე ძირითადად, ოჯახის წევრებთან ვიქცევი. თანამშრომლებთან ვცდილობ, მაქსიმალურად კორექტული ვიყო. ჩემი თუ არ გჯერათ, ჩემს თანაშემწეს ჰკითხეთ.

— სამსახურებრივი პრობლემე-

რუჩკა თხევადი

ზაფხულის სუნები

დაამუშავა შპსი ჩრეული პირადი კოდი ნომერი: 2343 და დაამუშავა მას გახდას „მის თინდიზიარი“

გაყვას „მის თინდიზიარის“ გაშრობდომას სპეციალურ ნომინაციებში: მისათვის, რომ შპსი კანონი პრე-პრე ნომინაციის, „მის რეალიზის“ განსახილველად გახდას, მონახულს სანიშ

WWW.KVIRISPALITRA.GE

და მას 800301 მისი ჩრეული

ROCHELI DELFOS

SLIDE

De Facto

EVITA PERONI



ბისგან განტვირთვას როგორ ახერხებთ?

— ძალიან მიყვარს სპორტი — კალათბურთი და თხილამურებით სრიალი. მაგრამ რაც სახალხო დამცველის პოსტზე დავინიშნე, არც კალათბურთი მითამაშია და ვერც თხილამურებით სრიალს ვახერხებ. უფრო მეტსაც გეტყვით — სამსახურის გადაშვით, ბოლოს როდის მივედი სახლში 7 საათზე, აღარც კი მახსოვს. კიდევ კარგი, ცოლი არ მყავს, თორემ ხომ ამიკლებდა ბუზღუნით.

— სამაგიეროდ, ალბათ მშობლები გწუნებდნენ, დროზე დაქორწინდო?

— სულაც არა. სხვათა შორის, ამ თემაზე მათთან საუბარი საერთოდ არ მქონია. მათ იციან, რომ ამას აზრი არა აქვს...

— როგორი გოგონები მოგწონთ?

— ამ მხრივ, ჩამოყალიბებული სტანდარტი არა მაქვს. უბრალოდ, გოგონამ უნდა მომხიბლოს გარეგნობითაც და ინტელექტითაც.

— აქამდე ვერაფერს მოგხიბლათ?

— როგორც ხედავთ, ვერა.

— ველარც მეგობრებისთვის იცლით?

— ყოველდღე ნამდვილად ვერაფერს ვეხმინები, მაგრამ ვცდილობ, ქორწილები და დაბადების დღეები არ გამოვტოვო. რა ვქნა, ძალიან მიყვარს მეგობრებთან ერთად დროს ტარება.

— ევროპული ა-ლა-ფურშეტი უფრო მოგწონთ თუ ტრადიციული ქართული სუფრა?

— არც ერთზე არ ვამბობ უარს, მთავარია, სუფრაზე კარგი საჭმელი იყოს.

— ეი. გურმანი ხართ?

— რომ გითხრათ, ჭმის მეტს არაფერს ვაკეთებ-მეთქი, არ ვიქნები მართალი, მაგრამ გემრიელი საჭმელი მიყვარს.

— თავად თუ შეგიძლიათ რომელიმე კერძის მომზადება?

— კი, შემიძლია. სხვათა შორის, მე მარტო ვცხოვრობ. ასე რომ, საჭმელსაც თავად ვიკეთებ და ჩემს პერანგებსაც ვაუთოვებ. ახლაც ჩემი დაუთოებული პერანგი მაცვია. ცოტა შელახული კია, მაგრამ ცუდად დაუთოებული არ გეგონოთ, — დღის ბოლოა და შეილახა...

— კერძების მომზადებაც იცით?

— რამდენიმე იტალიური კერძის მომზადება შემიძლია; ერთ-ერთი საკმაოდ რთული გასაკეთებელია, ლაზანია ჰქვია, ხორციანი აჩმა-ხაჭაპურივითაა. კაი დიდი შარი კია მაგის გაკეთება — სულ ცოტა, 3 საათი მაინც სჭირდება. ლაზანია არაერთხელ გამიკეთებია და მეგობრებთან ერთად დამიგემოვნებია.

— სასმელებზე რას იტყვით?

— სასმელებიდან ნითელ ღვინოს ვამჯობინებ. საუკეთესო სასმელია.

„იმიტირებული სსსაპართლო პროსესი“ ტელეეთერში

„ნამდვილ პროსესს 8 თებერვალს მოსამართლე გახსნის“

თაა სურსილავა

2 თებერვალს „სიმართლის დროში“ 22 წლის სოფო ჩიკვილაძემ სკანდალური განცხადებები გააკეთა. მან ყოფილი მეუღლის, პატიმრობაში მყოფი ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ვაჟის, ცოტნე გამსახურდიას დაკავებას სამართლიანი უწოდა; იგი კრიმინალური მენტალიტეტის ადამიანად გამოაცხადა, ნარკოტიკების მომხმარებლადაც შერაცხა და უფრო მეტიც — ისიც კი თქვა, ცოტნე პოლიტიკაში რუსული სპეცსამსახურების დავალებით ჩაერთო.

ეს სენსაციური განცხადებები ყოფილი მეუღლის მხრიდან მართლაც რომ გამოგნებელია, განსაკუთრებით მაშინ, როცა თბილისის საქალაქო სასამართლო რამდენიმე დღეში ცოტნეს ბრალდების საქმის განხილვას იწყებს. ისიც ცნობილია, რომ ბრალდებული ცოტნე გამსახურდია არც ერთ ეპიზოდში თავს დამნაშავედ არ ცნობს, დღემდე აპროტესტებს დაკავებას და რამდენიმე თვეა, შიმშილობს.

ფოტომოდელი იმასაც აცხადებს, რომ ცოტნე გამსახურდიასგან უკვე მეორე შვილს ელოდება და 8 თვის ფეხმძიმეა. ირწმუნება: ამის შესახებ ოჯახის წევრებმა არაფერი იცოდნენ და ტელევიზიით შეიტყობენო. სოფოსა და ცოტნეს 3 წლის გოგონა, თამარი ჰყავთ.

8 თებერვალს სასამართლო საქმის განხილვას იწყებს. ამ ფონზე ჩიკვილაძის განცხადებები ფაქტობრივად, პროკურატურის ნისქელზე წყლის დასხმაა. არავინ იცის, ეს საზოგადოებრივ აზრზეც როგორ იმოქმედებს. დეტექტორმა ახალგაზრდა ფოტომოდელის შოუში მისვლის მიზეზი მის ქვეცნობიერში ამოიკითხა. კითხვა, რომელიც სოფო ჩიკვილაძეს 10.000 ლარს ამოვრებდა, ასე უღერდა: „სიმართლის დროში“ მხოლოდ იმიტომ მოხვედრი, რომ გინდა, ყოფილ მეუღლეს სამაგიეროდ გადაუხადო? მართალია, სოფომ ამ კითხვაზე უარყოფითად უპასუხა, მაგრამ გაირკვა, რომ იცრუა და სტუდია საბოლოოდ, 400 ლარით დატოვა. ჩვენ რამდენიმე კითხვით ცოტნე გამსახურდიას ადვოკატ ქეთი პაპაშვილს მივმართეთ:

— ქალბატონო ქეთი, ცოტნე გამსახურდიას ნინალმდეგ ყოფილი მეუღლის სკანდალურ განცხადებებზე რას იტყვით? მან ფაქტობრივად, ბრალდების პოზიცია დაიკავა, არც ბავჯელიძის დაჭრა უარყო, უფრო მეტიც — ცოტნე გამსახურდია ნარკოტიკების მოხმარება-



შიც ამხილა. თქვენ საპირისპიროს ამტკიცებთ. ეს განცხადებები ხომ არ შეგიშლით ხელს მის დაცვაში?

— კიდევ ერთი გამოგრჩათ: სპეცსამსახურების აგენტადაც გამოაცხადა. რაც მოხდა, ეს არის სასამართლო საქმიანობაში უხეში ჩარევა. ჩემი პრეტენზია არა ვინმე სოფო ჩიკვილაძის მისამართით, არამედ ზოგადად, ამ გადაცემის ავტორების მისამართითაა: ვგულისხმობ ნამყვანს და პროდიუსერსაც — არავის აქვს უფლება, წინასწარ ბრალი დასდოს ცოტნე გამსახურდიას, ვიდრე არ იქნება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი. რაც მოხდა, ამას ვფასებ უდანაშაულობის პრეზუმფციის უხეშ დარღვევად. წინასწარ ბრალი დასდეს ცოტნე გამსახურდიას, რომლის სასამართლო პროცესი ჯერ არ დაწყებულა და პირველი სხდომა 8 თებერვალსაა დანიშნული. ვფიქრობ, პროცესის დაწყებას ეს პოლიტიკური შოუ შეგნებულად უსწრებდა წინ. ეს იყო გამიზნული და ძნელი მისახვედრი არ არის, თუ ვისგან მოდიოდა.

— კონკრეტულად, ვისგან?



— ვისაც უნდა, რომ ცოტენე გამსახურდია დიდი ხნით გამოკეტოს ციხეში და არ დაუშვას მისი თავისუფლებაში ყოფნა. ჩვენ ახალი შეთხზული ბრალდების ირგვლივ პრესკონფერენცია მოვანყვეთ და სწორედ იმ დღეს სოფო ჩიკვილაძე ჩანერეს. ეს გადაცემაც ზუსტად აღნიშნულ მიზანს ემსახურებოდა: უნდათ, საზოგადოებრივი აზრი შეცვალონ. ქართველმა მაყურებელმა ცოტენე გამსახურდიას იმიტირებული სასამართლო პროცესი იხილა, სადაც ფაქტობრივად, ორი პროკურორი იყო: ნანკა კალატოზიშვილი და სოფო ჩიკვილაძე. განაჩენი კი სოფო ჩიკვილაძემ გამოუტანა. მაგრამ კარგია, რომ დეტექტორმა ამოიციწო მისი მიზანი და ეს სწორედ კითხვაში გამოჩნდა: ის, რომ შურის საძიებლად იყო მისული, დეტექტორმა დაადასტურა და საბედნიეროდ, ეს რეზიუმე ბოლოში გაკეთდა. ეს იყო სამაგიეროს გადახდა, იყო შურისძიება და იყო სიცრუე. თუკი პიროვნება — ეს, მოწმე იქნება თუ დაზარალებული — აღმოჩნდება მეორე მხარესთან კონფლიქტში, გამოიკვეთება კერძო დაინტერესება და სამაგიეროს გადახდა, ის საქმეში არ ფასდება, როგორც მტკიცებულება. სოფო ჩიკვილაძეს მინდა ვუთხრა — არ გამოუვიდა ჩანაფიქრი, ის ხელმოცარული წავიდა მატერიალურადაც და საზოგადოებამ მთავარ კითხვაზე პასუხიც მიიღო, — ნახა, რა ამოძრავებდა მას.

— თუმცა მანამდე იმ სკანდალურ კითხვებზე პასუხებს მისი ქვეცნობიერაც ადასტურებდა. ამაზე რას იტყვი?

— ბოლო გაირკვა ყველაზე მთავარი — რომ ის ცრუობდა. როცა ადამიანს სამაგიეროს უხდი, ტყუილზეც მიდიხარ. ეს დაადასტურა დეტექტორმაც. გადაცემამ გამოუტანა მას განაჩენი.

— ცოტენესგან ის მეორე შვილს

ელოდებო; თუ არის ეს ცოტენესთვის ცნობილი და საერთოდ, რა ინფორმაციას ფლობთ მათ ურთიერთობაზე?

— მათი ოჯახის წევრი არა ვარ, არც ნათესავი; ადვოკატი ვარ. ცოტენესთან მის პირად ცხოვრებაზე არასდროს მისაუბრია. ქალბატონმა მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ კი ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერით განაცხადა, რომ სოფო ჩიკვილაძე მათი რძალი არასდროს ყოფილა, უფრო მეტიც — ცოტენეს ოფიციალურად ჯვარდანიერილი მეუღლე ჰყავს, ის ქართველი არ არის და ცოტენე სწორედ მას მოიხსენიებს მეუღლედ ჩემთან საუბრისას. მასთან ცოტენეს შვილი ჰყავს.

— თუმცა ჩიკვილაძესთანაც ჰყავს შვილი, 3 წლის თამარ გამსახურდია და სოფო აცხადებს, რომ მეორე შვილსაც ცოტენესგან ელოდებოდა.

— ქალბატონი მანანას თქმით, ისინი ოფიციალურ ქორწინებაში არ ყოფილან და არც ჯვარდანიერილები არიან. რაც შეეხება ბავშვს, არ ვიცი, ის ვის გვარზეა. მისი დაბადების მოწმობა არ მინახავს და ესეც გასარკვევია, რადგან ქალბატონი მანანას თქმით, მას მათი გვარი არა აქვს. რაც შეეხება მეორე ბავშვს, — არ ვიცი, ცოტენე გამსახურდიამ რაიმე იცის თუ არა ამის შესახებ.

— ცოტენეს ციხეში ამ გადაცემის ნახვის საშუალება ჰქონდა?

— ვერ ნახავდა: სადაც ცოტენე იმყოფება, იქ არც რადიოა და არც ტელევიზორი.

— აქვე მინდა, ახალი ბრალდების შესახებაც გკითხოთ: ცოტენეს სომკიდევ ერთი ბრალდება დაემატა. რას იტყვით ამაზე?

— ესეც გარკვეული მოულოდნელობა იყო, თუმცა სამართალდამცავებისგან სიურპრიზებს მიჩვეულები ვართ. უკვე ერთი წელია, სასამართლოში დევს ცოტენე გამსახურდიას ბრალდების საქმე, სადაც ჯამუშოება და შეთქმულება ჰბრალდებოდა; ამასთან, კიდევ ერთი ეპიზოდი — მალაკელიძის დაჭრა. ამდენი ხნის შემდეგ კიდევ ერთი ბრალდება დაემატა. 12 წლის წინანდელ დანაშაულზეა ლაპარაკი — ვინმე ირაკლი სანიკიძისთვის სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანების მიყენებას ედავებოდა. ამ მასალებ-

ში ვერ ნახავთ ირაკლი სანიკიძის საჩივარს. არადა, ეს გახლავთ კერძო ბრალდების საქმე, რომელიც მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით უნდა აღიძვრას.

— საბოლოოდ, ცოტენე გამსახურდიას რამდენ ეპიზოდში ედება ბრალი?

— ცოტენეს საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოში ორ მოსამართლეს აქვს. მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილს ანერია საქმე, სადაც ცოტენეს ჯამუშოებაში, შეთქმულებასა და მალაკელიძის დაჭრაში სდებენ ბრალს; მეორე საქმე კი მოსამართლე მერაბ ჯორბენაძეს აქვს



ქალბატონი მანანას თქმით, ისინი ოფიციალურ ქორწინებაში არ ყოფილან

— იქ დავით ბაჯელიძის დაჭრას, იარაღის უკანონო შენახვას და ვინმე სანიკიძის სხეულის მსუბუქ დაზიანებას ედავებიან. 8 თებერვალს სწორედ მეორე ბრალდების საქმის განხილვა დაიწყება. სავარაუდოდ, საქმეების გაერთიანება მოხდება. ეს პროკურორმა უნდა მოითხოვოს — კანონით, მარტო მას აქვს ამის მოთხოვნის უფლება.

— დავით ბაჯელიძემ წინასწარ გამოძიებაში ცოტენე გამსახურდია დაჭრაში ამხილა?

— ის ცოტენეს არ ამხელს. იმის მიუხედავად, რომ ცოტენეს რამდენიმე ბრალდება აქვს წარდგენილი, მერწმუნეთ, არც ერთი ბრალდების მტკიცებულება საქმეში არ არის. იმდენად უსუსური აღმოჩნდა გამოძიება ცოტენეს მიმართ და იმდენად არა აქვთ ხელთ ობიექტური სამხილი, იძულებულები არიან, ასეთი პოლიტიკური შოუები მოაწყონ. ეს იმიტირებული სასამართლო პროცესი იყო და ნამდვილ პროცესს 8 თებერვალს მოსამართლე გახსნის.



3 წლის თამარ გამსახურდია

რა ღირს მშობიარობა საქართველოში და როგორი პირობებია კლინიკებში

„ქალი დაორსულდება უნდა იყოს დაზღვეული, შეიძლება მას აღარ აზღვევინ“

ჩვენს ქვეყანაში სავალალო დემოგრაფიული მდგომარეობა რომ არის, არაფერს დაობს. ამის განმაპირობებელ, უთვალავ პრობლემას შორის, ერთ-ერთი ყველაზე მწვავე — მოსახლეობის დიდი ნაწილის არასასარბიელო მატერიალური მდგომარეობაა, რომლის გამოც, უამრავ სხვა გასაჭირთან ერთად, ბევრი ოჯახი მშობიარობის ხარჯებსაც ვერ უმკლავდება...

თბილისში, ბოლო წლებში ბევრი ახალი კლინიკა გაიხსნა, სადაც კომფორტიც და ფასებიც თვალში საცემია. ჩვენ რამდენიმე მათგანს დაფუძავიერდით და გავარკვევით, თუ სად რა მდგომარეობაა.

თათა დადუაელი

ვაფხვია ოლიზარია, დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს, წმ. იოაკიმესა და ანას სახელობის სამშობიარო სახლის დირექტორი:

— მოგეხსენებათ, ჩვენი სამშობიარო საპატრიარქოს ეკუთვნის. მისი უწმინდესობის გადაწყვეტილებით, 2006 წლიდან ადმინისტრაცია შეიცვალა და თუ ადრე 680-700 მშობიარე გყავდა, ახლა ეს ციფრი თითქმის გაოთხმაგდა და შარშან უკვე 2500-ზე მეტი იყო. მშობიარეთა რიცხვმა რამდენიმე მიზეზის გამო იმატა. ერთ-ერთი უმთავრესი ის არის, რომ საპატრიარქოს ეკუთვნის და ხალხის ნდობა მეტია. ყველა სახელმწიფო პროგრამა, რაც კი მენაობას შეეხება, აქ მოქმედებს.

— კონკრეტულად, რომელი სამედიცინო პროგრამები ხორციელდება?

— როგორც იცით, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის სიღარიბის პროგრამა მოქმედებს და ვისაც 70000 ქულაზე ნაკლები აქვს, მისთვის ყველაფერი აბსოლუტურად უფასოა. სახელმწიფო 400 ლარს იხდის. გარდა ამისა, ყველა სადაზღვევო კომპანიის პროვაიდერი ვართ.

— მათთვის, ვისაც არანაირი დაზღვევა არა აქვს, რა ღირს თქვენს სამშობიარო სახლში მშობიარობა?

— როგორც აღვნიშნე, სახელმწიფო 400 ლარს ანაზღაურებს დაზღვევით. საერთოდ კი ჩვენთან ამაზე დაბალი ფასია: ფიზიოლოგიური მშობიარობა 365 ლარი ღირს, საკეისრო კვეთა კი — 620 ლარი.

— კერძო ექიმის აყვანა რა ჯდება?

— თუ ექიმის აყვანა გინდა და ამაში დამატებით თანხას იხდი, ე.ი. არ გიჭირს. ამიტომ ფასი განსხვავებულია. ასეთი კომფორტის ღირებულება 560 ლარია (ფიზიოლოგიური მშობიარობა).

— რა შედის იმ თანხაში, რომელსაც საერთო ჯამში, მშობიარობისთვის იხდიან?

— აბსოლუტურად ყველაფერი, გარდა კვებისა — ამაზე ცალკე თანხა დასამატებელი. როგორც სახელმწიფო, ისე კერძო დაზღვევისას, გართულებული მშობიარო-



ბის შემთხვევაშიც კი, რაც უნდა ძვირი დაგვიჯდეს, მაინც უფასოდ ვემსახურებით.

თამარ ალბასანდრიძე, მ. შარაშიძის სამედიცინო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი:

— უპირველესად მინდა ვთქვა, რომ ჩვენთან მშობიარეებისთვის საუკეთესო პირობებია შექმნილი. აქტიურად ვთანამშრომლობთ ყველა სადაზღვევო კომპანიასთან და მათ არანაირი პრობლემა არ ექმნებათ. ბლოკები ინდივიდუალურია; ტკივილების დანყებდან, მშობიარობის და შემდგომ პერიოდსაც ქალი ერთ ოთახში, ერთ გარემოში, ერთი პერსონალის მეთვალყურეობის ქვეშ ატარებს.

— როგორია ფასები?

— ფასები სერვისის მიხედვითაა დაყოფილი: ლუქსი პალატა 1.000 ლარი ღირს, საკეისრო კვეთა — 1.110 ლარი; ექიმის არჩევის შემთხვევაში, მისი ჰონორარი ემატება. პირველი კატეგორიის ორსანოლიანი პალატა, თავისი ტელევიზორით, ტელეფონით, ინდივიდუალური სანიტარიული კვანძითა და 750 ლარი ღირს; ექიმის აყვანის შემთხვევაში, ემატება ჰონორარი — 200-300 ლარი. არის 570-ლარიანი პალატაც, შედარებით ნაკლები სერვისით — და ცოტა უფრო ნაკლები — 470 ლ. ამ თანხებში შედის სტანდარტით გათვალისწინებული ყველანაირი მომსახურება: კვება, თეთრეული, ბავშვის პამპერსები, მედიკამენტები და სხვა.

— როგორ უნდა დაეზღვიოს ორსული ქალი კერძო სადაზღვევო კომპანიაში, რომ მშობიარობის საფასური აუნაზღაურონ?

— თუ კომპანია საგარანტიო წერილში გვინერს, რომ 100%-ით ანაზღაურებს მშო-

ბიარობას, პაციენტი არაფერს ამატებს. არის პაკეტები, რომლითაც მხოლოდ გარკვეული ნაწილის ანაზღაურება ხდება. თუ მშობიარეს დაზღვევის პოლისი აქვს, ჩვენი წარმომადგენელი კომპანიას უკავშირდება და ატყობინებს მშობიარობის ფაქტს და იმასაც, თუ როგორი იყო მშობიარობა. შემდეგ, შესაბამისი საბუთების გაფორმების საფუძველზე, კომპანია საგარანტიო წერილს გასცემს.

მოსახლეობის ინტერესის გათვალისწინებით, რამდენიმე სხვა სამშობიაროში დანესებულ ფასებსაც მოგაწვდით:

— „იმედის კლინიკაში“ ფიზიოლოგიური მშობიარობა 570 ლარი ღირს, საკეისრო კვეთა — 790, განმეორებითი საკეისრო — 850. ლუქს-პალატა დღე-ღამეში სტანდარტულზე 30 ლარით მეტია. ექიმად სამშობიაროს დირექტორის აყვანის შემთხვევაში, საერთო საფასურს 100 დოლარი ემატება, სხვა ექიმის კი — 70 დოლარი. ასევე, 100 დოლარი ემატება, თუ პაციენტს გაუტკივარებით მშობიარობა სურს.

— დავით გაგუას სამშობიარო სახლი: ოთხსანოლიანი — 630 ლარი, ორსანოლიანი — 750 ლარი, ერთსანოლიანი — 850 ლ, ერთსანოლიანი ლუქსი — 950 ლ.

— სამშობიარო სახლი „ბიბიდა“: ფიზიოლოგიური მშობიარობა — 850 ლარი, საკეისრო კვეთა — 1.100 ლარი.

— მე-2 სამშობიარო სახლი: ფიზიოლოგიური მშობიარობა (უფასო განყოფილება) — 420 ლარი; კომერციული — 560 ლარი, ლუქსი 800 ლარი; საკეისრო კვეთა — 670, 930, 1.120 ლარი (განყოფილებების მიხედვით); პათოლოგიური მშობიარობა — 520, 660, 835 ლარი.

— მე-5 სამშობიარო სახლი: კომფორტულ განყოფილებაში ფიზიოლოგიური მშობიარობა — 600 ლარი, საკეისრო — 950 ლარი; ძვირად ღირებულ ვარიანტში შედის: ოთხჯერადი კვება, თეთრეული, პამპერსი, მედიკამენტები; 430-ლარიანში — მხოლოდ მშობიარობა და დაბალკომფორტიანი პალატა.

როგორც ხედავთ, მშობიარობის საფასური სხვადასხვა სამშობიაროში დაახლოებით ერთნაირია. რაც შეეხება დაზღვევას, — როგორც ცნობილია, იმისათვის, რომ ამა თუ იმ კომპანიაში მშობიარობის საფასური აანაზღაუროს, ქალი დაორსულებამდე უნდა იყოს დაზღვეული; დაფხმძიმების შემდეგ მას აღარ აზღვევენ. თუ რა პირობებს სთავაზობენ სადაზღვევო კომპანიები ქალბატონებს, ამის შესახებ კონკრეტულ ინფორმაციას „გზის“ ფურცლებზე მომდევნო ნომერში მოგაწვდით.



სასნე

„ამოსიური ვარ და ფისხი, ყველაფრის გულთან ახლოს მიტანა ვიცი“...

ალექსო თათრაშვილი პროფესიით მსახიობია. ამ ადამიანის სახელი იუმორს, სიცოცხლა და კარგ განწყობილებას უკავშირდება. თავიდან იყო გადაცემა — „პა-სენსი“, რომელმაც არნახული პოპულარობა მოუტანა. ცოტა ხნის წინ, რადიო „ნაცნობში“ „კუკუშას ბუფეტს“ უძღვებოდა. იყო არაერთი როლი თეატრსა თუ კინოში. დღეს ცოტას კი პასიურობს... მალე ბაბუა უნდა გახდეს. ძალიან უყვარს ბავშვები და ერთი სული აქვს, როდის ჩაიკრავს შვილიშვილს გულში...

ნიწო მჭადლიშვილი

— ბავშვობაში, გარკვეულ ეტაპზე, ისეთი განცდა ხომ არ გქონიათ, რომ მშობლები მტრებად გიყვანებოდნენ?

— მტერები არ მეგონა, მაგრამ მამაჩემი მკაცრი კაცი კი იყო. დიდი უღვაშები ჰქონდა, ბოხი ხმა და მისი ძალიან მეშინოდა. ერთს რომ დაიყვირებდა, გული მისკვებოდა.

— მშობლები ძირითადად რაზე გინწყებოდნენ?

— ძალიან მიყვარდა ეზოში ბურთის თამაში, თამაშს გადავყვებოდი ხოლმე და სწავლა, წიგნები გვერდით მრჩებოდა. დედა სულ მამით მაშინებდა — ამოდი, იმეცადინე, თორემ მამაშენი მოვა და ვეტყვიო. ზუსტად ვიცოდი მამის მოსვლის დრო და სახლში 5-10 წუთით ადრე ავქანდებოდი ხოლმე. მოვიდოდა მამა, შემხედავდა და გაოფლილს რომ დამინახავდა, ამაზე ერთ ამბავს ტყხდა.

— სკოლაში როგორ სწავლობდით?

— ცუდად არ ვსწავლობდი, მაგრამ ჩვენს დროს რთული იყო სწავლა, დღეში 6-7 გაკვეთილი გვექონდა. ორი დღიური მქონდა: ერთი მამაჩემისთვის და ერთიც — მასწავლებლებისთვის.

— მამასთვის რომ გქონდათ, იმ დღიურში რა ხდებოდა?

— მასში სულ 5-იანები მქონდა ჩანკ-ნიკებულები, ზოგჯერ 4-იანსაც გამოვურევდი, მამაჩემი მთლად რომ არ გადარულოყო სიხარულისგან. ყველა მასწავლებლის ხელმწერა მქონდა „დამუღამებულები“.

— ხატვაშიც ნიჭიერი იქნებოდით...

— კი, კაცო, ხატვა საოცრად მიყვარდა. ცხენებს ვხატავდი. ცხენი ჩემი საყვარელი ცხოველია; შემიძლია, ვიდგე და

საათობით ვუყურო. სახლში კედლები და სკოლაში — დაფა სულ ჩემი დახატული ცხენებით იყო აჭრელებული. კლასში ამის გამო ბავშვები დამცინოდნენ.

— სკოლაში მეტსახელი თუ გქონდათ?

— გვარიდან გამომდინარე, „თეთრას“ მეძახდნენ.

— კლასელი მასწავლებელთან თუ „ჩაგვივით“?

— არა, არც მე ვყოფილვარ ასეთი გამოხდომის მსხვერპლი, ძალიან მეგობრული კლასი გვექონდა...

— „ქუჩის აკადემია“ თუ გაქვთ გავლილი?

— ძალიან ცდებოდა ყველა, ვინც ამბობს, რომ ქუჩაშია გაზრდილი. თუ იმის თქმა უნდათ, რომ ქუჩას კარგად იცნობენ, ეს სხვა საკითხია... მე ისეთი მეგობრები მყავს, რომლებიც არავისზე ნაკლებად ვაუკაცები არ არიან. გადასარევი ოჯახის შვილები არიან, მაგრამ ქუჩაც იციან. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქუჩაში არიან გაზრდილები. ოჯახში აღიზარდნენ, მაგრამ ბევრი რამ იციან... მეც კარგ ოჯახში აღვიზარდე, მაგრამ რა ხდებოდა ქუჩაში, ყოველთვის ვიცოდი.

— გოგოს გამო თუ გიჩხუბიათ?

— უბნელ ბიჭებს ერთი მეზობლის გოგონა გვიყვარდა და სულ მის გამო ვჩხუბობდით — ვინ მისაწრებდა და პირველი ვინ აკოცებდა მას... ამ პირველობის გამო ბევრჯერ მომხვედრია. მაგრამ ეს ყველაფერი კოცნად ღირდა.

— გიმართლებდათ სიყვარულში?

— სიმართლე რომ გითხრათ — არა, სულ ცალმხრივად ვიყავი შეყვარებული.



ის ჩემი მეზობელი, წელან რომ გიყვებოდი, თამუნა ჯაფარიძე, სიციხემდე მიყვარდა. გრძელი, სქელი, ქერა თმა ჰქონდა, დიდრონი ლურჯი, ძალიან ლამაზი თვალები, წითელი, პატარა ტუჩები. 4 წლის ვიყავი, რომ შემეყვარა. ბიჭები მის მოტაცებას ვეგმავდით.

— თამუნას ვინ შეუყვარდა?

— მგონი, ეზოში არავინ უყვარდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ჩემ მიმართ მცირედი სიმპათია მაინც ჰქონდა. 13 წლის რომ გავხდი, თამუნას ოჯახმა ბინა გამოიცვალა და სიყვარული დავკარგე. ეს ჩემთვის უდიდესი ტრაგედია იყო. სხვა უბანში გადავიდნენ და იმის მერე აღარც მინახავს.

— მეუღლეზეც ცალმხრივად იყავით შეყვარებული?

— მეუღლესთან გამომართლა. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში რომ ჩავაბარე, ჩემი მეუღლე — ნანა გიორგაძე მაშინ ვნახე. მეორე კურსიდან შემეყვარდა, ოჯახი სიყვარულით შევქმენით და დღემდე ერთად ვართ.

— როცა ცალმხრივად იყავით



მეყვარებული, ადვილად ყრდით ფარ-ხმალს?

— საქმე ისაა, რომ მე თუ მიყვარს, მთელი არსებით მიყვარს, საყვარელ ადამიანს მთელ გულს ვჩუქნი ხოლმე და ამავეს მოვიტოვებ სანინალმდეგო სქესისგან. ხოლო თუ ამას ვერ ვგრძნობ, ვნებდები. შეიძლება, კიდევ მოვწონდი ჩემი სიყვარულის ობიექტებს, მაგრამ ამით ვერ ვკმაყოფილდებოდი. საერთოდ, მე-ბრძოლი ხასიათის კაცი ვარ, ადვილად არ ვნებდები.

— მიზანდასახული თუ ხართ?

— დღეს ჩვენს რეალობაში მიზნის მიღწევა რთულია. არასტაბილური ცხოვრება გვაქვს, ვერ ვართ განვითარებული ქვეყანა და აქედან გამომდინარე, ისეთი მიზანი არ უნდა დაისახოს, რომელსაც ვერ განახორციელებ...



მეუღლესთან გამომართლა

— რა არ მოგწონთ თქვენს სასიათში?

— ამაზე, მართალი რომ გითხრათ, არ მიფიქრია.

— იფიქრეთ, დრო გვაქვს...

— (ფიქრის შემდეგ)... ზედმეტად ემოციური ვარ, ყველაფრის გულთან ახლოს მიტანა ვიცი, ფიცი ვარ.

— ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ პრობლემებზეც ნერვიულობთ?

— თქვენ არ ნერვიულობთ?

— თქვენი პასუხი უფრო საინტერესოა.

— რა თქმა უნდა, ვნერვიულობ, შეიძლება, ქართველმა დღეს ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე არ ინერვიულოს?! ტერიტორიები რომ გვაქვს დაკარგული, ამაზე გული არ გტკივართ?

— ყველა ადამიანი სხვადასხვანაირად გამოხატავს ამ ტკივილს, ზოგიერთი ღამით ვერ იძინებს; მე თქვენი ხასიათი მაინტერესებს. ნუ მიბრაზდებით.

— არ გიბრაზდებით. ხომ გითხარით, ფიცი ვარ, ჯიუტსა და მტყუარა ადამიანებს ვერ ვენიჭობი...

— როცა თქვენს ზურგს უკან ჩურჩულებენ, ცდილობთ, მოისმინოთ რაზე საუბრობენ თუ ამ სიტუაციას გაერიდებით?

— თუ ჩურჩულებენ, ე.ი. არ სურთ, მათი ლაპარაკი მოვისმინო. გავერიდები, რომ ჩურჩულმა აღარ მოუწინოთ.

— მეუღლის თანდასწრებით ღამაზე ქალბატონთან ფლირტს თუ გააბამთ?

— გამორიცხებულია, როგორ შეიძლება?! არავითარ შემთხვევაში.

— თუ ინიციატივა ღამაზე ქალბატონისგან მოდის?

— ყურადღებას არ მივაქცევ.

— იგივე საქციელი თქვენს მეუღლეს რომ შენიშნოთ?

— გამორიცხებულია, არც ის გააკეთებს ასეთ რაბებს ჩემთან ერთად. ძალიან ძვირად დაუჯდება.

— წვეულებაზე თქვენი მეუღლე სიმპათიურმა მამაკაცმა საცეკვაოდ რომ გამოიწვიოს, დართავთ ცეკვის ნებას?

— არა, ნებართვაც რომ მოხოვოს, მაინც არა. იცეკვოს თავის ცოლთან ან სხვასთან!

— აი, ემოციურობა სად გამოიჩინდა, თქვენი გაბრაზებაც მოვახერხებ...

— მართლაც (იღიმება).

— ნაბახუსევმა, მინიკა ბელუჩის საძინებელში რომ გამოიღვიძოთ, რას მოიმოქმედებთ?

— (იცინის) თვითონ იქ არის?

— თქვენ როგორ გირჩევენათ?

— იქ მინდა, რომ იყოს.

— გული არ გაგისკდებათ?

— გულზე რომ დავადებდი თავს, წაიღოს ავისრულებდი.

— აკი მეუღლეს არ ვლალატობო?

— თქვენ მკითხეთ, მისი თანდასწრებით თუ ლალატობო...

— ჩაცმის სტილის გამო შენიშვნა თუ მიგიციათ მეუღლისთვის?

— არ მიმიცია, რადგან ნანას კარგი გემოვნება აქვს.

— გემოვნების გარდა არსებობს კიდევ ეჭვიანობის საბაბი

— როცა მამაკაცს არ სურს, მისი მეუღლე თვალში მოსახვედრად გამოიყურებოდეს.

— ნანა არასდროს იცვამს გამომწვევად. ასე რომ, ამ შემთხვევაში, ვერ გამაბრაზებთ.

— ეჭვიანი არ ხართ?

— ზომიერად.

— უხერხულ სიტუაციებში თუ ვარდებით ხოლმე?

— ყველა ადამიანი ერიდება ასეთ სიტუაციებს, მაგრამ ყოველთვის ისე არ ხდება, როგორც შენ გინდა. ამასთან დაკავშირებით, ერთი ამბავი გამახსენდა: ჩემი ბავშვობის მეგობარი, გივიკო ჭიჭინაძე, ანსამბლ „ქართული ხმების“ მომღერალი მაგარ შარში გაუხვია. მურმან ჯინორიამ დაბადების დღეზე დაპატიჟა და თან აუხსნა: დიდუბეში, ახალ ხიდზე რომ გადახვალ, ორი ერთნაირი სახლია, მარცხენაში თუ მარჯვენაში ზუსტად აღარ მახსოვს, შემოხვალ და მეუბნები სართულზე ვცხოვრობო. წავიდა გივიკო, იყიდა „ბამბანერკა“, ყვავილები, ავიდა მეუბნედი სართულზე, დარეკა ზარი და მასპინძლები აჟიოტაჟით შეეგებნენ. არნახული სუფრა ყოფილა გაშლილი და შეიბატიყეს.

ერთი კი უკითხავს გივიკოს, მურმანი სადააო? — მოვა მალეო, — უთქვამთ და დიდი ყანნი უჯახებიან. ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე. კაცს ორი ლუკმა ძლივს გაუღეჭავს. დატრიალდა თურმე ყველაფერი, დათვრა გივიკო. ბოლოს კიდევ უკითხავს, სად არის მურმან ჯინორიაო? მურმანი გვერდით კორპუსში ცხოვრობსო, — დაუჯვლიანებიათ მასპინძლებს. თქვენი ჭირიმი, ამ „ბამბანერკას“ დავტოვებ, მაგრამ ყვავილებს მაინც წავიღებ, სირცხვილია, ხელცარიელი ვერ მივალო, — უთქვამს. წამოუღია ეს ყვავილები და ასე ბარბაცით მისულა მურმანთან. გაუღეს კარი და რას ხედავს: მაგიდას მურმანის 4-5 ძმაცაი უზის, ყავას სვამენ და ვაშლს გეახლებიან... აი, ასეთი „დესერტი“ გამოუვიდა ჩემს ძმაცაის მურმან ჯინორიასთან სტუმრობა.

— დაბადების დღიდან სამი-მარზე უნდა გადავინაცვლოთ... ახლობლის სამიმარზე მისულმა აღმოაჩინეთ, რომ მისამართი შეგეშალათ; არადა, ჭირისუფალი უკვე თქვენ შემოგტრიალდა, — თქვენ საიდანლა იცნობდით ჩემს ქმარსო?! როგორ მოიქცევით?

— ზუსტად ასეთი სიტუაცია მქონდა, მეგობარს დედა მოუყვდა და მე და ჩემი მეგობარი — ცხონებული პაატა გელაშვილი სამიძმარზე წავედით. პაატა მაგარ „პახმელიაზე“ და ერთი სული გვაქვს, მოვიშორეთ ეს საქმე და სადმე „პახმელიაზე“ გამოვიდეთ. დავადეთ თავი, შევედით სახლში და ვხედავთ, რომ კაცის ტუფლები აცვია მიცვალებულს. კი მივხვდით, რომ შეგეშალა, მაგრამ დედასა უკვე, უკან ვეღარ გამოვალთ. დედა, ვინ მოვიდა, გრიშა, რომ იცოდეთ, — მოგვატირა ცოლმა. შემოვუარეთ, მომეცა ხელზე ხელი ცოლმა და — თქვენ საიდანლა იცნობდით ჩემს ქმარსო? — აგრძელებს ტირილს. ჩვენ მთელ ქალაქს ვიცივობთ, ბებო, და ამ პატიოსან ადამიანს როგორ გამოგტოვებდით-მეთქი, — ვუპასუხე. ამ ბებოს გვერდით კარგი ღამაზე გოგო ზის, რძალია ალბათ გარდაცვლილის. რომ დავკონა ეს ჩემი მეგობარი ამ ღამაზე გოგოს, ვეღარ ავანინუნეთ. გაგიჟდა ხალხი, ყველა ჩვენ გვიყურებდა, — რას შერება ეს გადარუულიო! როგორც იქნა, ავაგლიჯე იმ ქალს პაატა. ია-ისაა, უნდა გამოვიდეთ ოთახიდან და მეორე წრეზე არ წავიდა! კიდევ უნდოდა იმ გოგოსთან ჩახუტება. მოკვიდე ხელი და სულ ძალით გამოვართიე. მოკლედ, იმ ჭირისუფალს ძლივს მივაგენიე, ვისთანაც უნდა მივსულიყავით.

— მითხარით ფრაზა თქვენი საყვარელი ლექსიდან.

— „ისევ შენ, ისევ, ქალაუ, ლერწმად აჭრილი ნელშია,

ნეტავი, სვლით შემეხასო, შენ რომ ვარდი გქონ მკერდშია.

სულ რომ ცად გასწყენენ ვარსკვლავნი, მზემ ტანთ ჩააცვას შავები,

ისეთ მზებობას მიზამენ შენი ფოფინა თვალები“.

ძალიან მიყვარს ვაჟა.



„ჩემი წყალობით, ძალიან ბევრი ადამიანი მოაქვლინა ამ ქვეყანას“



პირველობა უნებლიეთ დაებედა. გვარსა და ოჯახში პირველი შვილი იყო. მიაჩნია, რომ მისი ცხოვრების ყველაზე დიდი წარმატება სამედიცინო ინსტიტუტში ჩაბარება იყო. წარმატება არც მომავალში დაჰკლებია და იღბალი ყოველთვის ანებივრებდა, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან ფიქრობს, რომ წარმატებული ექიმი, მენ-გინეკოლოგი — ლადო კახაძე — მხოლოდ ბაბუაა. წლების შემდეგ იმასაც მისვდა, რომ ამქვეყნად მხოლოდ ორი სიტყვის სათქმელადაა მოსული: „გმადლობთ“, „ბოდიში“...

„ცხოვრებას შპლის ნაერის ცრემლიანი თვალებით ვუყურებ“

დავით ოქრუაშვილი

— ძველ თბილისში, ნარიყალის ძირში დავიბადე. ებოში უამრავი ეთნოკულტურის წარმომადგენელი ცხოვრობდა: სომეხი, აზერბაიჯანელი, ბერძენი, რუსი, უკრაინელი, ებრაელი... აქეთ სინაგოგა იყო, იქით მეჩეთი, სიონი, გრიგორიანული ტაძარი... ასეთ საუკეთესო გარემოში გავიზარდე. ჩემზე რომ კარგს იტყოდნენ — ემაყებოდათ.

— **შემდგომი ოჯახიდან იყავით?**

— ბებიჩემი თავადაზნაურობის შტო იყო და ბოლშევიკებმა ყველაფერი წაართვეს, ფიზიკურად გაანადგურეს. დიდი ვაჟკაცი უნდა ყოფილიყავი, რომ მასთან სტალინი ან ლენინი გეხსენებინა. პიონერთა რიგებში რომ მიმიღეს, სახლში წითელი ყელსახვევით მივედი. ახლა ვხვდები, ამით რამხელა ტკივილი მივაყენე. წითელ ფერთან მწყრადად იყო. ჩემი ოჯახი იმ ეპოქისთვის საშუალო ფენას წარმოადგენდა. გვარსა და ოჯახში პირველი შვილი ვიყავი, მეც შესაბამისად მანებივრებდნენ.

— **პირველობა თავიდანვე დაგებოდა?**

— სულ ვფიქრობ — როგორი ვიქნებოდი, უფროსი და ან ძმა რომ მყოლოდა? როცა პირველი ხარ — განებივრებენ, მაგრამ როგორც კი ოჯახში მეორე და მესამე ბავშვი იბადება, პასუხისმგებლობა და შეზღუდვა მატულობს.

— **ექიმობის სურვილი როდის გაგიჩნდა?**

— ამის თავიდათავი — ბებიჩემი იყო. მას გამაუფლებით თავის ტკივილი ჰქონდა და სულ მეუბნებოდა — ბები, ექიმი გამოდი და ჩემი ტკივილების მიზეზი ახსენიო. მეშვიდე კლასში რომ გადავდიოდი, სერიოზული ფიზიკური ტრავმა მივიღე, რის გამოც რამდენიმე თვე საავადმყოფოში მომინია ყოფნამ და ჩემი ექიმები ძალიან შემეყვარდა. გარკვეულწილად ამანაც დიდი როლი

ითამაშა. თან იმ დროს სამედიცინო-ზე ჩაბარება პრესტიჟული იყო. როდესაც მეკითხებიან — შენთვის ყველაზე დიდი წარმატება რა არისო? — ვპასუხობ, რომ სამედიცინო ინსტიტუტში ჩაბარება. მაშინ სამედიცინოზე სწავლა კოსმოსში გაფრენის ტოლფასი იყო. ასევე „ლენინური სტიპენდიანტიც“ ვიყავი. არ მრცხვენია იმის აღიარების, რომ პირველ წელს ვერ ჩავაბარე. 10-ქულიან ნაშრომში 4-იანი დამიწერეს. ამან არ დამაბრკოლა და საავადმყოფოში სანიტრად დავიწყე მუშაობა. იქ დიდებული ექიმები შემხვდნენ და საავადმყოფოს „საკუჭნაოში“ კარგად გავერკვიე.

მეორე წელს გამოცდაზე რომ შევედი, სანამ ნაშრომს ჩართავდნენ, მანამდე რექტორატი გვოცნებებდა გამოცდაში მონაწილეობას. სანამ ისინი ლაპარაკობდნენ, მე უკვე ვიცოდი, სად რა უნდა დამეწერა და ნაშრომი ჩაირთო თუ არა, ხუთივე საკითხი დაწერილი მქონდა. ხუთიანი მივიღე. 26 აგვისტო იყო, სიები გამოქვეყნდა. მივედი სახლში. დედაჩემი სამზარეულოში ფუსფუსებდა. საშინაო ფორმით ჩავსვი ტაქსიში და სამედიცინო ინსტიტუტთან მივიყვანე. ვუბნები: ნაიკითხე — „ლადო კახაძე“ — შენი შვილი სამედიცინოზე ჩაირიცხამეთქი. იმ წელს ჩემმა ძმამაც ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩააბარა. ისიც „ლენინური სტიპენდიანტი“ იყო. სკოლაში დიდხანს ლაპარაკობდნენ — აქ ლადო და რეზო კახაძეები სწავლობდნენო... უბედნიერესი კაცი ვარ, რადგან დიდებული მასწავლებლები მყავდნენ. ძალიან ხშირად ვახსენებ ჩემი სკოლის დირექტორს — ვარლამ თავაძეს. გენიალური ლიტერატორი იყო. სულ მახსოვს მისი სიტყვები: „ცხოვრებას შპლის ნუკრის ცრემლიანი თვალებით უნდა შეხედოთ“. ამიტომ ცხოვრებას შპლის ნუკრის ცრემლიანი თვალებით ვუყურებ. პედაგოგებმა ჩემში „მოზაიკა ააწყვეს“. როდესაც პრობლემა მაქვს, მაშინვე მათ დარიგებებს ვიხსენებ. ისინი დღემდე მესმარებიან.

— **ვინ იყვნენ ადამიანები, ვინც წარმატებულ ექიმად ჩამოგაყალიბათ?**

— პირველ რიგში, მიხეილ გიგინეიშვილი, რომელსაც მამას ვეძახდი. ჯერ ჩემი ლექტორი იყო, შემდეგ მის კათედრაზე ვმუშაობდი. ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის ათვისება მან მიჩნია. არ შემიძლია, თამარ დეკანოსიძე არ ვახსენო. თუ კამათში შესვლა და ლოგიკური მსჯელობა შემიძლია, ეს ქალბატონი თამარის დამსახურებაა. ასევე უბედნიერესი წუთები გავატარე იმ ლექციებზე, რომელსაც ეგნატე ფიფია გვიკითხავდა; მიხეილ ჩაჩავა — გენიალური ქურთუღი; ასევე — ზაქარია მაისურაძე, ნოდარ კვლანდაძე, შიო გუგუშაშვილი... გენიალური პედაგოგები მასწავლიდნენ.

— **გინეკოლოგს ხშირად აბორტის გაკეთებაც უწევს...**

— ერთადერთი აბორტი მაქვს გაკეთებული. მახსოვს, მიხეილ გიგინეიშვილმა მითხრა: იცოდე, სისხლში ხელი არ გაისვაროო. მერე ლექსიც მივუძღვენი იმ უბედურებას, რომელსაც აბორტი ჰქვია.

— **ის ერთი რატომ გააკეთეთ?**

— მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი. ის ცოლ-ქმარი ჩემი მეგობრები იყვნენ. 3 შვილი ჰყავდათ და მოიკლეს თავი, მეოთხე არ გვინდაო. ყველაფერი კანონიერად გაკეთდა, მაგრამ ეს აბორტი ჩემთვის იმდენად მძიმე იყო, რომ დღემდე მესიზმრება. ბევრი ადამიანი მყავს აბორტს გადარჩენილი. როდესაც მეკითხებიან — ტყუილი გითქვამსო? ვპასუხობ, რომ მითქვამს. თუ ვიცოდი, რომ დედას აბორტის გაკეთება უნდოდა, ვუბნებოდი, დაგვიანებულა-მეთქი. ჩემი წყალობით, ძალიან ბევრი ადამიანი მოვევლინა ამ ქვეყანას. ერთ-ერთი მათგანი ჩემი ნათლულია...

— **რატომ აირჩიეთ გინეკოლოგია? არ გიფიქრიათ, რომ სხვა სფეროში უფრო წარმატებული იქნებოდით?**

— 3 რექტორის პერიოდში მომი-



ლადო კახაძე არის ბაბუა. ჩემთვის შვილიშვილები — ყველაფერია

ნია სწავლამ — პეტრე გელბახიანთან, ოთარ ლუდუშაურთან და კონსტანტინე ვირსალაძესთან. როდესაც ინსტიტუტის დამთავრების პერიოდი მოვიდა, ვირსალაძეს უნდოდა, მის კათედრაზე წავსულიყავი და თერაპევტი გავმხდარიყავი. დამიბარა სახლში და მეუბნება — მინდა, ჩემს სფეროში იღვანო, ჩემს კათედრაზე წამოხვალ. მზრუნველობისთვის მადლობა მოვასხენე, მაგრამ გინეკოლოგობა მინდა-მეთქი. მითხრა, — წინათ, ვისაც რთული აზროვნების უნარი ჰქონდა, თერაპიაში მიდიოდა, ვინც გონებით ცოტა ნაკლები იყო — ქირურგიაში, ხოლო ვისაც არაფერი ესმოდა, გინეკოლოგიაში ისინი მიდიოდნენ. მე კითხვა შევუბრუნე, — შეიძლება თუ არა, ორსული ქალი თერაპიული დაავადებით დაავადდეს? დამეთანხმა. ორსულ ქალს შეიძლება თუ არა, ქირურგიული გართულება ჰქონდეს? ამაზეც დამეთანხმა. ე.ი. ნამდვილმა მეან-გინეკოლოგმა თერაპიაც და ქირურგიაც კარგად უნდა იცოდეს-მეთქი. გაიცინა და მითხრა, დიდი ეშმაკი ხარო. შემდეგ, სამედიცინო ინსტიტუტში მიხეილ გიგინეიშვილის კათედრაზე ვმუშაობდი. 1987 წელს წამოვედი და ცალკე დავინყე მოღვაწეობა. სახელმწიფო — იქით, მე — აქეთ... რკინიგზაში შეიქმნა რესპუბლიკური დიაგნოსტიკური ცენტრი, რომელიც თვითდაფინანსებაზე იყო. იქ 1992 წლამდე განყოფილების ხელმძღვანელი ვიყავი. შემდეგ ჩემმა მეგობრებმა სამედიცინო კოოპერატივი — „ოჯახი და ქორწინება“ დააარსეს. სამუშაო თავზე საყრდელად გვექონდა. 1993 წლის 15 სექტემბრიდან საკუთარი საქმე დავინყე — „ლაფორტუნადო“. თავ-ბოლოს „ლაფო“ გამოდიოდა, შუაში „ფორტუნა“ იყო. „ფორტუნა“, რომელიც მითოლოგიის მიხედვით, შემთხვევა, ბერძნებმა მას ილბალი დაარქვეს. ჩემთვის ეს სიტყვა შემთხვევა იყო, რადგან სულ

ივინსამდე ჩამომაცილა იმ საქმეს, რომელსაც მთელი ცხოვრება მივუძღვენი. პოლიტიკაც დიდი სკოლა იყო და შეცდომის მიუხედავად, ვფიქრობ, რომ ესეც უნდა გამეწლო. ჩემნაირი კაცი პოლიტიკაში არ უნდა წავიდეს. შემდეგ ჩემი მეგობრის შვილმა ნოვაცია — სადაზღვევო სისტემის ჩამოყალიბება შემომთავაზა. ეს ძალიან საფრთხილო თემაა და კვლავ ჩამოყალიბების სტადიაშია.

— ვინ არის ლადო კახაძე?
— ლადო კახაძე არის ბაბუა. ჩემთვის შვილიშვილები — ყველაფერია. ორი ქალიშვილი და ორი შვილიშვილი მყავს — ნიკოლოზი და ანდრია. მთელი ქვეყანა რომ ინვოდეს, მაინც ჩემს შვილიშვილებთან წავალ. მათთან ყველაზე პირმართალი უნდა ვიყო.

— კარიერის გაკეთებას დღეს რომ იწყებდით, ასეთივე წარმატებული ექიმი იქნებოდით?
— მაშინ რთული სისტემა იყო, მაგრამ სტაბილურობის შეგრძნება გვექონდა. ლიტერატურის მოსაძიებლად, ლენინგრადშიც ჩავსულვარ. ახლა ინტერნეტში ყველაფერი გამზადებულია, მაგრამ დღეს სტუდენტმა სად უნდა ისწავლოს, როცა კლინიკები აღარ არსებობს?! ჩვენ თითო სტუდენტს თითო პაციენტი გვყავდა — თერაპიაში, ვენეროლოგიაში, გინეკოლოგიაში... დღეს სად არის სტუდენტისთვის პაციენტი ან კერძო კლინიკაში ვინმე შეგიშვებს?! ექიმის მიმართ სახელმწიფომ უყურადღებობა გამოიჩინა. ჩვენ გვინდა, „ამერიკული“ ქვეყანა ვიყოთ და ექიმს „მონდოლოურად“ მოვექცეთ?! თუცა ექიმი იქაც დაფასებულია... ექიმი ჰიპოკრატეს ფიცს დებს არა — სახელმწიფოს მეთაურის ან კონსტიტუციის წინაშე, არამედ გალაქტიკის, სიცოცხლის წინაშე. ექიმი უფრო მეტია, ვიდრე კონკრეტული ქვეყანა. მე ექიმზე ვამბობ, თორემ ისე, ვისაც ხალატი აცვია, ყველა ექიმი როდია.

— ექიმის პროფესია ძალიან საფრთხილოა, რადგან ადამიანის სიცოცხლესთან გაქვს საქმე. წარმატების მიღმა, შეცდომები თუ ყოფილა?
— ამის თქმას ბევრი ვერ გაბედავს, მაგრამ მე წიგნს ვწერ, რომელსაც „შეცდომები ულტრაბგერით დიაგნოსტიკაში“ ეწოდება. შეცდომის ორი ფორმა არსებობს: ცრუდადებითი და ცრუუარყოფითი დიაგნოზი. ცრუდადებითია, როდესაც პაციენტს მდგომარეობას უმუქებ; ამით ადამიანი არ დაზარალდება, მაგრამ როდესაც დაავადებას ვერ ხედავ, ეს დანაშაულია. შეცდომები მეც მქონია, მაგრამ — არა საბედისწერო.

— რას ნიშნავს თქვენთვის თეთრი ხალატი?
— თეთრი ხალატი ჩემთვის იმუნიტეტია. ერთხელ სამშობიარო სახლში ვარ და საშინელი ყვირილი ისმის, ინგრევა იქაურობა. მიმღებ განყოფილებაში მართო მოხუცი ქალები არიან. მამა ჩხუბობს, ქალმა მეოთხე ვაჟი გააჩინა; გოგო უნდოდათ და გაიძახის, ბავშვს არ წავიყვანო. განყოფილებაში ერთი მამაკაცი ვარ. შემოცვივდნენ ქალები — ლადო ექიმო, გვიშველო. გავედი, გავიხადე ხალატი და როგორც კაცმა კაცს, სათანადო პასუხი გავეცი. აი, ჩემთვის ხალატი რას ნიშნავს: ხალათის „თანხლებით“ ცუდ სიტყვას ვერ იტყვი, შენში არსებულ ვნებას თავისუფლებას ვერ მისცემ...

— წარმატებული ექიმის მიღმა მოცუკვავე და პოეტი იმალება...
— 25 წელი ვცუკვავდი (იცინის). ლექსი ჩემი ოჯახიდან დაიბადა: დედა, ბებია, ბაბუა, ყველა ლექსს წერდა... ლექსს შენ ვერ დანერ, რაღაცა დაგანერინებს. მე ჩემს წიგნს დავარქვი — „მადლობოთ, ბოდიში...“ ამ ლექსს თქვენც წაგიკითხავთ:
„ორ მივიწყებულ სიტყვას დავუძებ, დავბერდი, ბედის ძებნა-ლოდინში, თავის ადგილზე მინდა დაბრუნდეს, სიტყვა — „მადლობა“, სიტყვა — „ბოდიში“.
მე ერთხელ ალბათ უკვე ვიყავი, და იმ ცხოვრებას ერქვა გართობა,
ამქვეყნად მეორედ მიტომ მოვბრუნდი,
მეთქვა — „ბოდიში“, მეთქვა — „მადლობა“...“
ეს არის აუცილებელი სიტყვები, რომლითაც ადამიანი უნდა ცხოვრობდეს. კაცს სიცოცხლეში უნდა უთხრა ბოდიში და სიცოცხლეშივე გადაუხადო მადლობა.

— თქვენს წარმატებას ოჯახური ბედნიერებაც ახლავს?
— ჩემი გადარჩენის ფორმულაა



„ჯერ სიყვარულისთვის არ მსალა“...

„რუსთავი 2“-ის დილის პროგრამის ამინდის პროგნოზის წამყვანი, ჟღალთმიანი ლამაზმანი — მარიკა ასათიანი ჯერ მხოლოდ 17 წლისაა. დიას, ეს ის მარიკაა, ერთი წლის წინ, პროექტ „ჯეოსტარში“ რომ მონაწილეობდა. დღეს სამოდელი სააგენტოსთან თანამშრომლობს და ხშირად ამა თუ იმ ჩვენებასა თუ რეკლამაშიც მონაწილეობს. მიუხედავად იმისა, რომ ნაცნობები მსახიობობას ურჩევდნენ, თავად მიიჩნევს, რომ მისი მოწოდება უურნალისტობაა და მომავალში ამ პროფესიის ძირფესვიანად ათვისებას აპირებს.

ელენე ბასილიძე

— მარიკა, საზოგადოებამ „ჯეოსტარიდან“ გაგიცნო. ამ პროექტამდე რას საქმიანობდი?

— მანამდე, სამოდელი სააგენტო „იმიჯ ცენტრთან“ ვთანამშრომლობდი და სხვადასხვა ჩვენებაში ვმონაწილეობდი. 3 წელია, რაც სამოდელი სფეროში ვტრიალებ, საზოგადოების გარკვეული ნაწილი, სამოდელი სფეროდანაც მიცნობდა, მაგრამ ფართო საზოგადოებამ მართლაც, „ჯეოსტარიდან“ გამიცნო...

— ბავშვობიდან მღერი?

— კი, 4 წლის ვიყავი, დეიდამ თინიკო ჭოხონელიძის სტუდიაში რომ მიმიყვანა. 9 წლიდან კი ევა კონტრიძისთან განვაგრძე მეცადინეობა. 4 წლის შემდეგ გადაწყვიტე, სიმღერისათვის თავი დამეწებებინა, შესაბამისად, „ჯეოსტარზე“ ძალიან მოუშადადებელი გავედი. დიდი ხნის განმავლობაში აღარ მემღერა და ეს ჩემს ხმაზეც აისახა, ისე ვეღარ ვიმღერე, როგორც მინდოდა — მიუხედავად ამისა, „ჯეოსტარის“ პერიოდი ძალიან კარგად მახსენდება. ამ პროექტში მონაწილეობის შემდეგ, ბევრი შემოთავაზება მივიღე როგორც სარეკლამო, ასევე — სამოდელი სფეროდან.

— არ გაქვს სურვილი, რომ მოდელობა საზღვარგარეთაც სცადო?

— ჩემთვის მოდელობა იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რომ მის გამო სწავლა შევწყვიტო — ჯერ-ჯერობით სკოლაში ვსწავლობ და ეროვნული გამოცდებისათვის ვემზადები — მომავალში რა იქნება — არ ვიცი. შეიძლება, გავემგზავრო კიდეც საზღვარგარეთ. ამ ეტაპზე, საქართველოში ვარჩევ მუშაობას. სამოდელი ბიზნესში პატარ-პატარა ძვრები შეინიშნება, მალე მოდის კვირეული ჩატარდება და დიდ მოლო-



დინში ვართ — ყველა მოდელს უნდა, რომ მაღალი დონის ჩვენებაზე გამოვიდეს, რომელიც, სამწუხაროდ, საქართველოში იშვიათად იმართება.

— რამდენიმე რეკლამაშიც მიწახაგხარ...

— კი, ხშირად მიწვევენ რეკლამებშიც. ჩემთვის, კამერასთან მუშაობა დიდი სიამოვნებაა, გადაღებების დროს არ ვიღლები, 24 საათის განმავლობაში მიმუშავია, ამდენი საათი მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ტარება იოლი არაა, ეს ყველაფერი შეიძლება, სხვისთვის საშინელება იყოს, ჩემთვის კი — სიამოვნება! ამას ბევრი რეჟისორი ამჩნევს და ხშირად ითხოვენ: — მარიკა მოიყვანეთო... სხვათა შორის, საკმაოდ პატარა ვიყავი, როცა რეკლამაში გადაღება შემომთავაზეს. 13 წლისა „ტონუსის“ რეკლამაში გადამიღეს, ბიზნესლედის როლს ვასრულებდი, ტანსაცმელი უნდა გამეხადა და აუზში გადავმტარიყავი... ერთი ოპერატორი ჩემთან ერთად სტებოდა აუზში, წყალში ჩახტომის პროცესი რომ გადაეღო. იმდენად მეშინოდა, რომ პირველ და მეორე ჯერზე ვერ ჩავხტი, სამამდე რომ დაითვლიდნენ, ოპერატორი წყალში სტებოდა, მე კი — არა. მეშინოდა

— ფანტასტიკური მშობლები. ჩემი მშობლების შემდეგ, ღმერთმა რუსუდანს შემახვედრა. სანამ ეს ადამიანი მყავს, ჩემთვის წინააღმდეგობა არ არსებობს. ვიცი, რომ სახლში, სადაც ჩემი ციხესიმაგრეა, თავდადების კვინტენსენცია არსებობს. მას არ უყვარს ნუნუნო, რაც ადამიანის უდიდესი თვისებაა.

— ბედნიერი ხართ?

— მიმაჩნია, რომ ბედნიერი ვარ. თუმცა სრულფასოვანი ბედნიერება არ არსებობს. ადამიანი ცვდება და ამ პერიოდში იმ ქვეყნად ვიღაცა გასწრებას.

— ილბალი ხშირად განებივრება?


— ჩემი სიმამრის გარდაცვალების შემდეგ, ნარდი აღარ მითამაშია. ხშირად არ მეთამაშებიან, რადგან რასაც ვიტყვი, ის კამათელი მომდის.

— თქვენი პროფესიული არჩევანი ბუბის სურვილით მოხდა. ნოდარ დუმბაძის ზურვიკელა ხომ არ გასწვდება?

— დიას (იციან). ზურვიკელას ვინც თამაშობს — სერგო ორჯონიკიძე — ჩემი მეგობარია. სამწუხაროდ, სესილია თაყაიშვილს არ ვიცნობდი, მაგრამ ვიცნობდი ნოდარ დუმბაძეს, მამაჩემის მეგობარი იყო. მისი ქალიშვილები ჩემი მეგობრები არიან.

— დღევანდელი გადასახედიდან, როგორ ფიქრობთ — ბუბიათქვენის ტკივილის მიზეზი ახსენით?

— ბუბიაჩემის მსგავსად, მეც გამუდმებით მტკივა თავი. ამის გამო, მისი ტკივილის დავინყებას ვერ ვახერხებ. იგი ჩემთვის სარკეა და მასში ნაკვალავს ნუნუნოს ხედავ. დღესაც ვცდილობ, ისეთი არაფერი ჩავიდინო, რომ წინაპრების სახელი შევარცხინო. ბუბიას ტკივილი ვერ მოვუხსენი, მაგრამ ბევრი ადამიანი განკურნე. ამიტომ, როდესაც მაღლობას მიხდებიან, ეს მაღლიერება ყოველთვის ბუბიაჩემს ეკუთვნის.



თეთრი ხალათი ჩემთვის იმუნიტეცია



6 საათზე მიწვეს გაღვიძება, მაგრამ არ მიჭირს, რადგანაც საწოლიდან პასუხისმგებლობის გრძობა შექაჩება

და ეს საწყალი ოპერატორი, საშინლად ვანვალე (იციანის).

— ყველა მოდელი აღნიშნავს, რომ მისი პროფესია საკმაოდ შრომატევადია..

— დასახვეწად ბევრი მუშაობაა საჭირო. ამას წინათ, გორში გამართულ ჩვენებაზე, რომელიც მშვიდობის დღეებს მიეძღვნა, იკა ბობოხიძის ძალიან გრძელი კაბა მეცვა და პოდიუმზე შემობრუნებისას, მასში კინალამ გავისლართე (იციანის). არ შევიმჩნიე, ღიმილით დავტოვე პოდიუმი, მაგრამ ძალიან ვინერვიულე... იკამ დამამშვიდა, — ნუ ნერვიულობ, ძალიან კარგი იყო და გულზე მომეშვა. როდესაც საზოგადოებას, დიზაინერის ნამუშევარს წარუდგენ, ყველაფერთან ერთად, იმასაც უნდა ეცადო, რომ ჩვენება არ ჩაშალო (იციანის).

— თაყვანისმცემლების სოლიდური რაოდენობითაც უნდა გამოირჩეოდეს, სომ?

— (ილიმება). რაც უფრო ცნობილი ხარ, მით უფრო მეტ ადამიანს მოსწონხარ, თაყვანისმცემლების რაოდენობას არ ვუჩივი (იციანის), მაგრამ მათთვის ნაკლებად მცალია, აბეზარი ადამიანები ნამდვილად არ არიან, ყურადღება და პატივისცემით მოპყრობა ყველა გოგონას სიამოვნებს, მათ შორის — მეც, მაგრამ ჯერ სიყვარულისთვის არ მცალია.

— მოდი, ახლა ის მომიყვი, დილის პროგრამაში როგორ აღმოჩნდი?

— დილის ეთერში ანი გიუნტერმა სტუმრად „კოსმო გოგონაში“ მიმიწვია და „რუსთავი 2“-ის დილის ეთერის მესვეურებმაც

სწორედ მაშინ შემამჩნიეს. თურმე, მათთან ამინდის წამყვანის ვაკანსიაზე შერჩევა მიმდინარეობდა, კასტინგში ძალიან ბევრი, ლამაზი გოგონა მონაწილეობდა, მაგრამ რატომღაც, მეტყველება ყველას დაუწუნეს... გადაცემა, რამდენიმე დღეში უკვე ეთერში უნდა გასულიყო და მეტყველებაში ვარჯიშს ვეღარ ასწრებდნენ... დამირეკეს, მივედი, გავიარე შესარჩევი ტური და მეორე დღესვე მითხრეს, არჩეული ხარო.

— ოდესმე თუ გიფიქრია, რომ დილის ეთერში იმუშავებდი?

— არასოდეს, მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტობა მინდოდა, დილის გადაცემის წამყვანობაზე არასოდეს მიფიქრია. ეს ახალი ამბულა იყო ჩემთვის და მივიჩინე, რომ გადაცემის ფორმატს იოლად მოვერგე. ძალიან მობილიზებული ვიყავი და დაბნეულობა არ დამტყობია.

— დილით ადგომა არ გიჭირს?

— არა, სკოლაში წასასვლელად მაინც ადრე ვდგებოდი. მართალია, ახლა 6 საათზე მიწვეს გაღვიძება, მაგრამ არ მიჭირს, რადგანაც საწოლიდან პასუხისმგებლობის გრძობა შექაჩება ხოლმე (იციანის). იმ დღეებში, როცა არ ვმუშაობ, დღის 2 საათამდე მძინავს და უძილობას ვინაზღაურებ.

— ახალ გარემოსა და შემოქმედებით გუნდს როგორ შეენყვე?

— ვერც კი ვიგრძენი, რომ უცხო გარემოში მოხვდი, ძალიან თბილი ხალხი დამხვდა და ყველამ ხელი

შემიწყო, იოლად ამელო ალლო ახალი საქმისათვის. შემოქმედებითი გუნდი ერთი ოჯახივით ვართ და ვმეგობრობთ. რეკლამის დროს, ხშირად გავდივართ საეთერო სტუდიიდან, მერე გარეთ ჭორაობას შევყვებით ხოლმე და როდესაც ჩართვა გვეწყება, სტუდიაში შესვლას ვეღარ ვასწრებთ (იციანის). თუ ვინმეს რამე შეეშლება, მთელი დღე მასზე ვზაყირობთ. წამყვანებს, საკუთარ თავზე თავად ეციანებათ, მერე ჩვენც აყვებით და... პირდაპირ ეთერში ხშირად „გაპარულა“ ჩვენი სიცილი. მოკლედ, მხიარულება არ გვაკლია. ამას წინათ, დილის ეთერის თანამშრომლებმა ქეიფი გადავწყვიტეთ და ისე გავერთეთ, რომ ფოტოები, სულ ჰაერში ხტომის დროს გვაქვს გადაღებული (იციანის). ხასიათზე მოსასვლელად ალკოჰოლური სასმელი არ მჭირდება, სულ კარგ ხასიათზე ვარ (იციანის).

— შენ და ლიკა ქორქა დღეგამოშვებით ხართ ეთერში, არა?

— კი, ერთმანეთს ვცვლით, ერთ დღეს ისაა ეთერში, მეორე დღეს — მე. პირველი 3 კვირა მარტოს მიმყავდა ამინდის პროგნოზი, ლიკა შემდეგ მოვიდა. რომ დავინახე, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ჩვენ ბევრ ჩვენებაში ერთად ვმონაწილეობდით, ერთმანეთს გადასალენ მოედანზე შევხვედრივართ. ძალიან მიყვარს ლიკა.

— მომავალ პროფესიად რას აირჩევ?

— სწავლის გაგრძელებას ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ვაპირებ. ყველა მეუბნებოდა, შენგან კარგი მსახიობი დადგებაო, მაგრამ გადავწყვიტე — ჟურნალისტი გავხდე. დღესდღეობით, ჩემთვის ეს პროფესია ყველაზე მისაღებია, ჩემი შესაძლებლობების მობილიზებას ჟურნალისტიკაში ვაპირებ და ალბათ მალე მოდელიობასაც თავს დავანებებ...

— მარკა, მგონი, ფილმშიც ხარ გადაღებული, არა?

— 12 წლის ვიყავი, როდესაც გიორგი ოვაშვილმა თავის მოკლემეტრაჟიან ფილმში „კავშირი“ გადამიღო, გადაღებები მეტროში მიმდინარეობდა და ის დრო კარგად მახსოვს... სხვათა შორის, ამ ფილმს დიდი მონაწილეობა ხვდა წილად და რამდენიმე პრიზიც აიღო.

— სამომავლოდ რას აპირებ?

— სკოლას რომ დავამთავრებ, ეროვნულ გამოცდებს ჩავაბარებ. მანამდე კი შემოთავაზებებს ველოდები როგორც სამოდელო, ასევე სარეკლამო სფეროდანაც (ილიმება).



თაყვანისმცემლების რაოდენობას არ ვუჩივი (იციანის), მაგრამ მათთვის ნაკლებად მცალია





„მისტერ საქართველო“ — იუმორისტების ლუკმა თუ პრესტიჟული კონკურსი

წლებია, რაც ჩვენს ქვეყანაში კონკურსი — „მის საქართველო“ ტარდება, სადაც თანამემამულე ლამაზმანებს შორის საუკეთესოს ავლენენ, შემდეგ კი „მის მსოფლიოზე“ წარადგენენ. სამწუხაროდ, ქართველი გოგონები „მის მსოფლიოს“ ტიტულის მოპოვებას ჯერჯერობით ვერ ასწრებენ. მალე ჩვენს ქვეყანაში „მისტერ საქართველოს“ კონკურსიც ჩატარდება — იქნებ, მსოფლიოს მოხიბვლა ქართველმა მამაკაცმა მაინც შეძლოს. გადავწყვიტეთ, რომ „მისტერ საქართველოს“ კონკურსთან დაკავშირებით, ქართველი მამაკაცების აზრი გაგვეგო. გამოკითხულთა უმეტესობა საუბრის თემამ ძალიან გაამზიარულა, თუქცა...

ეთო ყოვლანაშვილი

„მისტერ საქართველოს“ ხსენებაზე მსახიობ **ვივი სინარულიძეს** სულაც არ გასცინებია, პირიქით — პირიდან სულ „ცეცხლები“ ყარა და კონკურსი ორგანიზატორ-მონაწილეებიანად „შერისხა“:

— ისეთი საქართველო შევარცხვინე, სადაც ქართველი ვაჟკაცის საქმე „მისტერობაზე“ მიდგება! როგორც ააქციინებენ ერთ ადგილს, ისე დარჩეთ! კაბაში გამოწყობილი კაცების კატეგორიული წინააღმდეგი ვარ!..

— არა მგონია, „მისტერ საქართველოს“ კონკურსანტები კაბებში გამოწყონ.


— ნახევრად შიშვლები, შორტებში ხომ გამოვლენ? ჩემთვის ეგ იგივე კაბაა!..

— მოდელიობა ხომ პროფესიაა?

— ჰოდა, თუ პროფესიაა, გყავდეთ თქვენი „მისტერი“, მე არ მომწონს, მორჩა და გათავდა!

ეთო გოვალაური, მსახიობი:

— „მისტერ საქართველო?“ ჩატარდეს, რა, წინააღმდეგი რატომ უნდა ვიყო? ჰომოსექსუალისტების კონკურსი



სი ხომ არაა! თან თუნდაც ჰომოსექსუალისტების კონკურსი იყოს, მერე, რა? გამოჩნდება, ვინაა სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი და ვინ — არა. თუ უბრალოდ, პოდიუმზე სიარული, გაპრანჭვა უნდათ, იარონ და გაიპრანჭონ. მთავარია, ერთმანეთს ქვები და კვერცხები არ დავაყაროთ. „მისტერ საქართველოს“ კონკურსის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ ვერც იმას გეტყვით, — აღფრთოვანებული ვარ-მეთქი.

— იმ ადამიანებზე რას ფიქრობთ, ვინც კატეგორიული წინააღმდეგია?

— მაგალითად, ვინაა წინააღმდეგი?

— გივი სინარულიძე.

— (ფიქრობს) ალბათ, კონკურსში მონაწილეობა რომ არ შესთავაზეს, წინააღმდეგი იმიტომ არის. არც მე შე-

მომთავაზეს — არ ვიმსახურებ (იცინის).

— მონაწილეობას მიიღებდით?

— ასეთი რაღაცები არ მაინტერესებს. ფიზიკური მონაცემებით საკუთარი თავის წარმოჩენა არ მიყვარს —

მე მომწონს, როცა აზრი „შემაქვს საზოგადოებაში“, ჩემს ლექსებს ვკითხულობ. ვილაყვას სხვა რამე აინტერესებს — ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, მაგრამ ნამდვილად არ მინდა, რომ ჩემი შვილი მსგავსი კონკურსით დაინტერესდეს.

— და თუ მაინც დაინტერესდა?

— თუ მაინც დაინტერესდა, ეს მისი არჩევანი იქნება.


გიორგი გუგავა, პოლიტიკოსი:

— „მისტერ საქართველო“?! ამ

კონკურსის ორგანიზატორებს საქმე გამოელაია? პრინციპში, თუკი ესაა ლისებათ, ჩაატარონ. ჩემთვის, როგორც მამაკაცისათვის, ასეთი კონკურსი მიუღებელია: ქალისგან განსხვავებით, კაცი თავისი ფიზიკური მონაცემების დემონსტრირებას პოდიუმზე არ უნდა ახდენდეს. ქალი მშვენიერების საწყისია, სილამაზეა, ამ სამყაროში განსაკუთრებული მოვლენაა!.. მართალია, სიმპათიური მამაკაცებიც არსებობენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერთმანეთს სილამაზეში უნდა შეეჯიბრონ. ეს ჩემი სუბიექტური აზრია. ამიტომ „მისტერ საქართველოს“ კონკურსანტების კრიტიკას ვერ დავინწყებ. ადამიანი თავად წყვეტს, საკუთარი შესაძლებლობები რაში უნდა გამოავლინოს. ყველას წარმატებას ვუსურვებ!..

— „მისტერ საქართველოს“ კონკურსს თუ უყურებთ?

— (იცინის) ამ საკითხით დაინტერესებული ნამდვილად არ ვარ. ქალთა სილამაზის კონკურსს დიდი სიამოვნებით ვუყურებ, მამაკაცებისას — არა, ჩემს მონაწილეობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ჯერ ერთი, სათანადო ფიზიკური მონაცემები არა მაქვს და მეორე — პოდიუმზე მამაკაცის გამოსვლა, ცოტა არ იყოს, უხერხულად მიმაჩნია (იცინის).





მეზა არაბიძე, იუმორისტი:

— „მისტერ საქართველოს“ კონკურსს დიდიდან საღამომდე ვერ „ჩავუჯდები“, მაგრამ შედეგებს თვალყურს მივადევნებ. თუკი ევროპელობაზე გვაქვს პრეტენზია და ცივილიზებული ერი ვართ, მსგავსი კონკურსის ჩატარების წინააღმდეგ არ უნდა ვიყოთ. კი, ბატონო, ჩატარდეს, მა-

კი, ბატონო, ჩატარდეს, მაგრამ სიმართლე გითხრა, მე მონაწილეობას არ მივიღებდი: შესაბამისი აღნაგობა არა მაქვს

გრამ სიმართლე გითხრა, მე მონაწილეობას არ მივიღებდი: შესაბამისი აღნაგობა არა მაქვს და თან, უკვე ცოლ-შვილი მყავს.

— კონკურსის მოთხოვნებს რომ აკმაყოფილებდე, მონაწილეობას მიიღებდი?

— არ ვიცი, უფრო — არა, მაგრამ ვისაც მონაწილეობა უნდა, მიიღოს, წარმატებას ვუსურვებ (იცინის)..

— რატომ იცინი?

— ყველა იცინის და მეც მეცინება..



კოხა საბაჯი, პოლიტიკოსი:

— „მისტერ საქართველოს“ კონკურსის წინააღმდეგი არ ვარ. არც ჩემი ოჯახის რომელიმე წევრს შევწინააღმდეგებ, თუკი მასში მონაწილეობას გადაწყვეტს. პირადად, მე, მოდების ჩვენებს თვალს სიამოვნებით ვადევნებ, მაგრამ სილაშხის კონკურსებს — არა.

— არც „მის საქართველოს“ კონკურსს უყურებთ ხოლმე?

— არა, რადგან არ მომწონს, როცა თავის გამოჩენას გარეგნული სილაშხით ცდილობენ — ადამიანში სულიერ მშვენიერებას ვაფასებ.

— „მისტერ საქართველოს“ კონკურსანტებს რას უსურვებ?

— ეს მათ მიერ არჩეული გზაა და წარმატებას ვუსურვებ!

გიორგი შორაშოლაძე, ინტერნეტ-პორტალის — „ambebi.ge“-ს ხელმძღვანელი:

— თუკი ჩვენს ქვეყანაში „მარიო ჩიმაროების“ კონკურსი იმართება, „მის-

არჯვებული როგორი წარმოგიდგენიათ?

— როგორც მე ვფიქრობ „მის საქართველოზე“, ასე უნდა ფიქრობდნენ ქალები „მისტერ საქართველოს“ დანახვაზეც: აუ, ამასთან ჩამანვინა, ლოგინშიო (იცინის)! ისე, „მისტერ გეისთან“ არა, მაგრამ „მისტერ საქართველოს“



ლოსთან“ სიამოვნებით ვიმეგობრებდი, პროდიუსერობას გაფუნვედი, ფილმში გადავიღებდი... ფულის საშოვნელად კარგი იქნებოდა.

— კონკურსს თუ უყურებთ?

— შეიძლება, ვუყურო და „ვიკაიფო“: ვილაც კაცი „ტრუსიკით“ პოდიუმზე რომ გამოვა, კუნთებს დაჭიმავს და გაივლის, ამაზე ბევრს ვიცინებ (იცინის). მიმაჩნია, რომ „მისტერ საქართველო“ იუმორისტებისთვის კარგი ლუკმაა — ეს კონკურსი ჩვენთვის ტარდება.

ფრიდონ აბუთიძე, ფოტოგრაფი:

— პოდიუმზე სიარული ქალს უხდება. ლამაზი ქალის დანახვას რა სჯობს? ის ყველას მოსწონს — ქალსაც, კაცსაც... ვერ წარმომიდგენია, მაშაკაცი სილაშხის გამო როგორ უნდა შევაქო! თავისუფალი დრო რომც მქონდეს, „მისტერ საქართველოს“ კონკურსზე დასასწრებად მაინც არ წავალ.

— მოდი, კონკურსანტებს ფოტოგრაფის თვლით შეხედეთ.

— ლამაზ კაცებს ფოტოკამერით დევნას ვერ დაფუნყებ, „ცისფერი“ კი არ ვარ! შეიძლება, ეს ჩემი მინუსია, მაგრამ ობიექტთან გადასაღებად რომ მიდიხარ, შენს საქმეს გულით თუ არ გააკეთებ, არაფერი გამოვა... მოკლედ, „მისტერ საქართველოს“ კონკურსის ჩატარების წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ მაინცდამაინც, არც გულზე მეხატება! ყველაფერში ევროპელებს ნუ მივბაძავთ, პირიქით — უკეთესია, მათ რაღაც-რაღაცები ჩვენგან გადაიღონ. პოდიუმზე გამოსვლას სჯობია ერთმანეთს მაგალითად, თამადაობაში შეეჯიბრონ! ამით ხალხს ქართული სუფრის ტრადიციებს შევასხენებთ და ზღვარგადასულ ღრეობებს აღარ გავმართავთ!..

სულხან ნამყვამაძე, „კვირის პალიტრის“ იუმორისტი:

— საქართველოში, არა მგონია, „მისტერ საქართველო“ მაგარი ბიჭის სიმბოლო გახდეს. ჯერჯერობით მეეჭვება, ისეთ პრესტიჟულ კონკურსად იქცეს, როგორც „მის საქართველოა“. ჩემი მიზანი არაა, რომ ყველაზე სიმპათიურ მამაკაცად მალიარონ. სირცხვილად არ მიმაჩნია, მაგრამ „მისტერ საქართველოს“ კონკურსში მონაწილეობას მაინც არ მივიღებდი — ჩემს ფიზიკურ მონაცემებს ქალებთან ურთიერთობაში გამოვიყენებდი.

— „მისტერ საქართველოს“ გამ-



ნათესაური ტანდემი ანუ სწოხილი გაზღისა და რძლის საქვეყნო კაბათი

ამჯერად „ტანდემში“ სასაუბროდ, ხათუნა ჟორდანიას და ზალიკო ბერგერის მოვიწვიე. ბეგრისთვის ალბათ ცნობილია, რომ ისინი ერთმანეთის ნათესავეები არიან. ხოლო მან, ვინც ჯერ არ იცის ამ კავშირის შესახებ, ვეტიყვი — ხათუნა ზალიკოს დეიდაშვილის ცოლი გახლავთ. ასე რომ, ჩემი ნებით, რძლისა და მამის პირისპირ აღმოვჩნდი. მოვისმინე, რას საყვედურობს ხათუნა ჟორდანიას საკუთარ ქმარსა და მამას, როგორი დეიდაშვილობა აქვთ დიზაინერსა და მომღერალს... მოკლედ, მათ შორის საკმაოდ გულახდილი საუბარი შედგა, რაშიც თავად დარწმუნდებით.

ლალი ფასია

— დადგა 2010 წელი ვიზიტი როგორც საერო, ისე არაერთი საუფლო დღესასწაულიც როგორ აღწევთ დღესასწაულებს?

ხათუნა:

— ზალიკო კარგად რომ გაატარებდა ამ დღესასწაულებს, ზუსტად ვიცი. იმიტომ, რომ ქეიფისა და სასმლის მიმართ გენეტიკურად, საოცარი რამ სჭირს...

ზალიკო:

— ხათუნა მე და ზურას „გენეტიკურად ლოთებს“ გვეძახის (იცინის)...

ხათუნა:

— დიას, იწყებენ ქეიფს და შეუძლიათ, გადაბმულად ერთი კვირა იქეიფონ, ისხდნენ და სვან. ამიტომ ვეუბნები, — „გენეტიკურად ლოთები“ ხართ-მეთქი. რაც შემეხება მე, ბოლო დროს რალაც პრობლემები მქონდა, რომლებიც 2009-დან 2010 წელსაც გადმომყვა. ეს წელი ჩემთვის ცოტა არასასიამოვნოდ დანდნო, მაგრამ იმედია, ყველაფერი გამოსწორდება და თავის ადგილზე დადგება.

ზალიკო:

— ახალ წელს, აბა, როგორ არ მექეიფა?! თან, 2 იანვარს დაბადების დღე მაქვს. 1-ელ იანვარს მოვანწყვე დაბადების დღის დახვედრის ცერემონია, შოუც გავემართე, 2-ში კი ჩემთან სახლში ვიქეიფეთ. ზურაც იყო... ხათუნამ სამწუხაროდ, მოსვლა ვერ მოახერხა და სამაგიეროდ, მას ასეთ დროს, „გენეტიკურად ტელეფონზე რეკვა“ აქვს ხოლმე გაჩაღებული.

ხათუნა:

— 3 საათის შემდეგ, როგორც წესი, დარეკვას ვინც და ამასთან, მთელი ამათი გენეტიკის ლანძღვას, რომ ქეიფს არასდროს ასრულებენ და სუფრიდან არ დგებიან.

ზალიკო:

— რა ვქნათ, მე და ზურას ბევრი საერთო მეგობარი გყავს და ხშირად დილაშუალო გვიწევს ქეიფი, რაც შემდეგ ჩემთან სახლში გრძელდება... 2010 წლის მოსვლაც შესაბამისად აღვნიშნეთ.

ხათუნა:

— ამ წელს ყველაზე მთავარი, რაც მოხდა, ის არის, რომ კიდევ ერთხელ გადავფასე რალაცები. მინდა ვთქვა, რომ იმ გაჭირვებაში, რომელიც უკვე ვახსენე, რამდენიმე ადამიანი მხარში ამომიდგა და ახლა

მათ თქვენი ჟურნალის საშუალებით მადლობა უნდა გადავუხადო; თუმცა მიმაჩნია, ამ მხარში ამოდგომას მე და ჩემი ოჯახი არ ვიმსახურებდით. ვერ ვიტყვი, რომ ცხოვრებაში ბევრჯერ შემშლია რამე, მაგრამ ეს ის პირველი შემთხვევა იყო, როცა ამ ადამიანებთან თავის დროზე ვტყუოდი... მეტს ვერაფერს ვიტყვი.

— მეთხელთა გარკვეულმა ნაწ-



ძალიან მიყვარს ზალიკოს შექმნილი აქსესუარებიც

იღმა იცის, რომ ზალიკო ბერგერი და ზურა ხაჩიძე დეიდაშვილები არიან. მოდი, ეს თემა უფრო განვავრცოთ...

ხათუნა:

— კი, ზალიკოსა და ზურას დედები იყვნენ... ზურას დედა რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა... ზალიკო და დედამისი, ერთ-ერთი პირველები იყვნენ, ვინც ჩემსა და ზურას კავშირს თავიდანვე თანაუგრძობდნენ. თუ იქნებ, მიწუნებდი, ზალიკო?

ზალიკო:

— რას ამბობ (იცინიან)?.. რა სისულელეა?! სანამ ესენი ერთმანეთს გაიცნობდნენ, მე და ხათუნა ვეგობრობდით. დეიდაჩემსაც ძალიან უყვარდა ხათუნა. ასე რომ, ჩვენ ახლო ნათესავეები ვართ. არც ზურას ჰყავს დედამამიშვილი და არც — მე. ამიტომ ძმებავით ვართ.

ხათუნა:

— მიმაჩნია, რომ ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი შევიძინე ზალიკოს დედის — ბელას სახით. როგორც კი რამეზე გავბრაზდები, თუ ვინმესთან შემიძლია, დავჯდები და გული გადავუშალო, ეს ბელაა. ის ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარიც გახლავთ. ბელა დედამთილის მოვალე-

ობას პირნათლად ასრულებს...

ზალიკო:

— ხათუნა ძალიან მიყვარს, კეთილი, ლამაზი, ხელგაშლილი, გულუხვი, თბილი და სტუმართმოყვარე ქალბატონია.

— ნუთუ მინუსი არა აქვს?

ხათუნა:

— ჩემი მინუსი — სიფიცხეა. როგორც ჩანს, გაცეცხლებული ხათუნა ჟორდანიას ზალიკოს ჯერ არ უნახავს...

ზალიკო:

— როგორ არა?! ერთხელ, ტელეფონში ჩემი დეიდაშვილის გამო მე არ გამლანძღე?! დედაჩემი მონაგონი იყო, ისეთი ქოქოლა დამყავრე (იცინიან).

ხათუნა:

— ზალიკოს ნახვა ყოველთვის მიხარია, რადგანაც რაც უნდა ცუდ ხასიათზე ვიყო, მისგან ყოველთვის კარგი მუსტი

და ემოცია მოდის. ღმერთმა მიმრავლოს ასეთი ადამიანები! მოკლედ, არაჩვეულებრივი მახლი მყავს.

ზალიკო:

— ჩვენ მახლი და რძალი კი არა, უფრო მეგობრები ვართ; ჩვენი ნათესაური ურთიერთობისთვის სახელები არ დაგვირქმევია. მე და ზურაც ასე ვართ, ჯერ მეგობრები და შემდეგ — ძმები... ჰო, კიდევ რისი თქმა მინდა: ხათუნა თბილისში ყოველთვის მოდურად ჩამცმელი იყო და გემოვნებიანი ქალბატონია დღესაც. შეუძლია, პური მოიკლოს და ტანსაცმელს არასდროს მოიკლებს.

ხათუნა:

— ახლა წონა აღარ მამძღვეს ამის საშუალებას...

— ზალიკო, მახსოვს, რომ ხათუნასა და ზურას ქორწილში ფეხი მოიტყე და შემდეგ ერთი თვე ტრავმატოლოგიურში იწექი. მოკლედ, ისე გაგინარდა ამ ორი ადამიანის გაბედნიერება, რომ სხიარული ცეკვით გამოხატე, რომელსაც ასეთი სავალალო შედეგი მოჰყვა. მოდი, გაიხსენე ეს ამბავიც...



— ის მართლაც რომ ნამდვილი ტრავიკომედია იყო: დედაჩემი, როგორც პუნქტუალური ადამიანი, ქორწილში დროულად მივიდა. მე, როგორც წესია, დავაგვიანე, მაგრამ ლამის 3 საათისთვის რესტორანში უკვე ისეთი მთვრალი ვიყავი, რომ ჩვენი საერთო მეგობარი, მძიმე წონის მქონე ქალბატონი ხელში ავიტაცე და დავაბზრიალე; ამასობაში ფეხი ფილებზე ამისრიალდა, დავეცი და ის მძიმე წონის მეგობარიც ზედ დამეცა... ერთი თვე ტრავმატოლოგიურში ვინექი. თაბაშირი მედო. მოკლედ, თითქმის ისე მოხდა, როგორც ფილმშია — „ანწულსა — გიფს“. ისეთი მთვრალი ვიყავი, რომ ტკივილი არც მიგრძნია. თურმე მთვრალი რომ არ ვყოფილიყავი, შეიძლება, შოკისგან მომკვდარიყავი, — ასე მითხრეს. ალკოჰოლმა მისხნა.



ახლა ჩემი დეიდაშვილი საქართველოში არ იმყოფება, თორემ აქ რომ იყოს, ჩვენს დიალოგში ჩაებმებოდა

საბუთა:

— მართლა სასაცილო ამბავი იყო. მე, როგორც ბატარძალი, მაგ დროისთვის, უკვე სახლში ვიყავი წამოსული. სიძე, ზურა კი დილაზე საავადმყოფოში თავზე ადგა თავის დეიდაშვილს.

ზალიკო:

— იმ ღამეს ზურამ, გია ჯოსხაძემ, მალხაზ ქვრივიშვილმა ხელში აყვანილი წამიყვანეს სახლში... შემდეგ კი უკვე ტრავმატოლოგიურში გადამიყვანეს. მაყრიონი საავადმყოფოშიც თან წამყვა. ირგვლივ სულ შოუბიზნესის წარმომადგენლები მუხვივნენ. ექთანებმა იმდენი ცნობილი სახე ერთად რომ დაინახეს, ავტოგრაფებს ართმევდნენ... მეც იუმორით შევხვდი ამ შემთხვევას. ჯამში, კარგი ექიმებისა და ახლობლების წყალობით, ყველაფერმა კარგად ჩაირა...

ინანუ, რომ იცეკვე?

— ღმერთმა ყველა დაიფაროს ტრავმატოლოგიურში მოხვედრისგან, მაგრამ შემდეგ, საავადმყოფოში ისე გავერთეთ, რომ რა გითხრა?! დღემდე ასსოვს იქაურ სამედ-იკინო პერსონალს ჩვენი ხორხოცი. მეგობრები — ნინო ორდენიძე და მათა კვიციანიც მადგენ თავზე...

— **სათუნა, გარდა იმისა, რომ დეიდაშვილებს გენეტიკურად, სასმე-**

ლი უყვართ, კიდევ რთი ჰგვანან ერთმანეთს?

— დროს ტარება და მეგობრები უყვართ უზომოდ, სახლი არ უყვართ. რესტორნებში სიარულზე გიჟდებიან...

ზალიკო:

— მგონია, რომ ახლა დედაჩემი ლაპარაკობსო (იციინს)...

— **ზალიკო, შენ, როგორც დეიდაშვილის კლიენტები, თუ ყოფილან სათუნა და ზურა?**

— კი, როგორ არა.

საბუთა:

— ზალიკოს ჩემთვისაც და ზურასთვისაც, ასევე „ქუჩის ბიჭებისთვისაც“ აქვს ტანსაცმელი შეკერილი. ძალიან მიყვარს ზალიკოს შექმნილი აქსესუარებიც (იმ დღეს ზალიკომ სათუნას საკუთარი აქსესუარებიდან **სახურად** საყურე მიუტანა. — ავტ.).

ზალიკო:

— ახლა ანასტასიასთვის — მათი არაჩვეულებრივი შვილისთვის, რომელიც შესანიშნავად მღერის და ამას წინათ გადაცემა „პროფილში“ მთელმა საქართველომ გაიცნო, — უნდა შევეკერო რაღაც.

— **შენ რას იცევი საკუთარ დეიდაშვილებზე?**

— ახლა ჩემი დეიდაშვილი საქართველოში არ იმყოფება, თორემ აქ რომ იყოს, ჩვენს დიალოგში ჩაებმებოდა, შემდეგ, „გენეტიკურად ქეიფსაც“ გავაგრძელებდით... ბოლოს კი ზურას „მოხვდებოდა“ სათუნასგან, მე კი — არა (იციინს).

საბუთა:

— არა, მივხვდი, რომ ამით ქეიფზე რეაქცია აღარ უნდა მქონდეს. არადა, ვკიდები, ვწერეულობ, შემდეგ ვურეკავ ზურას, მისმენს, რომ ვჩხუბობ და შემდეგ ტელეფონს მიკიდებს. ახლა უარესი შემოიღო — ტელეფონს საერთოდ მითიშავს. ცოტა ხნის წინ კი მითხრა, — რა გინდა, დანყნარდი, შენც იშლი ნერვებს და მეც მალიზიანებ; ამიტომ მივხვდი, რომ აღარ უნდა მოგისმინოო. მოკლედ, მინც ისეა, როგორც მას უნდა ანუ სანამ ბოლო ჭიქას არ დაღვს, მანამდე სახლში არ შემოდის...

ზალიკო:

— წელან ერთ-ერთმა ჩოხოსანმა დამირეკა, რომელსაც მართლა ბევრის დაღვევა შეუძლია, მას ზურაც იცნობს. ჰოდა, მე და ზურას, მაგარ მსმელ მამაკაცებად რომ არიან ცნობილები, იმათი „დაყრაც“ შეგვიძლია...

საბუთა:

— ისე, ზურამ სმას მას მერე უფრო მოუმატა, რაც ჯგუფი დაიშალა. საყვარელ საქმეს ვეღარ აკეთებს, თავი უფუნქციოდ იგრძნო; სასმელი მისთვის რაღაც, დარდის გასაქარავებელი საშუალებაა...

— **სათუნა, პირადად შენ ამ „საშუალების“ მიმართ რა დამოკიდებულება გაქვს?**

— არ მიყვარს ალკოჰოლი, იშვიათად ვსვამ. მაგრამ თუ დავლიე, ისეთი რამ შეიძლება მოხდეს, რომ ზურამ მითხრას, ახლა გეყოფა, მორჩიო... ბოლოს აუცილებლად ცეკვით ვასრულებ...

ზალიკო:

— რაღაც ისე გამოგვდის, თითქოს მაგარი ლოთები ვიყოთ. არადა, საქმე ისაა, რომ სასმელი კი არა, კარგი ქეიფი გვიყვარს. ისე არავინ გაიგოს, რომ დილიდან, ვიღვიძებ და არყის ბოთლს ვისხამთ პირში...

— **ცნობილი ადამიანები ხართ და კლუბებში, რესტორნებში დაღუვისას საკუთარ თავს კონტროლს არ უწევთ?..**

— სათუნა როდესაც ნასვამია, კარგი მომღებენია...

საბუთა:

— ამით მამაპაპური სუფრა უყვართ, სადაც ბევრს ლაპარაკობენ. სადღეგრძელოებიც გრძელია და დაუშთავრებელი... მე ცოტა სხვანაირი გართობა მიყვარს. თუ დავლიე, ცეკვა ან სცენაზე ასვლა და სიმღერა მომინდება...

— **ზალიკო, ეს დეიდაშვილები ასე ტრადიციულ მოქეფებებად სად ჩამოყალიბდით?**

— ჩემს ოჯახში ქეიფისა და მოღებენის კულტურა, რაც თავი მასსოვს, სულ იყო. დღემდე ეს ტრადიცია გრძელდება. სტუმართმოყვარე ოჯახი ვიყავით ყოველთვის. რა დროც უნდა იყოს, თუ სტუმარი მოვიდა, სუფრა აუცილებლად გაიშლება. დედაჩემს უყვარს გემრიელი კერძების მოზადება. ზურას მამაც კარგი მსმელი კაცია...

— **სათუნა, რა გეგმები გაქვთ ვიცი, რომ რაღაც სიმღერები გაქვთ შენ და ზურას ჩანერილი.**

საბუთა:

— ამ კუთხით, განსაკუთრებულს ვერაფერს ვიტყვი. შარშანწინ, სანამ ომი იქნებოდა, მე და ზურამ რაღაც რუსული სიმღერა ჩავწერეთ, მასზე კლიპის გადაღებაც გვინდოდა, მაგრამ რადგანაც სიმღერა რუსულ ენაზეა, ზურამ გადაწყვიტა, რომ არ უნდა გვემღერა.

— **თქვენი ოჯახი შარშან პოლიტიკურად აქტიური იყო. წელს რას აპირებთ?**

— საერთოდ, პოლიტიკაში, ისეთ საზოგადოებრივ მოძრაობაში, რაშიც ვმონაწილეობდი, აღარასოდეს ჩავებმები.

ზალიკო:

— უბრალოდ, იმ ყველაფერმა გულგატეხილობა დამიტოვა. მეორეც — როგორც ვთქვი, მოხდა რაღაც ისეთი ფაქტი, რომლის შემდეგაც, მორალური უფლება არ მაქვს, რომ ამ მთავრობის საწინააღმდეგო ღონისძიებებში მივიღო მონაწილეობა. საუბრის დასაწყისში ვთქვი, ადამიანების ხელახალი შეფასება მოვახდინე-მეთქი. ალბათ აქამდეც არ უნდა მიმეცა თავისთვის იმის უფლება, რომ პოლიტიკურად აქტიური ვყოფილიყავი.

— **ზალიკო, შენ პოლიტიკურ აქტიურობას არასდროს იჩენ. თუმცა შენს ჩვენებებზე არაერთი პოლიტიკოსი მინახვას...**

საბუთა:

— ზალიკო ის ადამიანია, რომელსაც ყველაზე მეგობრები ჰყავს და თავს იმის უფლებას არ აძლევს, რაიმე კონკრეტული აზრი გამოხატოს, მიუხედავად იმისა, რომ,



როგორც ყველა ადამიანს, მასაც აქვს საკუთარი მოსაზრება.

ჯალიკო:

— პროფესიით სოციოლოგი ვარ, სათანადო განათლება ნამდვილად მაქვს, რომ პოლიტიკურად აქტიური ვიყო, მაგრამ არ მიმაჩნია, რომ ეს აუცილებელია. ისე, ჩვენს ქვეყანაში აუცილებელი გახდა თუ ტონია ასეთი „მოდაში“, რომ პოლიტიკაზე საკუთარი მოსაზრება უნდა დააფიქსირო. მაგრამ ხელოვან ადამიანებს ალბათ ნაკლებად სჭირდებათ, რომ თავი პოლიტიკაში გამოიჩინონ. თუმცა ჩემი დამოკიდებულება მაქვს, პოლიტიკოსებში ბევრი კარგი მეგობარი მყავს და მიხარია, რომ ისინი თანამდებობის პირები არიან. საერთოდ, მიყვარს მეგობრობა, თბილისური ურთიერთობები. მიმაჩნია, რომ არც ზურას სჭირდებათ ის პოლიტიკური აქტიურობა, რომელიც შარშან გამოავლინა. საერთოდ, სადი თვალთ უნდა უყურო მოვლენებს, ობიექტურად შეაფასო რეალობა, რომელშიც ცხოვრობ. მე ლიბერალი ვარ და ასეთივე პრინციპების გამტარებელი. მივესალმები საქართველოში დემოკრატიულ წყობას. თუ რატომ არ ვარ პოლიტიკაში, ეს იმის ბრალია, რომ არ შემიძლია, ვიყო რომელიმე კონკრეტული გუნდის წევრი. არც პარლამენტში ან სადმე კაბინეტში საათობით ჯდომა შემიძლია...

— ზურა რას აპირებს?

სათუნა:

— არ ვიცი, რას აპირებს, როცა ჩამოვა, მას ჰკითხეთ. ჩემი პოზიციები პოლიტიკასთან დაკავშირებით რომ შეცვლილია, ფაქტია. თან, ეს ყველაფერი მას შემდეგ მოხდა, რაც ზურა თბილისში არ არის. რაც შეეხება „ქუჩის ბიჭებს“, ჯგუფს იმის საშუალება არა აქვს, რომ ახალ-ახალი სიმღერები ჩაწეროს. ისე, თუ კონცერტები არ ექნებათ და შემოსავალი, როგორ ჩაწერენ?! რომც ჩაწერონ, ჩემი აზრით, ისინი სცენაზე ვეღარ ავლენ...

ჯალიკო:

— დიდი ხნის წინ ზურას ვუთხარი, სოლო კარიერა დაიწყე-მეთქი.

სათუნა:

— ზუსტად ვიცი, რომ ის თავის ჯგუფს ამას ვერ გაუკეთებს — რომ გამოეყოს და სოლო კარიერა დაიწყოს... „ყველა ერთისათვის“ — ისინი ამ პრინციპით მოქმედებენ. თუ „ჩაიძირებიან“, ყველანი ერთად და — პირიქით...

ჯალიკო:

— რაც შეეხება ამ წლის გემებს, მინდა, ჩემს სფეროში მეტად ავმოქმედდე...

სათუნა:

— 2010 წელს მინდა, რომ ყველას სახლში ჰქონდეს მშვიდობა. გურულები ტვინით დატენილი ხალხია. პირველად, მშვიდობის სადღეგრძელოს რომ სვამდნენ, სასაცილოდ არ მყოფნიდა. თურმე რაოდენ აუცილებელი ყოფილა მშვიდობა...

ჯალიკო:

— მთელ საქართველოს მეც მშვიდობას ვუსურვებ. თუ სიმშვიდეა ქვეყანაში, მაშინ ყველაფრის ხალისი აქვს ადამიანს. მთელ საქართველოს წინსვლას ვუსურვებ!

ყველაზე მდიდარი ვარსკვლავური წყვილები

ჟურნალმა Forbes ყველაზე მდიდარი ვარსკვლავური წყვილებს რეიტინგი შეადგინა, რომლის პირველ ადგილზე მომღერალი ბეიონსი და მისი მეუღლე, მუსიკოსი Jay-Z აღმოჩნდნენ. სპეციალისტთა შეფასებით, 2008 წლის ივნისიდან 2009 წლის ივნისამდე წყვილის საერთო შემოსავალმა 122 მილიონი დოლარი შეადგინა. უნდა ითქვას, რომ ბეიონსის შემოსავალი, ქმრის შემოსავალს 2,5-ჯერ აღემატება. მის ანგარიშზე 87 მილიონი დოლარია. ამ თანხის წყალობით, მომღერალმა 30 წლამდე ასაკის ცნობილ და მდიდარ ადამიანთა სიაში პირველი ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ 2009 წელი ბეიონსისთვის განსაკუთრე-



ერის წოდების მოსაპოვებლად ეს თანხაც საკმარისი აღმოჩნდა.

ჰოლივუდის ყველაზე მაღალანაზღაურებადი წყვილების რეიტინგში მეორე ადგილზე მსახიობი ჰარისონ ფორდი და მისი ცხოვრების თანამგზავრი კალისტა ფლოკსარდი გავიდნენ, რომელთა საერთო შემოსავალმა 69 მილიონი დოლარი შეადგინა. მესამე ადგილზე ანჯელინა ჯოლი და ბრედ პიტი არიან. მათ ანგარიშზე 55 მილიონი დოლარია. მეოთხე ადგილზე უილ სმიტი და მისი მეუღლე ჯად პინკეტი გავიდნენ (\$48 მილიონი), ლიდერთა ხუთეულს კი დევიდ და ვიქტორია ბექჰემების (\$46 მილიონი) ოჯახი ასრულებს.



ბულად წარმატებული იყო. დიდ ბრიტანეთში გოგონა პოპმუსიკის დედოფლის ტიტულით დააჯილდოეს, ხოლო ჟურნალმა Billboard მომღერალი „წლის ქალად“ დაასახელა. შონ კორი კარტერმა (Jay-Z-ის ნამდვილი სახელი) თავის მხრივ ოჯახური ბიუჯეტი „სულ რაღაც“ 35 მილიონი დოლარით გაზარდა, მაგრამ ყველაზე მდიდარი რეპ-





ჰოლივუდის ყველაზე ძვირად ღირებული ქალები

ვერ კიდევ ცოტა ხნის წინ, სახელგანთქმულ ჰოლივუდში სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაცია ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მსახიობ ქალთა ჰონორარები, თუნდაც ისინი მთელ მსოფლიოში სახელგანთქმულნი ყოფილიყვნენ, მათი კოლეგა მამაკაცების ჰონორარებს ბევრად ჩამორჩებოდა. დღეს ეს უსამართლობა აღკვეთილია — ვარსკვლავი ქალების შრომა ღირსეულად არის დაფასებული. ავტორიტეტულმა ამერიკულმა გამოცემამ შეადგინა რეიტინგი ხალხის უსაყვარლეს მსახიობ ქალთა — რომელთა ანაზღაურება ერთ ფილმში 15-დან 20 მილიონ დოლარს შეადგენს...

„გენდერული თანასწორობის აღდგენის“ საქმეში პიონერად **ჯულია რობარტს** მიიჩნევენ. იგი ერთ-ერთი პირველი იყო მათ შორის, ვინც მამაკაცი ვარსკვლავების ხელფასის შესაბამისი შემოსავალი მიიღეს. მას შემდეგ, რაც ჯულია რობერტსმა ფილმში „ლამაზმანი“ მეძავი გოგონას როლი ითამაშა და ერთ მშვენიერ დილას სახელგანთქმულმა გაიღვიძა, იგი ჰოლივუდის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მსახიობია. სამი შვილის დედა, 40 წლის „ოსკაროსანი“ ჯულია რობერტსი დღემდე თანამედროვეობის ერთ-ერთ უსაყვარლეს მსახიობად არის მიჩნეული.

რიზ უიარსაუმა ჰოლივუდში სახელი ფილმში „კანონიერი“ ქერა ქალი“ ნათამაშები როლით გაითქვა და მაშინვე (2001 წელი) ჰოლივუდის ვარსკვლავთა ტოპათეულში შევიდა, ხოლო ფილმში „ზღვარს მიღმა“ (2005 წელი) ნათამაშებმა როლმა მსახიობს „ოსკარი“ მოუტანა. კინოში თამაშის გარდა რიზ უიზერსპუნი ორ შვილს ზრდის, საკუთარ კინოკომპანიას ხელმძღვანელობს და ფილმების პროდიუსერია.

ექვსი შვილის აღზრდამ, საზოგადოებრივმა და საქველმოქმედო საქმიანობამ **ანჯელინა ჯოლის** ნარმატებულ შემოქმედებით კარიერას ხელი ვერ შეუშალა. თანამედროვეობის ერთ-ერთი ულამაზესი ქალი უკვე რამდენიმე წელია, პლანეტის ყველაზე მაღალანაზღაურებად, ყველაზე გავლენიან, ყველაზე სექსუალურ ქალთა

და სხვა რეიტინგების უცვლელი ლიდერია.

კამიონ ლისა შემოქმედებითი კარიერა მოდლობით დაიწყო, მაგრამ 1994 წელს ფილმის „ნილაბი“ ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ მსახიობი ელვის სისწრაფით ჰოლივუდის ოლიმპზე მოექცა და მას შემდეგ მუდამ ყველაზე ცნობილი რეჟისორების ყველაზე გახმაურებულ ფილმებში თამაშობს.

ნიკოლ კიდანი — ყველაზე მაღალანაზღაურებადი მსახიობი ქალების რეიტინგის სათავეში პირველად 2006 წელს მოექცა. ტომ კრუზთან განქორწინების შემდგომ მსახიობმა ხმამაღალი განაცხადის გაკეთება შეძლო. მანამდე ნიკოლს მსაყურებელი, კრიტიკოსები და რეჟისორები ვარსკვლავი მუღლის დამატებად მიიჩნევდნენ და სერიოზულად არ აღიქვამდნენ. განქორწინების შემდეგ ნიკოლის კარიერაში სწრაფი აღმასვლა დაიწყო, ხოლო ფილმში „სათი“ ნათამაშებმა როლმა მას სანუკვარი „ოსკარი“ მოუტანა.

რენი ზელვეგარს მსაყურებლის სიყვარული უპირველეს ყოვლისა ბრიჯიტ ჯონსმა მოუტანა, მაგრამ იგი საოცრად მრავალმხრივი მსახიობია. „ჩიკაგო“ სიმღერისა და ცეკვის ნიჭითა და ოსტატობითაც გამოიჩინა თავი.

ფილმის „სიჩქარე“ გმირმა **სანდრა ბალუკამ** რომანტიკული კომედიის დედოფლის ტიტული თავის დროზე თავად მეგ რაიანსა და ჯულია რობერტსს ჩამოართვა! 44 წლის ვარსკვლავი დღესაც უდიდესი პოპულარობით სარგ-

ბლობს და მისი სამუშაო გრაფიკი რამდენიმე წლით ადრეა განერილი.

სურათის „ჩარლის ანგელოზები“ ვარსკვლავის კინოდებიუტი 6 წლის ასაკში, თავად სტივენ სპილბერგის ფილმში შედგა!

გოგონამ რთული ცხოვრება განვილო, ალკოჰოლი და ნარკოტიკები დაამარცხა. ახლა 33 წლის **დრიუ ბარიმო** მსაყურებლის უსაყვარლესი მსახიობია და კინორეჟისორის რანგშიც ცდის ბედს.

ჯოდი ფოსტინს კარიერა 3 წლის ასაკში სარეკლამო რგოლებით დაიწყო, 14 წლისა კი უკვე „ოსკარის“ ნომინაციაზე იყო წარდგენილი მარტინ სკორსეზეს ფილმში „ტაქსისტი“ ნათამაშები როლისთვის. მაშინ ჯოდი მოოქრული ქანდაკების გარეშე დარჩა, სამაგიეროდ, მოგვიანებით ეს პრემია ორგზის მოიპოვა ფილმებში — „ბრალდებულნი“ და „კრავთა დუმილი“ ნათამაშები მთავარი როლებისთვის. ჯოდი ფოსტინი, რომელსაც უნივერსიტეტის ლიტერატურათმცოდნის დიპლომი აქვს, ჰოლივუდში ერთ-ერთ ყველაზე ინტელექტუალ მსახიობად არის მიჩნეული. იგი საკუთარ როლებს ფრანგულ ენაზე ხშირად თავად ამოვანებს. მსახიობი საკუთარ არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციას არ მალავს, მაგრამ ამ თემას ძალზე პირადულ საკითხად მიიჩნევს და მასზე საუბარი არ უყვარს...

ყოფილი „მის ამერიკა“ და ჯეიმს ბონდის მეგობარი გოგონა — **ჰილი ბარი** დღემდე პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი აფროამერიკელი მსახიობი ქალია, რომელმაც ნომინაციაზე „ქალის როლის საუკეთესო შემსრულებელი“ „ოსკარის“ მოპოვება შეძლო. მსახიობს პოპულარობა ისეთმა ფილმებმა მოუტანა, როგორცაა: „ხალხი იქსი“, „პაროლი „ხმალეთვა“, „მოკვდი, მაგრამ ახლა არა“, „მონსტრების მეჯლისი“, „ქალი-კატა“ და სხვა.



ცხოვრება

ჩემი მამაკაცი

მარი ჯაფარიძე

სიგარეტი ბოლომდე ჩავწვი და ის იყო, მოსაწვევი ოთახი უნდა დამეტოვებინა, რომ გადავიფიქრე: ცოტა დასვენება მჭირდება. აი, 2 წუთი გავჩერდები კიდეც და დავბრუნდები კაბინეტში. არა, 3 წუთი გავჩერდები...

რამდენიმე ხნის წინ ახალი ოცნება გამიჩნდა. ძალიან მინდა ყვავილების მალაზიაში მუშაობის დანახვა. თავს კარგად ვიგრძნობ უამრავ ლამაზ ყვავილასა და მათ სურნელში. ყვავილები ყოველთვის მიყვარდა და არამინიერ სილამაზედ მიმაჩნდა. სიამოვნებით შეგვრავდი ძვირფას თაიგულებს და მათ საყიდლად კლიენტები რომ შემოივლიდნენ, შევუქებდი კიდეც. მართალია, არც ისე ხშირად, მაგრამ მაინც გავყიდი ამ ძვირფას თაიგულებს. მერე ცხოვრებითა და სიმშვიდით დავტკბებოდი და ჰარმონიის განცდა მექნებოდა...

— ქალბატონო მაია, — ოთახში ჩემმა თანაშემწემ, ლელამ შემოიხედა, — თქვენი მობილური რეკავს.

ხელი ჩავიქნიე, არა უშავს-მეთქი. რამდენჯერ ვთხოვე, ნუ ყვირი მთელი სართულის გასაგონად-მეთქი, მაგრამ ვერაფერი გავაგებინე.

ფანჯარასთან მივედი და მინას შუბლით მივეყრდენი. ქვევით ქალაქი ხმაურობდა. გზაზე საცობი იყო. ყველაფერი ისე იყო, როგორც ყოველთვის.

— ჰმ, ჰმ, — ვილაცის ჩახველების ხმა გავიგონე. ჩემს ზურგს უკან ახალგაზრდა მამაკაცი იდგა, რომელსაც უზომოდ განიერი შარვალი ეცვა, თავზე კი ნაქსოვი ქუდი ჰქონდა

ჩამოფხატული.

— გამარჯობა, — მომესალმა და თავისი მოქმედებით, შეხვედრის გამო სიხარული გამოხატა.

— გამარჯობა, — ვუპასუხე.

— მე ალექო ვარ, — ღიმილით გამეცნო ყმანვილი.

— სასიამოვნოა, — ვუპასუხე და ისევ ფანჯარაში დავინყე ყურება.

ალექომ ადგილის ტკეპნა დაიწყო.

— თქვენ რა გქვიათ?

— მაია, ქალბატონი მაია, — დავამატე ბოლოს.

— გათხოვილი ხართ? — დაინტერესდა ახალგაზრდა.

აი თავხედი! მედიდური იერი მივიღე, წარბი ავნიე და უცერემონიოდ ვკითხე:

— შენ რა, ჩემთვის ხელის თხოვნას ხომ არ აპირებ?

— დიახ, — ისე გახარებულმა მიპასუხა, თითქოს, როგორც იქნა, ერთმანეთს გაეფუტო, — როგორც კი დაგინახეთ, მაშინვე გავიფიქრე: „ალე-

კო, ეს შენი მომავალი ცოლია!“

გარეგნობით თუ ვიმსჯელებდი, 25 წელზე მეტის არ უნდა ყოფილიყო. არადა, თავხედობაში ბადალი არ ჰყავდა.

— კარგი, ალექო, საქმე მაქვს, უნდა ვიმუშაო, ცოტა მოგვიანებით დავკორწინდეთ.

ხელში შერჩენილი ცარიელი სიგარეტის კოლოფი მოვჭმუჭნე, ურნაში მოვისროლე და კაბინეტში დავბრუნდი.

ჩემი თანაშემწე 4 ტელეფონზე ერთად საუბარს ცდილობდა. სანყალი. ძალიანაა მონადინებული, რომ მასიამოვნოს. ალბათ ჰგონია, რომ თუ შეუძლებელს გააკეთებს, ჩემთვის შეუცვლელი გახდება და სამსახურს არ დაკარგავს. დღე არც ისე საშინელი მეჩვენებოდა უკვე.

მეორე დილით ჩემს ახალ თავყვანისმცემელს კართან შევეჯახე. ის გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა — თეთრი პერანგი, ჰალსტუხი, კარგი პიჯაკი...

— მაიკო, — გაუხარდა ჩემი დანახვა.

— ქალბატონი მაია, — მკაცრად შევეუსწორე, — დღეს სხვანაირად გამოიყურებით, ალექო, — დავამატე შემდეგ, — გაცილებით უკეთ.

— ვიცოდი, რომ მოგეწონებოდათ, — გაუხარდა, — ერთად ვისადილოთ.

მეგონა, მომეყურა.

— უკაცრავად, ვერ გავიგე?!

— სადილი, — გაიმეორა ალექომ და ყველა ბგერა გარკვევით წარმოთქვა, — სადილი, ქალბატონო მაია.

— ალექო, — ამოვიოხრე, — არ მინდა, განყენინო, მაგრამ არა მგონია, ეს კარგი აზრი იყოს. და საერთოდ, მე მგონია, რომ ჩვენ მეგობრობა არ გამოგვივა.

— მე კი მგონია,





რომ ცდებით. ჩემთან თავს კარგად იგრძნობთ და საინტერესო საუბარსაც გამოგვივა.

— რასაც გეუბნები, გაიგონე, გენაცვალე, — ალერსიანი ხმით ვთხოვე, — თორემ მე უნებად ლაპარაკიც შემიძლია.

— კარგი, — გაიცინა ალექომ, — კარგ დღეს გისურვებთ.

სამსახურში როგორც ყოველთვის, ბევრი საქმე მქონდა. თან ისიც შევითქვე, რომ ჩემი მოადგილე, ნინო, მალე დეკრეტულ შვებულებაში წავიდოდა.

— ყოჩაღ! — გამიხარდა, — გილოცავე!

მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ პანიკაში ჩავვარდი.

— ნინო, — წყნარად წარმოვთქვი მისი სახელი, — მე რა მეშველება? უშენოდ დავიღუპები, ყველაფერი თავზე დამენგრევა! მტრები და კონკურენტები გადაგვყალბავენ.

— დამშვიდდი, სისულელეებს ნუ ლაპარაკობ, დრო ბევრი გვაქვს და რაღაცას მოვახერხებთ.

მიაშიტი გოგო... ალბათ თავს ვერაფერს მოვაბამთ. ეს შეუძლებელია!

— კარგი, — ამოვიოხრე, — ნელ-ნელა დავიწყოთ.

— დავიწყოთ, — გაიღიმა ნინომ, — ნუ გეშინია, ვერავინ ჩაგვიძირავს, მე და შენ ხომ „ჩაუძირავენები“ ვართ.

— საქმეც მაგაშია, რომ „მე და შენ“.

მთელი დღე საბუთებში ვიქექებოდი. 5 საათზე ჩემი კაბინეტის კარი გაიღო და ზღურბლზე ალექო გამოჩნდა. ხელში ცელოფნის პარკი ეჭირა.

— ვისადილოთ, ქალბატონო მათა, — გამიღიმა.

სიტყვა „სადილის“ გაგონებაზე საშინელი შიმშილი ვიგრძენი. ჩემს შიგნით ყველაფერმა ცახცახი დაიწყო და „გადაინასკვა“. დღის განმავლობაში მხოლოდ ყავა დავლიე და ეგ იყო.

— რა გაქვთ ცელოფანში? — დავინტერესდი.

— ხაჭაპური, — მითხრა და გამომინოდა.

— დიდი მადლობა, ალექო, — ნერწყვი გადავყვალავე.

— არაფრის, მზად ვარ, გემსახუროთ, — ისევ ღიმილით მითხრა.

— წამოდით საათობიროში, — ბრძანებასავით გაისმა ჩემი ხმა.

— დამაინტრიგებლად ჟღერს, — ჩაიხიხითხითა ბიჭმა.

— ზედმეტი არ მოგივიდეთ, — გავაფრთხილე, ყოველი შემთხვევისთვის.

— რა თქმა უნდა, ვეცდები, ზედმეტი არ მომივიდეს, მათა...

მკაცრად გადავხედე.

— ქალბატონო მათა, — დაამატა ბოლოს.

თავი დავუქნიე და სათათბირო ოთახში შევექცეი.

— ალექო, რამდენი წლის ხართ? — 27-ის.

— ოჰო, ასაკი სულ არ გეტყობათ, — ძალიან გამიკვირდა.

— არც თქვენ გეტყობათ, რომ 31 წლის ხართ.

— ინფორმაციას აგროვებდით? — შუბლი შევიკარი.

— რა თქმა უნდა, — უკან არ დაიხია ბიჭმა, — რისი გაგებაც შეიძლებოდა, ყველაფერი გავიგე. მე თქვენ მომწონხართ. ამას ალბათ ხვდებით.

— მომისმინეთ, — ამოვიოხრე, — შეუძლებელია, ასეთი მზრუნველობისა და ჩემდამი თქვენი სიმპათიის გამო მადლიერება არ გამოვხატო, მაგრამ იმავე გრძნობით ვერ გიპასუხებთ და არ მინდა, დრო ფუჭად დაკარგოთ.

— მე თქვენგან არაფერს ველოდები, ქალბატონო მათა. ამაზე არ ინერვიულოთ. გამიხარდება, თუ „შენობით“ მომმართავთ, რადგან თავს უხერხულად ვგრძნობ, როცა ასე ოფიციალურად მომმართავთ.

— კარგი, იყოს „შენობით“, — რატომღაც უცებ დავთანხმდი, — მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს.

გამიღიმა და ოთახიდან გავიდა. მეორე დღეს სამსახურში ამაღლებული განწყობილებით მივდიოდი. გაცილებით დიდი დრო დავუთმე ვარცხნილობასა და ტანისამოსის შერჩევას.

ერთხელ ჩემი ნაცნობი გოგო საერთო ახლობელთან ერთად შემხვდა. მამაკაცს ხელი წელზე ჰქონდა შემოხვეული და თვალებში ალერსიანად ჩაჰყურებდა.

— რაში გჭირდება ეს კაცი? — ვკითხე შემდეგ, როცა დავიმართხე, რადგან ვიცოდი, რომ ერთი კაცი უყვარდა, მეორეზე გათხოვილი იყო და ეს მესამე არაფერში სჭირდებოდა. თანაც, ყველა ნაცნობმა ვიცოდი, რომ ის ნარუმატებელი კაცი იყო. ადამიანი — გაუგებრობა.

— შენ ცხოვრების არაფერი გაგეგება, — გამომიცხადა ჩემმა ნაცნობმა, — ქალს ყოველთვის უნდა ჰყავდეს თაყვანისმცემლები.

— ნებისმიერი კატეგორიის? — დავაზუსტე.

— დიას, ნებისმიერი კატეგორიის, — მიპასუხა დედოფალივით ყელმოღერებულმა.

თაყვანისმცემლები, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, მაგრამ „ნებისმიერ კატეგორიაზე“ თანახმა არ ვარ!

ნინო სარეკლამო განყოფილებას „ტერორს“ უწყობდა და მშვენივრად

გამოსდიოდა. მეც კი მომინდა, რომ კედელს ზურგით ავკვროდი ან მინას ჩავეტანე. დერეფანში დაველოდე, როდის დაასრულებდა თანამშრომლებთან ჩხუბს.

— შენთვის ნერვიულობა არ შეიძლება, — გავაფრთხილე. ნინომ ჩაიცინა.

— ხანდახან თავს ხაფანგში გამომულივით ვგრძნობ და მგონია, რომ ვერასოდეს ამოვისუნთქავ. ჯერ ერთ პროექტზე არ გვაქვს ანგარიში ჩაბარებული და ახალი, 2-3, თანაც სასწრაფო, ერთად შემოდის. ნამდვილი საშინელებაა.

ჰოოო... ამაზე მეც არაერთხელ მიფიქრია. ოდესღაც სწორედ ასეთი ცხოვრება მომწონდა. მინდოდა, ბევრი კი არა, ძალიან ბევრი საქმე მქონოდა, რათა მუდმივად დინამიკაში ვყოფილიყავი და სირთულეების გადალახვა შემიძლებოდა.

კადრების უფროსს ძალიან მოსწონდა ხოლმე ახალი თანამშრომლების წინაშე ჩემი, როგორც „ახალგაზრდა ასაკისთვის თავბრუდამხვევი კარიერის მქონე ინდივიდის“ „დემონსტრირება“. ამ სიტყვების თქმის დროს თვალებს გრძნობით ხუჭავდა იმის ნიშნად, რომ ამაზე „თავბრუდამხვევი“ აღარ არსებობდა.

მაგრამ კარიერა, შეიძლება ითქვას, „გვერდითი, თანმდევი მოვლენა“ იყო. სინამდვილეში ჩემი სამსახური ძალიან მომწონდა და უბრალოდ, სიამოვნებით ვასრულებდი. თუმცა, დრო ყველაფერს ცვლის. ჩემი ქმარი 3 თვის წინ გაიქცა და თავისი საქციელი იმით ახსნა, რომ მოსწყინდა მხოლოდ ტელეფონითა და ელექტრონული ფოსტით ურთიერთობა. ის წავიდა, მე კი საქმეში ისე ვიყავი ჩაფლული, იმის დროც არ მქონდა, რომ გავნაწყენებულიყავი.

* * *

არც იმ დღეს და არც მომდევნო დღეს ალექო აღარ მინახავს. როგორც ჩანს, ბევრი საქმე ჰქონდა ან უბრალოდ, დავავიწყდი. ეგ არაფერი, ასე ჯობია! მეც არ ვიფიქრებ მასზე! 3 დღის შემდეგ, გვირილების თაიგულით გამოჩნდა.

— გამარჯობა, რაიონში ვიყავი წასული და ძალიან მომენატრე.

— აა-ა! — რაღაცნაირად ჩავილაპარაკე და საკუთარი თავი გავლანძლე იმის გამო, რომ დილით თავის დაბანა დამეზარა და თმა ცხენის ძუასავით გამოვიწასკვე.

— ვისადილოთ? — მკითხა ალექომ, — პირველი საათისთვის შემოგივლი.

მე თავი ზედიზედ, ორჯერ დავაქნიე. აღმოჩნდა, რომ პაემნისთვის მზად არ ვიყავი.



— ლელა, სასწრაფოდ დარეკე სალონში და მანიკიურზე ჩამწერე!

ამ დროს, რატომღაც გამახსენდა, რომ უკვე დიდი ხანია, ახალი საცვლები არ მიყიდია. რა საშინელებაა? ასე ცხოვრება არ შეიძლება!

რესტორანში ვისადილეთ. მას დან-ახარჯი არ გადავახდევინე, რადგან ხაზგასმით ვუთხარი, რომ ჩვენ მხოლოდ მეგობრები ვართ და მე გამასპინძლებ-მეთქი.

როდესაც ანგარიში მოგვიტანეს, საფულე ამოვიღე და ქვითარს დავეხდე.

— გინდა, მანყინო? — მითხრა ალექომ, — გინდა, დამამცრო?

— არა, რა თქმა უნდა, — შევმფოთდი, — მაგრამ ყოველთვის შენ ვერ შეძლებ გადახდას, რესტორანში სადილობა ძვირი სიამოვნებაა და თუ ყოველთვის შენ გადაიხდი...

— ჩემს ბიუჯეტს უფრთხილდები? — ძალიან სერიოზული სახით მკითხა.

— ნუ... ჰო... — სხვათა შორის ვუპასუხე.

— მაშინ სხვა გამოსავალი უნდა მოვძებნოთ, ერთად უნდა ვიცხოვროთ, — გაიღიმა, — მე ჩემს ჯამაგირს მოგიტან და ბალიშის ქვეშ დაგიდებ ხოლმე, მერე მე და შენ სამზარეულოში შევიკრიბებით და ერთად გადავწყვეტთ, ამ თვეში რამდენს დავხარჯავთ და რაზე. ასე ეკონომიასაც გავაკეთებთ და თუ გენდომება, ცოტაოდენ ფულს შევირჩავთ კიდევ.

— სულელი ხარ, — მენწყინა მე.

— ეს ახლა გეჩვენება სასაცილოდ, თორემ 1 წლის შემდეგ მე გაცილებით მეტ ფულს ვიშოვი, ვიდრე შენ შოულობ. მამაკაცს ყოველთვის ცოლზე მეტი შემოსავალი უნდა ჰქონდეს.

— კარგი, წავიდეთ, ჩემო მამაკაცო!

პარასკევს საღამოს ალექომ ისევ შემოიხედა ჩემს კაბინეტში.

— ამ შაბათ-კვირას რა გეგმები გაქვს?

— ჯერ არ ვიცი, — ვუპასუხე, რადგან მომეჩვენა, რომ გეგმის უქონლობა საჩოთირო იყო.

— მოდი, გორგოლაჭებით ვისრი-ალოთ, — შემომთავაზა და გაიღიმა.

— კარგი, — ისე ვუპასუხე, არ გამიცნობიერებია, რა მითხრა, რადგან ამ დროს სხვა რამეზე ვფიქრობდი.

— ძალიან კარგი! — გაუხარდა ალექოს.

— ვერ გავიგე, სად წავიდეთ? — უცებ მოვეგე გონს.

— სიტყვა — სიტყვაა, მაია!

მთანმინდის პარკში ავედი „როლიკებზე“ სასრილოდ. ის დღე მხიარულად გავატარეთ. შემდეგ შაბათ-კვირას კი ზოოპარკში წავედი.

ერთი კვირის მერე — მცხეთაში, რადგან ალექომ მოიგონა, რომ ამ ქალაქს ოცნებების ახდენა შეუძლია, რადგან ქალაქი ჯადოსნურ ადგილზეა გაშენებული, მტკვარი და არაგვი კი შესართავთან გულს ქმნის. შემდეგ მდინარეზე სათევზაოდ ვიყავით და საღამოს კოცონზე მაღაზიაში ნაყიდი თევზი შევწვით.

ჩემი სამყარო მხიარული ფერებით აივსო. ალექო ახალ-ახალ გასართობს იგონებდა, მე კი მომწონდა მისი იდეები და მასთან ერთად ვახორციელებდი. ჩვენ ყველგან მისი მანქანით დავდიოდით, რადგან ჩემს მანქანაში ჩაჯდომასზე კატეგორიულ უარს მეუბნებოდა.

თურმე ძალიან კარგი შეგრძნება ყოფილა, როცა ვილაცხას უკან მიჰყვები და ლიდერი შენ არ ხარ.

— შენ ძალიან შეიცვალე, — მითხრა ერთ დღეს ნინომ, — ალექო ძალიან კარგი ბიჭია.

— იცი, რამდენი წლისაა? — დავინტერესდი მე.

— იმედი მაქვს, სრულწლოვანია, — გაიღიმა ნინომ.

— კი, სრულწლოვანია.

— მაშინ რა პრობლემაა? — მხრები აიჩეჩა.

პასუხად მეც მხრები ავიჩეჩე. ერთი მხრივ, ასაკობრივი სხვაობა არსებობს. 4 წელი არც ისე ცოტაა. როცა ის დაიბადა, მე უკვე დავდიოდი და შეყვარებულიც კი მყავდა. მე ვიტანჯებოდი, ის კი აკვანში იწვა და ტიროდა... როცა ის 9 წლის იყო, ბიჭებთან ერთად ბურთს დასდევდა, მე უკვე დიდი გოგო ვიყავი და ასაკით უფროს მამაკაცებს ვეპრანჭებოდი. როცა ის 13 წლის იყო, მე გასათხორვად ვემზადებოდი.

ახლაც, ვინაა ის და ვინ ვარ მე? მეორე მხრივ კი მასთან ურთიერთობა ძალიან სასიამოვნოა. ასე კარგად არავისთან მიგრძნია თავი. ერთადერთი, რაც მას სჭირდება, მე ვარ.

ნინო სამსახურიდან უეცრად გაქრა. აღმოჩნდა, რომ ბავშვის შესანარჩუნებლად საავადმყოფოში დაუწვინიათ. მისმა ქმარმა დამირეკა და მთხოვა, სამსახურის საქმის გამო არავითარ შემთხვევაში არ შემენუხებინა.

მე მარტო დავრჩი. სრულიად მარტო. 2 დღის შემდეგ უცხოეთში მიწვევა გამგზავრება, მაგრამ სამწუხაროდ, თბილისიდან გასვლა არ შემეძლო. არ ვიცოდი, როგორ მოვეცეულიყავი. მაგიდასთან ჩაფიქრებული ვიჯექი, როდესაც ალექო გამოჩნდა.

— არ მშია, — უარი ვუთხარი მიპატიუებაზე.

— მაშინ არც მე შეეჭამ, — გაიბუტა, — რა მოხდა?

ძალიან მნიშვნელოვანია, როცა

არსებობს ადამიანი, ვისთანაც ცხოვრებაზე ინუწუნებ. რომელიც შენთან ერთად განიცდის, ყურადღებით მოგისმენს და მისთვის სულ ერთი არ იქნება, შენ რას გრძნობ.

— შენ ახლა მაინც ვერაფერს მოიფიქრებ. წამოდი, ცოტა გავიცინოთ.

— შენ რა, დამცინი? არ შემიძლია, ვერ წამოვალ.

— შეგიძლია, ამაზე უარესი რაღა უნდა მოხდეს?

ამჯერად ალექომ ანტიცისტრესულ საშუალებად ზოოპარკში არსებული „ემშაკის ბორბალი“ გამოიყენა. თითქმის ღრუბლებში მოქანავე სავარძელში ვისხედით და ძალიან მეშინოდა, მაგრამ თან საოცარი სიმშვიდის გრძობა მეუფლებოდა.

დავრწმუნდი, რომ ისეთი განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა. უბრალოდ, ეს ერთ-ერთი წინააღმდეგობა იყო, რომლის დაძლევაც შემეძლო. ადრეც ხომ უამრავი პრობლემა შემხვედრია და მომავალშიც აუცილებლად შემხვედება. ალექოს ხელს ჩაბლუჯულმა სწორად აზროვნება დავინყე და თავში აბსოლუტურად ჯანსაღი აზრები მომდიოდა და მომავალ გეგმებს ვანყობდი.

ალექო მთელი ღამის განმავლობაში უცხოეთში გასაგზავნად, საბოდიშო წერილს წერდა.

— იქნებ გადმოსულიყავი ჩემთან სამუშაოდ? — ვკითხე დილით.

— არ არსებობს, — კატეგორიული უარი მივიღე ჩემს წინადადებაზე, — თანაც, მე ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ რასაც აკეთებ, ეგ შენი საქმე არაა. ამ ხნის განმავლობაში შენი შესწავლა მოვახერხე და ამას იმიტომ გეუბნები.

— მეც ხშირად მგონია ასე, — გამოვუტყედი, — და არ ვიცი, როგორ მოვიქცე.

— შენ შეგიძლია, სულ არაფერი არ აკეთო, — რაღაცნაირი, საზიგო ხმით გამოაცხადა, — შეგიძლია, შუადღემდე გეძინოს, ბალში ყვავილებს მოუარო ან მთელი დღე დივანზე წამოწოლილმა, ტელევიზორს უყურო. გინდა, აქვე, თბილისთან ახლოს, სოფელში სახლი ვიყიდოთ? შენ არაფერზე სანერვიულო არ გექნება, რადგან მე გყავარ.

საინტერესო კი ის იყო, რომ რაც უნდა მელაპარაკა ჩვენს ურთიერთობის უპერსპექტივობაზე, ის მაინც თავისი გეგმით მოქმედებდა. თითქოს ჩვენ შორის ყველაფერი გადანყვებილი იყო. თითქოს ჩვენ უკვე ერთად ვიყავით და სასაცილო ის იყო, რომ მეც ჩამითრევდა ხოლმე.

რაც ნინოს ქმარს პირობა მიეცეო, რომ მის ცოლს საქმეზე არ დაველაპარაკებოდი, მხოლოდ მას შემდეგ



აზავი პირველი მეტობრები

გამიხსილა, რომელ საავადმყოფოში იწვა ნინო.

როდესაც საავადმყოფოსთან მივედი, ის უკვე იქ მყოფი.

— ეს რა არის? ყვავილები ვისთან მიგაქვს? იქნებ ალერგია აქვს? ეს ხილია? ყურძენში დიდი რაოდენობით გლუკოზა... შენ ხომ შემპირდი, რომ ნინოს არ გაანერვიულებდი? — შემახსენა ნინოს ქმარმა.

— მომისმინე, — უხეშად ვუბახუხე, რადგან თავი მომაბუზრა, — ბოლო 5 წლის მანძილზე მგონი ერთადერთი ადამიანი ხარ, ვინც ნინოს ანერვიულებს.

გიომ პირი დაადლო. ვიდრე მოიფიქრებდა, რა ეპასუხა, მე საავადმყოფოში შევედი.

ნინო მშვენივრად გამოიყურებოდა, ლოყები ასწითლებოდა და ცოტა მოსუქებულიყო კიდეც.

ირგვლივ უამრავი ყურნალი და ნიგნი ჰქონდა შემოწყობილი.

— როგორ ხარ? უძლებები საქმეს? — მკითხა ღიმილით.

— კი, რა თქმა უნდა, მშვენივრად ვუძლებები, — დავამპვიდე, როგორც შემეძლო.

— ჩემ ადგილზე ვინმე უნდა მიიღო, — ამოიოსრა ნინომ, — მაგრამ სად იპოვი პროფესიონალს?

— ალექო მესმარება.

— აა, ძალიან კარგი, თუ ასეა, — გულწრფელად გაუხარდა, — იცი, ბებიაჩემი ბაბუაჩემზე მთელი 16 წლით უფროსი იყო.

თავი დავუქნიე.

— 16 წლით! — ხმას აუნია მეგობარმა.

ისევ დავუქნიე თავი.

— თავიდან თურმე ისიც ყოყმანობდა, მაგრამ როდესაც მიხვდა, რომ ნამდვილად ბედნიერი იქნებოდა მასთან, ადგა და ცოლად გაჰყვა, 3 შვილიც გაუჩინა. იცი, რა?

— რა?

— ის ყოველთვის ასაკზე გაცილებით უმცროსი გეგონებოდა. ახლაც კი... 2 წლის შემდეგ 100 წლის გახდება.

— გადასარევი... — აღვფრთოვანიდი მე.

— დიას.

— კარგი, წავალ ახლა, — წამოვდექი და წასასვლელად მოვემზადე, — თორემ შენი ქმარი სიმწრით კბილებს ახრჭიალებს ალბათ.

ნინოს საყვარლად გაეცინა. რას უშვრება სიყვარული ადამიანებს?!

* * *

ზამთარი მოდიოდა. ძალიან მომინდა, დათვივით მიძინებოდა მთელი ზამთარი და მხოლოდ გაზაფხულზე გამღვიძებოდა. და კიდევ, ძალიან შემეყვარდა ტკბილი ფუნთუშა,

რომელსაც ჩემი სახლის პირველ სართულზე, საცხოვრობი აცხოვდნენ.

— მე უნდა გავემგზავრო, — თქვა ალექომ, ვახშობისას.

ეს ძალიან ცუდი სიახლე იყო.

— დიდი ხნით მიდიხარ?

— რამდენიმე დღით. ჯერ ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ვეცდები, მალე დავბრუნდე.

ის მატარებლამდე მივაცილე და მსოფლიოში ყველაზე უბედური ადამიანის გამომეტყველებით ვიდექი ბაქანზე.

— ფრთხილად იარე, როგორც კი შინ მიხვალ, მაშინვე დამირეკე, — ყურში მეჩურჩულებოდა ალექო, — ძალიან ვენერვიულობ, გზები მოყინულია.

გული ისე მიცემდა, თითქოს მკერდიდან ამოხტომას ლამობდა.

ჩვენი ურთიერთობის ერთი წლის მანძილზე ალექო ისე იქცეოდა, რომ მის გარეშე ახლა ცხოვრება ვერ წარმომედგინა. ის ჩემთვის აუცილებელი მამოძრავებელი ძალა იყო.

მივეჩვიე იმას, რომ რაც უნდა მომხდარიყო, ალექო მოვიდოდა, აუცილებლად მოძებნიდა გამოსავალს და სიტუაციას გამოსწორებდა. მამხიარულებდა, როცა მოწყენილი ვიყავი, მეხმარებოდა, როცა საქმეს თავს ვერ ვართმევდი. მის გვერდით ჩუმიად ყოფნაც კი სასიამოვნო იყო. აღმოჩნდა, რომ სწორედ ის იყო ჩემი მამაკაცი და ახლა, როცა ის წავიდა, თავს ძალზე ცუდად ვგრძნობდი. 2 დღე ვცდილობდი მხნედ ვყოფილიყავი, მაგრამ მესამე დღეს სამისოდ ძალა აღარ მეყო. ტელეფონს დავწვიდი და ნომერი ავკრიბე.

— გამარჯობა, — მოკლედ მივესალმე, — როდის ჩამოხვალ?

— რა მოხდა? — შეშინდა ალექო.

— არაფერი, მომენატრე,

— მართლა? — ძალიან გაუკვირდა.

მე ვდუმდი.

— მე უნდა ვიმუშაო, პატარავ, — ენა მომიჩლიქა, — თანაც, ბევრი უნდა ვიმუშაო, რათა ჩემს გოგოს ყველაფერი თავზე საყრელად ჰქონდეს.

ვუსმენდი და ცრემლს ვინმენდდი. ღმერთო ჩემო, რა ხდება?

— დღეს რამე ჭამე? — მკითხა მოგვიანებით.

— კი, — ამოვისლუჯუნე.

— ჩემი ჭკვიანი გოგო ვინაა?

და თითქმის ნახევარი საათის განმავლობაში მიუბნებოდა თბილ და ტკბილ სიტყვებს.

2 წლის შემდეგ ის მართლაც გაცილებით მეტს გამოიმუშავებდა, ვიდრე მე — ოდესმე. 3 წლის შემდეგ გოგონა შეგვეძინა, 5 წლის შემდეგ ყვავილების მალაზია მაჩუქა, რომ არ მომეწყინა...

ჯაბა და რამაზი ბავშვობიდან ერთად იზრდებოდნენ. ისე შეეჩვივნენ ერთმანეთს, რომ გადანყვიტეს, სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა ერთად გაეგრძელებინათ. მშობლებსაც ბევრი აღარ უფიქრიათ და როსტოვში წაიყვანეს შვილები, კარგი ბინაც დაუქირავეს და სამედიცინოზეც მოაწყვეს. რამდენიმე თვის შემდეგ ჯაბასა და რამაზს ერთი ქართველი კაცი დაუახლოვდა, რომელსაც რუსეთის ბევრ ქალაქში ღვინის ბიზნესი ჰქონდა. მისი რჩევით, საბუთები ღვინის ტექნოლოგიის ფაკულტეტზე გადაიტანეს და მშობლებსაც გააგებინეს, — უფრო კარგ საქმეს მოვკიდეთ ხელიო. იმათ გული კი დასწყდათ, მაგრამ რადგან სწავლაზე საერთოდ არ აიცრუეს გული, რაღას დაეძებდნენ?!

ქართველი სტუდენტები ხშირად იკრიბებოდნენ ერთად. ერთ-ერთ ასეთ თავყრილობაზე ბიჭებმა სამედიცინო ინსტიტუტის მეორეკურსელი, თეა გაიცნეს. დანახვისთანავე მოენონათ, მაგრამ რამაზმა იმ საღამოსვე გაუხსილა მეგობარს, — ან ეს გოგო გახდება ჩემი ცოლი, ან უცოლოდ დავბერდებითო. მიხვდა ჯაბა, გვერდზე უნდა გამდგარიყო.

რამაზმა იმდენი გააკეთა, გოგოს გული მოიგო. თეას ძალიან უნდოდა, მოსკოვში გაეელო ორდინატურა, რამაზი დაპირდა, ოღონდ ჩემი ცოლი გახდი, მოსკოვშიც გასწავლი და კარგ სამსახურსაც გიმოვნიო. რამაზი უკვე მუშაობდა, როცა თეამ თანხმობა უთხრა ცოლობაზე... დიდი ქორწილის შემდეგ რამაზმა პირობა შეასრულა და თეა მალევე წაიყვანა მოსკოვში. თეასა და რამაზს მალე შვილიც შეეძინათ და მათ ბედნიერ ცხოვრებას არაფერი აკლდა. თეამ მოსკოვში დაამთავრა ორდინატურა, შეეძლო იქვე გაეგრძელებინა მუშაობა, მაგრამ ატყობდა, რამაზს როსტოვი ერჩინა, ამიტომაც 3 წლის გიოსთან ერთად როსტოვში დაბრუნდა.

ამონარიდი წერილიდან: „ე.წ. „პერესტროიკის“ შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა... ჯაბასა და რამაზის სანარმოს მოულოდნელად ესტუმრა ოპერატორულ მუშაკთა ჯგუფი... ვერ დაიძვრინეს თავი, თუმცა მხოლოდ რამაზი დააპატიმრეს. ჯაბამ, როგორც კი ეს არასასიამოვნო ამბავი გაიგო, დაპატიმრებული რამაზი მოინახულა და დააიძვდა, — მალე გამოგისწიო. რამაზს 7 წელი მიუსაჯეს. ჯაბამ იმდენი ქნა, 3 წლამდე ჩამოუყვანა პატიმრობა“.



საზღაური

არიან წყვილები, რომლებმაც სიყვარულს ანაცვალეს ოჯახიც, მოვალეობაც, პასუხისმგებლობაც და ბევრი ახლობლის ტკივილიც, მაგრამ არაფერს იცის, ბედისწერა რა „სიურპრიზს“ მოუმზადებს მათ („ლალატის საზღაური ანუ, როცა ცოლად ვერ ვაცნობიერებთ“, — „კვირის პალიტრა“, 2009 წ. 16 თებერვალი).

სწორედ ამ საბედისწერო 3 წელიწადში მოხდა ყველაფერი...

ჯაბა თითქმის ყოველდღე აკითხავდა მეგობრის ცოლ-შვილს, არაფერს აკლებდა მათ... ერთხელ, შინ დაბრუნებულ თეას მოსამსახურე ქალმა შემზარავი ამბავი დაახვედრა, — გიო გაიტაცეს და ეს წუთითა, გამტაცებლებმა წერილი გამოგვიგზავნეს, ბავშვის დასაბრუნებლად 50.000 დოლარს ითხოვენო. იქვე ჩაიკეცა თეა. გონს რომ მოვიდა, მაშინვე ჯაბა იხმო თავისთან... რადგან ჯაბასა და რამაზს როსტოველ ქურდებთან კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ, ჯაბამ მათ მიაშურა. ქურდების ჩარევამ შედეგი გამოიღო — თანხა გაუნახვერეს და საღ-საღამათი ბავშვიც ორ დღეში დააბრუნეს. თეას ნერვიულობისგან ლაპარაკის თავიც არ ჰქონდა, გიო გულში ჩაიკრა და კარგა ხანს აღარ გაუშვია ხელი...

ამბავი გიოა ბაქსეულაბი

თეას ეგონა, ბავშვს კიდევ მოსტაცებდნენ, ამიტომაც გიოს დატოვება თბილისში მშობლებთან არჩია, თვითონ კი როსტოვში დარჩა. რამაზის გამოსვლამდე არც ისე დიდი დრო იყო დარჩენილი (დაახლოებით წელიწადი და 7 თვე)... ერთ მშვენიერ დღეს ჯაბა ტრადიციულად გამოეცხადა და ისეთი რამ უთხრა თეას, ქალს ეგონა, ეს ყველაფერი ესიზმრებოდა.

— თუ გინდა საშინელი ადამიანი მიწოდე, თუ გინდა ნამუსგარეცხილად ჩამოვალე, არ შემოძლია უშენობა. დანახვისთანავე შემეყვარდი, მაგრამ რადგან რამაზმა დამასწრო, გვერდზე გავდექი. ვერაფრით მოვერიე ამ გრძნობასო. ლაპარაკი უჭირდა, ცხადია, მისთვისაც ძნელი იყო ამ ყველაფრის აღიარება. ჯაბა, მართლმოდინდა დარჩენაო, — ძლიერ ამოთქვა ქალმა. ორი დღის შემდეგ კვლავ ესტუმრა ჯაბა. ახლა უფრო გაბედული ჩანდა: ისე მიყვარხარ, რომ მეგობარზეც უარს ვამბობ, სანამ რამაზი ციხიდან გამოვა, ციმბირში წავიდეთ და გიოც წავიყვანოთო. თეა უარზე იყო. თუმცა კაცი მაინც ატყობდა, რომ ადრე თუ გვიან, თეას სიჯიუტეს გასტყებდა.

ამ ჭიდილში 3 თვე გავიდა. ჯაბამ რამაზისა და გიოს სახელზე საკმაოდ დიდი თანხა შეიტანა ბანკში. ამით თეას აგრძნობინებდა, რომ მათ არაფერი გაუჭირდებოდათ. თეა ჯერ საკუთარ თავს, მერე კი ჯაბასაც გამოუტყდა, რომ უყვარდა და მასთან ყოფნა სურდა... ციმბირშიც ერთად გადაწყვიტეს გამგზავრება. თეამ არ მოისურვა ბავშვის თან წაყვანა იცოდა, მისი და რამაზის მშობლები გიოს ცივ ნიავს არ მიაკარებდნენ. წასვლის წინ რამაზი მოინახულა ციხეში. ერთსაათიანი შეხვედრისას სათქმელს თავი ვერ მოუყარა, დაბნეული პასუხობდა ქმრის კითხვებს. ბოლოს, წერილი ჩაუდო ხელში და დაემშვიდობა. იმ წერილით აგებინებდა საშინელ ამბავს...

რამაზის გაოგნებას საზღვარი არ ჰქონდა. საკუთარ თვალებს არ უჯერებდა. ცოლმა უღალატა. თან ვისთან? — უახლოეს მეგობართან, რომლის იმედიც მუდამ ჰქონდა. აკი, მისჯილი 7 წელიც ჯაბამ გაუნახვერა, გათავისუფლებამდე სულ ცოტა იყო დარჩენილი, რამაზი დღეებს ითვლიდა. და თურმე, გარეთ რა ამბავი ხდებოდა!

გათავისუფლებულ რამაზს თეა და ჯაბა აღარც მოუკითხავს. ისედაც იცოდა, სად იყვნენ. თბილისში ჩამოვიდა, შვილი რომ დაინახა ცრემლი ვერ შეიკავა კაცმა. გადწყვიტა, როსტოვის ბინა გაეყიდა და უკან, წარსულისკენ აღარ გაეხედა, მხოლოდ ანწყოსა და მომავალზე ეფიქრა. წარსული ხომ მას დიდ ტკივილს აყენებდა.

ჯაბა და თეა კარგა ხანს დაძაბულები იყვნენ. იცოდნენ, როდის უნდა გათავისუფლებულიყო რამაზი და დარწმუნებული იყვნენ, რომ ის მათ აუცილებლად მოინახულებდა. მაგრამ ასე არ მოხდა. დრო გავიდა. რამაზი არ ჩანდა. ციმბირში გაქცეულები თანდათან დამწყვდნენ, ჯაბამ იქაც მშვენივრად აანვიო საქმე და კარგად გრძნობდნენ თავს. თეამ ჯერ გოგონა, შემდეგ ვაჟი გაუჩინა ჯაბას. ბედნიერებისგან მეტხრე ცაზე

იყო ჯაბა და ეგონა, რომ სიკვდილამდე ასე გაგრძელდებოდა. ბედისწერა კი კვლავ მოულოდნელ ამბავს უმზადებდა წყვილს.

ლევანმა და მარიამმა მხოლოდ ორჯერ ნახეს თავიანთი თბილისელი ძმა და ძალიან უნდოდათ, გიოსაც მათთან ერთად ეცხოვრა, მაგრამ... თავად თეა და ჯაბა ვერ რისკავდნენ თბილისში ჩასვლას. რამდენჯერმე დაისვენეს ბათუმში, ურეკსა და ქობულეთში და მაშინაც ერთგვარი შიში ახლდათ. იცოდნენ რომ რამაზს ერთხელაც არ წამოსცდენია მუქარა, მაგრამ თავიანთი ბრალეულობა გაცნობიერებული ჰქონდათ.

უბედურება კი მაშინ დაატყდათ თავს, როცა ამას საერთოდ არ ელო-



დნენ... 11 წლის ლევანს ველოსიპედით სეირნობა უყვარდა. ერთხელ მანქანის ბორბლებქვეშ აღმოჩნდა ბიჭი და საავადმყოფოში მისვლამდე გარდაიცვალა.

გიომ იმ დღესვე შეიტყო ძმის გარდაცვალების შესახებ და მამას სთხოვა, — ერთად წავიდეთ და მივუსამძიმროთო. სასონარკვეთილი თეა რამაზის დანახვაზე გაშეშდა, ტირილი შეწყვიტა და ქმარყოფილს უაზროდ მიაჩერდა. ჯაბამ კი თავი ვერ შეიკავა და უცებ ამოასკდა პირიდან — ეს უბედურება იმ ყველაფრის საზღაურიაო...

ჯაბა და თეა ისევ იქ არიან. მარიამი უკვე დიდი გოგოა და თბილისისკენ მოუწევს გული. მშობლები გაორებული არიან. მათაც უნდათ საქართველოში დაბრუნება და თუ გადაწყვიტეს, მაშინ შვილის ნემთის გადმოსვენებაც მოუწევთ...

ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელ: 899.27.25.61 ან ელფოსტით babunamarina@yahoo.com



ზაქარია ქუსნაშვილი დაკავშირებას ითხოვს

რატომ არ დაიხვია ზურაბ ალიშვილმა მეზობრის ოჯახში?

გასულ კვირას ასოციაციის — „კანონი ხალხისათვის“ თავმჯდომარე ზაქარია ქუსნაშვილმა ხელისუფლებას უჩვეულო წინადადებით მიმართა. მათ „მძევლების გაცვლა“ შესთავაზა. მამის თავისუფლების სანაცვლოდ მზადაა, ციხეში ჩაჯდეს და დარჩენილი სასჯელი — 30 თვე — თვითონ მოიხადოს. შეგახსენებთ: კომპანია „გეოინჟინერინგის“ ხელმძღვანელი, პროფესორი ომარ ქუსნაშვილი 18 თვეა, პატიმრობაშია. იგი 2008 წელს, დამკვეთის სახსრების მითვისების და ამისთვის ყალბი საგადასახადო დოკუმენტის მომზადების ბრალდებით დააკავეს. საქალაქო სასამართლომ ერთ ბრალდებაში გაამართლა, მაგრამ ყალბი დოკუმენტის დამზადებაში დამნაშავედ ცნო და 4 წელი მიუსაჯა. ქუსნაშვილებმა საქართველოში სამართალს ველარ მიაღწიეს. მამის დაპატიმრებას ზაქარია მასზე შურისძიებად აფასებს. მამის წინაშე თავს დამნაშავედ გრძნობს, მომხდარს განიცდის და ამიტომაც ასეთი უცნაური წინადადება გააჟღერა. თუ ხელისუფლება მის წინადადებას არ მიიღებს, მაშინ ისლა დარჩენილ, სარჩელი სტრასბურგში შეიტანოს. დარწმუნებულია, რომ იქ საქმეს მოიგებს, მაგრამ იურისტმა კარგად იცის, რომ ამისთვის დიდი დროა საჭირო. ციხეში გატარებული ყოველი დღე კი ასაკოვანი მამის ჯანმრთელობაზე აისახება. იურისტი და ყოფილი დეპუტატი ამბობს, რომ ეს მისი ოჯახის ღირსების საქმეა.



თბა სურსილავა

რა უძლოდა წინ პროფესორის დაკავებას, რატომ არის ნაწყენი ზურაბ ალიშვილზე, რატომ ითქვა უარი 2.000-ლარიან საქროცესო გარიგებაზე და როგორ წარმოუდგენია „მძევლების“ გაცვლა, ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე იურისტი **ზაქარია ქუსნაშვილი** ისაუბრებს.

ზაქარია მცხეთაში დაიბადა. მამა, ომარი, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორია, დედა, თალიკო — სკოლის პედაგოგი. ძმამ აშშ-ში დაამთავრა ბიზნესის მართვის სპეციალობა. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. სპეციალობით სამართალმცოდნეა. მეორე კურსის სტუდენტმა სადაზღვევო კომპანიაში დაიწყო მუშაობა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სადაზღვევო კომპანიაში დირექტორის მოადგილედ გადაიყვანეს. მაჟორიტარი დეპუტატის, თამაზ მეჭიაურის საარჩევნო კამპანიას ხელმძღვანელობდა და მოგვიანებით, მისი რეკომენდაციით, პარლამენტის აპარატში მუშაობა რიგით იურისტად დაიწყო. შემდეგ უამრავი თანამდებობა გამოიცვალა, პოლიტიკაშიც ჩაერთო და 2004 წელს პოლიტიკიდან წავიდა. ამჟამად საპატრიარქოს იურიდიული სამსახურის უფროსია. აქვს საკუთარი საადვოკატო ბიურო და კერძო საადვოკატო საქმიანობასაც ეწევა.

— **ბატონო ზაქარია, ხელისუფლებას რა გარიგებას სთავაზობთ?**

— მამა თავის დაბადების დღეს მეორე წელია, ციხეში ხვდება. ყოვე-

ლი დღე მის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. პატარა ბიჭი არ არის, 68 წლის გახდა. ამიტომ „მძევლების გაცვლას“ ვითხოვ. ეს ყველა მხარისთვის სასარგებლო გარიგება იქნება. პირველ რიგში მე მომიტანს დიდ სიმშვიდეს, რადგან მამა ციხეში ჩემ გამო ზის. ხელისუფლებამ ჩემი წინადადება უსაფუძვლო შეთავაზებად რომ არ მიიჩნიოს, მზად ვარ დანაშაულის პროვოცირებისთვისაც, თუ ეს მათ სჭირდებათ. პირობას ვდებ, რომ ამ შემთხვევაში ჩემი საქმის გასაჩივრება არ მოხდება. მათ კარგად იციან, რომ მამას საქმეს სტრასბურგში ვასაჩივრებ. მერწმუნეთ, ეს სასარგებლოა ხელისუფლებისთვისაც. მათ ღირსება ვერ შეგვილახეს. უნდოდათ ეთქვათ, რომ ყალბისმქმნელი მამა მყავს, სწორედ ამიტომ დოკუმენტის გაყალბებაში დასდეს ბრალი. მტკიცებულება არ არსებობს, უაზრო განაჩენი გამოიტანეს, საქმეში დაზარალებული არ არის. თუ არაფერი მომიპარავს, რატომ უნდა გამეყალბებინა დოკუმენტი? სამუშაოს დამკვეთები ამბობენ, რომ კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაო შეასრულა. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა თავის თანამშრომლებს იმუნიტეტი მოუსხსნა იმისთვის, რომ სიმართლე ეთქვათ. მამაჩემის სასარგებლოდ ჩვენება მისცეს და ასეთი ალიბის დროს დარბაზიდან უნდა გაეთავისუფლებინათ... ქართველი საზოგადოება ჩვენ გვერდით დადგა. უამრავმა ორგანიზაციამ შეისწავლა ეს საქმე: სახ-

ალხო დამცველის აპარატმა, ახალგაზრდა იურისტებმა, კონსტიტუციის 42-ე მუხლმა, საქართველოს მშენებელ ექსპერტთა ასოციაციამ. დავამტკიცეთ, რომ მამა უდანაშაულოა. სამჯერ შემოგვთავაზეს საპროცესო შეთანხმება. 2.000 ლარად გვთავაზობდნენ მის გათავისუფლებას, მაგრამ მამამ სამივეჯერ უარი თქვა. არ აღიარებს იმას, რაც არ ჩაუდენია. ჩვენ ჩვენს ღირსებას ვიცავთ.

— **თქვენი შეთავაზება რამდენად რეალურად მიგაჩნიათ? იურისტი, მზად ხართ დანაშაულის ჩასადენად. დანაშაულის პროვოცირების შემთხვევაში, სომ არ არის გამორიცხული, მამის გვერდით თქვენც აღმოჩნდეთ? ალბათ, ამაზეც გიფიქრიათ.**

— ძალიან გამწარებული ვარ. ფიზიკური თავისუფლება არაფრის მომტანია, ადამიანი სულიერად უნდა იყო თავისუფალი. იცით, მამას გათავისუფლებით ბებიას, დედას, მამიდებსა და საკუთარ თავსაც გადავარჩენ. სხვა გამოსავალი აღარ დამჩნა. რა ტიპის დანაშაული შეიძლება ჩავიდინო, ეს მოფიქრებული მაქვს. მამას დაპატიმრებით არა მარტო უმძიმესი ტკივილი მომაცუნეს, არამედ ოჯახში ჯანმრთელობის პრობლემებიც შეიქმნა. ამ ამბის გამო ბებია სიკვდილის ზღვარზე მყავს. ცუდად არიან დედა და ჩემი მამიდები. მიყენებული სტრესის გამო სერიოზული მკურნალობა სჭირდებათ. მეც ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვარ, საზოგადოება მეხმარება, ხალხისგან უამრავი სიტოზო და სოლ-



იდარობა დავინახე. ყველას მადლიერი ვარ. ამ „გარიგებით“ მოვიგებ მეც და ხელისუფლებაც. ვფიქრობ, შვილები უნდა იცავდნენ მამებს და არა — მამები შვილებს. საქართველოში ყველა მექანიზმი ამოვწურეთ და სამართალს ვერ მივალნივით. მამას ორმა ისეთმა მოსამართლემ გამოუტანა განაჩენი, რომლებსაც მოსამართლეობის ვადა გასული ჰქონდათ. ამის შემდეგ მათ 10 წლით გაუგრძელეს ვადა. ის პროკურორი, რომელიც ამ საქმეში იყო, დღეს ქალაქის მთავარი პროკურორია — მამუკა გვარამია. ბევრმა მამას დაჭერი კარიერა გაიკეთა. გვეუბნებიან: ისეთი ძლიერი მტერი გყავთ, ჩვენ ვერაფერი გიშველით.

— კონკრეტული ექვმიტანილი გყავთ?

— ექვმიტანილ პირთა წრე ძალიან ვიწროა. მიხეილ სააკაშვილი ყველაზე დიდი ექვმიტანილია. ბიზნესმენთა შეკრებაზე ჩემმა ძმამ პირდაპირ ეთერში დაუსვა შეკითხვა. მან საზოგადოება კიდევ ერთხელ მოაწყობა. კამერების წინ თქვა, სასუთები მოიტანეთ და გავერკვევით. იქიდან გამოსულს კი უთხრა: არ მინდა, მაგ საქმეზე ყველაფერი ვიცოდ. აბა, ვის დავაბრალო — ბოკერიას, რომელიც ჩემი პირადი მტერია და რომელსაც არ ვუყვარვარ?! თუ ვანო მერაბიშვილს, რომელიც ვიცით, ვინც არის.

— მიხეილ სააკაშვილთან დაძაბული ურთიერთობა გქონდათ?

— სულ სამ შემთხვევას გავიხსენებ: როცა პარლამენტის წევრი ვიყავი, მაშინ მიშამ ოპოზიციის კვოტით, იუსტიციის საბჭოს წევრობა შემომთავაზა. მაშინდელი კანონმდებლობით, ოპოზიციას ერთი ადგილი ეკუთვნოდა. ყველა იურისტისთვის ამ თანამდებობაზე ყოფნა დიდი პატივია, თუმცა ვგრძნობდი, ამის უკან ქვეტექსტები იყო. მართლაც, სანაცვლოდ „სატელიტობას“ ითხოვდნენ. შევარდნაძემ სასამართლო რეფორმა სააკაშვილს ჩააბარა, მითხრეს, პრინციპული საკითხების დროს ჩვენ მხარეს უნდა იყო. შემოთავაზებაზე უარი ვთქვი. მეორე შემთხვევა: როცა საგამოძიებო კომისიის ფარგლებში 2002 წლის ადგილობრივი არჩევნების კანონიერების შესწავლა პარლამენტს დაგვევალა. რამდენიმე ქალაქის შედეგების გადათვლა დავინწყეთ. მაშინ გოგორიშვილი-ჟვანია შევარდნაძის თამაშს თამაშობდა, სააკაშვილი სხვა ფრაქცია იყო. ამ დროს სააკაშვილს მოლაპარაკება ნათელაშვილთან ჰქონდა და საკრებულოს თავმჯდომარე ხდებოდა. თბილისის ხმების ხელახლა დათვლა მისთვის მნიშვნელოვანი იყო. ეს კანონის ფარგლებში

მოვითხოვეთ. მაშინ დიდი მადლობა გადამიხადა იმის გამო, რომ საკითხს შერჩევითი პრინციპით არ მივუდევით, მაგრამ როცა სამმა დეპუტატმა მიშას ხმა მისცა, მე მოვითხოვე მათი პარლამენტიდან გაძევება და მაშინ კონფრონტაციაზე გადავედი. ეს ადამიანი ვერ მიხვდა, რომ ჩემთვის კანონი და სამართლიანობის დაცვაა მნიშვნელოვანი და არა პერსონები. 2004 წლის 6 თებერვალს კონსტიტუციური ცვლილებები მოხდა. პარლამენტი ქმედუნარო იყო, „ნაციონალური მოძრაობა“, რაც უნდოდა, იმას აკეთებდა. მაშინ შევკრიბე იურიდიული კომიტეტი და არ მივეცი თ ამ ცვლილებას დადებითი დასკვნა. შევეცადე, პარლამენტში შემექმნა მონინალმდებელთა ჯგუფი, რომელიც შეეცდებოდა, ხელი შეეშალა 6 თებერვლის კონსტიტუციური ცვლილებების დაკანონებისთვის. შესაბამისად, განცხადება — „დემოკრატია საფრთხეშია“ მოვამზადეთ. საკუთარ სახლში აქვს ნათქვამი, ეს კაცი გააჩერეთ.

— მამათქვენს პრობლემები როდის შეექმნა?

— პირველი პრობლემა რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების დროს გაჩნდა, როცა მამა „ნაციონალური მოძრაობის“ ცენტრალურ შტაბში დაიბარეს და არ მივიდა. მცირე, დიდი თუ საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები შეკრიბეს. მამას საშუალო ბიზნესი ჰქონდა, კომპანიის წლიური შემოსავალი 3-4 მილიონს არ აღემატებოდა. ზარი ჩემი პრესკონფერენციიდან მეორე დღეს გაისმა, მაშინ „არჩევნების გაყალბების 17 მეთოდი“ გამოვაქვეყნეთ.

— ბატონო ომარი შეხვედრაზე რატომ არ წავიდა?

— ძალიან შერეული ოჯახი გვაქვს. როცა მამას დაურევეს, ჩემი ძმისშვილის დაბადების დღე იყო და ოჯახის წევრებმა განვიხილეთ. აშკარა იყო, ორი რალაციისთვის ეძახდნენ: ფული მოიტანე ან შენი შვილი გააჩერე... მამა თავისუფალი ადამიანია და თქვა: არც ერთი პარტიის წევრი არ ვარ, ჩემი დაქმის პროფესიონალი ვარ, თუ რაიმე საქმე აქვთ, ჩემთან მოვიდნენო. მუქარა სწორედ მაშინ იყო. მიანიშნეს, შვილთან დაკავშირებით გიბარებთ და არა ფულზეო. ამ ფაქტიდან ორი თვის თავზე მეგობრებმა შემატყობინეს, რომ მამაჩემზე ფინანსურ პოლიციაში საქმე აღიძრა. მითხრეს: სანამ დავითხვებ მოვლენ, შენ დაგელაპარაკებიან; დაუჯერე, თორემ დაკითხვა მამაშენის დაკავებით დასრულდებაო. ფინანსური პოლიციის მსტოვარს როცა შეხვდები, სამი მოთხოვნა წამოიყენა: რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებში არ უნდა მიმელო მონაწილეობა, ერთხელ და

სამუდამოდ ამ ხელისუფლების კრიტიკა უნდა შეემწყვიტა და დავით აქუბარდიასთან ეთერში სტუმრობაზე უარი მეთქვა. ავუსხენი, არჩევნებში მონაწილეობას არ ვაპირებდი. მკითხეს, როგორ გადავამონმოთო? მის უწმინდესობას შეგიძლიათ ჰკითხოთ, რადგან საპატრიარქოს იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელად მაკურთხა-მეთქი; რაც შეეხება მეორე და მესამე საკითხს, თავისუფალ ადამიანად დავიბადე და სიტყვის თემას ვერავინ ამიკრძალავს, ეს არ შეიძლება მოლაპარაკების საგანი იყოს-მეთქი. ამ საუბრის შემდეგ მამა დაპკითხეს და გამოუშვეს, თუმცა საქმე არ შეწყვეტილა. მას შემდეგ ლამის ყოველდღიურად, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსთან, ჩემს თანაკურსელთან და „მეგობარ“ ზურაბ ადენიშვილთან შეხვედრას ვითხოვდი. მიმილო მას შემდეგ, როცა დარწმუნდა, რომ არჩევნებში მონაწილეობას არ ვივლებდი. მაშინ ვუთხარი: არა მგონია, სწორი იყოს ოჯახის წევრების დაჩაგვრა-მეთქი. ყველაფერი კარგად იქნებაო. მამას დაპატიმრება ზურასგან არ მოდიოდა, მაგრამ მას კაცურად, შეეძლო ჩემი ოჯახი დაეცვა, როცა მამას სიმართლეში დარწმუნებული იყო. ეთქვა, ის კაცი გვიშლის ნერვებს და მამა რა შუაშია, ოჯახს ნუ ავუნოიკებთო.

— დამეთანხმეთ, ხელისუფლებას არც თქვენი დაკავება გაუჭირდებოდა. ამისთვის უამრავი მეთოდი აქვთ. თუნდაც იარაღის ან ნარკოტიკის ჩადება, თქვენ რატომ არ დაგაპატიმრეს?

— ბევრი მიფიქრია ამაზე. იცით, პატიმრობაზე უარესია, როცა შენ გამო ასაკიან მამას გიჩაგრავენ და აპატიმრებენ. ეს საშინელი შურისძიებაა. ვერ წარმოიდგენთ, რა მძიმე იყო ჩემთვის ეს ორი წელი, რამდენი სევდა და ტკივილია ჩემს გულში. ეს ადამიანის გამწარების ყველაზე საზიზღარი ფორმაა.

— ალბათ ყველაზე მძიმე ციხეში მასთან პაენანია, როგორია თქვენი შეხვედრები?

— როგორც ყველა, ჩვენც მინის მიღმა ტელეფონით ვსაუბრობთ. ეს ძალიან მძიმეა. მამა მანყნარებს. იქ ინგლისურ ენას სწავლობს, პატიმრებს გეოლოგიასა და ხაზვას ასწავლის. თავის დოქტორანტს სადოქტორო დისერტაცია ცხიდან დააცვევინა. პრესას სისტემატურად ეცნობა, ბევრს კითხულობს. როცა იცი, რომ მამა შენ გამო ზის, ეს საშინელებაა. შეთავაზებაც სწორედ ამიტომ გავაკეთე და იმედი მაქვს, ამ წინადადებას მიიღებენ. ოჯახის წევრის დაცვის სხვა გამოსავალი არ დამიტოვეს.



სვანური მარილის რეცეპტი კახელაბისთვის

მოკლედ, ასე... იყო და არა იყო რა, იყო 2 სვანი... არა, რადგან ასე დავინწყე, არ გეგონოთ, ზღაპრის მოყოლას ვაპირებდე. ნაღდი ამბავია, რომელიც ჩემს „უურნალისტის ბლოკნოტში“, თემების ჩამონათვალში დიდი ხანია, ჩანერილი მაქვს და ვერა და ვერ მოვაბი თავი, რომ გამომეჭყვინებინა.

ჰოდა, იმას ვამბობდი, რომ იყო 2 სვანი, ზაზა და აკაკი. ორივე ჩემი ბიძაშვილია, მაგრამ ერთმანეთისთვის ძმები კი არა, ისინიც ბიძაშვილები არიან.

ზაზა ცოლშვილიანი, სერიოზული ადამიანია და თავისი ბიზნესიც აქვს. ტანად უზარმაზარია, მაღალი, ტანმოსული და ისეთი მიაბიტი, პატარა ბავშვიც კი მოატყუებს. ამასთან, ძალზე კაცთმოყვარეა, ყველა ეცოდება და ყველას უთანაგრძნობს. უკანასკნელ კაპიკს გაიღებს თავისი ბიუჯეტიდან, სხვის დასახმარებლად. გაბრაზებული არავის უნახავს. თუ ბრაზობს, იმით მიხვდები, რომ კრიჭა აქვს შეკრული და — ჰმ, ჰმ, — წარამარა ამას ამბობს.

აკაკი უცოლო იყო (ახლა უკვე მასაც ჰყავს ოჯახი) და მოუსვენარი. კარგი იუმორის მქონე და მავნე. თუმცა, გულის ნაცვლად, მასაც „ბაჯალლო ოქრო“ უდევს მკერდში და მოყვასის გულისთვის მასაც ბევრის გაღება შეუძლია.

უკვე წლები იყო, ზაზას ვალი ერთ კახელ კაცს, სახელად ვანოს ჰქონდა. 3 ათას დოლარს არა და არ (ან — ვერ) უბრუნებდა ზაზას. ჰოდა, ზაზა, ვანო და მათი ვალი მუდმივად ხუმრობის საგანი ხდებოდა ხოლმე.

მაგალითად, ყოფილა შემთხვევა, ზაზასთან სტუმრად ვყოფილვართ, კარზე ვიღაცას დაუტაკუნებია, ჩვენ, რომელიმეს გაგვიღია და ზაზასთვის დაგვიძახია, — ვანო გეძახის, მგონი ვალი მოგიტანაო. მიუხედავად იმისა, რომ მსგავს ხუმრობას ბევრჯერ ჰქონდა ადგილი, ზაზა მაინც იჯერებდა, სიხარულით წამოხტებოდა და კარისკენ გარბოდა. იქიდან კი ღიმილით ბრუნდებოდა უკან და საყვედურსაც არასდროს ამბობდა.

ერთ მშვენიერ დღეს აკაკისთან სტუმრად მივედი. ჰოდა, გადაწყვიტეთ, ზაზასთან შეგვევლო, მაგრამ წინასწარ ხომ უნდა გეცოდნოდა, შინ დაგვხვდებოდა თუ არა? ამიტომ აკაკიმ დარეკვა გადაწყვიტა.

— ალო, ზაზა ხარ? — სერიოზული ტონით იკითხა.

— კი, რომელი ხარ? — ვერ იცნო ბიძაშვილი ზაზამ და ყველაფერი სწორედ აქედან დაიწყო.

— ვანო ვარ, — შემთხვევით ისარგე-

ბლა, სახუმარო თემა იპოვა და სრულიად სერიოზულად უპასუხა აკაკიმ ისე, რომ სინდისის ძარღვი არც შესტოკებია.

მე მუშტი მოვუღერე, ცოლოა, ნუ აწვალელებ-მეთქი, მაგრამ მაინც განაგრძო.



— ჰო, ვანო, გისმენ, რამ შეგანუხა? — გამოცოცხლდა ზაზა.

— ხვალ ჩემთან, სამსახურში მოდი, ვალი უნდა დაგიბრუნო, — სასტიკად იხუმრა აკაკიმ.

— შენ გაგიმარჯოს, როგორ მჭირდებოდა ახლა ფული?! — გულით გაიხარა ზაზამ.

— ჰო, ოღონდ, ერთი თხოვნა მაქვს, — არ ჩერდებოდა ეს მავნე.

— რა თხოვნა? — ყურები ცქვიტა ჩვენმა საერთო ბიძაშვილმა.

— რა და — სვანური მარილის რეცეპტი მინდა და იქნებ დამიწერო და როცა მოხვალ, მომიტანო.

— მაგაზე იოლი რა არის, რეცეპტსაც მოგიტან და სვანურ მარილსაც, — არაფერი ენანებოდა გახარებულ ზაზას.

აკაკი დაემშვიდობა, აბა, შენ იცი, ხვალ გელოდებიო, უთხრა და ყურმილი დაუკიდა.

2 წუთი არ იყო გასული, ზაზამ აქეთ დაგვირეკა.

— აკაკი, ხვალ ვანო ფულს მიბრუნებს და წამომყევი დილით, მართო მეზარება წასვლა, — ალაღად სთხოვა ბიძაშვილს.

— კარგი, ნამოვალ, მე და მარი ახლა შენთან ვაპირებთ სტუმრობას და სახლში დაგვხვდები?

— კი, სახლში ვარ, მოდი.

იმ საღამოს კარგად მოვილხინეთ ზაზასთან. მთელი საღამო ვყოყმანობდით, ხომ არ ვუთხრა, აკაკი გატყუებს-მეთქი, მაგრამ საბოლოოდ მაინც გაჩუმება ვამჯობინე, რადგან მეც ინტერესით ვკვდებოდი, რა მოხდებოდა მეორე დღეს.

უკან რომ ვბრუნდებოდით, ყოველი შემთხვევისთვის მაინც „ამოვიკნავლე“:

— იქნებ არ გაგვეწირა ბიძაშვილი? ცოლოა.

— რას ამბობ? აბა, წარმოიდგინე, ხვალ რომ დავადგებით ვანოს თავზე და ზაზა რომ შეახსენებს, ფული უნდა მოგეცაო... თან ბოლოს სვანური მარილის რეცეპტს რომ მისცემს, ის კაცი „ვაფშე“ გაგიფდება. ამ შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლება. იცოდე, შენ უფრო საზიზღარ რამეს გაგიჩალიჩებ, ზაზასთან რომ ჩამიშვა, — დამემუქრა და მეც გაჩუმდი.

მოკლედ, გადაწყდა, რომ ხვალ ვანოსთან მივდივართ.

დილით ზაზამ თავისი „ნივით“ გამოგვიარა ორივეს. ამ „ნივას“ კიდევ ცალკე ისტორია აქვს.

ზაზა ობლად გაზრდილი ბიჭია და ცხოვრება თავისით ააწყო. პირველი მანქანა, რომელიც იყიდა, სწორედ ეს „ნივა“ გახლდათ, მაგრამ მთელი უბედურება ის იყო, რომ მას არც მართვის მოწმობა ჰქონდა (ჩემსავით „ნაგლი“ არ იყო, რომ „უბრალოდ“ მოველო საქართველო) და არც მანქანის ტარება იცოდა. ჰოდა, ეს ცინცხალი „ნივა“ ეზოში გააჩერა. დილით 6 საათზე დგებოდა, ისაუზმებდა, ჩავიდოდა ეზოში, ჩაჯდებოდა თავისი ოცნების მანქანაში და 9 საათამდე იქ იჯდა. მერე საგულდაგულად დაკეტავდა და სამსახურში ტაქსით მიდიოდა. საღამოს, ერთგული ქმარივით, 7-ის ნახევარზე უკვე შინ იყო. ივანშემბდა და ღამის 12 საათამდე ისევ მანქანაში იჯდა ხოლმე. ასე ეფერებოდა თავის „ნივას“ და მასთან ურთიერთობის სურვილს იკლავდა, ვიდრე მართვას ისწავლიდა.

ეს დროც დადგა, ზაზამ მართვის მოწმობა აიღო და ბიძაშვილები რესტორანში წაგვიყვანა, ამ ფაქტის აღსანიშნავად. მივედით რესტორნის ეზოში, გადმოვვალადით მისი მანქანიდან 5 სვანი, ის მანქანას გარშემო უვლიდა და ხან ერთ საბურავს მიარტყამდა ფეხსაცმლის წვერს, ხან — მეორეს და თავს დანანებით აქნევდა.

— რა მოხდა? — ყველანი გარშემო შემოვხვებით.

— გაფუჭდა ჩემი მანქანა, — ისე გულდანწყვეტილმა თქვა, ღამის ავტორდით.

— რა გაუფუჭდა?

— რა და — დილით, რომ დავექო-



ქე, საბურავზე „პირელი“ ზემოთ ეწერა და ახლა ქვემოთ აწერია, — გულდათუთქულმა გაგვიმხილა.

ჩვენ ამ სიტუაციაზე მაგრად ვიხალისეთ და ბიჭებმა აუხსნეს, რომ საბურავი მრგვალია და როცა გაჩერდება, „პირელი“ სად მოხვდება, არავინ იცის.

გავიგეო, კი თქვა ზაზამ, მაგრამ ნამდვილად გაიგო თუ არა, ვერ მივხვდით.

დავუბრუნდეთ ჩვენს ამბავს.

მოვთავსდით ზაზას „ნივაში“, მე წინ, აკაკი — უკან, ზაზა ბუნებრივია, საჭესთან და გავეშურეთ ვანოსკენ. ის მშენებლობაზე, „პარაზად“ მუშაობდა.

ბევრი ვიარეთ თუ ცოტა, მივაღექით მისი „დიასლოკაციის ადგილს“ და მოვიკითხეთ.

მუშებმა ხელი მოშორებით, ერთმანეთზე დალაგებული სიმკარებისკენ გაიშვირეს და იქ ნახავთო, გვითხრეს.

ძლივს მივაგენით, სიმკარის ქვეშ მძინარე ვანოს, რომელიც წინა დღის ნაქეიფარი, საზიზღარ „პახმელიაზე“ იყო და ძლივს ჩავაგდეთ გონში.

ზაზას დანახვაზე უცებ გამოფხიზლდა და წამოდგა.

— გამარჯობა, ვანო, — გულლიად გაულიმა ზაზამ.

— გაგიმარჯო, ო, — მარჯვენა შეაგება ზაზას განვდილ მარჯვენას.

— წამო, მანქანაში ვილაპარაკოთ, — დაპატიჟა ჩემმა ბიძაშვილმა.

ისევ ისე განვლაგდით მანქანის სალონში, იმ განსხვავებით, რომ ვანო უკან, აკაკის გვერდით მოთავსდა.

— გუშინ რომ დამირეკე, იმ საქმეზე ვარ, — სარკვეში გახედა ზაზამ.

— მე? მე დაგირეკე? ჰო, დაგირეკე, მა, მართალია, დაგირეკე, — ჩათრევას ჩაყოლა ჯობიაო, გაიფიქრა კახელმა.

— მერე, მაძლევ ფულს?

— ისა, კი, გაძლემ, ოღონდ ახლა ვერა, აი... ისა... რაღაცას ველოდი და არ მომიტანე, ჩემი ვალი აქ სხვასაც, ისიც ეგრე მანვალებს და ამ დღეებში მამიტანს და მოგცემ, — ძლივს მოუყარა სათქმელს თავი.

— ჰმ, — ამოთქვა ზაზამ, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ ძალიან გაბრაზდა.

— კარგი, აი, ეს მოგიტანე, — გულის ჯიბისკენ წაიღო ხელი და ამ დროს ზურგში აკაკის მუჯღუგული ვიგრძენი, აქაოდა, ახლა მიანვდის მარილის რეცეპტს და ვანო რას იფიქრებს, ნეტავო...

მაგრამ სრულიად წარმოუდგენელი რამ მოხდა. ზაზამ გაშალა ფურცელი და ნაღდი, სვანური კილოთი დაიწყო.

— შენა, სვანური მარილის რეცეპტი რომ მთხოვე, მოგიტანე.

— მეე? — სასაცილოდ გადაატრიალა თვალები ვანომ.

— ჰო, შენ. აიღებ მარილს. ხომ აიღებ?

— კი, ავიღებ, მა რაი ვიზამ? —

მეტი რა გზა ჰქონდა, რომ არ დათანხმებოდა?

— ჩაყრი ჯამში. ხომ ჩაყრი?

— კი, კი, ჩაყერი, მა რაი, ვიზამ? — ისე საცოდავად ატრიალებდა თვალებს ვანო, შემეცოდა.

— მერე აიღებ წინაკას, ხომ აიღებ?

— ჰო, მა რაი ვიზამ? — ნირი წაუხდა. იფიქრა, ეს სვანები წინაკას ტყუილად არ ახსენებდნენ, ალბათ ჩემი გამწარება აქეთ მხედველობაში.

— დააყრი მარილზე, მერე აიღებ ქინძს...

რაოოო?! ქინძიოოო?!? გადაირია კახელი და უმწეოდ მიიხედა-მოიხედა. ძალიან იწანა, „ნივას“ უკანა კარი რომ არ ჰქონდა.

— კი, ავიღებ, მა რაი ვიზამ, — ბედს დამორჩილდა.

— ჰოდა, მაგასაც დააყრი იმ მარილზე და წინაკაზე...

და ასე ჩამოუთვალა ზაზამ სათითაოდ ყველა სუნელი, რომელიც სვანური მარილის შემადგენლობაში შედის.

ვანოც გაიძახოდა, კი, ავიღებ, კი, დავაყრი, მა რაი ვიზამო.

— ბოლოს, — ზაზა ნახევრად შემობრუნდა ვანოსკენ, — ამ ყველაფერს კარგად აურეე და ჩაყრი სანაყში.

არც „სანაყი“ მოეწონა ვანოს და უფრო გადმოკარკლა „პახმელისგან“ ჩანითლებული თვალები.



— ჰოდა, დანაყავ, დანაყავ, დანაყავ, — ზაზა მუშტად შეკრულ მარჯვენას მარცხენა ხელის გაშლილ ხელისგულზე ურტყამდა ამ დროს და დანაყვის იმიტაციას ქმნიდა. თან სიტყვებს კბილებში ცრიადა.

— კი, კი, დანაყამ, დანაყამ, აბა, რაი ვიზამ? — თავს აქანევდა ვანო და

ნატრობდა, მანქანიდან ცოცხალი გადასულიყო და ჩვენგან თავი დაეღწია.

როგორც იქნა, ზაზამ გზა გაუთავისუფლა ვანოს და მანქანიდან გადაუშვა.

ამის შემდეგ ზუსტად მესამე დღეს ვანომ ზაზას ვალი დაუბრუნა. ფულის წამოსაღებად ძველი შემადგენლობით წავედით. თანაც, ზაზა შეგვიპირდა, რომ რესტორანს იკისრებდა. ჰოდა, ვანოც თან ვიახლეთ და აკაკის ემბაკობას სწორედ მაშინ აეხადა ფარდა. ყველანი გულწინად ვიცინოდით, ზაზას გარდა. ის კარგა ხანს ჩუმად იჯდა და მერე გვკითხა:

— კი, მაგრამ მარილის რეცეპტი მაგას თუ არ უთხოვია, რაღას იძახდა, დაენაყავ, დაენაყავო?

— ეჰ ჩემო ზაზა, გაჭირვება ნუ გაჩვენოს ღმერთმა, თორემ სხვა რამესაც იტყვი, შიში მამაძალია, ჯოო.

ასე მოუტანა სარგებელი უწყინარმა ხუმრობამ ზაზას.

მაგრამ ზაზაზე რომ ბევრი ვილაპარაკე, ახლა აკაკის გული რომ არ დასწყდეს, მასზეც ვიამბობთ საინტერესო ამბავს.

აკაკი ზაფხულობით მესტიისში, ბებიასთან ჩადიოდა ხოლმე. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს კი არა და შუადღეს, ცენტრში, ბირჟაზე მყოფს ძალიან მოშივდა და გადაწყვიტა, შინ წასულიყო. იქვე, პურის საცხობში უზარმაზარი, ოთხკუთხედი, ე.წ. „ბუხანკა“ პური ცხვებოდა. 2 პური იყიდა, ილიაში ამოიჩრა და შინისკენ გასწია.

სახლში მისულს არავინ დახვდა და ეწყინა, რადგან თვითონ უნდა ეზრუნა სადილზე.

ამის შემდეგ მისი სიტყვებით დავწერ:

— გამოვალე მაცივარი და იქ მხოლოდ კვერცხი და ქილით გადამღნარი ქონი დამხვდა.

ტაფა დავდგი გაბჭურაზე და კოვზით საკმაოდ მოზრდილი ქონის მასა დავდე. რაღაც, უცნაური სუნი დადგა, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე.

15 კვერცხი ჩავახალე გაცხელებულ ცხიმში, მაგრამ მერე ვიფიქრე, რომ არ მეყოფოდა და 5 კიდევ დავამატე. დიდ თევზზე ამოვიღე შემწვარი კვერცხი და მაგიდას მივუჯექი კმაყოფილი. თევში რომ მოვასუფთავე, იქვე, ტახტზე წამოვწექი, რათა სრული სიამოვნება მიმელო, მაგრამ ცოტა ხანში მუცელი ამტკივდა. ლამის გავგიჟდი. წამოვხტი და საავადმყოფოში გავიქციე.

კიბზე რომ ავრბოდი, ნათესავი ექიმი შემხვდა.

— აკაკი, სად გარბიხარო? ექიმთანმეთქი. რა დაგემართაო? მუცელი მტკივა, თან საშინლად-მეთქი. რა ჭამეო? მკითხა შენუხებულმა. — შემწვარი კვერცხი. — რამდენი ცალიო? რამდენი და 12 ცალი-მეთქი, აბა, ის რომ მეთქვა, 20 ვჭამე და თანაც „მასტიკაში“ შემწვარი, ხომ გადაირეოდა?




ფოტო, რომელმაც წარწერა დაკარგა



ამ ფოტოსთვის შესაბამისი წარწერა
უნდა გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე:
8.77.45.68.61

ჩვეულებრივ ვერსია ჯი ასეთია:

**„ჩემს სახლში ბუზები
თავისით კვდებიან, როცა ბუზის
საკლავის ფასს იბეჭენ“**



სამყარო

რკინისკაბიანი „ინფანტა“ ანუ გუგა კოტივიშვილის შიერ გასოცლავული ქველი ნივთები

გალერეა „კობალაში“ გუგა კოტივიშვილის ნამუშევრების გამოფენა მოეწყო, სადაც წარმოდგენილი იყო ძველი და ახალი ნივთების კომბინაციით შექმნილი კომპოზიციები. ერთი შეხედვით თითქოს, გამოუსადეგარი ნივთები, ბატონი გუგას წყალობით, გამოსადეგარ ნივთებად ქცეულა, რამაც თითოეული დამთვალიერებლის გაოცება გამოიწვია.

ელენე ბასილიძე


— ბატონო გუგა, ამ გამოფენის მოსაწყობად დიდხანს ემზადებოდით?

— (ელიმება) როგორც წესი, ყველაფერს უცებ ვაკეთებ. აი, იდეებს რაც შეეხება, მათ შეიძლება, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ვამუშავე, გონებაში წინასწარ ვხატავ, თუ რა უნდა გავაკეთო. ეს ხის ნამუშევრები სულ რაღაც, 3 დღეში დავამზადე. გამოფენაზე მონაწილეობა რომ შემომთავაზეს, დავფიქრდი, სამ დღეში თუ რის გაკეთებას შევძლებდი — ნაბლის მასალა დავაძველე ისე, რომ წყალში ნაგდები ყუთის ელფერი ჰქონოდა და ამ მასალით დივანი, 2 სავარძელი გავაკეთე, აგრეთვე დავამზადე ბევრი ისეთი აქსესუარი, რომელიც მათ მოუხდებოდა. ძველ ნიგნში ვნახე ფოტოსურათი, სადაც ყურძნის მტევანი იყო გამოსახული. ეს სურათი ძალიან მომეწონა, დავასკანერე და იმ ტილოებზე გადავი-

ტანე, რომლისგანაც საბოლოოდ, ბალიშები შეიქმნა.

— პირველად როდის გაგიჩნდათ იდეა, ძველი ნივთებისათვის „სული შთაგებერთა“?

— ვიდრე ავეჯის დამზადებას დავიწყებდი, ჩანთებს ვკერავდი. თბილისის ომის პერიოდში სახლი დაგვეწვა და სწორედ მაშინ გამიჩნდა იდეა, ორიგინალური ჩანთები შემიქერა. მასალად ტყავს, ქეჩასა და ფარდაგის ნაწილებს ვიყენებდი, ხოლო თავი, რომელიც ჩანთას ზემოდან ეფარებოდა, ერთნაირი არასოდეს იყო — მათ დასამზადებლად ვიყენებდი ფარდაგებს, მაქმანებს, ბრინჯაოს ნივთებს, ძველ დეტალებს. სხვათა შორის, ერთ ჩანთას, საკეტის ნაცვლად ვიოლინოს დეტალი გავუკეთე, ჩანთის სახელურს კი ბრეზენტისგან დამზადებული ქამარი წარმოადგენდა, რომელსაც ავტომატის ჩამოსაკიდებლად იყენებდნენ. ჩემი შექმნილი ჩანთები საკმაოდ ტყვადი იყო. ის შეგეძლო გეტარებინა არა



გონებაში წინასწარ ვხატავ, თუ რა უნდა გავაკეთო

ტალი თანამედროვე ნაკეთობაშიც ჩავამატე და ძალიან ლამაზი გამოვიდა — ძველმა ნივთმა ახალ ნაკეთობას ელფერი სრულიად შეუცვალა და არაჩვეულებრივი ტანდემი გამოვიდა. ახლაც, ჩანთაში მიდევს ძველი ჩუქურთმის დეტალი, რომელიც საკომისიო მაღაზიაში მაჩუქეს და ჯერ არ ვიცი, რაში უნდა გამოვიყენო. დროთა განმავლობაში, ეს დეტალი თავად იპოვის საკუთარ ადგილს...

— მასალას მშრალ ხიდზე ყიდულობთ?

— კი, მშრალი ხიდის ბაზრობა ომის შემდეგ გაიხსნა და მას მერე იქ დავდივარ. უკვე ძალიან ბევრ ადამიანს ვიცნობ, ისინი მენდობიან და შემიძლია, რაღაცები ნისიადაც წამოვიღო (იციან).. სიმართლე გითხრათ, კომპიუტერის არაფერი გამეგება. მე თავში მაქვს კომპიუტერი, სადაც ვასკანერებ, ვალ-



ხელნაკეთი და იშვიათი ნივთი უცხოელებისათვის უფრო ღირებულია, ვიდრე — ქართველებისათვის



ეს ხის ნამუშევრები სულ რაღაც, 3 დღეში დავაშვებ

აგებ ცოდნას სხვადასხვა ფაილში და როცა საჭიროა, მასალას „ამოოყვრი“ ხოლმე (იციინის).

— გამოფენაზე სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენელი იყვნენ...

— ხის ჩარჩოები ჩემი ამოჭრილია, ერთი მათგანი — რკინის ჟანგიანი ჩარჩოა, რომელზედაც ბრინჯაოს ნიღაბია დამაგრებული. ეს ნიღაბი წლების წინ შევიძინე და მან მხოლოდ ახლა იპოვა თავისი ადგილი.

— იმ თოჯინაზე რას მეტყვი, რომელსაც ძალიან ორიგინალური რკინის კაბა აცვია?

— ტორშერზე ლაპარაკობ, არა? ეს თოჯინა, პიონერი მანეკენი იყო, რომელიც სამწუხაროდ, გადაადგეს და ბოლოს, ჩემთან აღმოჩნდა — თავისუფლების მოედანზე, ლესელიძის ქუჩის კუთხეში იყო მაღაზია, რომლის კართანაც პიონერი მანეკენები — ბიჭი და გოგონა იდგნენ; მერე, როცა ის მაღაზია დაიხურა, თოჯინები მე წამოვიღე და პიონერი გოგონა „ინფანტად“ ვაქციე, რკინის კონსტრუქციით კაბა შევუკერე, თავზე ძველი ჭალი ადგას, რომელიც ძალიან მოუხდა და ის ჭალი ანათებს კიდევ ანუ ჩემმა „ინფანტამ“ ბრის ფუნქციონირებას.



პიონერი გოგონა „ინფანტად“ ვაქციე

ციაც შეითავსა. ეს ნამუშევარი ძალიან მიყვარს.

— ეს ბალიშები და მუთაქებიც ძველი ქსოვილისგან დაამზადეთ?

— ეს არაა ძველი ქსოვილი, ესენი დუბაის 4-ლარიანი სუფრებია (იციინის).

— ინტერიერის მონაცემებზე ისევ მუშაობთ?

— კი, ახლა ერთ პეტერბურგელ ქალბატონს, რომელმაც საქართველოში გადმოსახლება გადაწყვიტა — ბინის მონაცემებში ვეხმარები.

— თქვენს გამოფენაზე მუშის ბოცებზე გადატანილი ძველი ფოტოებიც ვნახე.



აი, ეს მაგიდა, რომელიც ვარდისფერია, ღვინით შევღებე

— სრულიად უბრალო ბოცაზე ძველი ოჯახური ფოტოები გადავიტანე და ის სუვენირად ვაქციე. თუმცა, ასეთი ბოთლი ძალიან ლამაზია მაშინაც, როცა მასში ღვინო ასხია... აი, ეს მაგიდა, რომელიც ვარდისფერია, ღვინით შევღებე — ღვინის სმისას მაგიდაზე საფერავი დაგვექცა. ფერი, რომელიც ხემ მიიღო, ძალიან მომეწონა, ჰოდა, ავდექი და მთლიანად ღვინით შევღებე (ილიმება).

— რკინის შედუღებაზეც თავად მუშაობთ?

— არა, ადრე ვმუშაობდი, ახლა კი რკინის შედუღებაზე ხელოსნები მუშაობენ, რომლებსაც ესკიზს ზუსტ ზომებში ვუხატავ.

— ვიცო, თქვენი ნამუშევრები

ბით ძირითადად, უცხოელები ინტერესდებიან.

— ხელნაკეთი და იშვიათი ნივთი უცხოელებისათვის უფრო ღირებულა, ვიდრე — ქართველებისათვის, რომელნიც ძვირად ღირებულ, სერიული გამოშვების ავეჯს იძენენ. სწორად, როდესაც უცხოელი რაიმეს შექმნას მთხოვს, მე კაფეში, ხელსახოცზევე ვქმნი ესკიზს და ეს მათ აგვიყვებს! მერე, როგორც წესი, ხელსახოცზე ხელს მანერინებენ და ინახავენ. ჩემს შექმნილ უბრალო სკამში, რომელსაც გასაყიდად საფრანგეთში ვგზავნიდი, 1.200 ევროს მიხდიდნენ, საფრანგეთში კი ცხადია, მას ორმაგ ფასში ყიდდნენ, რადგან ხელნაკეთი და იშვიათი ნამუშევარი იყო. სამწუხაროდ, იმ ქართველებს, ვისაც მსგავსი ნამუშევრები მოსწონთ, ფული არა აქვთ, ხოლო ვისაც ფული აქვს, მას ხელოვნების ნიმუშები ნაკლებად აინტერესებს.

— თქვენ ნამუშევრებს საგამოფენო დარბაზიდანვე ყიდით?

— კი, მსურველებს ნამუშევრების შეძენაც შეუძლიათ. არის რამდენიმე ექსპონატი, რომლის გაყიდვასაც არ ვაპირებ. ჩემი ნამუშევრები წლების წინ, ერევანში, სერგო ფარაჯანოვის მუზეუმში იყო გაგზავნილი, მერე სამწუხაროდ, წამოღების პრობლემა შეგვექმნა და 10 წლის განმავლობაში სომხეთში ინახებოდა. შემდეგ კი, როგორც იქნა, სომხეთის ელჩის დახმარებით დავიბრუნე. სწორედ იმ ნამუშევრებს არ ვყიდი, მათ ვერ ვეღვევი.

— თქვენს სამომავლო გეგმებზე რას მეტყვი?

— ძალიან ბევრი გეგმა მაქვს. იმედია, ფინანსების მოძიებასაც შევძლებ და ქართველ დამთვალიერებელს ბევრ სიურპრიზსაც მოვუწყობ (ილიმის).



სრულიად უბრალო ბოცაზე ძველი ოჯახური ფოტოები გადავიტანე



„მაზდას“ მინივანი



ჟენევის ავტოსალონზე, რომელიც მარტის დასაწყისში გაიხსნება, კომპანია Mazda მინივენის — Mazda 5 — ახალ თაობას წარადგენს. მან-

ქანას ორი გასანევი კარი ექნება და ყურადღებას მიიქცევს Mazda-ს ადრეული კონცეპტ-ავტოების სტილში შესრულებული, გვერდებზე ორიგინალუ-

რად დაშტამპული ძარა, სრულიად ახალი დიზაინით. გარდა ამისა, Mazda 5 ახალი 2-ლიტრიანი ბენზინის მოტორით, აგრეთვე „სტოპ-სტარტის“ სისტემით იქნება აღჭურვილი, რომლის საშუალებითაც, გაჩერებისას მოტორი ავტომატურად ითიშება, ხოლო სატერფულზე ფეხის დადგმისას — ირთვება; მეორე მოტორი 1,8-ლიტრიანი აგრეგატია, რომელსაც ადრე Mazda 6-სა და Mazda 5-ზე იყენებდნენ. ახალი მინივენის სალონი ბოლო გამოშვების Mazda 3-ის სტილში იქნება შესრულებული — საჭით, ხელსაწყოების ორი „WiT“ და მართვის მულტიმედია კომპლექსის სრულიად ახალი ბლოკით.

კომპაქტ-ავტომ „ლექსუსისგან“

გამოცემა Carscoop-ს Lexus-ის კომპაქტური ავტომობილის არაოფიციალური ფოტოები ჩაუვარდა ხელში. ეს მანქანა კონცეპტ-ავტომ LF-CH-ის მოტივებზეა აგებული, რომელიც პირველად გასული წლის სექტემბერში, ფრანკფურტის მოტორშოუზე წარადგინეს. სერიულ მანქანას პროტოტიპის მსგავსი ძარას უკანა ნაწილი ექნება. მის დიზაინში ყველაზე თვალში საცემი განსხვავებული ზომისა და ფორმის უკანა ფარებია. სიახლის დებიუტი მარტში, ჟენევის ავტოსალონზე შედგება. წინასწარი ინფორმაციით, ხუთკარიან ჰენჩბეკს კლიენტებს შესთავაზებენ აგრეგატით,

რომლის ჯამური სიმძლავრე 187 ცხ.ძ. იქნება — 2,4-ლიტრიანი ძრავით, ელექტრომოტორით, უსაფეხურო

ვარიანტორითა და ნიკლო-მეტალჰიდრიდული აკუმულატორებით. ასეთივე აგრეგატი გამოყენებულია ჰიბრიდზე — Lexus HS 250 H — რომელიც გასული წლიდან ჩრდილოამერიკულ ბაზ-



კვირფასი კალამი Bugatti-ს მოყვარულთათვის

იტალიურმა კომპანიამ — Ferrari და Varese, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს ავტომობილების მწარმოებელ კორპორაცია Ferrari-სთან — Bugatti-ს შეკვეთით საწერი კალამები, სახელწოდებით Bugatti Type A დამზადა. თითოეული ასეთი საწერი კალამის ფასი 15 ათასი დოლარია. მისი სიგრძე 15 სმ-ია, ხოლო მასა — 95 გ. კალამს ალუმინისგან დამზადებული კორპუსი აქვს, რომელიც ნიკელით, 925 სინჯის ვერცხლით, პალადიუმითა და პლატინითაა დაფარული. დიზაინერთა ჩანაფიქრის შესაბამის-



ად, კალამის ფორმამ სუპერავტოს — Veyron — რადიატორის ცხური უნდა მოგვაგონოს. მას კომპანიის ემბლემაც აქვს, ხოლო კორპუსზე მოთავსებული საფირის შუშა — ამ ავტომობილის მოტორის ღია სათავსის გამომსახველია. მისი წვერი 18-კარბონი თეთრი ოქროთია დამზადებული, რომელიც როდიუმითაა დაფარული (ეს ლითონი ავტომობილების კატალიზატორებშია გამოყენებული. ის გამონაბოლქვი მავნე აირების გასანმენდი სისტემებისთვის იქმნება). ამ მომენტისთვის Bugatti-ს სავაჭრო ნიშნით გამოდის ტანსაცმელი, ჩანთები, პარფიუმერია და ავტომობილების მასშტაბური მოდელები.

არზე იყიდება. ასევე მოსალოდნელია, რომ სიახლე შიგანვის ჩვეულებრივი ძრავებითაც იქნეს ხელმისაწვდომი. კონვეიერში Lexus-ის კომპაქტური ჰეტჩბეკი 2010 წლის შემოდგომიდან გამოჩნდება და ზოგიერთი მონაცემით, მას CT ეწოდება. ავტომობილი Audi A3-სა და BMW 1-Series-ს გაუწევს კონკურენციას.





კროსოვერი Countryman

კომპანიამ — MINI — კროსოვერის — Countryman — შესახებ ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა. მანქანას ფართო საზოგადოებას მარტის დასაწყისში, ჟენევის საერთაშორისო გამოფენზე წარუდგენენ. ევროპულ ბაზარზე სიახლე 3 ბენზინის და 2 დიზელის ძრავით — 90-დან (ვერსიაზე MINI One D Countryman) 184 ცხ.ძ. სიმძლავრემდე (მოდულიზაციაზე „S“) გაიყიდება, რომლებიც სიჩქარის 6-



საფეხურიანი მექანიკური კოლოფით იმუშავებს. ბენზინის მოტორებისთვის ოპციის სახით ხელმისაწვდომი იქნება 6-საფეხურიანი ავტომატიც — Steptronic. ტოპავტომობილზე 1,6-ლიტრიანი ძრავას დამონტაჟება იგეგმება — სანავის პირდაპირი მიწოდებითა და აირის განაწილების ფაზების მართვის სისტემით. აგრეთვე, krossoveri MINI-ს სტანდარტული მოდელი სპეციალური სისტემით აღიჭურვება, რომელიც დამუხრუჭებისას ენერჯის რეკუპერაციას უზრუნველყოფს. გარდა ამისა, მანქანას ხელსაწყობების პანელზე ექნება სპეციალური ინდიკატორი, რომელიც მძღოლს სიჩქარის გადართვისთვის ოპტიმალურ დროს მიაჩინებს. MINI Cooper S Countryman-ის და MINI Cooper D Countryman-ის ავტომობილები All4-ის სრულამძრავიანი ახალი სისტემით დაკომპლექტდება. კროსოვერებს წინა ბორბლებშორისი დიფერენციალის ბლოკირების იმიტირების სისტემაც დაუმონტაჟდება. საბაზო კომპლექტაციით MINI-ს კროსოვერები ოთხადგილიანი გამოვა, მაგრამ ოპციის სახით, კლიენტებს სამადგილიანი უკანა სავარძლით დამონტაჟებული ავტომობილის შეკვეთაც შეეძლება. მანქანის საბარგულის მოცულობა, ანუული სავარძლების შემთხვევაში — 350, ხოლო დაკეცილ მდგომარეობაში 1170 ლიტრს შეადგენს. ოპციის სახით, სიახლისთვის ხელმისაწვდომი იქნება პანორამული მინის სახურავი, ადაპტური ფარები და ბორბლების დისკების — 16-დან 19 დუიამედ ზომის — ფართო არჩევანი. ევროპაში კროსოვერი მიმდინარე წელს გამოჩნდება. Countryman-ის ფასი ჯერჯერობით, უცნობია.


არაბეთის პრინსის ნაქონი უნაბირი, ქართული „გორდა“ და სამოპრების უპირფასესი კოლექცია

ეს ადამიანი იმითაც არის საინტერესო, რომ მშობლიურის გარდა, კიდევ 6 ენაზე ლაპარაკობს: რუსულად, თურქულად, სომხურად, აზერბაიჯანულად, ტაჯიკურად და უზბეკურად. ზოგიერთი ენა ბავშვობაში, თანატოლებთან ურთიერთობისას ისწავლა, ზოგი კი ხელობის შესწავლისას. 70 წლის თამაზ ჯალაღონიამ თავის დროზე ვოკალურ-ინსტრუმენტული სასწავლებელი დაამთავრა, მაგრამ პროფესიულ განათლებას მხოლოდ მეგობრებთან ქეიფისას „იყენებს.“ ამბობს, რომ განსაკუთრებით, ყარაჩოხული სიმღერები და ფოლკლორი უყვარს, მაგრამ არც ქალაქური და სუფრული მელიოდიების მიმართაა მწყრალად.

„ნამუშევრები რუსეთის მუზეუმებში გამოფენილი“

ლალი პაპასკირი

— ჩემს ბავშვობაში აბანოთუბანი „ზარის“ თამაშით იყო ცნობილი. აქ ძალიან ბევრი ეროვნების ადამიანი ცხოვრობდა, ყველაზე მეტი კი აზერბაიჯანელები და სომხები იყვნენ. ჰოდა, ამის წყალობით, აზერბაიჯანული და სომხური ენა ვისწავლე. მაშინ ამ უბანს მეიდანსა და „შიითანბაზარს“ ეძახდნენ. „შიითან“ არაბულად ეშმაკს ნიშნავს და რადგანაც აქ უამრავი ხელუკუღმართი ცხოვრობდა, ასე შეარქვეს... ამ უბანში ორი დიდი ჩაიხანა იყო, სადაც ძირითადად, აზერბაიჯანელი კაცები იკრიბებოდნენ და ჭორაობით ირთობდნენ თავს, მთელი ქალაქისა და ქვეყნის ამბებს არჩევდნენ, მათი ქალები კი მუშაობდნენ... მაშინ უცხოური ჩაი არ შემოდიოდა და მხოლოდ ქართულს მიირთმევდნენ. მას პატარა ჭიქებში ასხამდნენ, რადგან დიდ ჭიქებში მალე ცივდებოდა და გემო ეკარგებოდა. თითო კაცი დღეში რამდენიმე ლიტრ ჩაის სვამდა. ამ სასმელთან ერთად, მაგიდაზე პატარა თეფშზე დაწყობილი, კუბურებად დატეხილი შაქარიც ედოთ. იქვე დიდი დაზგა იდგა, რომელიც შაქრის დიდ კუბურებს



ბევრი ნივთებისადმი განსაკუთრებული სიყვარული მქონდა

ამტვრევდა. როცა მოშივდებოდათ, ლავაში ქაბაბს ახვევდნენ და თან, ფითსაც აყოლებდნენ.

— ფითი რა არის?
— ისინი პატარა თიხის ქოთანში სამ ნაჭერ კარტოფილს, სამ ნაჭერ ხორცსა და ბარდისმაგვარ, ყვითელ მარცვლეულსაც ყრიდნენ, შემდეგ ცხვრის ღუმის მომცრო ნაჭერსა და ერთი საშუალო ზომის ხახვს უმატებდნენ და კარგა ხანს ადუღებდნენ. სხვათა შორის, ნოყიერი კერძი გახლდათ... ჭორაობის გარდა, მათ სხვა გასართობიც ჰქონდათ — იმართებოდა თეატრალური წარმოდგენები, რომელსაც „ყარაგიოზას“ უწოდებდნენ. სანახაობას ძირითადად, თითების საშუალებით მართავდნენ და ზოგ-



პირველად ქართული „გორდა“ ხმალი ღავამზადე




დამბაჩის ტარს ძირითადად, ცხოველის რქისგან ვამზადებ

ჯერ, თბილისის უბნებში გახმაურებული ჭორ-მართლის იმპროვიზაციაც ხდებოდა.

— როგორც ვიცი, სამოვრების კოლექცია გაქვთ...

— დიას. ჩვენც გვექონდა სახლში სამოვარი, მაგრამ ჩაის ათასში ერთხელ ვადუღებდით. როცა საქართველოში რიგაში დამზადებული ავეჯი შემოვიდა, თბილისელებმა ძველი ნივთები გადაყარეს. ძვირფასი ხისგან დამზადებულ, ძველ ანტიკვარულ კარადებს, გარდერობებს ხევში დაუნანებლად ყრიდნენ და თან, ამბობდნენ, — რად გვინდა ეს ხის მაჯლაჯუნები, ბალღინჯოები უჩნდებაო. ავეჯს სამოვრები, ვერცხლის დანა-ჩანგლები და შანდლებიც მიყარულეს... რატომღაც, ძველი ნივთებისადმი განსაკუთრებული სიყვარული მქონდა და ამ „ნაგვის“ შეგროვება დავიწყე. მაშინ მეგონა, სილამაზის ალქმის სხვანაირი ნიჭი მქონდა — ის, რაც ჩემთვის ლამაზი იყო, სხვებს არაფრად მიაჩნდათ... როცა ამ სამოვრებს სახლში ვეზიდებოდი, ყველა მეკითხებოდა: რა ჯანდაბად გინდა ეს ბარახლოო? ზოგმა კი ირონიულადაც მითხრა, — გეტყობა, რომ ოჯახზე ზრუნავო. ოჯახშიც მეჩხუბებოდნენ: ეს ჯართი სად მოგაქვსო?! ერთი პერიოდი, ეს ნივთები ჩემ გარდა, არავის აინტერესებდა, მერე კი წამოვიდა „კლი-



ნივთა შეჩვევა იცის



ენტურა“ აზიის ქვეყნებიდან. ერთხელ დალესტენელი კაცი გადამეყიდა: ეს ორსართულიანი სამოვარი მომყიდე და რამდენსაც მეტყვი, გადაგიხდით...

— მაინც, რამდენს გთავაზობდათ?

— 4 ათას დოლარს. ნივთმა შეჩვევა იცის და მეც, 100 დოლარად ნაყიდი სამოვარი გასაყიდად მენანებოდა, მაგრამ რადგანაც ის კაცი ვერაფრით მოვიშორე და თანაც, არც ოჯახში გვიღებინდა, მივყიდე...

— ახლა თქვენს კოლექციაში რამდენი სამოვარია?

— 75 სამოვარი მაქვს, აქედან ზოგი განსაკუთრებულად მიყვარს და რა თანხაც უნდა შემომთავაზონ, არ გაყვიდი... ჩემს კოლექციაში ყველაზე ძველი, XV საუკუნეში დამზადებული სამოვარია, რომელიც აშხაბადიდან ჩამოვიტანე. ამ ჭურჭლის განსაკუთრებულობა ისაა, რომ 3-4 განყოფილება აქვს და მასში სამნაირი კერძის მომზადება შეიძლება. თუმცა, ძირითადად მაინც, ჩაისთვისაა განკუთვნილი.

— თუ იცით, სამოვრებს ძირითადად, რა მასალისგან ამზადებენ?

— სხვადასხვა მასალისგან მზადდება — თითბრის, მელქიორის, ფრაჟესა და სპილენძისგან. მათი მოპირკეთება კი როგორც ოქროთი, ისე ვერცხლითაც შეიძლება... რუსეთის ქალაქ ბატაშოვში, ნიკოლოზ მეფის დროს, სამოვრების ქარხნის 25 წლის იუბილეზე 10 ვერცხლის სამოვარი, რამდენიმე წლის შემდეგ კი 50 ოქროს სამოვარი გამოუშვეს... თურმე, ვერცხლის სამოვრის მილი, სადაც ნაკვერჩხალი იყრება, პლატინის უნდა იყოს, რადგანაც წყლის დუღილის დროს ვერცხლის ჭურჭელმა შესაძლოა, დეფორმაცია განიცადოს, პლატინის მილი კი ვერცხლის დნობას უშლის ხელს... ალბათ, ბევრმა აერც კი იცის, რომ ოქროს-ვერ სამოვარში რაღაც რაოდენობით, ძვირფასი ლითონიცაა გარეული...

— ახლა თუ გყავთ სამოვრის კლიენტები?

— როგორ არა! ისინი ძირითადად, ირანელები და აზერბაიჯანელები არიან; მათგან ზოგი გადაამყიდ-

ველია, ზოგიც — კოლექციონერი...

— ვიცი, რომ იარაღები ძალიან გიყვართ და მათ ამზადებთ კიდევ...

— იარაღი იმიტომ კი არ მიყვარს, რომ ვინმე მოვკლა ან საომრად წავიდე, უბრალოდ, ვიზუალურად მომწონს და ვცდილობ, საკუთარი ხელწერა დავტოვო. პირველად ქართული „გორდა“ ხმალი დავამზადე, რომელსაც სწორი პირი აქვს. ასეთ ხმლებს ხევსურები ატარებდნენ. არ მინდა, სხვა კუთხის ხალხი დაეჩაგრე, მაგრამ ხევსურები ნამდვილად, ძალიან კარგი მეომრები იყვნენ და ომის დროს რომ არ დაღლილიყვნენ, პატარა, მჩატე იარაღს ატარებდნენ... დამბაჩის ტარს ძირითადად, ცხოველის რქისგან ვამზადებ, ჩუქურთმებს კი ძვირფასი ლითონებით ვაკეთებ და სპილოს ან ზღვის ლომის ძვლით ვაფორმებ. ეს საოცრად ფაქიზი და



ახლა 10-მდე უნაგირი მაქვს

შრომატევადი სამუშაოა, მაგრამ იარაღს საოცარ ეფექტს სძენს... ძალიან მომწონს კავკასიური დამბაჩები და მათზე სიამოვნებით ვმუშაობ.

— მოსწავლეები თუ გყავთ?

— ამჯერად 6 მოსწავლე მყავს და ეს ძალიან მახარებს... ჩემს ახალგაზრდობაში ხელობის გასაიდუმლოება მიღებული იყო, ხელოსანი თავის საქმეს სხვას ასწავლიდა, რადგან ამით ოჯახს არჩენდა და მისი ხელობა სხვებსაც რომ ესწავლათ, კლიენტი მოაკლდებოდა. ამიტომაც, საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას მხოლოდ შვილებს ან შვილიშვილებს უზიარებდნენ. სხვათა შორის, ასეთი ადამიანები დღესაც არიან. ყველა ჩემს კოლეგას პატივს ვცემ, მაგრამ ეს დიდ სისულელედ და ეგოისტობად მიმაჩნია!

— თქვენი შვილი თუ არის ამ საქმით დაინტერესებული?

— არა. ერთი შვილი მყავს და მას ხელობის შესწავლის სურვილი არა აქვს, ამიტომაც სხვა „შვილებს“ ვასწავლი; შემდეგ, როცა მოკვდები, ისინი სხვებს ასწავლიან და ა.შ.



75 „სამოვარი“ მაქვს

წლების განმავლობაში 1000-ზე მეტი სხვადასხვა ნივთი მაქვს დამზადებული და მათზე საკუთარ ინიციალებს არ ვტოვებდი, მხოლოდ ახლა დავიწყე. მერჩივანა, ჩემი სახელისა და გვარის ნაცვლად, ნაკეთობაზე ვაზის ჩუქურთმა ყოფილიყო.

— უნაგირების დამზადებაც ძველი ნივთებისადმი სიყვარულმა გადაგაწყვეტინათ?

— ძალიან მიყვარს ცხენი და შემოდღია, მას როგორც ადამიანს, ისე ველაპარაკო, ვენდო. ერთი-ორჯერ ახლობლებმა უნაგირის შეკეთება მთხოვეს. ზოგი იმდენად დაკუნთული იყო, რომ შეკეთებად აღარც ღირდა და როცა მათ შექენას მთავაზობდნენ, უარს ვერ ვამბობდი, ეს ნივთები გადასაგდებად მენანებოდა. დიდი წვალების შემდეგ, ამ უნაგირებს რესტავრაცია გავუკეთე... ერთხელ, 80-იან წლებში სოხუმში, ლეკი ხელოსნისგან ვიყიდე უნაგირი, რომელიც დაშლილი გახლდათ. დროთა განმავლობაში, მისთვის საჭირო წვრილმანებს ვყიდულობ-

დი და ვაკეთებდი. ბოლოს, როგორც იქნა, ამ უნაგირზე მუშაობა დავასრულე და მისი გაყიდვა განვიზრახე. ძალიან ძვირფასი იყო და „ნაღდი

ბოდა და უზანგები ცალ მხარეს ჰქონდა. აი, ეს უნაგირი შესაკეთებლად მომიტანეს, მე კი ვიყიდურასაც აქ ხედავ, ძირითადად, სამეგრელოდანაა ჩამოტანილი, ნაწილი კი კახელი თავადი ქალების, სავარაუდოდ — ჭაჭვჭაძეების ნაქონია. სამწუხაროდ, ამ უნაგირების ისტორია არც პატრონებმა იცოდნენ... აქვე ერთ პატარა საიდუმლოს გაგიმხელთ: ჩემი ნამუშევრები რუსეთის მუზეუმებშია გამოფენილი, როგორც რუსული ხელოვნების ნიმუშები. რუსებმა იარაღები ჩემგან შეიძინეს და მერე გამომიტყდნენ: ის ნივთები მუზეუმში, ბევრად მაღალ ფასში ჩავაბარეთო... მათ ძირითადად, ჩრდილოკავკასიური ხმალი ან ხანჯალი აინტერესებდათ, დიდი მოთხოვნა იყო საპირნამლეუბზეც.

— თქვენს ნამუშევრებზე მხოლოდ ქართულ და კავკასიურ ორნამენტებს აკეთებთ?

— ოსმალური და ირანული ორნამენტებიც მომწონს, მაგრამ ძირითადად, ქართულ ორნამენტებს ვა-



ძირითადად, ქართულ ორნამენტებს ვაკეთებ

მყიდველი“ რომ გამოჩენილიყო, მილიონ დოლარადაც გავყიდდი, მაგრამ ერთი კაცის 4 ათასი დოლარი მემართა და მას მივეცი... ახლა 10-მდე უნაგირი მაქვს და მათ შორის ერთ-ერთი განსაკუთრებულად მომწონს — სპილოს ძვლითაა გაკეთებული და მის წარმომავლობაზე მხოლოდ ის ვიცი, რომ არაბეთის რომელიღაც პრინცის ნაქონია. ნაკეთობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დაახლოებით, 2 საუკუნის მაინც იქნება.

— როცა თქვენს კოლექციის ვაფაღიერებდით, უცნაური ფორმის უნაგირებიც შევნიშნე...

— ეგ მანდილოსნის უნაგირია, რომელსაც ბევრად ლამაზი და ნატიფი მორთულობა აქვს. ქალბატონი ცხენზე გვერდიდან ჯდე-

კეთებ. ეს საქმე ჩემი ცხოვრების აზრია და მინდა, მისი ყველა დეტალი და შტრიხი ხალხს შევუჩინო. მზად ვარ, ეს ხელობა ყველას ვასწავლო, თანაც — უსასყიდლოდ.



ახლა 10-მდე უნაგირი მაქვს



მერჩივანა, ჩემი სახელისა და გვარის ნაცვლად, ნაკეთობაზე ვაზის ჩუქურთმა ყოფილიყო



იგრუნეთ სილამაზებზე ძილის წინ

დაძინებამდე, შხაპის მიღების შემდეგ, 15 წუთი საკუთარ თავზე ზრუნვას დაუთმეთ. თუ ყველაფერს ისე გააკეთებთ, როგორც სპეციალისტები გირჩევენ, დილაობით კიდევ უფრო მომხიბლავი გაიღვიძებთ.

სახე: გამწმენდი ლოსიონით ცხვირის წვერიდან საფეთქლებისკენ მსუბუქი მასაჟი გაიკეთეთ. შემდეგ სახე თბილი წყლით ჩამოიბანეთ და სახესა და ყელზე დამატენიანებელი კრემი წაისვით.

თვალები: ასაკის მატებასთან ერთად, თვალების ირგვლივ წვრილ-წვრილი ნაოჭები ჩნდება. ნაზი კანის სიგლუვის შესანარჩუნებლად, ქუთუთოებისთვის სპეციალური, ანტიმუანგავების შემცველი კრემი გამოიყენეთ.

ტუჩები: გამომშრალი კანი ასაქერ-ცლი კრემების დახმარებით მოიშორეთ და მკვებავი ბალზამი სქლად წაისვით. დილით თქვენი ტუჩები ვარდის ფურცელივით ნაზი და ხავერდოვანი იქნება.

სხეული: მსუბუქი მოძრაობით სუფთა სხეულზე დამატენიანებელი ლოსიონი შეიზილეთ.

ფეხები და ხელები: ფეხისგულეებში ბალახების ექსტრაქტზე დამზადებული, დალილობის მოსასხნელი ფეხის საცხი შეიზილეთ და ბამბის წინდები ჩაიცვით. ხელეზე ხელის კრემი წაისვით და ნაზად ისრისეთ — ვიდრე მთლიანად არ შეწოვება..

თმა: ნატურალური ჯაგრისით ყველა მიმართულებით გულმოდგინედ ივარცხნეთ. ამით სისხლის მიმოქცე-



ვა გაგიუმჯობესდებათ. თუ ღამით თმა გეწნებათ, ატლასის ბალიშისპირი შეიძინეთ.

ძილი: თუ სახის შემუშებისკენ გაქვთ მიდრეკილება, დაძინებამდე ერთი საათით ადრე ნურაფერს დალევთ. თუ ეს პრობლემა არ განუხებთ, ძილის წინ ერთი ფინჯანი გვირილის ან პიტნის ჩაი მიირთვიეთ.

ზოგადად კი კარგი იქნება, თუ გაითვალისწინებთ, რომ მომხიბლავი გარეგნობის შესანარჩუნებლად, პირველ რიგში, ნერვული სისტემის მოწესრიგებაა საჭირო. ეცადეთ, არასოდეს დაკარგოთ ნონასწორობა, ნებისმიერ სიტუაციაში შეინარჩუნოთ სიმშვიდე, შეძლებისდაგვარად აუღელვებლად შეხვდეთ სხვადასხვაგვარ უსიამოვნებას... ამ ყველაფერს იოლად მიიღწევთ, თუკი სიტუაციის საღად შე-

ფასებასა და გარშემო მყოფებთან ნორმალური, ცივილიზებული ურთიერთობის დამყარებას ისწავლით.

კარგი გარეგნობის შესანარჩუნებლად ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნორმალურ ძილს. სასურველია, ადრე დაიძინოთ და შესაბამისად, დილითაც ადრე ადგეთ; რაც შეიძლება, მეტი დრო გაატარეთ სუფთა ჰაერზე; ხშირად გაანიავეთ ბინა, განსაკუთრებით — საძინებელი ოთახი. საწოლ ოთახში ტემპერატურა 17 გრადუსს არ უნდა აღემატებოდეს. ნუ დაიძინებთ ზედმეტად რბილ ბალიშსა და ლეიბზე; ყოველდღიურად, ჭამამდე, ცოტაოდენი ივარჯიშეთ — ისე, რომ არ გადაიღალლოთ; მკაცრად დაიცავით პირადი ჰიგიენა; ჩაიცვით ყოველთვის ამინდის შესაბამისად; იკვებეთ ერთსა და იმავე დროს, თანაც ისე, რომ კუჭი არ გადაიტვირთოს — ადექით სუფრიდან მანამ, ვიდრე დანაყრდებოდეთ.

სორსი ტომატის ბარნირით

მასალად საჭიროა:

- 1 კგ ხბოს ხორცი;
 - 2 ს/კ ტომატის პასტა;
 - 4 თავი ხახვი;
 - 2 ს/კ ფქვილი;
- ზეთი — რამდენიც დასჭირდება; მარილი — გემოვნების მიხედვით.



ბრტყლად გაჭრილი ხბოს ხორცი ჩავდეთ ზეთიან ღრმა ტაფაში ისე, რომ სანახევროდ ფარავდეს და შევწვათ. გავაკეთოთ ტომატის სოუსი: ცალკე მოვშუშოთ ხახვი ტომატის პასტაში და დავუმატოთ მოშუშული ფქვილი, დავუმატოთ წვრილად დაჭრილი ოსრახში და მარილი. დავჭრათ ხორცი სასურველი ფორმის ნაჭრებად, დავანყოთ თევზზე და გვერდით გარნირად დავასხათ მომზადებული ტომატის სოუსი.

ფლავი კარტოფილითა და კვარსხით

მასალად საჭიროა:

- 500 გ ბრინჯი;
- 4 ცალი კარტოფილი;
- 3 სუფრის კოვზე ცხიმი;
- 4 ცალი კვერცხი.

მომზადების წესი:

ბრინჯი მოხარშეთ ჩვეულებრივი წესით, გადაიტანთ თუშვალანგზე და გადაავლეთ წყალი. შეაზავეთ მარილითა და ცხიმით.

ქვების ძირზე დაანყვეთ გათლილი და რგოლებად დაჭრილი კარტოფილი, დააყარეთ მომზადებული ბრინჯი, დაახურეთ თავსახური და შედგით ცეცხლზე. თავსახური ხშირად მოხადეთ, მასზე წარმოქმნილი წვეთების გადასაწურად. როდესაც ზედმეტი სითხე აღარ წარმოიქმნება, თანაბარ ფენად დაასხით ათქვეფილი კვერცხი და ისევ დაახურეთ თავსახური. 3-5 წუთის შემდეგ კერძი მზად იქნება.





გვირილის რეცეპტები

ნილაზი (გხოლოდ ქერა)

თიხისთვის:

აადუღეთ 2 ჩაის კოვზი გვირილა 200 მლ წყალში, დაუმატეთ 1 ჩაის კოვზი თაფლი, ოდნავ შეაგრილეთ და შეიზილეთ თმაში. თავზე შემოიხვიეთ ცელოფანის პარკი და შემდეგ პირსახოცი. დაიტოვეთ 1 საათი, შემდეგ ჩამოიბანეთ.

წონის დასაკლება:

დღეში 2-ჯერ, დილა-სალამოს დალიეთ თითო ჭიქა გვირილის ნაყენი (1 ჩ/კ 1 ჩ/ჭ წყალზე). გვირილა ძალიან კარგი საშუალებაა ორგანიზმიდან წიდების გამოსაღვენად და არეგულირებს ნაწლავების მუშაობას.



სახის კანისთვის:

დილა-სალამოს სახე და ყელი ჩამოიბანეთ გვირილის ნაყენით, ეს ბევრად უფრო ეფექტიანია, ვიდრე — სახის რძე ან გელი. გვირილის მოხმარების შედეგად კანი უფრო რბილი და ელასტიკური ხდება, სახე ბუნებრივ ფერს იღებს და სახეზე გამოჩენილი ყარიც ქრება.

თვალბაგის სინითლის დროს:

აადუღეთ გვირილა (1 ჩ/კ 1 ჩ/ჭ წყალზე), ჩაალბეთ შიგნით საფენი (ბამბა ან მარლა) და დაიდეთ თვალბაგზე 10-15 წუთით. სინითლე ქრება თვალბაგიდან და ხსნის თვალის დაძაბულობას.

**რუბრიკა მოამზადა
ქვა გუნთაიშვილმა**

სურვილის ამსრულებელი და სულის წამრთმევი ლაბირინთი



ლაბირინთებზე ამოუცნობი ნაგებობა დედამიწაზე არ არსებობს. მასში მოხვედრილი ადამიანი ორიენტაციას კარგავს და პანიკაში ვარდება. ჩვენამდე მოღწეული, უძველეს კლდეზე ამოკვეთილი ლაბირინთი სარდინიაზე მდებარეობს. ესპანეთში აღმოჩენილი ლაბირინთი ჩვ.წ.აღმდე 2000 წელსაა შექმნილი, ხოლო საბერძნეთის ქალაქ ფილოსში თიხის ფირფიტებზე დახაზული ლაბირინთები დაახლოებით, 3 ათასი წლისაა.

კლასიკური ლაბირინთი ცენტრიდან 7 ხაზითაა შემოსაზღვრული და მასში შედარებით ადვილად გადაადგილდებით, მაგრამ საოცრად დამაბნეველია ინგლისური „მეიზამი“, რომელშიც რამდენიმე შესასვლელ-გასასვლელი, მიხვეულ-მოხვეული რგოლები და ჩიხებია.

უნიკალურია კაიროსთან, ტბა ბირკეტკა-რუნის მახლობლად აღმოჩენილი ლაბირინთი. იგი დაახლოებით, ჩვენს ერამდე 2300 წელს უნდა იყოს აგებული. ლაბირინთის საერთო ფართი 70 ათასი კვადრატული მეტრია. მას უამრავი მინისქვეშა გვირაბი და დარბაზი აქვს. მნახველებს მინისქვეშა ლაბირინთების დათვალიერების უფლება არა აქვთ, რადგანაც იქ ფარაონებისა და ეგვიპტის წმინდა ცხოველის — ნიანგის სამარხებია. შესასვლელს წარწერაც ახლავს: „სიგიჟე ან სიკვდილი — აი, რას იპოვის აქ სუსტი და მანკერი; ძლიერი და კეთილი კი აქ სიცოცხლესა და უკვდავებას პოუვებს“. ძველად, ღმერთ სებეკის — უზარმაზარი ნიანგის პატივსაცემად იქ სარიტუალო მსხვერპლშენიერვა (მას ხშირად, ადამიანებსაც სწირავდნენ) ტარდებოდა. ძველი მანუსკრიპტების თანახმად, ლაბირინთში 30-მეტრიანი ნიანგები ბინადრობდნენ.

ყველაზე ცნობილი, მინოსის ლაბირინთი კუნძულ კრეტაზე მდებარეობდა. იგი 1900 წელს, ინგლისელმა არ-

ქელოგმა ევანსმა აღმოაჩინა. ლეგენდის თანახმად, იქ მინოტავრი — ადამიანისთავიანი ხარი ბინადრობდა, რომელსაც თვეში ერთხელ, 7 გოგოსა და 7 ვაჟს სწირავდნენ. ლაბირინთები პომპეიში (ქალაქი, რომელიც ჩვ.წ.აღმდე 79 წელს ვულკან ვეზუვის ამოფრქვევამ გაანადგურა), ცენტრალურ ინდოეთში, ესპანეთში, საფრანგეთში, სკანდინავიის ქვეყნებსა (შვედეთში 300, ნორვეგიაში — 20, ფინეთში —141, დანიაში — 31) და სუმატრაზეც (კუნძული ინდონეზიის დასავლეთით) არსებობდა. ძველ რომში პატარა ბიჭებს ლაბირინთში ტოვებდნენ და თუ გადარჩებოდა, მეომრად აკურთხებდნენ. ინდიელები და პაკისტანელები ლაბირინთისგამოსახულებიან ნივთებს ავითვალისგან დასაცავად ატარებდნენ. ინდოელებს სწამდათ, რომ ადამიანს, რომელიც ლაბირინთს ააგებდა, სანუკვარი ოცნება აუსრულდებოდა, მაგრამ სანაცვლოდ, 7 წლის სიცოცხლე წაერთმეოდა.

ლაბირინთთან დაკავშირებული უამრავი ცრურწმენა არსებობს: * მგზავრობისას ყველა უბედურებას თავიდან აიცილებთ, თუ ხელისგულზე ლაბირინთს დაიხატავთ; * ლაბირინთში შესვლისას ბოროტი სულები რომ დააბნოთ, თანამგზავრის ტანისამოსი ჩაიცვით — ამ ნაგებობიდან ადვილად გამოვალთ, თუ ტანისამოსს სხვას გაუცვლით; * ლაბირინთსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ფოტოსურათის გადაღება არასასურველია, რადგან შესაძლოა, შესხიერებასა და მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები შეგექმნათ;

* თუ ლაბირინთის ცენტრში სურვილს ჩაიფიქრებთ და სამშვიდობოზე იოლად გამოვალთ, ნატვრა აგისრულდებათ;

* ლაბირინთში შესვლა 7 წლამდე ასაკის ბავშვებისა და 70 წელს გადაცილებული ადამიანებისთვის არ შეიძლება — შესაძლოა, ლაბირინთმა მათი სულები მიითვისოს. ■





მურსის ტომის „სამშვენიანი“

ეთიოპიაში მცხოვრები მურსები ყველაზე უჩვეულო ტომის წარმომადგენლებად მიიჩნევიან. მამაკაცები „კალაშნიკოვის“ ტიპის ავტომატებით დადიან, ხოლო ის, ვისაც ავტომატი არა აქვს, ჯოხითაა შეიარაღებული. მამაკაცები სმას დილიდან იწყებენ და ამიტომაც, შუადღისთვის საქმეების გარჩევა და ჩხუბი ხშირია. ქალები, მამაკაცების მსგავსად, ტანდაბლები, ძვალმსხვილები, ფეხებდაგრეხილები და მოხრილები არიან, მუცელგამობერილები დადიან; თმა თითქმის არ ეზრდებათ, რის გამოც, მუდმივად თავსაბურავს ატარებენ. დაბალი კისრის, გაბერილი ნესტოებისა და ღრმად ჩამჯდარი თვალების გამო, მურსებს ყოველთვის საშიში გამოხედვა აქვთ. სახის „სამშვენიანი“, რომელსაც ტომის ყველა გოგონას უკეთებენ, სხვა ველური ადამიანებისთვისაც კი მიუღებელია — გოგონებს ბავშვობაში ქვედა ტუჩს უხვრეტენ და მასში ხის საცობებს უდებენ (ასეთ საცობებს ხანდახან, ყურის ბიბილოებშიც უკეთებენ), დროთა განმავლობაში ნახვრეტი იზრ-

დება და ქორნილის დღეს, ქვედა ტუჩში გამომწვარი თიხის თევზს — დების უდგამენ, რომლის დიამეტრმა შესაძლოა, 30 სმ-საც კი გადააჭარბოს (სხვათა შორის, ძველად ასეთ თევზს ბრაზილიაში, ამაზონის ტომის სუიას ქალებიც ატარებდნენ). ტუჩის გახვრეტას თავისი ისტორია აქვს: როცა მურსის ტომის ადამიანებს მონებად გაყიდვა დაუპირეს, მათ საკუთარი თავისა და სხეულის დამახინჯება გადაწყვიტეს. დღეს კი დები სილამაზის ეტალონად მიიჩნევა და რაც უფრო დიდი ნახვრეტი აქვს გოგონას ტუჩზე, სასიძო მით მეტ საქონელს აჩუქებს მის მშობლებს. გოგონა, რომელიც დების ატარებს, წინა კბილებს იხერხავს, რათა ჭამისას თევზზე კბილების კაკუნმა არ შეაწუხოს. დების გარდა, მურსელი ქალები უჩვეულო ყელსაბამსაც ატარებენ — ღირსეულ მანდილოსანს ყელსაბამში თითის 28-ფრჩხილიანი ფალანგა აქვს აცმული. განსაკუთრებული ბრწყინვალეების მისანიჭებლად, სამშვენიის საქონლის (ხანდახან კი ადამიანისავე) ქონით ამუშავებენ.



ტომის წარმომადგენლებში განსაკუთრებულ სიამაყეს წარმოადგენს კანქვეშ პატარა-პატარა ამოზრცული ორნამენტები. ამისთვის კანს იჭრიან და სხვადასხვა მწერების მატლებს იდებენ. დროთა განმავლობაში მატლი კანქვეშე კვდება და ამოზრცულ ფორმას ტოვებს. აღსანიშნავია ისიც, რომ მურსის ტომში ქურდობაში შემჩნეულ ადამიანს ხელს მაჯაში აჭრიან. ■

ძველი ეგვიპტელების თვითმფრინავი



ძველი ცივილიზაცია ყოველთვის ინვევდა ინტერესს, მაგრამ ცოტა ხნის წინ ეგვიპტემ კვლავ მიიპყრო მეცნიერების ყურადღება. ერთმა არაბულმა გაზეთმა გამოაქვეყნა აბიდოსის ტაძრის კედლის ფრაგმენტი, სადაც იეროგლიფებთან ერთად ვერტმფრენის (იეროგლიფები სამხედრო ვერტმფრენსა და ბომბდამშენს ჰგავს) გამოსახულებაა. მეცნიერების ვარაუდით, აბიდოსის ტაძარი 3,5 ათასი წლის წინ, ეგვიპტელებმა 5 ქურუმისთვის ააგეს. პირველად კედლის ფრაგმენტებს 1848 წელს მიაკვლიეს, მაგრამ მაშინ თვით-



მფრინავებზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ და ეს აღმოჩენა მივიწყებას მიეცა, დღეს კი უამრავი მეცნიერი სწავლობს „აბოდოსის იეროგლიფს“ და მის გარშემო უამრავი ვერსიაც არსებობს. ისტორიკოს უილიამ დეიჩის აზრით, ძველი ეგვიპტელები ზეგანათლებულები იყვნენ და საფრენი აპარატის შექმნაც შეეძლოთ. თანაც, ერთ-ერთ მითში წერია, რომ ეგვიპტის ფარაონი ტუტანხამონი 3300 ათასი წლის წინ, ავიაკატასტროფაში დაიღუპა, სხვა სამეფო ოჯახის წევრებს კი ისეთი მოტეხილობები და ჭრილობები ჰქონდათ, თითქოს, საფრენი აპარატიდან ჩამოცვივდნენო. არქეოლოგიური გათხრებისას ასეთივე მფრინავი აპარატების გამოსახულებას მიაგნეს პაკისტანში და აღდგომის კუნძულზე, ხოლო ტიბეტში, ძველი ინდურ მანუსკრიპტზე დაწვრილებითაა აღწერილი საფრენი აპარატის სქემა. არანაკლებ საინტერესოა ეს-პანეთის ქალაქ სალამანკას ტაძარში აღმოჩენილი ფრესკა, რომელზეც კოსმონავტიკა გამოსახული. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ტაძარი მასონებმა ააგეს, მათვე იცოდნენ კოსმოსში გაფრენის ხერხი და მოგვიანებით, ეს ცოდნა შთამომავლებს გაუზიარეს. ■



რატომ არის მართლმადიდებლობა ერთადერთი ჭეშმარიტი სარწმუნოება

როგორც მამები ბრძანებენ, ამა თუ იმ საერო საკითხზე შესაძლოა, არსებობდეს რამდენიმე ჭეშმარიტი შეხედულება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება არსებობდეს რამდენიმე ჭეშმარიტი სარწმუნოება — ჭეშმარიტი სარწმუნოება არის ერთადერთი და ეს არის მართლმადიდებლობა.

შორენა ბერაძე

არქიმანდრიტი მაკარი (აბესაძე):

— ტერმინს — „მართლმადიდებელი“ ბერძნული სიტყვის — „ორთოდოქსის“ (სწორი დიდება) შესაბამისად ვიყენებთ, რათა გამოვხატოთ, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანები, ღმერთის მართლად მადიდებლები ვართ. ეს ტერმინი მას შემდეგ გაჩნდა, რაც ქრისტიანობაში სხვადასხვა მიმდინარეობა და მწვალებლობა გაჩნდა; სწორედ მათგან გამოსარჩევად უწოდეს ჭეშმარიტი ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევრებმა თავიანთ სარწმუნოებას მართლმადიდებლური.

— რატომ არის მართლმადიდებლობა ერთადერთი ჭეშმარიტი სარწმუნოება? ვიცით, რომ მრავალი არამართლმადიდებლური სარწმუნოებრივი მიმდინარეობა არსებობს და ისინიც ამტკიცებენ, რომ სწორედ მათი სარწმუნოებაა ჭეშმარიტი...

— მართლმადიდებლობა თავისი არსით სამყაროს შექმნის დღიდანვე არსებობს. პირველი მართლმადიდებლები უფლის ანგელოზები არიან, რომლებიც სამყაროს შექმნის დღიდან ღმერთს მართლად, სწორად ადიდებენ... თუ დაუკვირდებით, ქრისტიანულ მიმდინარეობებს შორის მხოლოდ მართლმადიდებლობას აქვს შემონახული ის ტრადიციები, რომლებიც უფლის მოციქულთაგან მომდინარეობს. მოციქულთა ხანიდან მოყოლებული, მას არავითარი ცვლილება არ შეუტანია არათუ სწავლებაში, გარეგნულ გამოხატულებაშიც კი. ყველა სხვა ქრისტიანული მიმდინარეობა აღიარებს, რომ მათ შეიტანეს ცვლილებები სარწმუნოებაში, მართლმადიდებლები კი დარჩნენ იმ სწავლა-მოძღვრების ერთგულნი, რომელიც ეყრდნობა „წმინდა წერილს“, მომდინარეობს მოციქულთაგან და მოცემულია თვით უფალ იესო ქრისტეს მიერ; ვერ უარყოფენ იმას, რომ მართლმადიდებლები არიან პირდაპირი გამგრძელებლები ღვთის სწავლებისა, უფლისგან განსწავლული მოციქულებისა, მაგრამ ამავე დროს მიიჩნევენ, რომ თავადაც მართლები



არიან. ნებისმიერი სექტა ყალიბდებოდა რალაც ახლის შემოტანით და არა ძველის დაცვის მიზნით, მართლმადიდებლობა კი ყოველთვის იცავდა ძველს და ყოველგვარ ახალ შემოტანილ სწავლებას ეწინააღმდეგებოდა.

ახლა განვმარტოთ, თუ რატომ არის თავად ქრისტიანობა ჭეშმარიტი სარწმუნოება ყველა სარწმუნოებას და რელიგიურ მიმდინარეობას შორის. მაგალითად, ავიღოთ ჭეშმარიტი იუდაიზმი. ძველი აღთქმა პირდაპირ მაცხოვრის მოსვლას ქადაგებდა. წმინდა მამებს აუარებელი ნაშრომი აქვთ იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მეტყველებს წმინდა წერილი მაცხოვრის მოსვლას და სწორედ იესო ქრისტე იყო ის მსხნელი, რომელსაც ძველი აღთქმა მოელოდა, ამიტომ იუდეველობა ანუ იუდეური სარწმუნოება ღვთის მართლად დიდების — მართლმადიდებლობის შემადგენელი ნაწილია, ოღონდ ლაპარაკია ჭეშმარიტ იუდეველობაზე, რომელიც აბრაამს, ისაკსა და ძველი აღთქმის მართლებს ჰქონდათ. ის სარწმუნოება არის მართლმადიდებლობა, ღმერთის მართლად, სწორად დიდება — იმ სარწმუნოებაში მოვიდა უფალი და არ შეიძლება ჭეშმარიტი იუდაიზმი მართლმადიდებლობის შემადგენელ ნაწილად არ მივიჩნიოთ, მაგრამ

დღევანდელი იუდაიზმი თავად არის გადახვეული ჭეშმარიტებიდან და შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ის არის ერთ-ერთი ჭეშმარიტი სექტა ქრისტიანული სარწმუნოებისა, როგორც ნებისმიერი სხვა მწვალებლური მიმდინარეობა, რომლებიც ქრისტიანობაში წარმოიშვა, ოღონდ, მათგან განსხვავებით, ქრისტეს არ აღიარებენ.

რაც შეეხება სხვა რელიგიურ მიმდინარეობებს, მსოფლიოში არსებული არც ერთი რელიგიური მიმდინარეობის დამფუძნებელი თავის თავზე არ ამბობდა, რომ ის იყო წინასწარმეტყველი; ერთადერთი, ვინც ამბობდა, რომ ღმერთი გახლდათ — მაცხოვარია და სწორედ მის სწავლებაზე დაფუძნებული მართლმადიდებლური სარწმუნოება. სახარებიდან ის ადგილი გავისხენოთ, როდესაც მაცხოვარი იუდეველებს ეუბნება: — რატომ მდევნით, იმის გამო, რომ კეთილ საქმეს ვიქმო? — არა, — მიუგებენ იუდეველები, — იმის გამო გდევნით, რომ კაცი ხარ და ღმერთად გიყოფიეს თავიო. უფალი ეუბნება მათ, — მე არ ვამბობ, რომ ღმერთი ვარ, არამედ ღვთისგან ვარ წარმოგზავნილიო...

აღმოსავლურ რელიგიებშიც არის გვიანდელი სექტანტიური სახეები, რომლებიც ქრისტეს აღიარებს. ვიცით, რომ მუსლიმანობაც აღიარებს ქრისტეს, ოღონდ, როგორც წინასწარმეტყველს. ვერც ერთი სარწმუნოება, რომელსაც შეეხება ჰქონია ქრისტიანობასთან, გვერდს ვერ უფლის იმას, რომ ქრისტე იყო უდიდესი, მაგრამ ჭეშმარიტი ქრისტიანობა კატეგორიულად უარყოფს ყვე-





ლას, რადგან სიცრუეს ადვილად შეუძლია მიიღოს ჭეშმარიტება, მაგრამ თუ ჭეშმარიტება შეიერთებს სიცრუეს, თუნდაც მცირე დოზით, ის უკვე ჭეშმარიტება აღარ არის.

მართლმადიდებლური სარწმუნოების ჭეშმარიტებას ადასტურებს ხილულად აღსრულებული სასწაულებიც, რომლებიც განუწყვეტილად მგორდება. ავიღოთ თუნდაც, მაცხოვრის საფლავზე გადმოსული ღვთაებრივი ცეცხლი, რომელიც ყოველწლიურად, მართლმადიდებლური აღდგომის დღესასწაულზე აღესრულება. ასევე, ყველა სარწმუნოებაში აღესრულება წყლის კურთხევა, მაგრამ უხრწნელობას მხოლოდ მართლმადიდებლური წესით ნაკურთხი წყალი ინარჩუნებს და ა.შ. ასეთი ხილული ნიშნები არც ერთ სხვა სარწმუნოებას არა აქვს.

ამასთანავე, მართლმადიდებლობა ერთადერთი რელიგიაა, რომელიც შეინახა რეალურად რელიგიური მიმდინარეობის მიმდევარ ადამიანს — არა მათ სწავლებას, არამედ თვით ადამიანს. ამის არაერთი მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ: პირველმონაშე სტეფანემ, როდესაც მას ჭეშმარიტი სარწმუნოების ქადაგებისთვის ქოლავდნენ, კი არ დაგმო ის ადამიანები, რომლებიც მისი სახით თავად ჭეშმარიტი სარწმუნოების წინააღმდეგ იბრძოდნენ, არამედ თქვა: უფალო შეუნიდე, რამეთუ არ იციან, რას სჩადიანო.

— **საინტერესოა, როგორ შეიძლება დავრწმუნდეთ არამართლმადიდებლურ მიმდინარეობათა ცდომილებაში?**

— ძველად არსებობდა ოქროს სასინჯი ქვა, რომლითაც ამოწმებდნენ, ოქრო ხალასი იყო თუ არა. ასეთივე სასინჯი ქვაა მართლმადიდებლობაც, ამიტომ ყველა რელიგიური მიმდინარეობა — როგორც ქრისტიანული, ასევე არაქრისტიანული სარწმუნოება და მათი სწავლამოდღვრება უნდა შევადაროთ მართლმადიდებლურს, რომელიც მთლიანად ეყრდნობა „წმინდა წერილს“ და უცვლელად მისდევს მოციქულთა მიერ ნაქადაგებ სწავლებას. მართლაც, ნებისმიერი არამართლმადიდებლური სარწმუნოების სწავლა-მოდღვრება რომ ავიღოთ, ვნახავთ, რომ არც ერთი მათგანის სწავლა-მოდღვრება არ იღებს სათავეს სულიწმინდის მაღლით განბრძნობილი მოციქულთა ქადაგებიდან; თითოეული მათგანისთვის არსებობს დრო, როდესაც მათი სწავლება დაიწყო და არსებობს პიროვნება ანუ ცრუმოდღვარი, რომლის მიერ მოგონილ სწავლებასაც იზიარებენ, თუმცა თითოეული ასეთი ცრუმოდღვარი ამტ-

კიცებდა, რომ ამა თუ იმ სარწმუნოებრივი საკითხის მათეული განმარტება, რის გამოც ჭეშმარიტი სარწმუნოებას გამოეყენენ, საღმრთო გამოცხადებას ეყრდნობა.

— **საინტერესოა, არის თუ არა არამართლმადიდებლურ მიმდინარეობებში რაიმე ღვთისგან მომდინარე?**

— როგორც წმინდა მამები ბრძანებენ, ჭეშმარიტება გარკვეული დოზით ნებისმიერ რელიგიურ მიმდინარეობაში არსებობს, მაგრამ სრული ჭეშმარიტება მხოლოდ მართლმადიდებლურ სარწმუნოებაშია. ის ჭეშმარიტება, რომელსაც ამა თუ იმ დოზით აღიარებენ, იმისთვის სჭირდებათ, რომ თავიანთი სარწმუნოებრივი ცდომილებები ანუ ეშმაკისგან შთაგონებული ცრუსწავლებები ჭეშმარიტებად გასაადონ. სულისთვის დამღუპველია სულ მცირე სიცრუეც — რაც უფრო მცირე დოზითაა სიცრუე ჭეშმართებაში, ის გაცილებით საშიშია,



ნიას ერთ-ერთ ქადაგებაში მოჰყავს ასეთი შედარება: თუ იმპერატორის მიერ გამართულ წვეულებაზე ერთ-ერთი სტუმარი აღმოაჩენს, რომ შიშველია, მაშინვე გაიქცევა დარბაზიდან და რამდენსაც უნდა ევედრონ, უკან აღარ დაბრუნდება — ამას ამჯობინებს კლდეებსა და ღრეებში, გამოქვაბულს შეაფაროს თავი, თუნდაც — ყინვაში. მართალია, ეს მისთვის საშინელება იქნება, მაგრამ უფრო დიდი სატანჯველი განათებულ დარბაზში დაბრუნება იქნებოდა. ასევე

მართლმადიდებლობა ერთადერთი რელიგიაა, რომელიც შეიწყნარებს ყველა რელიგიური მიმდინარეობის მიმდევარ ადამიანს

რადგან ასეთი სწავლებით ადამიანები გაცილებით იოლად ტყუვდებიან.

— **როგორც წმინდა მამები ბრძანებენ, მართლმადიდებლობა ერთადერთი მაცხოვრებელი რელიგიაა. რა არის მიზეზი არამართლმადიდებელთა ვერცხონებისა?**

— მიზეზი მათი ვერცხონებისა ურწმუნოებაა. სახარებიდან ვიცით: როდესაც უფალმა მოციქულები ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში წარგზავნა, საქადაგებლად ადამიანთა ქრისტიანულ სახულზე მოქცევა და მონათვლა დაავალა, ამცნო: „რომელსაც ჰრწმუნეს და ნათელიდოს ცხონდეს და, რომელსა არა ჰრწმუნეს, დაისაჯოს“. აქედან ჩანს, რომ ვინც არ ირწმუნებს და მართლმადიდებლური წესით არ მოინათლება, სულის ცხოვნებას ვერ მოიპოვებს თავისი ურწმუნოების გამო და არა იმიტომ, რომ უფალს სურს მისი დასჯა. წმინდა ალექსი შუშა-

დაიტანჯება ყველა, ვინც უფლის წინაშე წარდგომისას საკუთარ თავს სულიერად შიშველს შეიცნობს, თავისი ურწმუნობისა და არასწორი ქმედებების გამო. ამავდროულად, მისთვის სასუფეველში დარჩენა უფრო დიდი სატანჯველი იქნება, ვიდრე ჯოჯოხეთში ყოფნა.

უფალს ყველა ადამიანის ცხონება სურს, თითოეული ჩვენგანი ცხონებისთვისაა შექმნილი, მაგრამ თუ თავად ადამიანი საკუთარი თავისუფალი ნებით არ იბრუნებს ხსნისთვის, მას ცხონების გზაზე უფალი ძალით ვერ დააყენებს, რადგან არ ერევა ადამიანის თავისუფალ ნებაში. თავისი ჯვარცმითა და მკვდრეთით აღდგომით უფალმა აბსოლუტურად ყველა ადამიანი გამოიხსნა, მაგრამ თუ ვიღაც ვერ ცხონდება, ეს მისივე ბრალი იქნება ე.ი. მან არ გაიარა ცხონების გზაზე, რომელიც უფალმა მისცა.



ინფორმაციულ-ჟეოგრაფიული კოლაჟი

ეოსი ღვალის უბის წიგნაკრები:

1. მაიკლ ფარადეი მჭედლის ოჯახში დაიბადა.
2. ივანე ჯავახიშვილი ბრწყინვალედ უკრაფდა ვიოლინოზე.
3. ტომას ედისონს 1093 გამოგონება ჰქონდა დაპატენტებული.
4. მსოფლიოში 200 მილიონამდე დალტონიზმით დაავადებული ადამიანია.
5. ევა ბრაუნი ჰიტლერის ფოტოგრაფის თანაშემწე იყო მაშინ, როცა მან ფიურერი გაიცნო.
6. რუსეთში დემოკრატიებს პოლიტიკური ოპონენტები დაცინვით, „დერმოკრატიებს“ ეძახიან.
7. „ადამიანები ტალანტს არ აფასებენ, გენიოსები კი ეზიზღებათ“, — წუხდა ნიკოლო პაგანინი.
8. საქართველოს დედოფალი ბურდუხანი ოვსთა მეფე ზუდანის შვილი და თამარ მეფის დედა იყო.
9. გადმოცემით, ვახტანგ გორგასალი სიმალღეში 12 ბრჭყალი ანუ 2 მეტრი და 40 სანტიმეტრი იყო.
10. „ილია ყველა პატიოსან ადამიანში ზიზღს იწვევს... ჩვენი და თავადი ჭაჭყავაძის შეთანხმება შეუძლებელია“, — გაიძახოდა ფილიპე მასარაძე.
11. უკვდავი სიტყვები: „თუ ამოსწყდეს გლეხი კაცი, საქართველო დაიბაზუნდეს“ — 1625 წელს, მარაბდის ბრძოლაში დაცემულ გმირს, ბაადურ ციციშვილს ეუთვნის.
12. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ 1879 წელს დაარსდა. მისი თავმჯდომარე დიმიტრი ყიფიანი გახლდათ.
13. რუსეთ-ფინეთის ომის დროს რუსები გაიძახოდნენ: „მი ლიუბიმ ფინსკი ნაროდ, ნო ნე ლიუბიმ ფინსკოე ბურჟუაზნო პრავიტელსტვო“.
14. ძილისა და სიზმრის მომავლინებელ ღვთაებას ბერძნულ მითოლოგიაში მორფეუსი ერქვა იგი ძილის ღმერთის, ჰიპნოსის შვილი იყო.
15. 3000 მეტრზე მაღალ მთას შოტლანდიელები „მონროს“ ეძახიან. შოტლანდიაში სულ 284 „მონროა“.
16. სიროსიმაში, ატომური ბომბის ჩამოგდების ადგილას, ატმოსფერო მილიონ გრადუსამდე გავარვარდა.
17. პროფესორი ალექსანდრე რონდელი გარეგნულად ძალზე ჰგავს ამერიკელ მსახიობ ლესლი ნილსენს, რომელიც მთავარ როლს ასრულებს კომედიაში — „შიშველი პისტოლეტი“.



სატყუარის ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი

„ხატი ყოველთვის სატყუარს ემსგავსება, რადგან სატყუარი თავის საქმეს მთელი გულით აკეთებს“, — მითხრა 24 წლის დავით ქავთარაძემ, რომელიც 4 წელია, სატყუარს ბუნებრივი საღებავებით, ხის დაფებზე ხატავს. მას გული სწყდება, რომ საკუთარი ნამუშევრების გაყიდვა უწევს — ასზე მეტი სატიდან შინ მხოლოდ ათი აქვს...

„ღმერთი იბღან ძალას მოგვას, რამდენსაც საჭიროდ მიიჩნავს“

ეთო ყორღანაშვილი

— რამდენიმე წლის წინ საეკლესიო მალაზიაში, ხელით ნანერი ხატის საყიდლად შევედი და შევნიშნე განცხადება, სადაც ეწერა, რომ მსურველებს ხატყუარას ასწავლიდნენ. ამ საქმით მაშინვე დავინტერესდი. ხატყუარას ერთი წლის განმავლობაში ვსწავლობდი. ჩემი პირველი პედაგოგი მატრონა (მანანა) ტატიშვილია, შემდეგ გიორგი ეგნატაშვილი, ლაშა დარბუაშვილი მასწავლიდნენ. ამ ადამიანებთან დღემდე ვმეგობრობ და მათგან რჩევა-დარიგებებს, შენიშვნებს ვიღებ.

— ვიდრე ხატყუარას დაინყებდით, მანამდე თუ ხატავდით?

— სამხატვრო სკოლაში არასოდეს მივლია (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კავშირგაბმულობის ფაკულტეტი დავამთავრე) და შესაბამისად, მხატვრული ხერხები ჩემთვის უცხოა. ბავშვობაში რაღაცებს ვჯღაბნიდი ხოლმე (ილიმის).


— ხატყუარის შესწავლა გაგიჭირდა?

— რა თქმა უნდა, თავიდან რთული იყო, რადგან არსებობს რაღაც ნიუანსები, რომლებსაც მხოლოდ მუშაობისას სწავლობ...
— საღებავს თავად ამზადებთ?

— დაფხვნილ ფერად ქვას კვერცხის გულში ვურევ და საღებავს ასე ვამზადებ.



- რა მასალაზე ხატავთ?
- ხის დაფებზე.
- დაფებზეც თავად ამზადებთ?





ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-ჰეპეხნეიტი კოლაჟი

ეოჩა ღვალის უბის ნიგნაკიან:

18. განთქმულ კარდეოლოგ ანზორ მე-ლიას სესილია თაყაიშვილი სახლში ურეკავ-და და თავისთან იბარებდა: ცუდად ვარ, მოდი და მინახულე, თორემ ხვალ გადა-სალე მყოფანზე წავიქცევო.

19. მოალაფე ბრიგადები სტალინის ბრძა-ნებით შეიქმნა. ევროპის „განთავისუფლები-სას“ ისინი უკან იბრუნებდნენ მტრის მიერ გატაცებულ ხელოვნების ნიმუშებს და როდე-საც საკუთარი საგანძურის დაბრუნებას მორჩნენ, მტრის კუთვნილი შედეგების დატაცებას მიჰყვეს ხელი.

20. „შეტევა გეგმებით იზომება და არა — მეტრებით“, — ამბობდნენ სტალინგრადის ბრძოლების დროს გერმანელი ოფიცრები.

21. სანქტ-პეტერბურგის ერთ-ერთ ქუ-ჩაზე შემორჩენილია ლენინგრადის ბლოკა-დის დროინდელი წარწერა: „საარტილერიო დაბომბვისას ეს ქუჩა ყველაზე მეტად დაუცუე-ლია“.

22. უნგრეთი ჰუსართა სამშობლოა. ამ ქვეყანაში ყოველი მეოცე დიდებული ვალდებული იყო, ჯარში ემსახურა. უნ-გრულად „ჰუს“ — ოცს ნი-შნავს და სწორედ აქედან მოდის მათი სახელწოდება — ჰუსარები.

23. „ომი ყველაზე კარგი ვარჯიში იყო ქართველები-სთვის, — ამბობდა დავით აქუბარდია ერთ-ერთ გადა-ცემაში. — სხვა რომ არაფერი, ბრძოლის დროს ქართველი მეო-მარი რვაკილოგრამიან ხმალს იქნევდა და როცა ომი არ იყო, ამავე ხმლით ფარეკაობაში ვარჯიშობდა“.

24. 1984 წელს სალვადორ დალის კუთვ-ნილ სასახლეში ხანძარი გაჩნდა, რომლის დროსაც მოხუცებულმა მხატვარმა ვერც ერთ მომვლელ ქალს ვერ მიანვლინა ხმა. ხანძრის დროს დაღლიმ სხეულის 20%-ის დამწვრობა მიიღო.

25. „ჯერ სარგებელი და მერე პატრი-ოტიზმი“, — ასე აფასებენ ისტორიკოსები ფრანგი მეღვინეების საქციელს, რომელთაც ფაშისტური ოკუპაციის დროს გაცხოველე-ბული ვაჭრობა ჰქონდათ გერმანელებთან. მეღვინეთა შორის არავინ ყოფილა ფრანგუ-ლი წინააღმდეგობის წევრი. რა თქმა უნდა, იყვნენ პატრიოტებიც, მაგრამ მათი ძალისხმევა ბრიტანეთის რადიოს მოსმენას არ გას-ცილებია.

26. რეი ჩარლზ ჯორჯიას შტატში კონ-ცერტების ჩატარება ჰქონდა აკრძალული, რადგან ის უარს აცხადებდა რასობრივი პრინციპით დაყოფილი პუბლიკის წინაშე გა-მოსულიყო. 1979 წელს კონგრესის სენა-ტორებმა ბოდიში მოუხადეს მომღერალს და მისი სიმღერა — „ჯორჯია ოვ მაი მაინდ“ შტატის ჰიმნად აღიარეს.



— თუ სასწრაფო შეკვეთა არა მაქვს, კი. ხის დაფების დასამზადე-ბლად სპეციალური მანქანა არსე-ბობს, მაგრამ რადგან ეს მანქანა არა მაქვს, ხელით ვმუშაობ.

— სწავლის პერიოდშიც ხე-ლით მუშაობდი?

— დიას და სხვათა შორის, ხე-ლით მუშაობა ძალიან რთულია.

— ხატწერისთვის საჭირო მასალების შექმნა ძვირი გიჯდე-ბათ?

— რა თქმა უნდა! იაფფასიანი საღებავებიც არსებობს, მაგრამ ისინი ქიმიურია და მათი გამოყენება მაინცდამაინც მისაღები არაა. როცა ხატს წერ, უმჯობესია, ხარისხიანი საღებავი აირჩიო — ბუნებრივ ფერ-ებს სხვა სილამაზე აქვს. დაფებიც იყიდება. მთავარია, გამომშრალი იყოს, რადგან სველი ხე ადვილად სკდება. მართალია, შენებებაც შეგ-ვიძლია, მაგრამ ფიცრის გამო ხა-ტის გაფუჭება არასასურველია.

— პირველი ნამუშევრის შექმ-ნას რა დრო მოანდომეთ?

— დაახლოებით, 2 თვე. მაშინ მასწავლებელიც მეხმარებოდა — იმ პერიოდში გაკვეთილებზე დავედი-დი და ხატს რალაც დეტალებს თან-დათან ვამატებდი. როგორც წესი, ხატმწერები პირველად ხელთუქმ-ნელ ხატს ვქმნიან, შემდეგ უკვე მნიშ-ვნელობა არა აქვს, თუ რომელ წმინ-დანს გამოსახავ.

— ხატის შესაქმნელად ახლა რა დრო გჭირდებათ?

— ეს ისეთი საქმეა, რომელიც შეიძლება, ერთ დღეში დაასრულო ან თვეები მოანდომო. ვფიქრობ, ეს უფლის ნებაა — იმდენ ძალას მოგცემს, რამდენსაც საჭიროდ მი-იჩნევს.

— ყველაზე მეტად, რომელ ხატზე გაგიჭირდათ მუშაობა?

— „ჯვარცმანზე“. რთული სამუშაო არ იყო, მაგრამ რატომღაც, მაინც გამიჭირდა.

— მუშაობისთვის როგორი გარე-მო გჭირდებათ?

— როცა საეკლესიო გალობას ვუსმენ, უკეთესად ვმუშაობ. საპა-

ტრიარქოს რადიოს აქვს გადაცემე-ბი, სადაც მოძღვრები ქადაგებენ. მათი მოსმენა მომწონს.

— სწავლების კურსს აღარ გადისართ?

— არა, მაგრამ ვერც ერთი ხატ-მწერი ვერ იტყვის, — სწავლა აღარ მინდა, ყველაფერი ვიცო. ჩემს სულიერ ძმას — ლაშა დარბუაშ-ვილს ტაძარში ხშირად ვხვდები, ჩემს ნამუშევრებს ვუჩვენებ და მისგან რჩევებს ვიღებ, რადგან ის უფრო გამოცდილია. ჩემი აზრით, ხატმწ-ერი მთელი ცხოვრების განმავლო-ბაში სწავლობს.

— საინტერესოა, ეკლესიის კედლები თუ მოგიხატავთ?

— ერთხელ მეგობარს დავხეხმარე — რალაცა დეტალი დავხატე.

— კედლის მხატვრობა უფრო იოლია თუ დაფის ხატწერა?

— შეიძლება, კედელზე ცოტა მოუხერხებლად ხატო, მაგრამ სა-მაგიეროდ, დაფას ფუნჯი ბევრჯერ რომ გადაუხვას, საღებავი ნაიშლე-ბა, კედელი კი საღებავს იშრობს და ფუნჯის ხმარებაც თამამად შე-გიძლია.

— სულ რამდენი ხატი გაქვთ შექმნილი?

— ალბათ, ასზე მეტი.

— მათგან თქვენს მფლობე-ლობაში რამდენია?


— დაახლოებით, ათი ხატი.

— თქვენი ნამუშევრები გასაყ-იდად არ გენანებათ?

— კი, ძალიან! ზოგჯერ მირჩვენია, ესა თუ ის ხატი უცხოს არ მიეყი-დო, ვინმე ნაცნობს ვაჩუქო, მისი ნახვის საშუალება მომავალში კიდევ რომ მომეცეს, მაგრამ შემოსავალიც ხომ მჭირდება, თუნდაც, ახალი ნა-მუშევრის შესაქმნელად?! სამწუხარ-ოდ, შეკვეთებიც უნდა მივიღო — ბოლოს და ბოლოს, ხატები სხვებ-საც ხომ უნდათ (იღიმი)?

— გამოფენის მოწყობაზე არ გიფიქრიათ?

— უახლოეს მომავალში — არა, მაგრამ ალბათ, გამოფენასაც მოვან-ყობ, ოღონდ — მეგობართან ერ-თად.





დანიელ სვაროვსკი — ნაყალბავი ბრილიანტის დიდოსტატი



დანიელ სვაროვსკის პიროვნული იდუმალების ახსნა სულ სხვადასხვაგვარად შეიძლება. მაგალითად, ის შეიძლება კრიმინალურ მოღვაწედ, თაღლითად და სახელგანთქმულ ჟორჟ ფრედერიკ სტრასის მსგავს იმიტატორად მივიჩნიოთ. შეგახსენებთ, სტრასი XVIII საუკუნეში ცხოვრობდა და წარმატებით აყალბებდა ძვირფას ქვებს. სხვათა შორის, ყალბ ბრილიანტებს სწორედ მის პატივსაცემად უწოდეს „სტრასები“, მაგრამ იგი, წარმატებული და კანონმორჩილი ბიზნესმენის, ინჟინრისა და უზარმაზარი ფაბრიკის მეპატრონე სვაროვსკისგან განსხვავებით, ისტორიას მაინც, მარტოხელა ავანტიურისტად შემორჩა.

სვაროვსკი ესთეტი, ხელმოცარული მევიოლინე და რომანტიკოსი იყო. გარშემო მყოფთათვის იმის დამტკიცების სურვილი ამოძრავებდა, რომ ხელოვნებაში მთავარი, სამუშაო მასალა კი არა, შემოქმედის ოსტატობა და ბროლის ის მისტიკური სამყაროა, რომელშიც მყურებელი იძირება: განა მაცდუნებელი არ არის ხელოვნური სხივის ბუნებრივზე ბრწყინვალედ წარმოჩენა — თანაც იმდენად, რომ

ნაყალბევმა ბრილიანტმა ნამდვილი დაწრდილოს?!

დანიელ სვაროვსკი 1862 წელს, ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ჩრდილოეთში, ბოჰემიის მთებში დაიბადა. სხვათა შორის, ეს მხარე ჯგუფ უეენ-ის „ბოჰემურ რაფსოდიაზე“ მეტად, იმ ბოჰემური მინითაა ცნობილი, რომლის გამოხერხვა და დამუშავება სამრეწველო რევოლუციამდე ბევრად ადრე დაიწყო. ეს ის პერიოდი იყო, როცა თითქმის ყოველ ბოჰემელს სახლში მინის სახელოსნო ჰქონდა. ცხადია, გამონაკლისი არც დანიელის მამა იყო, მაგრამ მისი საწარმო განსაკუთრებული გაქანებით ნამდვილად არ გამოირჩეოდა — მინისგან ის ბიჟუტერიას, თმის სამაგრებსა და სხვა აქსესუარს ამზადებდა, რაც მხოლოდ საოჯახო საჭიროებისა და საცალო ვაჭრობისთვის იყო განკუთვნილი. უმცროსი სვაროვსკიც, რომელიც თავისუფალ დროს ვიოლინოზე დაკვრით იქცევდა თავს, ერთხანს მამის საწარმოში მუშაობდა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ დიდი საქმეები ბოჰემიის პატარა სოფელში კი არა, ისეთ დიდი ქალაქებში კეთდება, როგორც, მაგალითად, პარიზი.

დანიელი ქიმიის, ფიზიკის, მექანიკისა და ინჟინრისთვის აუცილებელი სხვა მეცნიერებების შესასწავლად სწორედ პარიზში გაემგზავრა. სწავლის დასრულების შემდეგ კი მსოფლიო ელექტროტექნიკურ გამოფენას მიაშურა, სადაც იდუმალ მექანიზმებსა და არანაკლებ იდუმალ მათ გამომგონებლებს შორის მოქცეულს, ელექტროდენის მინის გახეხა-დახვევისთვის გამოყენებაც მოუვიდა აზრად. 1891 წელს, ხანგრძლივი ფიქრისა და გათვლა-გაანგარიშების შემდეგ, სვაროვსკიმ მსოფლიოში პირველი ელექტრული სახეხი დაზგა დაამზადა — ეს მანქანა სოლიდური

რაოდენობის ქვისა და ბროლის საუკეთესოდ დამუშავების საშუალებას იძლეოდა. როცა მასობრივი წარმოების გახსნისა და ბაზარზე გასვლის დრო დადგა, დანიელმა აქაც ჭკუა იხმარა და ბოჰემელ ოსტატებთან შეჭიდებას, ავსტრიაში გადაბარება და ტიროლის პატარა დაბა ვატენსში ბროლის დამუშავება არჩია. იმიტაციის ფაქტი სვაროვსკის არასდროს დაუმალავს და საკუთარ ბიზნესსაც სავესებით კანონიერად მიიჩნევდა. მის მიერ დამუშავებული ბროლი გარეგნულად ბუნებრივ ბრილიანტს არაფრით ჩამოუვარდებოდა. მან მაღალი საზოგადოების ბრწყინვალეობა, პრესტიჟი, რჩეულობის უფლება და ძვირფას ქვებთან დაკავშირებული ყველა სხვა ილუზიაც უბრალოდ, საწარმოო რელსებზე შეაყენა. ამბობენ, ნამდვილი, ბუნებრივი ბრილიანტი თვითონ ირჩევს, ვის თითზე უნდა იბრწყინოსო, მაგრამ ელიტურობის დრო წარსულს უსწრაფესად ჰბარდებოდა და ახლა უკვე საშუალო შეძლების ჩინოფნიკსაც თავისუფლად შეეძლო, ცოლისთვის ან მეგობარი ქალისთვის ელეგანტური ბროლის ნივთი ეყიდა. მალე სვაროვსკის ფაბრიკა შეკვეთებით აიკლეს და მასაც, შენობის გაფართოება, 200 მუშის დაქირავება მოუხდა. სწორედ მაშინ ეწოდა ფირმას Swarovski, რადგან ბაზარზე საქონელი უსახელოდ ვერ გავიდოდა. რამდენიმე წელიწადში სვაროვსკიმ, იმ დროისთვის უკვე განათლებამიღებულ თავის ვაჟებთან ერთად, კრისტალების დანახნაგებისა და გახეხა-დახვევის ტექნოლოგია შესამურ სრულყოფილებამდე აიყვანა. შედეგად, დანიელის მთავარი კონკურენტები — ვენეციის მინის ქარხნები გაკოტრების პირას აღმოჩნდა. თუმცა მაშინდელი ვენეცია რაღა სახსენებელია, როცა რაიმე მსგავსის გაკეთება დღემდეც ვერ-





ავინ შეძლო?! დაზგებზე მეტად, სვაროვსკის ძალა იმ ფორმულაშია, რომელიც მან საკუთარი ბროლის ხარშვისთვის შეიმუშავა.

დანიელმა საკუთარი სამკაულების ნიმუშები პარიზსა და სანქტ-პეტერბურგში გაგზავნა და იქაური მოდის მიმდევარი ქალების აღტაცებაც დაიმსახურა; წლების შემდეგ კი ბროლის ბიჟუტერია მარლენ დიტრიხის საღამოს კაბების, მაიკლ ჯექსონის, ბრაიან ფერის და ტინა ტერნერის კოსტიუმების ლამის შეუცვლელი ელემენტიც გახდა. შანელი, კრისტინ დიორი, ივ სენლორანი თავიანთ კაბებს დღემდე ბროლით აწყობენ.

მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა ევროპის მოდის სახლებმა კრახი განიცადეს, სვაროვსკიმ ისევ იმარჯვა და თავისი კრისტალური პროდუქციით ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარზეც შეაღწია.

დანიელ სვაროვსკი 1956 წელს გარდაიცვალა და ოჯახს აყვავებული ბიზნესი დაუტოვა. ზუსტად 20 წლის შემდეგ მისმა მემკვიდრეებმა წარმოების ახალი ხაზი — Silver Crystal გახსნეს. ამ ხაზიდან პირველი, ჭადის საკიდრებისგან დამზადებული თავგუნა იყო; თავგუნას ზღარბი, კუ, შვლის ნუკრი, მარტორქა და გედი ანუ მინისგან დამზადებული მთელი ზოოპარკი მოჰყვა. Swarovsk-ის მარკეტოლოგებმა ყველა ამ ნივთს საკოლექციო სტატუსი მიანიჭეს და ახლა თითოეულის ფასი 30-დან 600 დოლარამდე მერყეობს.

მაღევე შეიქმნა სვაროვსკის ნაკეთობათა კოლექციონერების კლუბიც, რომელშიც დღესდღეობით, მთელი მსოფლიოდან ნახევარ მილიონამდე ადამიანია განევრებული და ყოველ მათგანს, წელიწადში ერთხელ, დიზაინერები სპეციალური ესკიზების მიხედვით დამზადებულ პატარა ფიგურას ჩუქნიან. ეს ესკიზები იმდენად სპეციფიკურია, რომ სამუშაოს დასრულების შემდეგ, ისინიც და ფიგურების დასამზადებლად გამოყენებული ყველა ინსტრუმენტიც ნადგურდება.



ესოდენ მკაცრი კონსპირაციის ახსნა ძნელი არ არის, სვაროვსკის ბროლის საიდუმლო ხომ ამ საპატიო ფირმის მთავარი კაპიტალია, მაგრამ განა სიბრძნე არ იქნებოდა, რომ ვთქვათ, სეზანის ნამუშევრები იმის შიშით არ გამოეფინათ, ვინმე მხატვრის მანერა არ გადაიღოს და ამ გზით ის ბაზრიდან არ გამოდევნოს? ამიტომ, არც სვაროვსკის ნაკეთობებს უმაღავს ვინმე მსოფლიოს. პირიქით, თანდათან მათი კულტიც კი იქმნება. უკვე არსებობს ბროლის თავგანისცემის ადგილიც — 1995 წელს, ფირმის 100 წლისთავისათვის შექმნილი სვაროვსკის მუზეუმი ანუ ამ კულტის აპოთეოზი. ეს უზარმაზარი მინისქვეშა გამოქვაბული ტიროლის დედაქალაქ ინსბრუკიდან დაახლოებით, ერთი საათის სავალზეა. გამოქვაბულის შესასვლელს თვალბანთებული გოლიათი იცავს; მისი პირიდან ჩანჩქერი გადმოჩქეფს, პროჟექტორების შუქზე კი გეჩვენება, რომ წყალიც ბროლისგანაა შექმნილი. მინისქვეშეთში მინის გვირაბი მიგიძღვის. გვირაბის კედლებზე შექსპირის, ლორკას და გოეთეს ის სტრიქონებია ამოკვეთილი, რომ-

ლებშიც სიტყვა crystal (ბროლი) გვხვდება. აქ გინესის წიგნში შესული სვაროვსკის ყველაზე პატარა და ყველაზე დიდი ბროლის კრისტალებია გამოფენილი. გიგანტის წონა 310 ათასი კარატი (დაახლოებით, 62 კილოგრამი), დიამეტრი კი 40 სანტიმეტრია. კრისტალის ასი წახნაგი ხან ძონისფრად, ხანაც — სიბნელის გამპობი ცივი ვერცხლისფერი შუქით ეღვარებს. ყველაზე პატარა კრისტალის დანახვა მხოლოდ მიკროსკოპის მეშვეობით შეიძლება. მისი დიამეტრი ხომ სულ რაღაც, 0,8 მილიმეტრია. ექსპონატებს შორისაა ბროლისგან დამზადებული საღვადორ დალის „რბილი“ საათი, ინდოელი მაჰარაჯის ცხენის მორთულობა და 11 მ სიმაღლის ბროლის კედელი. დარბაზში საკმაოდ ვინრო ბილიკს შეჰყავხარ, რომელიც საბავშვო კალეიდოსკოპივით, გამუდმებით იცვლის ფერს. მინის ცის სამგანზომილებიან სივრცეში ვარსკვლავები ციმციმებს, დედამინა ოკეანეებს ცისფერი შუქით იფარება, ჩნდება მატერიკები. მილიონჯერ დაჩქარებული ევოლუცია ოკეანეებს თევზებით ავსებს, დინოზავრების ღმუილს კი ჩიტების გალობა ცვლის...

ნამით სინათლისგან დაბრმავებული, თავდაცვით თითქოს, კრისტალის გულში ექცევი. ამ ილუზიას 590 სამკუთხა სარკე ქმნის და ვერაფრით იჯერებ, რომ ბროლის ჭერის სიმაღლე მხოლოდ 5 მეტრია. ზემოდან, ქვემოდან და გვერდებიდან მინის უფსკრულები გელანდება. იცვლება ფერების პალიტრა, შეგრძნებები და გეჩვენება, რომ კედლებიდან არეკლილი ხმები ერთ უსასრულო აკორდად იკვრება. სხვათა შორის, ყოფილი მევიოლინე — სვაროვსკი ქვეშევრდომებისგან მოითხოვდა, რომ ბროლში მუსიკას ეჟღერა.

პარადოქსია, მაგრამ ამ მუზეუმში თავად სვაროვსკი არცთუ ისე ხშირად გახსენდება. მთელი ყურადღება ხმისა და სინათლის ვიბრაციაზე, ბროლის ანარეკლების მიერ შექმნილ ატმოსფეროზეა გადატანილი...





ბრიტანელი დიპლომატი დევიდ ურქვარტი

მოკლედ, XIX საუკუნის 30-იან წლებში ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში საერთო ვითარება ხელსაყრელი იყო როგორც ბრიტანეთისათვის, ისე — რუსეთისათვის. ომამდე სულ ცოტადა იყო დარჩენილი და თანაც, „შავ საქმეს“ ადგილობრივი ჩერქეზები და ქართველები გააკეთებდნენ — მიხეილ შერვაშიძემ თავისი მომხრე ქვეშევრდომებისგან საკმაოდ ანგარიშგასანევი ლაშქარი შეკრიბა: ჩერქეზთა წინააღმდეგ საბრძოლველად დაირაზმნენ ოჩამჩირის, სამურზაყანოს და წებულის მცხოვრებნი, თუმცა წებულები თავადი მარშანია მთავარს თავად არ ხლებია. მიხეილ შერვაშიძემ სამეგრელოს მთავარსაც სთხოვა დამხმარე ძალები.

სწორედ ამ დროს, „ვიქსენის საქმის“ ირგვლივ დაწყებული დიდი ხმაური ისევე მოულოდნელად შეწყდა, როგორც დაიწყო — რუსმა დიპლომატებმა დიდ ბრიტანეთთან დავაში „თავი იმართლეს“, რომ მათ ჩერქეზეთის ტერიტორია ადრიანოპოლის 1829 წლის საზავო მოლაპარაკების თანახმად ეჭირათ, ოფიციალურმა ლონდონმა კი რატომღაც, დაპირისპირების გამწვავებისაგან თავი შეიკავა და პოზიციები დათმო: „ჩერქეზეთის შეერთებული შტატების“ შექმნის მთავარი ინიციატორი — დევიდ ურქვარტი სასწრაფოდ უკანვე, ლონდონში გაიწვია.

მიუხედავად იმისა, რომ „ვიქსენის საქმე“ ბრიტანეთისათვის წამგებიანი შედეგით დასრულდა, მან შემდგომში მაინც, დიდი როლი ითამაშა სანქტ-პეტერბურგისა და ლონდონის ურთიერთობებში. აღსანიშნავია, რომ ჩერქეზების ბრიტანეთთან კავშირს მომავალში ფარულად ახალისებდა თავად რუსული აგენტურა, ამ ხალხის სამშობლოდან აყრის საბაბი რომ ჰქონოდა. დიდ ბრიტანეთში კი რუსეთის წინააღმდეგ დიდ ომს ამზადებდნენ — ეს ომი აქ მოთხრობილი ამბებუდან ოცი წლის შემდეგ დაიწყო და ისტორიაში ყირიმის ომის სახელით შევიდა.

პარჯიუბი ნეფროზოზის ანუ თირკმლის დაზიანების დროს

ნეფროზოზი ნიშნავს თირკმლების დაზიანებას ანუ თირკმლის ისეთ მდებარეობას, რომლის დროსაც ეს ორგანო ჩვეულებრივ მდებარეობიდან (წელის მიდამო) შესამჩნევად გადაინაცვლებული მუცლის, ზოგჯერ კი მენჯის ღრუს არეშიც. ამასთან, ზოგჯერ თირკმელს შეუძლია დაუბრუნდეს საწყის მდებარეობას. აღსანიშნავია, რომ მდებარეობის ცვლილების შემთხვევაში, თირკმელი ჩვეულებრივზე მეტად მოძრაობს. მას ბუნებრივად მინიჭებულ ადგილზე ანუ წელის მიდამოში აჩერებს: მუცლის იოგები, ფასცია, მუცლის კედლის კუნთები, თირკმლების იოგები.



არსებობს ვარჯიშების კომპლექსი, რომელთა შეარულება ორგანოების (თირკმლების, საშვილოსნოს, საშოს და სხვა) დაზიანების დროს კარგ შედეგს იძლევა:

1. დაწეით ზურგზე, ხელები გქონდეთ ტანის გასწვრივ; გააკეთეთ ტერფების წრიული მოძრაობა მონაცვლეობით — ხან ერთ, ხან — მეორე მხარეს. გაიმეორეთ 4-6-ჯერ.

მეთოდური შენიშვნა — ვარჯიშისას აუცილებლად გამოიყენეთ პატარა მუთაქა, კუდუსუნის ძვლის ქვეშ დასადებად;

2. დაწეით ზურგზე, ხელები გაშალეთ მხრების დონეზე; გააკეთეთ ტერფების წრიული მოძრაობა მონაცვლეობით — ხან ერთ, ხან კი მეორე მხარეს. გაიმეორეთ 10-12-ჯერ.

მეთოდური შენიშვნა — ისუნთქეთ თავისუფლად;

3. დაწეით ზურგზე, ხელები მიიტანეთ მხრებთან; გააკეთეთ მხრის სახსრებში წრიული მოძრაობები ორივე მიმართულებით. გაიმეორეთ 10-12-ჯერ.

მეთოდური შენიშვნა — ისუნთქეთ თავისუფლად;

4. დაწეით ზურგზე, ხელები მიიტანეთ მხრებთან; მონაცვლეობით მოხარეთ და გაშალეთ ფეხები. ვარჯიში გაიმეორეთ 6-8-ჯერ.

მეთოდური შენიშვნა — ტერფები მოაშორეთ იატაკს;

5. დაწეით ზურგზე, ხელები მიიტანეთ მხრებთან; მალა ასწიეთ მარცხენა ხელი და მარჯვენა ფეხი, თან, ამოისუნთქეთ, შემდეგ კიდურები დასწიეთ და ჩაისუნთქეთ; იგივე ვარჯიში შეასრულეთ მეორე ხელითა და ფეხით. გაიმეორეთ 4-6-ჯერ;

6. დაწეით ზურგზე, ხელები განზე გაშალეთ, ფეხები მოხარეთ; მუხლები გადასწიეთ განზე (გადაშალეთ), ჩასუნთქვისას შეისრუტეთ მუცელი და შორისის მიდამო — ასე გაჩერდით 3-5 წამი, შემდეგ კი დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. გაიმეორეთ 4-6-ჯერ;

7. დაწეით ზურგზე, ხელები გაშალეთ, ფეხები გაშალეთ მხრების დონეზე; მოაბრუნეთ ტანი და ხელისგულით შეეხეთ მეორე ხელისგულს. გაიმეორეთ 4-6-ჯერ;

8. დაწეით ზურგზე; ჩასუნთქვისას ასწიეთ მარჯვენა ფეხი, ამოისუნთქვისას — მოხარეთ მუხლი სახსარში და ხელებით მიიტანეთ მუცელთან, იგივე ვარჯიში შეასრულეთ მარცხენა ფეხით; გაიმეორეთ 4-6-ჯერ;

9. დაწეით ზურგზე, ფეხები მოხარეთ მუხლის სახსრებში; გააკეთეთ „ნახევარხიდი“ (ანუ ზურგი აზნიქეთ — მოაშორეთ იატაკს), შეისრუტეთ მუცელი და შორისის არე 3-5 წამის განმავლობაში, შემდეგ კი დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. გაიმეორეთ 4-6-ჯერ.

10. დაწეით ზურგზე და შეასრულეთ ვარჯიში „ველოსიპედი“, 1 წუთის განმავლობაში.

მეთოდური შენიშვნა — ხელების მდებარეობა თავადვე შეარჩიეთ;

11. დაწეით ზურგზე; ამოისუნთქვისას, ხელების დახმარებით ფეხები მუცელთან მიიტანეთ, ჩასუნთქვისას კი დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას; გაიმეორეთ 4-6-ჯერ;

12. დაწეით ზურგზე; შეასრულეთ „დიაფრაგმული სუნთქვა“. ვარჯიში გაიმეორეთ 4-6-ჯერ.



მეთოდური შენიშვნა — ჩასუნთქვისას მაქსიმალურად გაბერეთ, ამოსუნთქვისას კი მაქსიმალურად შეისრუტეთ მუცელი;

13. დაწეით ზურგზე; ასწიეთ ჯერ ერთი ფეხი, შემდეგ — მეორე და ასეთ მდგომარეობაში იყავით დაახლოებით, 5-10 წამი, შემდეგ კი მონაცვლეობით დასწიეთ ფეხები. გაიმეორეთ 3-4-ჯერ;

14. დაწეით ზურგზე. თავი და ტანი ოდნავ წამოსწიეთ იატაკიდან, ფეხებით კი შეასრულეთ ხან „ველოსიპედის“, ხანაც — „მაკრატილის“ მოძრაობები;

15. დაწეით მუცელზე, ხელები ამოიდეთ ნიკაპქვეშ; მონაცვლეობით ასწიეთ (მკვეთრი მოძრაობით) ფეხები უკან. გაიმეორეთ 4-6-ჯერ;

16. დაწეით მუცელზე, ხელები ამოიდეთ ნიკაპქვეშ; ერთდროულად მოხარეთ ფეხები მუხლების სახსრებში, ჩასუნთქვისას დაძაბეთ დუნდულა კუნთები და ასე გაჩერდით 3-5 წამს. გაიმეორეთ 4-6-ჯერ;

17. დაწეით ზურგზე, ხელები გაშალეთ წინ; ხელები და ფეხები ერთდროულად

ლად ასწიეთ, შემდეგ კი დაუბრუნდით სანყის მდებარეობას; ასეთი ვარჯიში შეასრულეთ 1 წუთის განმავლობაში.

მეთოდური შენიშვნა — ისუნთქეთ თავისუფლად;

18. დაწეით ზურგზე; წამოინიეთ იდაყვზე და იმავდროულად, მუხლის სახსრებში მოხრილი ფეხები მოზიდეთ მუცლისკენ. შეეცადეთ, მუხლები იდაყვებს შეახოთ. გაიმეორეთ 6-8-ჯერ.

მეთოდური შენიშვნა — ისუნთქეთ თავისუფლად;

19. დადევით მუხლ-იდაყვის მდგომარეობაში; მუხლით მისწვდით საწინააღმდეგო ხელის მტევანს, შემდეგ მერე მუხლით შეასრულეთ იგივე ვარჯიში. გაიმეორეთ 6-8-ჯერ.

მეთოდური შენიშვნა — მუხლი იატაკს არ მოაშორეთ;

20. დადევით მუხლ-იდაყვის მდგომარეობაში; მოხარეთ ხელები იდაყვის სახსრებში, მკერდით შეეხეთ იატაკს. გაიმეორეთ 6-8-ჯერ.

მეთოდური შენიშვნა — ვარჯიშის შესრულებისას იდაყვები განზე გასწიეთ;

21. დადევით მუხლ-იდაყვის მდგომარეობაში; ფეხები მონაცვლეობით გაშალეთ. გაიმეორეთ 6-8-ჯერ;

22. დადევით მუხლ-იდაყვის მდგომარეობაში; მუხლით მისწვდით საპირისპირო იდაყვს; ვარჯიში შეასრულეთ ორივე ფეხის მონაცვლეობით. გაიმეორეთ 6-8-ჯერ;

23. დადევით მუხლ-იდაყვის მდგომარეობაში; მიიტანეთ მუხლები იდაყვებთან მაქსიმალურად ახლოს და გაჩერდით ასეთ მდგომარეობაში 3-4-წამი; ვარჯიში გაიმეორეთ 3-4-ჯერ;

24. დაწეით ზურგზე, ფეხები მოხარეთ, გაიკეთეთ მუცლის თვითმასაჟი, დაახლოებით, 1 წუთის განმავლობაში;

მეთოდური შენიშვნა — მუცელზე ხელი ამოძრავებთ ზემოდან ქვემოთ, შემდეგ ხელი დაიდეთ ჭიპზე და ამოძრავებთ სპირალისებურად, საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით.

ქიმიური კბილების ზაღაირს ასუფთავებს

დიდი ხნის განმავლობაში მიიჩნეოდა, რომ ხშირად მიღების შემთხვევაში, ქიმიური კბილებზე ნადებს აჩენდა. აშშ-ის სტომატოლოგთა ჯგუფმა ჩაატარა კვლევა, რომელშიც 7-11 წლის ბავშვები მონაწილეობდნენ. ექსპერიმენტის მსვლელობისას დადგინდა, რომ ქიმიური კბილებზე ნადების გაჩენას არ იწვევს. პირიქით, იგი კბილების ზედაპირს ისევე ასუფთავებს, როგორც ვაშლი და ბანანი.

ამასთანავე, ის სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის. ქიმიური აძლიერებს იმუნიტეტს, ხსნის უძილობის პრობლემას, დადებითი ეფექტი აქვს ოსტეოქონდროზისა და ანემიების დროს.



ბრონული სარკვე ჯირკვლის კიბოს პროფილაქტიკისათვის

ბრონეულს აქვს უამრავი სასარგებლო თვისება. მაგალითად: ის სისხლში ჰემოგლობინის დონეს ამაღლებს, ორგანიზმის დამცველობით ფუნქციას აუმჯობესებს; არის ძლიერი ანტიოქსიდანტი და აქვს ტკივილგამაყუჩებელი თვისებები.

ახლახან მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ეს ხილი განსაკუთრებით სასარგებლოა სუსტი სქესის წარმომადგენლებისთვის — ის ქალებს სარქვევ ჯირკვლების კიბოსგან დაცავს. კვლევამ უჩვენა, რომ ნივთიერება ელაგოტანინი, რომელიც ბრონეულში დიდი რაოდენობითაა, სარქვევ ჯირკვლების კიბოს განვითარებას უშლის ხელს.



მეცნიერებმა ჯერჯერობით ვერ დაადგინეს, თუ რა დოზაა საკმარისი სარქვევ ჯირკვლის კიბოსგან დაცვად და ქალებს დიდი რაოდენობით ბრონეულს

მოხმარებას ურჩევენ. აღსანიშნავია ისიც, რომ მკვლევრები ბრონეულს ექსტრაქტის საფუძველზე სარქვევ ჯირკვლის კიბოს სამკურნალო წამალის შექმნას გეგმავენ...

სამედიცინო საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოპოვება შეგიძლიათ საიტზე: www.mkurnali.ge.
P.S. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com ის თქვენს ნებისმიერ კითხვას გასცემს პასუხს.


თაბარ მამასაუვილი
„ქარაბადინი“
სალსური სამკურნალო რეცეპტები
ფასი: 7 ლარი
ქართულ ტრადიციულ მედიცინაზე დაყრდნობით შექმნილი ძველი ხალხური რეცეპტები
ნიმდავა წიგნის მაღაზიასა და სააპათო ქიზურავში
წიგნის სასლური მიმანა: 38 26 73; 38 26 74



ახალი ნიშანი
თუბის
მეურნატი



სახლი უკეთესად მიიღება...



ადამიანი

დიდი ქართველი „ფრანგული საქართველოდან“ და „ზედარბანსკი სპრელშიმპროსკი კნიაზის“ ამბავი

მასზე თედო სახოკია წერდა: ...მისი ტანჯვა-წვალების მოზიარეს, ჩემს სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია, მოგონება გავუზიარო ახალ თაობას ამ ადამიანზე, რომელიც მარად უნდა იხსენებოდეს, სანამ არსებობს ჩვენი ერი და არსებობენ მისი დამოუკიდებლობისთვის მებრძოლნი... საქართველოში ერთ-ერთი პირველი სამთო ინჟინრისა და სოციალ-ფედერალისტის, გიორგი დეკანოზიშვილის ოჯახსა და ცხოვრებაზე მის ძმად ნოდებულის ბიძაშვილის, ასევე ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ირაკლი დეკანოზიშვილის რძალი, სანდაზმული ქალბატონი, ყოფილი პედაგოგი **თამარ ბინაძე** ბევრ საინტერესო ამბავს გვიზიარებს. თურმე, ქალბატონ თამარს თავად მოუპოვებია და შეუკრებია ძმები დეკანოზიშვილების მოღვაწეობის შესახებ პუბლიკაციები და ერთ ალბომში მოუქცევია. მათი საქვეყნო მოღვაწეობის ამბები კი XIX საუკუნის მინურულიდან ჭიათურაში იწყება.

ირმა სარულიძე

— როგორ მოხდენენ დეკანოზიშვილები ჭიათურაში?

— გიორგი დეკანოზიშვილის მამა რუსიდან გახლდათ, სამხედრო იყო და იმპერიის სხვადასხვა ქალაქში უწევდა ცხოვრება. გიორგი 1867 წელს სარატოვში დაიბადა. მერე თბილისში გადმოვიდნენ. ქართული ენა კარგად არც იცოდა. მოგვიანებით, პეტერბურგში სამთამადნო ინსტიტუტში სამთო-საინჟინრო ფაკულტეტზე სწავლისას შეისწავლა. თბილისში დაბრუნებული გიორგი შავი ქვის მრეწველმა ნიკო დოლობერიძემ ჭიათურის შავი ქვის მადნების გამგედ მიიწვია. გიორგიმ ჭიათურაში ჩაიყვანა თავისი ბიძაშვილი, ასევე სამთო ინჟინერი ირაკლი დეკანოზიშვილი (ჩემი მამამთილი), რომელიც საბოლოოდ იქვე დასახლდა და ცოლად წერეთლის ქალი ითხოვა. გიორგი ჭიათურიდან ბაქოში, ნობელის ნავთის მრეწველობაში გადასულა სამუშაოდ, შემდეგ კი ცოდნის გასაღრმავებლად ევროპაში გამგზავრებულა. იქ შეისწავლა ფრანგული, ინგლისური და გერმანული ენები, ცოლად ფრანგი ქალი — ანრიეტა ფრენუა შეირთო, ცოდნით დატვირთული დაბ-



გიორგი დეკანოზიშვილი

რუნდა საქართველოში და საქვეყნო-საზოგადო საქმიანობაშიც აქტიურად ჩაება. ამის შემდეგ შავი ქვის მრეწველთა საბჭომ გიორგი ამერიკის კონტინენტზე, ბრაზილიასა და კუბის კუნძულებზე მარგანეცის მოპოვებისა და გასაღების ტექნოლოგიის შესასწავლად გაგზავნა... გარდა იმისა, რომ მარგანეცის წარმოებაში ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, თედო სახოკიასთან, არჩილ ჯორჯაძესთან, მიხეილ წერეთელთან, ვარლამ ჩერქეზიშვილსა და სხვა სოციალ-ფედერალისტებთან ერთად, ეროვნული თავისუფლებისთვის დიდი მებრძოლიც გახლდათ. ეს ჯგუფი ყველანიარად ცდილობდა, მეფის რუსეთის ბრძანებებისგან დაეხსნა საქართველო და დამოუკიდე-

ბლობა მოეპოვებინა. გიორგის დევნიდნენ, საქართველოში ცხოვრება აუკრძალეს და იძულებული გახდა, საფრანგეთში წასულიყო. ქართველ ემიგრანტ მამულიშვილთა ჯგუფი ხედებოდა, რომ შიშველი ხელებით მეფის რუსეთთან ვერაფერს გახდებოდა და შეიარაღებული აჯანყებისთვის სამზადის დაიწყო. გიორგი დეკანოზიშვილმა შვეიცარიაში მყოფი ზუბალაშვილისგან გაღებული 60.000 ფრანკით თოფები იყიდა, შემდეგ ამსტერდამში 70.000 ფრანკად შეიძინა 597-ტონიანი სამანძიანი ორთქლმავალი გემი — „სირიუსი“, იარაღითა და ტყვია-ნამლით დატვირთა და ქართველი ვაჟაკების თანხლებით საქართველოში გამოუშვა. გემი ფოთის ნავსადგურის მოშორებით გააჩერეს, მაგრამ გამცემთა „წყალობით“, ინფორმაციამ გაჟონა, ამიტომ იარაღის მხოლოდ მცირე ნაწილი გადმოტვირთეს, დანარჩენი კი წყალში გადაყარეს. ეკიპაჟისა და დამხვედურთა ნაწილმა გაქცევა მოახერხა, ნაწილი კი დააპატიმრეს... გიორგის ანრიეტასთან ორი შვილი ეყოლა — ქალ-ვაჟი. ქალს თინათინი დაარქვა, ვაჟს — ტარიელი. დღიურში წერდა: არა ვარ ძალიან ყურადღებიანი მამა; ძნელია, ერთდროულად ემსახურო ხალხსაც და ოჯახსაც... ეს კაცი ძალიან დიდი პატრიოტი იყო. მან პარიზში ჩამოასხმევინა ქართული ასოები, რომელსაც „პარიზული“ დაერქვა და თურმე სილამაზით ვერც ერთი სხვა ვერ შეედრებოდა. სწორედ ამ ასოებით იბეჭდებოდა პარიზში ქართული წიგნები და ქართველ ემიგრანტთა ჯგუფთან ერთად გიორგის ხელმძღვანელობით, არალეგალურად გამოცემული ქართული გაზეთი — „საქართველო“ („ლა ჟურნა“), რომლის რედაქტორიც არჩილ ჯორჯაძე გახლდათ. ძალიან უძნელდებოდათ გაზეთის ნომრების საქართველოში გამოგზავნა: ხან მარსელიდან ბათუმისკენ მომავალი გემის ეკიპაჟს ატანდნენ, ხან ხმელეთით ნამომსვლელებს გვადრუტებში (ჩემოდნებში) უწყობდნენ, თუმცა გად-



მომტანმა უმეტესად, არც კი იცოდა, თუ რა მოჰქონდა. თედო სახოკია წერდა: გიორგის კანონად ჰქონდა, სამშობლოში მომავალი ყველა ქართველისთვის — ქალი იქნებოდა თუ კაცი — უეჭველად გამოეტანებინა „საქართველოს“ ახალგამოსული ნომრებიო... ამ პატარა კაცში იმხელა სული იყო და იმხელა სიყვარული, რაც მან საქართველოსთვის შეძლო, ბევრი ვერ გააკეთებდაო. გიორგი დეკანოზიშვილი 1910 წელს გულს დაავადებითა და ქლექით გარდაცვლილა ქალაქ კანში. მეუღლისა და მიხეილ თუმანიშვილის ხელში დაუღვია სული. ანდერძად დაუბარებია, საქართველოში დაბრუნდეს ფლავეთო. მისმა დამ — მარიამმა მეფის რუსეთის მთავრობისგან საფრანგეთიდან საქართველოში ნემუტის ჩამოსვენება ითხოვა. მთავრობამ ნება კი დართო, მაგრამ ოჯახის წევრების გარდა, სადგურზე დახვედრა ყველას აუკრძალეს. ასე, მოკრძალებულად ჩამოასვენეს და დაკრძალეს ამ უდიდესი მამულიშვილის ნემუტი წმინდა ნინოს (ამჟამინდელი კუკიის) სასაფლაოზე. მისი ქალიშვილის — თინათინ ფაკოლენ-დეკანოზიშვილის პირველი წერილი საფრანგეთიდან ჩემი ქმრის სიცოცხლეში მივიღეთ. წერდა: ვეძებ მამის საფლავს და მამის ნათესავებს... პარიზში ვცხოვრობთ, მაგრამ კანში გვაქვს დედისეული აგარაკი, რომელიც მამას განსაკუთრებით უყვარდა და იმ აგარაკს „საქართველო“ ჰქვია; როდესაც პარიზიდან იქ მივემგზავრებით, არ ვამბობთ, კანში მივდივართ, ყოველთვის ვამბობთ, „საქართველოში“ მივდივართო... 1969 წელს თინათინი საქართველოში ჩამოვიდა. ჩემი მეუღლე უკვე გარდაცვლილი იყო. მოგვწერა, წყალტუბოში ვარ და ჩამომაკითხეთო. საქართველოში ჩამოსვლის მიზეზად ჩვენს კურორტზე მკურნალობის აუცილებლობა დაუსახელებია, — სხვაგვარად არ ჩამოუშვებდნენ. თარჯიმანი ავიყვანეთ და ორი დღით ჭიათურაში წამოვიყვანეთ.



ირაკლი დეკანოზიშვილი პარიზში აუცილებლად ქართული ეროვნული ტანსაცმლით მიდიოდა

მთავრობისგან საფრანგეთიდან საქართველოში ნემუტის ჩამოსვენება ითხოვა. მთავრობამ ნება კი დართო, მაგრამ ოჯახის წევრების გარდა, სადგურზე დახვედრა ყველას აუკრძალეს. ასე, მოკრძალებულად ჩამოასვენეს და დაკრძალეს ამ უდიდესი მამულიშვილის ნემუტი წმინდა ნინოს (ამჟამინდელი კუკიის) სასაფლაოზე. მისი ქალიშვილის — თინათინ ფაკოლენ-დეკანოზიშვილის პირველი წერილი საფრანგეთიდან ჩემი ქმრის სიცოცხლეში მივიღეთ. წერდა: ვეძებ მამის საფლავს და მამის ნათესავებს... პარიზში ვცხოვრობთ, მაგრამ კანში გვაქვს დედისეული აგარაკი, რომელიც მამას განსაკუთრებით უყვარდა და იმ აგარაკს „საქართველო“ ჰქვია; როდესაც პარიზიდან იქ მივემგზავრებით, არ ვამბობთ, კანში მივდივართ, ყოველთვის ვამბობთ, „საქართველოში“ მივდივართო... 1969 წელს თინათინი საქართველოში ჩამოვიდა. ჩემი მეუღლე უკვე გარდაცვლილი იყო. მოგვწერა, წყალტუბოში ვარ და ჩამომაკითხეთო. საქართველოში ჩამოსვლის მიზეზად ჩვენს კურორტზე მკურნალობის აუცილებლობა დაუსახელებია, — სხვაგვარად არ ჩამოუშვებდნენ. თარჯიმანი ავიყვანეთ და ორი დღით ჭიათურაში წამოვიყვანეთ.

ქართული საერთოდ არ იცოდა?

— არ იცოდა, თარჯიმნის გარეშე ერთმანეთს ვერაფერს ვაგებინებდით. ჰყვებოდა მამაზე, რომელიც მუდამ დაკავებული იყო და ის და ტარიელი იშვიათად ხედავდნენ. იხსენებდა ბავშვობაში დედასა და ძმასთან ერთად ერთადერთ სტუმრობას საქართველოში. ჭიათურაც ახსოვდა და დედაჩემიც კი... მერე წავიყვანეთ მამის საფლავზე. მამის იქ წარწერაც იყო, დღეს კი საფლავიც აღარ არსებობს. იქაურ მომგვლელს ვაჩვენებ

გაზეთში დაბეჭდილი საფლავის ფოტო, მაგრამ ვერაფერი გვითხრა: სამი წელიწადია, აქ ვმუშაობ და არაფერი ვიციო. ახლა კუკიის სასაფლაოზე პატარა პანთეონი გაუკეთებიათ და იმ სასაფლაოზე დაკრძალული ყველა გამოჩენილი ადამიანი ამ პანთეონში გადაუსვენებიათ. ვეძებთ, იქნებ აქ გადმოსვენეს-თქო, მაგრამ ვერ ვიპოვეთ. საერთოდ, საფლავის განადგურების უფლება არ ჰქონდათ, მაგრამ რაღას ვიზამდით. მერე იმ მომვლელმა დაგვამშვიდა: მთავარია, ქართულ მინაზე დასაფლავდა, თანაც მანაც ამ სასაფლაოზე არის დაკრძალული, ამიტომ პანთეონში გაუკეთეთო

მემორიალური დაფაო. უკვე ყველაფერი გამზადებული გვაქვს და უახლოეს ხანში დაფას დავდგამთ.

1968 წლის შემდეგ აღარ ჩამოსულან შვილები?

— არავინ ჩამოსულა, რადგან საბჭოთა ხელისუფლების დროს ეს ძალიან რთული იყო, თან თინათინი უკვე ასაკოვანი გახლდათ, ვაჟი — ტარიელი კი — კარგა ხნის გარდაცვლილი. ძალიან ახალგაზრდა, 23 წლისა გარდაცვლილა. თინათინი საფრანგეთიდან სწორად იწერებოდა. წერილები ახლაც შენახული მაქვს — ფრანგულად წერდა და მხოლოდ ბოლოს აწერდა ქართულად: თინათინ. მისი ქალიშვილი რომ გარდაიცვალა, სამგლოვიარო წერილი გამომიგზავნა, ჭირისუფლების სახელებს მწერდა და უთითებდა, დრავილეში ვასაფლავებთო.

მის შვილებთან გაქვთ ურთიერთობა?

— ვაჟს მივწერე და მანაც ძალიან თბილი წერილით მიპასუხა. მას შემდეგ არც მე შევხმინებია, არც ის... თუმცა შარშან კი მივწერე, მაგრამ არ უპასუხებია...

თქვენნი მამამთილი, ირაკლი დეკანოზიშვილი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში არ იყო ჩაბმული?

— ირაკლი ჭიათურის კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში — თეატრის დაარსებაში, სკოლებისა და ბიბლიოთეკების განვითარებაში მონაწილეობდა. თურმე ძალიან მეგობრობდა აკაკი წერეთელთან. ჩემი დედამთილი მიაბობდა: ქუთაისისკენ მიმავალი აკაკი ყოველთვის შემოივლიდა ხოლმე ჩვენთან და

აუცილებლად ფულს სესხულობდა ირაკლისგანო (ილიძის). ყოველ წელს მიემგზავრებოდა გიორგისთან, პარიზში და აუცილებლად ქართული ეროვნული ტანსაცმლით მიდიოდა. ერთხელ, თურმე, ასე ჩაცმული მიუყვებოდა პარიზის ქუჩას და ფოტოგრაფს შეუჩერებია, — ვინ ბრძანდებითო? — ქართველი ვარო, — უპასუხია. იმ კაცს ფოტო გადაუღია ირაკლისთვის, ერთი გამოუტანებია, დანარჩენი კი „ქართველი კაცის სახედ“ გაუყიდა. საფრანგეთიდან ჩემი მამამთილი კიევის გავლით წამოსულა. თბილისში გამომგზავრებამდე, ერთ საღამოს კიევის ოპერის თეატრში სპექტაკლს დასწრებია. ამაზე აკაკი წერეთელი ვინმე სოსიკო მერკვილაძეს სწერს: „გუშინ ოპერის თეატრში ვიყავი... ატყდა ჩოჩქოლი და ყველა, დიდი და პატარა ერთი მხრისკენ იყურებოდნენ, ქალები ნერწყვსა ჰყლავდნენ. მეც შევხედე და რა დავინახე? ჩვენი ირაკლი დეკანოზის შვილი წითელი ქულაჯით ჩათუქქესურათ მორთული, პირველ წყებაში იჯდა გამოჩემული და ხალხიც იმას შეჩერებოდა. დიდი მთავარი ეგონათ. მეც რომ იხტიბარი არ გამეტყხა მისი, მონინებით მივედი მასთან და მერე, რომ მკითხეს მისი ვინაობა, მეც რასაკვირველია გაზვიადებით ვუთხარი: ზედარგან — ხვრელშიმძრომ-სკი კნიაზ-მეთქი და იმათაც ძალიან დაუფხვდათ ჭკუაში, დიდი ვინმე ყოფილაო“, (იკინის)... ერთხელ ირაკლის ჭიათურაში ვაჟა-ფშაველა მიუწვევია. წინასწარ დანიშნულ დღეს ვაჟა-ფშაველა არ ჩასულა, არადა, სადგურზე ელოდებოდნენ. რომ აღარ გამოჩენილა, ირაკლის უფიქრია, როცა ჩამოვა, შეგვატყობინებსო და მალაქოში სამუშაოდ წასულა. ვაჟა დაკნევილი ჩოხით იმ დროს ჩამო-

თამარ ბიწაძე მეუღლესთან, გოგი დეკანოზიშვილთან ერთად





ირაკლი დეკანოზიშვილი, ანრიეგა ფრენუა, გიორგი დეკანოზიშვილი, მისი და – მარიამ ქანანაშვილი გიორგის შვილებთან ერთად

სულა, სადგურზე რომ აღარავინ ელოდა. მეფის ჟანდარმს თვალში არ მოსვლია და დაუპატიმრებია. ვაჟა უხსნიდა, მწერალი ვარო, მაგრამ არ იჯერებდნენ: მათხოვარი ხარო. მერე აუხსნია, ვინც მოინვია, ჩემს მამამთილსაც გააგებინეს და ის გაგიჟებული მოვარდნილა: ეს რა ქენით. რაც თქვენთვის პუშკინი და ლერმონტოვია, ასეთი დიდი მწერალია ეს კაცი ჩვენთვისო. რუს ჟანდარმს ვაჟასთვის ბოდიშიც მოუხდია. ის ღამე დიდ მწერალს ჩვენს ოჯახში გაუთვია — ეზოში მის პატივსაცემად დიდი ბანკეტი გაუმართავთ. ჩემი დედამთილისგან ვიცი, რომ საგანგებოდ დაფინს მონწილე საგარეო დაუდგამთ მისთვის, საღამოს კი, ვაჟა-ფშაველას ბუხარი უყვარსო და, — დიდი ჯირკვბის ბუხარი აუგუნუნებიათ... ჭიათურის ახალგაზსნილ თეატრში „პატარა კახი“ დაუდგამთ და პრემიერას აკაკი წერეთელი დასწრებია. ჩემს მამამთილს თურმე ცოცხალი დეკორაცია გაუკეთებია: სცენის იატაკზე კარგახნით ადრე მოუყვია დიდი რაოდენობით მინა, ასევე დიდი რაოდენობით „ცოცხალი“ სიმინდი ჩაუფლია შიგ და ასე შეუქმნია ნამდვილი მობიბინე ყანა. აკაკი უბედნიერესი ყოფილა, თურმე... შინ გვაქვს „ტარასი არხიმანდრიტის ნახატი ასოები“, რაფაელ ერისთავის მიერ გამოცემული 1883 წელს. დეკანოზიშვილებს საოჯახო არქივიდან“. ჩემს მამამთილს, ალბათ, რაფაელ ერისთავმა აჩუქა. დედამთილისგან კი ვიცი, რომ მწერალ ვასილ ბარნოვს ირაკლიმ მოუნათლა შვილი... ჩემი მამამთილი რომ გარდაცვლილა, ჭიათურის თეატრის ფოიეში დაუსვენებიათ და საპატიო ყარაული დაუყენებიათ. თეატრიდან ინტელიგენციას გამოუსვენებია და, თურმე, სასახლის ანევაში მუშები ეცილებოდნენ. მისი დაკრძალვის დღეს სამრეწველო სანარმოებსა და ქარსნებში ერთი საათით მუშაობა შეწყვეტილა — ამის შესახებ ადგილობრივი გაზეთი წინდანინ იუწყებოდა. ირაკლი დეკანოზიშვილი მღვიმევის დედათა მონასტრის ეზოშია დაკრძალული... ჭიათურის თეატრის 100 წლის იუბილეს შემდეგ დაადგინეს, რომ ჭიათურაში პირველი მისის ქუჩას გიორ-

გი დეკანოზიშვილის სახელი დარქმეოდა, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ მეგორიალური დაფა გაკეთდა ჩვენს სახლზე: აქ ცხოვრობდნენ ძმები დეკანოზიშვილებიო. ერთი თვის წინ დამირეკეს ჭიათურიდან, მერიამ იმ ქუჩისთვის დეკანოზიშვილების სახელს დარქმევის დადგენილება მიიღო და იმედი მაქვს, ახლა მაინც შესრულდება დადგენილება.

— ქალბატონო თამარ, თქვენ ჭიათურის მეორე საჯარო (იმხანად საშუალო) სკოლაში 25 წლის განმავლობაში რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდით. ვიცი, სასკოლო, საოჯახო თუ სხვა თავგადასავლები შეკრიბეთ და ორი წლის წინ პატარა ნიგნად გამოეცით.

— ნიგნს „იუმორები და კურიოზები“ დავარქვე, ერთი წლის შემდეგ კი გამოვეცი „საინტერესო ამბების სამყაროში“. ძალიან ბევრი ჩანანერი მქონდა და, როდესაც თქვენს ჟურნალში „გოჩა დვალის უბის ნიგნაკიდან“ ჩანანერები ვნახე, ვიფიქრე: გოჩა დვალი მავლობებს, წლებს განმავლობაში იმდენი რამ ჩამინერია ჩემს უბის ნიგნაკში-მეთქი?! „რაც წამიკითხავს, მიყვარს და რისი დავიწყებაც არ მინდა“, — წავუძღვარე, რადგან ეს უკვე ჩემს თავს გადადენილი ამბები არ იყო და გამოვეცი (იციან). თუ გინდათ, „იუმორები და კურიოზებიდან“ რამდენიმეს წაგიკითხავთ: „ჩვენი ერთი მოსწავლე დედამ გააგზავნა ნიოელ ჯვარში და დააბარა: სევერიან ბიძის უთხარი, ვალერიანის წვეთები გამომიგზავნოსო. ბიჭი მივიდა და ეუბნება: ვალერიან ბიძია, დედამ შემოგიტვა ალბათ, სევერიანის წვეთები გამომიგზავნეო“ (იციან)... ასეთიც მაქვს: „ვმორიგეობ

სკოლის დერეფანში. ხელში პატარა ჯოხი მიჭირავს. ერთ მოზრდილ ბიჭს, რომელიც გაუჩერებლად დარბოდა, შენიშვნა მივეცი და ზუმრობით ჯოხი მოვუქნიე. არ დამარტყა, მასწავლებლო, თუ არა მტვერი დაგახრჩობთო, — მომიგო ბავშვმა“ (იციან)... ერთსაც წაგიკითხავთ: „თბილისში, ჩვენს სახლთან ახლოს, არის ნიგნების მალაზია „ნაკადული“. ერთ დღეს ჩემი შვილიშვილი ეუბნება მამას: მათემატიკის რვეული აღარ მაქვსო. სკოლიდან რომ წამოხვალთ შენ და ბებო, შედით „ნაკადულში“ და იყიდეთო, — უთხრა ვატომ. შევედით მე და გიორგი „ნაკადულში“, მაგრამ რვეულები საერთოდ არ ჰქონდათ. საღამოს გიორგი ეუბნება ვატოს: მამა, ვიყავით მალაზია „ლეღეში“, მაგრამ რვეულები არ ჰქონდათო“ (იციან)... სხვათა შორის, ეს ბოლო ამბავი ჩვენს ანუ ირაკლი დეკანოზიშვილის ოჯახში მოხდა. მინდა, ისიც იცოდეთ, რომ გიორგი დეკანოზიშვილს, სამწუხაროდ, გვარის გამგრძელებელი არ დარჩენია, მაგრამ ერთ-ერთი პირველი სამთონიწინის ოჯახის ტრადიცია და გვარიც ჩვენს ოჯახში არ მოიშალა: ჩემი მამამთილის, ირაკლი დეკანოზიშვილის შემდეგ სამთოელის პროფესია აირჩია ჩემმა მეუღლემ, გოგი (გიორგი) დეკანოზიშვილმა, რომელსაც მამამ უფროსი გიორგის პატივსაცემად დაარქვა სახელი. მერე ჩემი ვაჟი, ვატომ და ჩემი მახლიშვილიც სამთოელები გახდნენ. დღეს ოჯახში კვლავ გვყავს არა სამთოელი, მაგრამ სახელისა და გვარის გამგრძელებელი გიორგი დეკანოზიშვილი — ჩემი შვილიშვილი. უკვე შვილთაშვილიც შეგვეძინა — კესო და, ასე, ჩვენი ოჯახის საბედნიეროდ, მრავლობენ დეკანოზიშვილებში...

პ.ს. სტატიაზე მუშაობისას საინტერესო დამთხვევა აღმოვაჩინე: ჩვენი ინტერვიუ და გიორგი დეკანოზიშვილის მოგონება მისი გარდაცვალებიდან 100 წლის შემდეგ იწერება.





გაღაპვილის მიერ დახვრებას გადარჩენილი გერმანელი, პურის გერმანული პროვატი და ქალბატონი, რომელმაც ტელევიზორს ომი გამოუცხადა

„მეამაყება, რომ ქართველი ვარ, მიყვარს ჩემი ქვეყანა და უცხოეთში ნასულ ყველა ქართველს მოგუწონდებოდა, რომ დაბრუნდეს საქართველოში და ის ცოდნა, გამოცდილება, რომელიც იქ მიიღო, სამომავლოდ, საკუთარ ქვეყანას მოახმაროს“, — აღნიშნავს ჩემი რესპონდენტი, რომელიც გერმანიაში სასწავლებლად 18 წლის ასაკში გაემგზავრა. ნასვლამდე კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დასავლეთ ევროპის ენების ფაკულტეტის (გერმანული ენის განხრით) სტუდენტი გახლდათ. უცხოეთში სწავლა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში განაგრძო და განათლების მიღება საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე დაასრულა. იქიდან მოყოლებული, ქეთი ლორთქიფანიძე უკვე 17 წელიწადია, გერმანიაში მჭიდროდ თანამშრომლობს, იქ მიღებულ ცოდნასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას საკუთარ ქვეყანას უშუფრვლად ახმარს...



ქეთი მეულესთან ერთად

ლალი ფასია

— საუბროს დაწყებამდე აღნიშნეთ, — ისე გავიზარდე, ჩემს ცხოვრებაში ბევრი ისეთი რამ მოხდა, რის შემდეგაც უფლება არა მაქვს, ისე ვიცხოვრო, რომ არ მიყვარდეს ადამიანები და არ ვემსახურო ხალხსო. რას გულისხმობდით?

— გერმანიაში სწავლის პერიოდისგან ერთ ისეთ ეპიზოდს მოგიყვებით, რომ ყველაფერს თავად მიხვდებით... მეოთხე კურსზე გამოგვიცხადეს: ლექციებს დიპლომატიის საფუძვლებში ვინმე რუდიგერ ფონ ფახელბელი წაგიკითხავთო. ფახელბელი დიპლომატიის საფუძვლების არაერთი სახელმძღვანელო ავტორი, ცნობილი პიროვნება გახლდათ, რომელიც იტალიაში (ფლორენციაში) ქასტელო ჩიანტიში (ციხესიმაგრეს ნიშნავს) ცხოვრობდა. ფახელბელი აგრეთვე ლვინოს — „ქასტელო ჩიანტის“ აწარმოებდა. იგი იმ სასახლეში მარტო ცხოვრობდა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებში ლექციებს კითხულობდა. ჩვენთან სამი თვით იყო მოვლენილი. ლექციაზე რომ შემოვიდა, პირველი, რაც თქვა, იყო: „ვინ არის თქვენ შორის ქართველი (ამ ამბის გახსენებისას, ახლაც საოცრად ველავ...)?“ დავიბენი... მან კითხვა გაიმეორა. შემდეგ მორცხვად ვუთხარი, რომ მე ვარ ქართველი!.. მომიხალგოდა და ხელზე მემამბორა, შებრუნდა მაგადისკენ და ასეთი სიტყვები წარმოთქვა: „მე ყველა ქართველი მიყვარს და თქვენს ქვეყანას უდიდეს პატივს ვცემ... დღეს რომ შემიძლია, გესაუბროთ, დავტკებ ცხოვრებით, — ეს ყველაფერი მხოლოდ ერთი ქართველის დამსახურებაა“ და ასეთი ამბის თხრობა დაიწყო: „მეორე

მსოფლიო ომის დროს, 1944 წელს ოდესაში ტყვედ ჩავვარდი. 10 გერმანელთან ერთად, გემზე შეგყვარეს, ვიცოდით, რომ მიყვავდით. ტყვეები იატაკზე ვყარეთ, გემბანზე უღვაშიანი, მსუქანი კაცი შემოვიდა. რატომღაც მე მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითით მანიშნა — ჩემთან ნამოხვალო. ვიფიქრე, ალბათ სიცოცხლეს პირველს მე გამომასალმებენ. შიმშილისგან დაუძლურებული სხეული ძლიერს ნამოვნიე და გავეყვი, ის ცეცხლისფარეში აღმოჩნდა. თავისთან ჩამიყვანა... გამოიღო ნაჭერში შეფუთული სიმინდის პური და ყველი და გამომიწოდა — ჭამეო... რუსი არ გეგონო, ქართველი ვარ, ქართველი, — დამარცვლით გამიმეორა... დაიმხსოვრე, გვარად ბალაშვილი გახლავარ... მე შენ გაგიშვებ გემიდან და შენ იცი, თავს როგორ უშველიო... სამაშველო რგოლიც მომცა... ბევრი წვალეების შემდეგ როგორღაც გადავრჩი... პოსპიტალში მოვხვდი... მაშინ ქართველი რას ნიშნავდა, არც კი ვიცოდი, ყველა რუსი მეგონა... ომის შემდეგ გოგონა, რომელიც მიყვარდა, გათხოვილი დამხვდა. დავიფიცე, რომ ცოლს არასდროს მოვიყვანდი. შემდეგ სტუდენტი გავხდი. სწავლის პერიოდში, ჩემი გადამრჩენის პატივსაცემად, ზედმინევით შევისწავლე საქართველოს ისტორია. ბევრი რამ გავიგე ამ ქვეყნის შესახებ და გულით დავატარებ ქართველთა სიყვარულს“, — ასე დაასრულა მან თავისი ნაამბობი. ჩვენი კულტურა ფაქტობრივად, ზეპირად იცოდა... ბატონ ფახელბელს ვუთხარი, რომ ვგაიჟებოდი იტალიურ ფერწერაზე, მხატვრობაზე, რომ ის ბავშვობიდან საოცრად მიზიდავდა. მან მკითხა,

ნამყოფი ვიყავი თუ არა იტალიაში? — არა-მეთქი. რომ გაიგო, იტალია ნანახი არ მქონდა, თავი უცნაურად გადააქნია. როდესაც საქმე სადიპლომო ნაშრომზე მიდგა, საოცარი სიურპრიზი და საჩუქარი გამიკეთა, დეკანატში მითხრეს, რომ სადიპლომო ნაშრომი ფლორენციაში, ბატონ რუდიგერთან უნდა დამეცვა. მან 9 თვის განმავლობაში საკუთარი ფინანსებით ნამიყვანა და თავის სასახლეში მაცხოვრა... ჩემი იქ ყოფნის პერიოდში, დღის განმავლობაში, ტურისტებით სავსე 10 ავტობუსი მაინც მოგვადგებოდა ხოლმე. ბატონი რუდიგერი სახლში ყველას შემოიყვანდა და იქაურობას ათვალიერებინებდა. მას სასახლე საოცრად ჰქონდა გაკეთებული — საბერძნეთიდან ქვევრები ჩამოეტანა, რომლებიც იქაურობას გალავან-ტერასებად ჰქონდა შემოვლებული. იქვე იყო ზეთისხილის ბაღები... დამთვალეიერებლებს საგულდაგულად უყვებოდა, რა როგორ გააკეთა. ჩემი იქ ყოფნის პერიოდში ყველას ეუბნებოდა, რომ მე მისი შვილიშვილი ვიყავი. ტურისტები სურათებს მეც მიღებდნენ... სხვათა შორის, მითხრა, რომ პირადად იცნობდა ედუარდ შევარდნაძეს და, — მისთვის ჩემი ამბავი მოყოლილი მაქვს, როდესაც ის საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, — აღნიშნა. ბატონი რუდიგერი სხვადასხვა დროს, არაერთ ქვეყანაში ელჩიც ყოფილა; მუშაობდა უდიდეს საქველმოქმედო ორგანიზაციებში. მასთან ცხოვრების განმავლობაში, თითქმის ყოველდღე, მამლევდა პროგრამას — ფლორენციაში რისი ნახვა და გაცნობა უნდა მომესწრო... როცა ამ ადამიანთან ჩემს შესხედრას



ვანალიზებ, ყოველთვის ის ცეცხლისფარეში ბალაშვილი მახსენდება, რომელმაც ჩემს „ბაბუას“ სიცოცხლე აჩუქა და მისმა ამ უკეთილშობილესმა ნაბიჯმა მე ცხოვრებაში გზა გამიკვალა... კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ცხოვრებაში სიკეთის ქმნის ნიჭი სიყვარულთან ერთად, ადამიანისთვის უდიდესი განძია, რითაც ადამიანს ღმერთი ასაჩუქრებს. ამრიგად, უფლება არა მაქვს, სიკეთე არ ვაკეთო და ადამიანები არ მიყვარდეს...

— ქეთო, რა მოხდა მას შემდეგ, რაც ბატონ რუდიგერს დასცილდით?

— დავასრულე ინსტიტუტი, ვიყავი პრაქტიკაზე და საქმიანობა გერმანიაში გავაგრძელე... მოგვიანებით, საქართველოში დავბრუნდი, რომ მუშაობა აქ დამენიო და ჩემი იდეები საქართველოში განმეხორციელებინა. ჯერ კიდევ გერმანიაში ყოფნისას, ჩემში მომნიჭდა აზრი, რომ საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ გამომეცხო გერმანული პური და ამით სიხარული მიმეჩვენებინა იმ ადამიანებისთვის, ვისაც იმ პურის გემო საქართველოში ენატრებათ. ესენი არიან აქ მცხოვრები გერმანელები და ქართველები, რომლებსაც გერმანიაში უცხოვრიათ; მინდოდა, ადამიანებს თბილისშიც შესძლებოდათ გერმანული პურის დაგემოვნება. დიახ, იმ ჭვავის პურის, ან პურის ზეთისხილითა თუ ნივთებით დაგემოვნება, რომელიც დღეს უკვე ჩემს სანარმოში კეთდება. ამ სანარმოს გასაკეთებლად საკმაოდ დრო დამჭირდა. გერმანიაში რამდენიმე წლით ისევ წავიდი...

— მოკლედ, საბოლოოდ ოცნება მაინც აიხილნო, არა?

— კი, პატარა სანარმო შევქმენი, რომელიც გერმანული საცხობ-საკონდიტრო-კაფე-მალაზია „ბრეცელის სახლით“ არის ცნობილი.

— გერმანულ პურს ქართული ინგრედიენტებით აკეთებთ?

— არა, ინგრედიენტები გერმანიიდან ჩამომაქვს. მინდა, რომ ჩემს პროდუქციას გერმანული გემო ჰქონდეს...

ერთი გერმანელი კაცია, თელავში სკოლაში ასწავლის და ყოველ შაბათ-კვირას ჩემთან ჩამოდის, რომ პროდუქცია იყიდოს. ამასთან, აქ მცხოვრები არაერთი გერმანელიც მაკითხავს. ასევე ბევრი ქართველი გოგონაა გერმანულზე გათხოვილი; ასეთი ოჯახებიც არიან ჩემი მომხმარებლები... ამის გარდა, ჩემი საქმიანობა სტუდენტური გაცვლითი პროგრამებია. ფურთიერთობ უცხოეთის სხვადასხვა ქალაქის უნივერსიტეტებთან, საზაფხულო კოლეჯებთან; და 11-დან 26 წლამდე ახალგაზრდებს საშუ-

ალება აქვთ, ჩემი დახმარებით ჩართონ ამ პროგრამებში. ბედნიერი ვარ, რომ ქართველ ახალგაზრდებს ევროპაში გზას ვუკვალავ და შემდგომ იქაც ვპატრონობ მათ.

— აღნიშნეთ, რომ თბილისში ბევრი ქართველი გოგონა გერმანულზე გათხოვილი... თქვენც გერმანელი მეუღლე გყავთ.

— დიახ, ჩემი მეუღლე ტომას მაიერი გახლავთ. საკმაოდ ცნობილი ინჟინერ-გამომგონებელია და ჭეშმარიტი ბავარიელია, რითიც ამაყობს...

— როგორა ასეთი ადამიანის გვერდით ყოფნა და საერთოდ, ის, რომ ქართველს ევროპელი მეუღლე გყავთ?

— არასდროს მნდობებია, ბედი უცხოელისთვის დამეკავშირებინა. მინდოდა, ქართველი მეუღლე მყოლოდა, მაგრამ ასე არ მოხდა... ტომასი სტუდენტობის დროს, ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო. გვერდიგვერდ ბინაში ვცხოვრობდით. ბედნიერი ვიყავი იმით, რომ მშობლიურ ქვეყანას მონყვეტილს, იქ მყავდა ისეთი ადამიანი, რომელიც თავისი თავისუფლად შემქმნელი, გული გადაემშალა. ერთად ვსადილობდით, კრძებდით, ვაშადავდებდი. თუ რამეს ვერ გავიგებდი, ტომასი დავალებების შესრულებაში მხარდაჭერასა და თანადგომას მიცხადებდა, მაგრამ როდესაც საქართველოში წამოვედი, მაშინ წერილი გამომიგზავნა, რითაც მაცნობა, რომ ვუყვარდი... ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო. არ ველოდი, მას, როგორც მეგობარს, ისე ვუყურებდი, მაგრამ როდესაც დაფიქრდი და ყველაფერი კარგად გავანალიზე, ვთქვი, — ის ხომ არ გაზრდილა ჩემი ნივთი, ის ევროპელია და მან გასაქანი მისცა გრძნობას, რადგანაც სიყვარულს ვერ მოაქცევდა ჩარჩოებში. ვუპასუხე, რომ ამაზე დავფიქრებოდი, თან დავაყოლე, — მგონი, მეც მიყვარხარ-მეთქი... შემდეგ ჩვენ შორის მიმონერა 6 თვეს გაგრძელდა. მთხოდდა, გერმანიაში დავბრუნებულიყავი და სწავლა ასპირანტურაში გამეგრძელებინა, მაგრამ

დედა ავად გამიხდა და იმ დროს ვერ წავიდი. შემდეგ ტომიმ გამომიცხადა, — რადგან ასეა, აღარ დაგელოდები, ურთიერთობა შენთან უნდა გავწყვიტო... მეწყინა და ვთქვი, რომ ამ პიროვნებისკენ აღარასოდეს გავიხედავდი. საერთო მეგობრებსაც აუფრთხილე ჩემთან ტომასზე ლაპარაკი... ამის შემდეგ ავტოკატასტროფამ მოგვეყვი. მეგობრებს მისთვის ეს ტრაგიკული ამბავი უცნობეიათ. მაშინ მისგან ელექტრონული ფოსტით წერილი მივიღე, სადაც მწერდა, რომ განიცდიდა ჩემს მდგომარეობას. პასუხი არ გავეცი... წელიწადისა და 8 თვის განმავლობაში 6 ოპერაცია დამჭირდა. ყველაფერი მეგობრებისა და ახლობლების თანადგომამ გადამატანინა. ავარიიდან 5 წლის შემდეგ კი გერმანიაში მომიწია გაფრენამ, მეგობრები საშობაოდ ვიკრიბებოდით. ტომასსაც უთხოვია, მეც მოვალე. მეგობრებს უთქვამთ, — ქეთის ვერ გავაზრახებთო, — და აუფრთხილავთ მისთვის იქ მოსვლა, მაგრამ ის არ დაემორჩილა და იმ სადღესასწაულო შეკრებაზე მაინც მოვიდა. ჩვენ წლების შემდეგ შევხვდით ერთმანეთს. მითხრა, რომ ჩადენილ საქციელს — ჩემს მიტოვებას საშინლად განიცდიდა; მეგობარ ფსიქოლოგს უთქვამს: შეეხმანე იმ გოგონას და მისგან მოისმინე პასუხი ან მასთან გასაუბრების გარეშე გადაგიდა სამომავლოდ რაღაც ნაბიჯები, რადგანაც წლების განმავლობაში არ შეიძლება ასე გაურკვეველად ყოფნაო. ფაქტობრივად, ის ასეთ გაურკვეველობაში 7-წელიწად-ნახევარი იყო. იმ ზეიმის დღეს ყველაფერი ვაპატიე, რადგანაც მივხვდი, რომ ეს ის ადამიანი მე მეკუთვნოდა... უკვე წელიწადი და რამდენიმე თვეა, რაც ერთად ვართ და ძალიან ბედნიერები ვართ...

— საუბრის დასაწყისში აღნიშნეთ, რომ ბევრი ქართველისგან განსხვავებით, პუნქტუალური ხართ. ვფიქრობ, ამიტომაც არ გაგიჭირდათ გერმანიაში ცხოვრება, არა?

— რა გითხრათ, 3 წლის ასაკიდან გერმანულ ენას ვსწავლობდი და გერმანიაში ჩასვლისას ენის ბარიერი არ მქონია. პასუხისმგებლობის გრძნობა მართლაც რომ ყოველთვის მქონდა, პედანტიზმი ჩემში დევს. ამასთან, პატარობიდანვე კონტაქტური ვიყავი, რომ ჩემი კონტაქტურობა გერმანელებს ახსენებდათ კიდევ... გერმანია ჩემთვის მეორე სამშობლოსავით იყო... სულ თავიდან კი ჩემს დამოუკიდებელ ადამიანად ჩამოყალიბებას ყველაზე მეტად, დედა — ნინო (დაჯი) ლორთქიფანიძემ



მინდოდა, ადამიანებს თბილისშიც შესძლებოდათ გერმანული პურის დაგემოვნება



შემიწყო ხელი. მემამყებო, რომ ამ ქალის შვილი ვარ. დედა ყველანაირი თვალსაზრისით — როგორც დედა, ქალი, მეუღლე — სამაგალითო პიროვნება... მას ჩემთვის უთქვამს, შენ ჩემი ექსპერიმენტი იყავი... იგი თავადაც 13 წლიდან დამოუკიდებლად იზრდებოდა და არ შემოიძლია, არ ვთქვა, რომ მის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ბებიამ, მისმა დედამ ითამაშა. ბებოც გერმანიაში, ლაიფციგში იზრდებოდა. ამბობენ, რომ ბევრი მისი თვისება მაქვს. მან სკოლაც ლაიფციგში დაამთავრა, რადგანაც მამამისი ჰოსპიტალში სამხედრო ექიმი გახლდათ, საკმაოდ ცნობილი ქირურგი. დედაჩემი ამბობს, რომ ბებო ძალიან მკაცრი იყო...

— თქვენ როგორ გზრდიდათ დედა?

— დედა თავის 4 შვილს თავისუფლებას აძლევდა, არ ზღუდავდა. ყოველთვის ცდილობდა, ჩვენს გაუთავებელ, ნებისმიერ კითხვაზე პასუხი გაეცა და არასდროს უთქვამს, რომ დაიღალა. ერთად დავდიოდით ტყეში, ზღვაზე, სათევზაოდაც... ის მთლიანად გვეკუთვნოდა ჩვენ, შვილებს. ამავე დროს, ჰქონდა თავისი სამყაროც — ხატავდა, წერდა და დღემდე ამას აკეთებს. პროფესიით ექიმი. ჩემი მეგობრების მესაიდუმლეც არის. დედას სურდა, რომ პრაქტიკული ქალი ყყოფილიყავი, დამოუკიდებელი, გამძლე და არა მეოცნებე გოგონა... შეძლებული ოჯახი გვექონდა, მაგრამ არასდროს მაგრძობინებდა იმას, რომ მე რომელიმე ჩემს მეგობარზე რაიმეთი მეტი ვიყავი... მე ამ ყველაფრისთვის მას მადლობა გადავუხადე...

— როგორც შევითქვე, სახლში ტელევიზორი არ გაქვთ და ამასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება გაქვთ...

— 17 წელიწადია, სახლიდან ტელევიზორი გავაქრე. რატომ? იმიტომ, ის ადამიანს დროს ართმევს. არადა, დრო ძალიან ძვირფასია. თან, ტელევიზორთან ჯდომა ჩემთვის დროებითი გარდაცვალების ტოლფასია. დროებითი გარდაცვალება ადამიანს ძილის დროსაც ჰყოფნის. ხშირად მისვამენ შეკითხვას — როგორ არ გაინტერესებს, სამყაროში რა ხდება? მე პოლიტიკოსი არა ვარ და არ არის სავალდებულო, პოლიტიკაზე ვილაპარაკო. მათ ილაპარაკონ, ვინც ეს საქმე იციან. გერმანიის ხელისუფლებაში ვინ ვინ არის, ნახევარზე მეტმა გერმანელმა მოქალაქემ არ იცის, რადგანაც ამის ცოდნა მათთვის სავალდებულო არ არის. ჩემს შემთხვევაშიც არ არის სავალდებულო, ვიცოდე მინისტრების სახელები. თუმცა ვინც ამას წაიკითხავს, იტყვის, რომ მე ძველმოდური ვარ... დე, ასე იფიქროს... ეს მისი ნებაა...

— ქეთო, მადლობა საინტერესო საუბრისთვის. წარმატებებს გისურვებთ. — გამაღლობთ.

გაბრუნების შესახებ უსიამოვნო და ზეწოლა სოციალური

იმედია, ამ სტატიის ნაკითხვის შემდეგ პატიმრები არ გამიბრაზდებიან, ვინაიდან ამჯერად, მათზე განაწესებული გოგონების ინტერვიუ უნდა შემოგთავაზოთ. ამ თემაზე მუშაობა მას შემდეგ დავიწყე, რაც ჩემს მობილურზე ზედიზედ რამდენიმე ისეთი მესიჯი შემოვიდა, სადაც სუსტი სქესის წარმომადგენლები თავიანთ ბედსა და მამაკაცების „უკუღმართობას“ უჩიოდნენ.



ანუ ღირს თუ არა ღამნაშავე ადამიანის ლოდინი

ლია ქაჯაია

ენი, 18 წლის:

— მოკლედ, არ ვიცი, ლაპარაკი საიდან დავიწყო, ძალიან დაბნეული ვარ. ჩემი შეყვარებული ჩემზე 5 წლით უფროსია. ერთმანეთს 3 წელია, ვიცნობთ. კახა ყოველთვის ძალიან თბილი, ერთგული, მეგობრული იყო; 3 წლის განმავლობაში ჩემთვის არც ერთხელ არ დაუყვირია. საოცრად თავშეკავებული გახლდათ და ჩემთვის ხელის გადახვევაც კი ვერიდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთი სიგიჟემდე გვიყვარდა, ერთ-ერთისთვის ტუჩებში ერთხელაც არ გვიცოცნია. ის ჩემს მშობლებს, ძმას იცნობდა და მათ პატივს სცემდა. ჩემს დაქალებს ჩემი შურდათ კიდევ და მეუბნებოდნენ: ეს რა ოქრო ჩაიგდე ხელში!.. ყველაფერი მას შემდეგ შეიცვალა, რაც კახა დააპატიმრეს.

— რისთვის დაიჭირეს?

— ყაჩაღობა დასდეს ბრალად. მის უდანაშაულობაში დარწმუნებული ვარ, მაგრამ თავად დანაშაულს აღიარებს... მოკლედ, ერთ ღამეს ვილაცები კახას ახლობლებს დაესხნენ თავს, ოჯახი გაძარცვეს და გაიქცნენ. თურმე, ოჯახის უფროსმა ერთ-ერთი ყაჩაღი — კახას ძმა იცნო და რა თქმა უნდა, ის სამართალდამცავებთან დაასმინა კიდევ. მართალია, მისი ტყუპისცალი არ არის, მაგრამ კახა ძმას — პაატას გარეგნულად ძალიან ჰგავს და მისი დანაშაული საკუთარ თავზე აიღო.

— და ეს პაატამ არ გააპროტესტა?

— არა, ის მშიშარა ადამიანია, რომელიც ყოველთვის ცდილობდა, კახა

და მშობლები გაემწარებინა. მასზე ამბობდნენ, „ავარდნილი“ ბიჭია და მისი ნდობა არ შეიძლებაო, კახა კი ძმას ყოველთვის იცავდა, მასზე ზრუნავდა და მის გასაკეთებელსაც თავად აკეთებდა. სამწუხაროდ, ეს არ დაუფასდა.

— რატომ გგონია, რომ დანაშაული პაატამ ჩაიდინა?

— იმიტომ, რომ ის არაერთხელ იყო კრიმინალურ საქმეში შემწეული, კახა კი პატიოსნების განსახიერება გახლდათ. ამას არა მარტო მე და მისი მეგობრები, არამედ ისინიც აღნიშნავენ, ვისთანაც ერთხელ მაინც ჰქონია ურთიერთობა. სამწუხაროდ, კახას არც მშობლები გამოესარჩლნენ, პირიქით, პაატას დააფარეს ხელი... თუმცა, ახლა ამ თემაზე ლაპარაკი არ მსურს, სულ სხვა მიზეზის გამო დაგვიკავშირდით...

— შენ მითხარო: მას შემდეგ, რაც დააპატიმრეს, კახა რადიკალურად შეიცვალაო.

— ჰო, ასეა და ამის მიზეზს ვერ ვხედავ... როცა ციხეში მივაკითხე, თბილად შემხვდა. შეყვარებულს ჩემი ეჭვი გაუფხილვე და ვუთხარი, — სიმართლე უნდა თქვა! დარწმუნებული ვარ, დანაშაული შენ არ ჩაგიდენია-მეთქი. გადვირია: ეგ შენი საქმე არაა. თუ შეგიძლია, ამ თემაზე კრინტიც აღარ დაძრაო. ვერ გაეწუმიდა — როცა ხედავ, რომ საყვარელი ადამიანი სხვის გამო იღუპება, ძნელი მოსათმენია და ამიტომაც, ვუპასუხე, — ვიდრე სიმართლეს არ გავარკვევ, ვერ მოვისვენებ-მეთქი. კახა სწორედ ამის შემდეგ შეიცვალა — ჩემი დანახვა არ უნდა, არც მირეკავს და ცდილობს, შეძლებისდაგვარად გამამწაროს.



— ანუ?

— იცით, ის ახლა ჩემს უახლოეს დაქალს ურეკავს, სიყვარულს ეფიცება, ჩემთან კი ვილაც პატიმარს არეკინებს. აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე... შემომითვალა: ნულარ დამელოდები, სხვა მოძებნე, მე აღარაფერში მჭირდები, ყველაფერი შეიცვალაო!.. ვერ ვხვდები, ასე რატომ იქცევა.

— შენი დაქალი მას ახლაც ელაპარაკება?

— კახა სწორად ურეკავს, ეს კი ეუბნება: მე ნინის არ ვუღალატებ და ვერც შენნაირ ადამიანს შევიყვარებო!.. ვიცი, კახა ამ ყველაფერს ჩემს გასაბრაზებლად აკეთებს, მაგრამ მეშინია, რომ მის პატივს ველარსდროს შევძლებ... ჰო, შეიძლება, ჩემი დაქალისთვის სიყვარული აქვს, მაგრამ ჩემი ტელეფონი სხვას რომ მისცა, ეს რა ნესია?! ვფიქრობ, მას მართლაც, აღარ ვუყვარვარ.

— ის პატმარი რას გეუბნება?

— მთხოვს, მასთან მივიდე და ვნახო. მითხრა: როცა კახასთან მოხვედი, დაგინახე და მაგრად დამეყვას. კახამ შენი თავი მე დამითმო და იმედია, ხელშიც მალე ჩაგიგდებ. იცოდე, მე უფრო ადრე გამოვალ „სვებოდაზე“, ვიდრე შენი ყოფილი „ლოვე“. ასე რომ, ჯობია, მის ნაცვლად ჩემზე იფიქრო. მთელი ღამე ტირილში გვატარე, კახასგან ასეთ საქციელს ნამდვილად არ ველოდი. ეტყობა, ციხეში ფსიქიკა შეეცვალა და საცოდავი, ჭკუიდან შეიშალა... ნუთუ, ასეთი ადამიანი პატივების ღირსია? მისი ლოდინი ღირს?

— ვფიქრობ, კახა ასე მიზანმართულად იქცევა და სურს, თავი შეგაძლოს...

— თუ ასეა, შედეგსაც მიაღწია. მე ის მთელი არსებით მძულს! თურმე, სიყვარულიდან სიძულვილამდე მართლაც, ერთი ნაბიჯი ყოფილა. იმასაც მივხვდი, რომ ადამიანი, რომელიც ცუდ გარემოში ერთხელ მაინც აღმოჩნდება, თავადაც იცვლის ზნეს.

— დარწმუნებული ვარ, ოდესმე ამ საქციელის გამო პატივსაც გთხოვს...

— ახლა რომ დარეკოს, შეიძლება, მართლა ვაპატიო ყველაფერი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ცოტა ხანში მას მართლაც, საბოლოოდ შევიძულებ და მერე, მთელი ქვეყანა ფეხქვეშ რომ გამეგოს, ჩემი სულის დაჩეხას ვერ ვაპატიებ!..

სათუნა, 21 წლის:

— 16 წლის ვიყავი, მე და გიომ ოჯახი რომ შევქმენით. მისმა მშობლებმა გადაწყვიტეს, ცალკე გვეცხოვრა და თბილისში ბინა დაგვიგირავეს. თა-

ვიდან საკვებით გვაპარაგებდნენ, მერე კი ბედის ანაბარად მიგვატოვეს.

— გიო არსად მუშაობდა?

— მშენებლობაზე დაიწყო მუშაობა, მაგრამ იქიდან მალევე გამოუშვეს — დედის ნებეირამ მიძიმე სამუშაოს შესრულება ვერ შეძლო.

— დედის ნებეირამო, — ამბობ. ძნელი წარმოსადგენია, რომ დედას თავისი ნებეირა ბედის ანაბარად მიგვატოვეს...

— ჩემი დედამთელი ასე იმიტომ მოიქცა, რომ მე არ მოვწონდი. მას თურმე, უფრო ლამაზი გოგო, შეძლებული ოჯახის შვილი უნდოდა რძლად და არა ჩემნაირი „გალღეტილი“, „ჩონჩხით გამხმარი“ გოგო... ცოტაოდენი თანხით ჩემი მშობლებიც გვეხმარებოდნენ. ვიდრე გოგონა გაგვიჩნდებოდა, თავი ასე თუ ისე, გაგვქონდა — მეგობრებისა და ნათესავების დახმარებით, მაგრამ შვილის შექმნის შემდეგ ცხოვრება ძალიან გაგვიჭირდა — მე ძუძუ გამიშრა, პატარა ხელოვნურ კვებაზე გადავიყვანეთ და ზოგჯერ, მისთვის საჭმელიც არ გვქონდა, მშვიერს ვაძინებდით ხოლმე; როცა ჩემი შვილი ტირიდა იმიტომ, რომ შიმშილით კუჭი ეწვოდა, ჩემი დედამთელი-მამამთელი ქათმის ხორცს მიირთმევდა და საკუთარ შვილიშვილი არც ახსენებდებოდა... გიო ქუჩა-ქუჩა დანანანალებდა, რათა ერთ-ორი თეთრი ეშოვა. ერთხელ შინ უჩვეულოდ ბევრი ფული — 20 ლარი მოიტანა. გამიკვირდა და ვკითხე, — საიდან-მეთქი? — „ელიავას ბირჟაზე“ ერთ კეთილ კაცს გადავანყდი, რომელმაც ეს 20 ლარი მომცა; ის შემპირდა, რომ მუშად მამუშავებს, ასე რომ, აღარაფერი გაგვიჭირდებოდა. დაუფერე, აბა, სხვა რა გზა მქონდა?! ამ ამბიდან რამდენიმე თვეში გიო დაიჭირეს. აღმოჩნდა, რომ ის მე და ქეთუშას ჯიბის ქურდობით გვარჩენდა... ხალხნო, თუკი ჩემმა ქმარმა თქვენც მოგპარათ რამე, გთხოვთ, მიუტყვეოთ დანაშაული. ამას მხოლოდ იმიტომ აკეთებდა, რომ მისი თოთო შვილი შიმშილისგან იკრუნჩხებოდა...

— შენი ქმარი ახლაც ციხეშია?

— დიას და სულ მალე გამოვა, მაგრამ ახლა ვფიქრობ, მინდა კი რომ გამოვიდეს?

— ასე რატომ ამბობ?

— მას შემდეგ, რაც დააპატიმრეს და მისი დანაშაული დადასტურდა, საცხოვრებლად დედ-მამასთან გადავედი. პატარის აღზრდა დედას მივანდევე, მე კი ერთ-ერთ სილაშხის სალონში, დამლაგებლად დავინყე მუშაობა, რათა ჩემი შვილისთვის საჭმელი მაინც არ მომეკლო. მალე მე და ქეთუშამ სული მოვითქვით, გიოსთვის კი „პერედანები“ მიმქონდა ხოლმე. ცოტა ხანში მას მეტი მოთხოვნა გაუჩნდა. ერთხელ დამირეკა და მითხრა: შენი საჭმელი არაფერში მჭირდება! 2 დღეში 500 ლარი უნდა იშოვო; იცოდე, ამ თანხას თუ არ მომიტან, ვეღარასდროს გნახავ, აუცილებლად მომკლავნო!.. შემეშინდა და მეორე დღეს სალონის უფროსს ვთხოვე, ჩემთვის ფული ესესხებინა. იმ კაცს შევეცოდე და 500 ლარი უსიტყვოდ გადმომცა, მე კი გახარებულმა, ქმარს ფული მივუბრუნე... რამდენიმე კვირაში გიომ 700 ლარის მიტანა მომთხოვა. როცა ვუთხარი, — ფულს ვეღარ ვისესხებ-მეთქი, მიღრიალა: იცოდე, თუ არ მომიტან, შენც მოგკლავნ და ქეთუშასაც, 700 ლარად თქვენი თავის გაყიდვა მომიწევსო. შევშინდი, მაგრამ ფული ვერსად ვიშოვე. როცა ქმართან უფულოდ მივედი, სხვა პატიმრების თანდასწრებით მცემა და სულ ბოზი მეძახა... მოკლედ, საბოლოოდ, ქმარმა მაიძულა, საყვარელი გამეჩინა. სხვათა შორის, კაციც თავად გამომიძებნა — ერთ დღეს ლევანი სამსახურში მომადგა და მითხრა: გიომ გამომგზავნა, ჩემთან ერთად უნდა წამოხვიდე, ფული უნდა მოგცეო. მას დაუფიქრებლად გავყევი... ახლა ლევანის საყვარელი და გიოს ცოლი მექვია. ლევანი ჩემს ქმარს ფულს აძლევს, მე და ჩემს შვილსაც გვარჩენს. გიომ თხასავით გამყიდა, ჰოდა, ახლა აღარ ვიცი, მისი ციხიდან გამოსვლა უნდა მიხაროდეს თუ არა. სიმართლე გითხრათ, მისი მეშინია კიდევ. ამ ყველაფერის სათქმელად იმიტომ დაგვიკავშირდით, რომ „გზის“ წინა ნომერში, რუბრიკაში — „ერთი ყველასათვის“ წავიკითხე გოგონას მესიჯი, რომლის შეყვარებულიც ახლახან დაიჭირეს და 10 წელი მიუსაჯეს. გოგონი, ნურავის დაელოდები, საკუთარ ცხოვრებას მიხედე! მერწმუნე, ციხეში ადამიანები იცვლებიან, დაუნდობლები ხდებიან...



საზოგადოება და „ღამე შორენასთან ერთად“

„ინგა ბრიტოლიას უფრო სექსუალურად მიჰყავდა პოლიტიკური ტოქშოუ“

გადაცემაზე, რომელსაც საზოგადოების უმეტესობა სმამალა ლანძღვას, ხოლო მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი ახალგაზრდობის მცდარ გზაზე დაყენების მცდელობისთვის უჩივის, ფორუმზეც ბევრს ჭორაობენ.

მიზა:

„შორენა იყო და გინდ ოფელია, საქართველოში არ გამოვა ნორმალური გადაცემა სექსზე“.

ბანჩო:

„თუ ასე ცუდია ეგ გადაცემა, რას მისჩერებხართ? არ უყუროთ, რეიტინგი არ ექნება და დასურავენ. ყველა ლანძღავს, მაგრამ მაინც, ყველა უყურებს! რეიტინგი აქვს და პროდიუსერებსაც მეტი რა უნდათ, აგრძელებენ ამ მარაზს. ახლა არ მკითხოთ — შენ თუ უყურებო? არა, ბატონო, სექსუალურად შეჭირვებული კი არა ვარ, ამას რომ ვუცქირო. უბრალოდ, რეკლამიდან და შორენას ტალანტიდან გამომდინარე, ისედაც ვიცი, რაც იქნება“.

WOODROW:

„გადაცემა სექსზე და ასეთი მოსაწყენი ნიჭი უნდა, რა, მაგასაც. შორენა ძალიან კარგი გოგოა, მაგრამ გადაცემა არ ვარგა“.

შიზოფრენია:

„უკვე მიადგენ შოკას მკე-ელი ხმაღამოლბული, „ქეშარიტი“ მართლმადიდებლები? ყური მოგვარი, „ქალიშვილობის ინსტიტუტზე“ შეტევისთვის რომ უჩივლეს „იმედს“... ისლა დაგვრჩენია, სერის ვუყუროთ“.

ბადრიჯან:

„მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის სპეცრაზმი ჰყავს, ნეტა? თუ უნდა მიუცვივდნენ შორენას, რათა თმით წაათრიონ და საჯაროდ დაწვან თავისუფლების მოედანზე?... მანამდე ალბათ, გააუპატიურებენ და იმასაც შორენას დააბრალებენ — გვაცდუნა ემპაქო“.

LILAC WINE:

„კეთილზნეობრივ შორენებთან ბოდიშმა გამახალისა“.

KOOP:

„ჯერ მეფე იყო გადამტერებული, ახლა მძვ გადაემტერა ამ ქალს და არ ასვენებენ“.

ნონა-90:

„ეს ადრე თუ გვიან უნდა მომხდარიყო. ალბათ, შორენას ერის ზნეობრივი გარყენისთვის ჩაქოლავენ. რატომ აძლევს ხალხი თავს ამდენს უფლებას, ვერ გავიგე“.

სოფი:

„აუ, რა მაგარი საჩივარი იყო... განსაკუთრებით, ორი ფრაზა მომეწონა: „საზოგადოების შორენიზაცია“ და „ბოდიშს



ვისდით კეთილზნეობრივი შორენების წინაშე“.

დათა:

„ეს გადაცემა უხარისხოა, მაგრამ მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის განცხადება სრული სიბნელე გახლავთ! მგონი, მათ შორის დაპირისპირება უფრო საინტერესო სანახაობა იქნება, ვიდრე თავად გადაცემა! ვფიქრობ, ეგ „იმედს“ მორიგი ფანდია და პიერ-კამპანია“.

GREEN GIRL:

„ხოხ, აღარ ხუმრობს ეს ჩვენი შორენა. ძირს ასეთი გამრყენელი გადაცემები“.

FSDASD:

„ამ შორენას ლობიო მირჩვენია, მწნილით. კაი მჭადიც, ცხელ-ცხელი, სულგუნით. უფ, უფ“.

2-WHEELS:

„მჭადი და შორენა საინტერესო შედარებებსა“

კრიკატი 1985:

„ვფიქრობ, ამ გადაცემას დიდი ხნის სიცოცხლე არ უნერია. რაზეც მძვს მწვავ რეაქცია ჰქონდა, ვერაფერმა გაიხარა“.

STRONGESTMAN:

„ამ 2-ჯერ გამოვრებული გადაცემა ყველაფერს ფარდა ახადა — უბრალოდ, ქართველებს და ქართულ ცნობიერებას რყვინან. ამერიკაში, მორწმუნე კათოლიკეები ქალიშვილები ჰბარდებიან ქმრებს“.

შურნალისტა მ:

„ეს რა თქვა, კაცო, საქართველოში ქალიშვილები არ იყვნენ...“

გაი-გაი:

„ძალიან დაბალი დონის გადაცემა... თუ აკეთებენ, წესიერი მაინც გააკეთონ“.

DATVA:

„ნეტავ, ტექსტებს ვინ უწერს? ეს რა სისულელე თქვა, — ირანის შაჰთან წასაყვანი ქალი აუცილებლად, ქალიშვილი უნდა ყოფილიყო. ეგ კანონი მხოლოდ საქარ-

თველოზე არ ვრცელდებოდა იმიტომ, რომ აქ ქალიშვილობას არავინ იცავდაო“.

შურნალისტა მ:

„არა, როცა გშია, ზაქარია, ცივი მჭადიც შექარიაო — ანუ უძალლო ქვეყანაში კატებს აყეფებენო“.

რეჟისორა 88:

„აუუ, რა კაი ტიპია გრიგოლია. ისე, საინტერესო გადაცემა გამოუვიდა“.

შურნალისტა მ:

„ნეტა, თუ უყურა შოკამ? — ბევრს ისწავლიდა“

ბოჭორგელი:

„კარგი იქნებოდა, გრიგოლიას და ბეგაშვილის გადაცემები შეგვეჯიბრებინა ნომინაციებში: სექსუალურობა, პრაქტიკული სარგებელი, ორიგინალურობა, რეიტინგი“.

SOLVEIG:

„ვუყურე იმ ყბადალებულ გადაცემას, „ქალიშვილობაზე“ და ძალიან სუსტი მომეჩვენა. სექსოლოგის მინვევა კარგი იქნებოდა, მაგრამ შორენა ვერ ქაჩავს, რა. სამწუხაროდ, ლაპარაკი არ შეუძლია“.

ბოჭორგელი:

„ეგ გადაცემა რომ დახურონ, მძვს დააბრალებენ. საქართველოში „სექსის გადარჩენის ფონდი“ უნდა დაარსდეს, გადაცემის ფინანსური მხარდაჭერისათვის ან შორენამ მაროშკინასთან ერთად, პოლიტიკური პარტია მაინც შექმნას...“

გაი-გაი:

„ძალიან მომეწონა გრიგოლია შორენას როლში. გადაცემა ერთად რომ წაიყვანონ, არ შეიძლება“

ვაშაშაშვილი:

„ამ გადაცემას სერიოზულად არავინ აღიქვამს... შორენამაც თავი გაიბანძა ამ უაზრობაში მონაწილეობით“.

სატატულა:

„შორენა გარდგნულად ისე მომწონდა, რომ მეგონა, გადაცემაც კარგი გამოვიდოდა, მაგრამ... აი, ლაპარაკს რომ იწყებს, იქ ყველაფერი დამთავრებულია“.

აუაუ:

„მოდი, ნიკა გრიგოლია ჩავანაცვლოთ შორენას, მე მგონი, უკეთ გამოუვა!“

მიჯიბაუ 2:

„ერთხელ 2 წუთი ვუყურე შორენას ტუჩების ნკლაპუნს და ოხვრას, თან, ირანში გატაცებული ქართველი ქალების თაობაზე ბოდავდა, რომელთა შორის თურმე, ქალიშვილები არ მოიპოვებოდნენ. ჰოდა, ფუ-მეთქი და ეგრევე გადავრთე — ასეთი იდიოტიზმის და უაზრობის მერე, მაგ გადაცემას როგორ უნდა უყურო?!“

კრიკატი 1985:

„რა დაცინა შორენამ წყვილებს?! მხოლოდ დღესასწაულებზე კოცნიან ერთმანეთსო. ისე, მეორეში მართალი იყო — სიყვარულის საჯაროდ გამოხატვაში მოვიკოჭლებთ“.

დათა:

„ბაგრატიონი რომ საჯაროდ ეალერებოდა, იმიტომაც ნახა ხერი“.

STRONGESTMAN:

„ინგა გრიგოლიას უფრო სექსუალურად მიჰყავდა პოლიტიკური ტოქშოუ, ვიდრე შორენას გადაცემა სექსზე“.



ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია

არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით

1982 წელს გამოცემული

ქართული ენის

ბანძვარტაპიტი ლეჟსიკონის

ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი გოგა ფანჯიქიძე

ა

დასაწყისი იხ. „გზა“, №2-3

ალჩუ — სათამაშო კოჭის ზედა, ოდნავ ამოღრუებული მხარე (ალჩუზე დაუჯდა კოჭი — კარგად წაუფიდა საქმე, ბედი სწყალობს.)

ალხი — ნაზამთრი, მჭლე პირუტყვი.

ალხი — დიდი სიცხე, პაპანაქება.

ალხი (საუბ.) — კუჭის აშლილობა.

ამბიონი ბერძ. — ეკლესიაში ამალღებული ადგილი, საიდანაც ლოცვებს წარმოთქვამენ.

ამბოკარი (ძვ.) — უმამულო, უსახლკარო, უქონელი, ბოგანო.

ამბრაზურა ფრ. — 1. კედელში დატანებული ცარიელი ადგილი ფანჯრისთვის ან კარისთვის. 2. ხვრეტილი კედელში სასროლი იარაღის ლულის გამოსაყოფად.

ამინი ძვ. ებრ. (ეკლ.) — დასკვნითი სიტყვა საეკლესიო ქადაგებათა და ლოცვებისა. ნიშნავს: ჭეშმარიტია! ჭეშმარიტად!

ამინი — უხილავი ძალა, რომელიც ვითომცდა ადამიანს ნატვრას უსრულებს.

ამირბარი არაბ. (ისტ.) — სახელმწიფოს საზღვაო ფლოტის უფროსი.

ამირეჯიბი არაბ. (ისტ.) — ერთი დიდი მოხელე საქართველოს მეფის კარზე, წესრიგის მეთვალყურე პურობისა და დარბაზობის დროს.

ამირსპასალარი არაბ.-სპ. (ისტ.) — ძველ საქართველოში — მთავარსარდალი, მხედართმთავარი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რას პაპირუსი, გრაბნილი, წიგნი

წვეთი პოეზია

შუა წყალში გადამაგდე ნავიდან



ჯარგი იყო, არ გამეცნე
თავიდან,
შუა წყალში გადამაგდე
ნავიდან.
ჩემი გული შენ დაყოდე,
დახიე,
ხელებს ითბობ, ცეცხლის
აღში გამხვიე.
დამიმონე, შენი შიშით
ვკანჯალე,
მომერიე, გიხაროან,
ხარხარებ...
როდემდისინ გქონდეს
ქვისა გულია,
მე რომ ვტირი, შენთვის
სიხარულია.

ფიქრობ, ტანჯვით შემაძულო თავია,
ცდები, შენ ხარ ჩემი სალოცავია.
თვალეებს დამთხრი-ფეხქვეშ ჩაგივარდები,
რა გინდ მტანჯო, უფრო შემეიყვარდები!
სულ არ გესმის ჩემი წერა-კითხვები,
რად მიყვარხარ, რატომ არ მეკითხები?
რომელ მსაჯულს ვთხოვო სამართალია,
ვის შევჩივლო – რუსთაველი მკვდარია!

იეთიმ-გურჯი



ბისკენ გავეშურე.

ყოველ გაჩერებასთან ერთად მატულობდა ნერვიულობა. აი, ფილარმონიაც გამოჩნდა. რა მოხდება?

სკოლის წინ, როგორც ყოველთვის, „ბირჟა“ შეკრებილიყო. „ჯონჯოლა“ არსად ჩანდა და მეც შევბით ამოვისუნთქე. პირველი გაკვეთილი ქართული ლიტერატურა იყო, რომელსაც გამოცდილი ჰედაგოგი, ქალბატონი კლარა ჩხაიძე გვასწავლიდა. ვაჟა-ფშაველას ისე გვიხსნიდა, თითქოს მთელი ცხოვრება მის გმირებთან ერთად გაეტარებინა და პირადი ნაცნობობა აკავშირებდა. „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“ — ვაა, რა მაგარი სიტყვებია, ამით ბევრი რამე აიხსნება, გულში ფუკეთებდი კონსტატირებას ვაჟას სიტყვებს. მომავალშიც ეს მეთოდი ჩემთვის ძალზე მისაღები აღმოჩნდა, იმას რა ჯობს, როცა კლასიკა გიმადგურებს ზურგს?!

ზარის დარეკვას სულ რაღაც 5 წუთი აკლდა, როცა კლასში აღელვებული, პერანგამოჩაჩული „ჯონჯოლა“ შემოვარდა.

— უკაცრავად, მასწ. — თქვა თავჩაქინდრულმა და გვერდზე მომიჯდა. „ჯონჯოლა“ დიდი მონინებითა და ენაწყლიანობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ კლარა ჩხაიძე სკოლის პედვოლექტივში ის იმავითი გამოწვევის იყო, რომელსაც ავტორიტეტი არა მხოლოდ კოლეგებთან, არამედ ურჩ მოსწავლეებთანაც ჰქონდა. „ჯონჯოლა“ კი მოსწავლეთა იმ კატეგორიას მიეკუთვნებოდა, რომელიც სკოლის მესიერებაში დიდხანს რჩება. მოკლედ, მოსწავლესა და მასწავლებელს შორის რაღაც განსაკუთრებული მოკრძალება და პატივისცემა შეუიარაღებელი თვალთაც კარგად ჩანდა.

— გიორგი, ხომ მშვიდობაა? — იკითხა კლარა მასწავლებელმა.

უნდა გითხრა, არ გახვიდე გარეთ, გთხოვ!

— რატომ? ნახე, რა ამინდია, სანამ ზარი დაირეკება, ცოტა შემოდგომის მზეს დავიჭერ, თუ მზეთუნახავი ვარ? — ვაბრაზებდი მე და მსიამოვნებდა, რომ სკოლის ყველაზე მაგარი ბიჭი, პრაქტიკულად, ნელში მყავდა გადატყვილი.

— არ ნახვიდე, თორემ შეიძლება მთელი ცხოვრება ინანო, გესმის? — ისე დაიღრიალა „ჯონჯოლამ“, რომ საკლასო ოთახში დარჩენილმა ბავშვებმა ერთდროულად შემოგვხედეს, — არ ნახვიდე და თუ გინდა, დაგიჩოქებ, — თქვა „ჯონჯოლამ“ და სანამ პასუხის გაცემას მოვასწრებდი, მუხლებზე დაემხო. თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე. მეც და ჩემი თანაკლასელებიც მოვადგობულეებით გაფრთხილდით. ყველაზე ძლიერი, სიმპათიური, სკოლის ნომერი პირველი ავტორიტეტი სრულიად არაადეკვატურად იქცეოდა და თანაც ისე, თითქოს თავისი ავტორიტეტი სახლში დაეტოვებინოს, გარშემო ვერაფერს ხედავდა. ერთი პირობა, ვიფიქრე, მამაყირებს-მეთქი, მაგრამ ცრემლიანი, ავისმომასწავლებელი თვალები არ ტყუოდა. რომ მივუახლოვდი, მივხვდი, რას ნიშნავდა ფრაზა „ბილესის კრატყუნი“.

გიორგის შუბლზე ცივი ოფლი გამოვლოდა, კრიჭა ისე ძლიერად შეჰკვროდა, ტუჩებზე ღრძილებიდან გამოყოფილი სისხლი ეტყობოდა, თავს ნერვიულად აქნევდა და მონუსხულივით ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— არ გახვიდე გარეთ, მე მიყვარხარ, მარტო მე, ყველაზე ძალიან ამ ქვეყანაზე, ოღონდ არ გახვიდე! მოდი აქ, სკამზე დადექი, რომ გიყურო, ქვევიდან გიყურო, როგორც ქალმეორებს უყურებენ, ოღონდ არ გახვიდე გარეთ! მიყვარხარ! — გაუჩერებლად იმეორებდა „ჯონჯოლა“ და მეც ერთი ძლიერი მოძრაობით სკამზე აღმოვჩნდი. ქართული ლიტერატურის კაბინეტი პირველ სართულზე იყო, ამიტომ სკამზე ასულს თვალში სკოლის ეზოში გამართული ჩოჩქოლი მომხვდა, „ჯონჯოლას“ „ზადდელნიკები“ ვილაც ბიჭებთან საქმეს არჩევდნენ.

„ამ დილაუთენია ნეტავ რა მოხდა? — გავიფიქრე მე. თითქოს პასუხად, ფანჯარაში ნაცნობი სილუეტი ამოვიცანი, — ვაიმე, ნუკრი? აქ დილით რა უნდა? რა ხდება, ლექციებს აცდენს? რატომ არ მიშვებს „ჯონჯოლა“ გარეთ?“ — თავში ისეთი აურზაური დამწყვია, რომ ყველაფერი, რაც „ქვევით“ ხდებოდა, უკვე ირეალური იყო. ჩემი სული, როგორც ლა-

მის სიზმარში, უკვე 51-ე სკოლის წინ დაფრინავდა. ჩემი სხეული კი სკამზე, დაჩოქილი „ჯონჯოლას“ წინ იდგა.

ცოტა ხანში მოვახერხე სულისა და სხეულის დამორჩილება და მიუხედავად „სოლიდური“ დაბრკოლებისა, გარეთ გიჟივით გავვარდი.

— მორჩით ახლა, გადაირიეთ? — დავუყვირე მე და დეზებიანი მამლებით აფოფრილი ბიჭების შუაში ჩავხტი.

— ლალი, ნუ გადი, — მომესმა ერთდროულად ნუკრისა და „ჯონჯოლას“ ხმები, — ეს არაა შენი საქმე!

— მართლა? აბა, ვისი საქმეა? ბები-აჩემ აგრაფინასი? — ეთქვი გაცეცხლებულმა, თანაც ჩემს მზერას არ გამოჰპარვია ბიჭების ზურგს უკან ნაღებული ხელები. დანა! რა თქმა უნდა, დანა!

— ან ახლავ ნამიყვან სახლში, ან ვერასოდეს ვეღარ მნახავ, ნუკრი ჩაგანავა! — თვალებიდან ნაპერწკლების ყრით ვთქვი მე და გაჩერებისაკენ წავვი.

ნუკრი უხმოდ გამომყვა, თითქოს ჩემს სიტყვებს ელოდებოდა. სკოლის წინ ჩოჩქოლიც ერთ წუთში შეწყდა.

„ვაა, რა მაგარი ვარ! — ვვიქრობდი გულში, — როგორ დავგაღე სასტავი! გოგოებს რას ვახალისებ! დედასაც ვეჭყვი, что я не была причиной драки. აუ, დედას რა ვუთხრა, რატომ გავაცდინე ისე გაკვეთილები?“ — და ასე, ფიქრებში გართული გავციდი გაჩერებას და ზურგს უკან მანქანის ცაბმული სიგნალი და ჩემი სახელი შემომესმა. ნუკრი მამამისის სამსახურის „ვოლგადან“ ამყავდა იყურებოდა და ხელით მანიშნებდა, ჩაჯექიო.

— გამარჯობა, ალიკ, — მივესალმე ლეონტიევიჩის მძღოლს, რომელიც ჩაგანავებიდან წამოსულებს ხშირად სახლებში გვარიგებდა.

— პრივეტ, ლალიკო, ხომ ხარ მაგრად? ახალი სკოლა როგორ მოგწონს?

— რავი, მე კი მომწონს, აი, ამას კი... — და თავი ნუკრისკენ გავატრიალე.

— ხოო, ეგ არაფერია მოგვარდება, — ჩაიბურტყუნა ალიკამ.

— ლალ, ახლა მცხეთაში წავიდეთ ხინკლებზე, ბიჭები გველოდებიან, მერე მარიკუნასა და ქეთისაც გავუაროთ, კარგი?

— კარგი რა, რა მცხეთა? დღეს დედაჩემს სიტყვა მივეცი, რომ შატალოზე ალარასოდეს წავალ და არ მოვატყუებ!

— შენს თავს გეფიცები, ბოლო! მართლა, პატარა თათუკას გეფიცები, — თქვა ნუკრი და ჭეშმარიტების დასამტკიცებლად პირჯვარი გადაინერა. თათუკა ნუკრის სამი წლის დისწვილი იყო, პუნტურა და ყველაზე საყვარელი „კახელი“, როგორც მას ნუკრი ეძახდა. არგუმენტი ქვას ხეთქავდა.

— კარგი, ოღონდ მალე დავბრუნდეთ, ხვალ პრაქტიკა გვეწყება და მინდა, ფორმამი ვიყო.

— კარგი, კარგი, პატარავ, — თქვა ნუკრი და ალიკას პასტრიონზე წასვლა სთხოვა.



ლალის პირველი ქორწილი

— კი, პატივცემულო, ისეთი არაფერი, ცოტა უსიამოვნება შემხვდა, მაგრამ ყველაფერი რიგზეა!

— ძალიან კარგი, ჩვენც ეს გვინდა, — ჩაილაპარაკა მასწავლებელმა უკვე დარეკილ ზართან ერთად და დაგვემშვიდობა.

— ლალ, არ ნახვიდე, მოიცა, რაღაც



ბასტრიონზე ნუკრის ბავშვობის „ძმე-ბი“, ზაზა ჩხაიძე და გია კაჭარავა ჩავის-ხდნენ. მათთან ერთად თავს ყოველთვის დაცულად ვგრძნობდი, რადგან თბილისის ერთ-ერთ ყველაზე მაგარ „სასტავს“ წარმოადგენდნენ. ზაზა წინ დაჯდა, რადგან ყველაზე დიდი იყო, გიამ, მარჯვნიდან მოუარა მანქანას, მე შუაში ჩაჭყყყილი აღმოვჩნდი.

— რას მიმჭყყყეთ? — ვბუზლუნებდი მე.

— შენც ახლა 100 კილო არ იყო. დიდი ამბავი, მოდი, აქ მომეყუდე, რა გაჩხუბებს, ხომ იცი, ოქროს შუალედი რა მაგარია? — შაყრობდა ნუკრი და მეც ბედს შევეგუე.

გზაში ბიჭებმა ჩემი სკოლის ამბები გაარჩიეს, მერე თქვეს, რომ „ჯონჯოლა“ უკვე პრობლემა აღარ არის და ათას სისულელეზე ლაპარაკი გააგრძელეს.

რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, მე საქართველოში მხოლოდ მცხეთაში ვიყავი ნამყოფი, ამიტომ მძღოლის განცხადება იმის თაობაზე, რომ მცხეთას წრე უნდა დავარტყათ, საესებით ნორმალურად აღვიქვი.

წრე ძალიან გაგრძელდა. პირველი ეჭვი, რომ რაღაც ხდება, იგოეთთან გამიჩნდა. ბავშვობაში თაღსმა წაგვიყვანა გორიჯვრისა და ატენის დასათვალისებრად. მახსოვს, იგოეთთან ვკითხე, ფულს ფანჯრიდან რატომ აგდებ-მეთქი? აქ ძველად საბაჟო იყო და ეს ძველი ტრადიციაა, თანაც შეწირულ ფულს უპოვრები აგროვებენო. ნუკრიმაც გადაყარა ხურდა, ღმერთი ახსენა და პირჯვარი გადაინერა.

— ნუკრი, აქ რა გვინდა? — ვკითხე მე შეპარული ეჭვით, თანაც გამახსენდა, რომ შუაში ვზივარ და მანქანიდან დამოუკიდებლად გადასვლის პერსპექტივაც კი არა მაქვს.

ნუკრი დადუმდა.

— რა გვინდა და ქორწილია, ქორწილი! — შესძახა ზაზა ჩხაიძემ, — დღეიდან შენ ნუკრის ცოლი ხარ, ჩვენი რძალი! გილოცავთ, გვრიტებო!

არის მომენტი, რომელიც შენს ცხოვრებაში სამუდამოდ იბეჭდება, ზოგი ავად, ზოგი კარგად, მაგრამ რაც მთავარია, ს ა მ უ დ ა მ ო დ! ეს დაახლოებით იგივეა, როგორც მომაკვდივი კაცის წინ მთელი ცხოვრების რეტროსპექტიულად ჩვენება. ასე გაირბინა ჩემ წინ ჩემმა 15-მა წელმა: ბავშვობა, ძმის დაბადება, დედის უსაზღვრო სათნოება, ბუბის ხუმრობები, ახალგაზოგადობა მამა, თაღის რელიგიურ-ისტორიული გაკვეთილები, ტელევიზია, ფარიკაობა, ქართული ცეკვა, მეგობრები, „ჯონჯოლა“... ვაიმე, ხვალ ხომ პირველი პრაქტიკა მაქვს?! არშემდგარი, პირველი და უკანასკნელი...

ის ღამე ჩვენ, ჩემმა გამტაცებლებმა და მე, სოფელ ქობულეთში ნუკრის ნათესავებთან გავატარეთ. მე მთელი ღამე სევერიან ბიძიასა და ფეოდორა დეიდას ვესაუბრებოდი. ჩემი აზრით, საკმაოდ

ლოგიკურად ვუმტკიცებდი, რატომ არ არსებობდა ნუკრისა და ჩემი კავშირის პერსპექტივა.

გამთენიისას ნუკრი მომიცუცქდა.

— იცოდე, არ მომეკარო! — შევივივლე, მაგრამ ეს შიშის ხმა არ იყო. ეს იყო პირველი, ქვეცნობიერი ბრძოლა ქალური ღირსებისათვის!

— გადაირიე? არც მიფიქრია, ჩუმაღ, მე მიყვარხარ, მართლა მიყვარხარ. ხვალ თბილისში ვიქნებით და როგორც გინდა, ისე მოიქეცი. ისე, ორ კვირაში ჯარში მივდივარ...

— რაა? სად? აბა, მათავისუფლებენო?

— მამაჩემმა მითხრა, ბიოგრაფიას ვერ გაგიფუჭებ, იმსახურე და დანარჩენი მე ვიციო. ჰოდა, მივდივარ.

— სად?

— სოსუმში, აფხაზეთში... ჩემთან დარჩი, გთხოვ, — და ცრემლმორეულმა ნუკრიმ ლოყაზე მაკოცა.

ამასობაში თბილისში ჭკუიდან გადასული დედაჩემი, თაღისი და ბუბიჩემი სადარბაზოში დაბნაკებულ „ჯონჯოლას“ შინ წასვლას სთხოვდნენ.

— არა, მანანა დეიდა, ნუ მთხოვთ, აი, დაბრუნდებიან და მე წავიყვან! ჩემი ბრალია, ადრე უნდა მიფიქრა! — ჩახლჩილი ხმით იმეორებდა „ჯონჯოლა“ და იქვე მოკალათებულ ვერედებს სიმტკიცის ნიშნად თავს უქნევდა.

უცნაური ქრონომეტრაჟი აქვს ცხოვრებას, ხანდახან ყველაფერი წინ გაქვს, ხანდახან კი 15-16 წლის ასაკშიც კი ყველაფერი დაგვიანებულია.

ხალხუნახალობის ბარანბი

თბილისისკენ მიმავალი გზა უსასრულო და დამღლელი იყო. ჩემი მტკიცე პოზიცია და სრული გაურკვევლობა, როგორც ჩანს, ბიჭებში შფოთსა და დაძაბულობას იწვევდა.

— რა იყო, გოგო, ცხრანლიანზე ხომ არ გვიშვებ? — იკითხა გია კაჭარავამ შეპარული ეჭვით და სამი დღის წვერზე ხელი შევივლო.

— არა, — ცივად ვუპასუხე მე.

მიუხედავად ჩემი დაჟინებული თხოვნისა, შინ მისვლა ჯერ არ მენერა. ვაჟა-ფშაველას პროსპექტის ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის მესუთე სართული, სადაც ნუკრი ცხოვრობდა, ბასტილიის ციხესიმაგრედ მომეჩვენა. სახლში ნუკრის განერვიულებული და დაბნეული მშობლები გველოდებოდნენ. მე მეგობრულად მივესალმე ორივეს.

— არაფერზე ინერვიულოთ, მე დედას დაველოდები და შინ წავალ, — ვუთხარი კარში შემოგებულ ნუკრის დედას.

— ლალი, ეს მხოლოდ შენი გადასაწყვეტია, — მითხრა დეიდა ლიამ, — ხომ იცი, ჩვენ ძალიან გვიყვარხარ.

უცებ ზაზამ მძიმედ გამკრა ხელი.

— ერთი ნუთით გამოდი, — ბრაზი-

ანად მითხრა და აივნისკენ წამიყვანა, — რას აკეთებ? რა სახლი, რის სახლი? გადაირიე? რას გვიშვრები? — მუქარანარევი ხმა ავისმომასწავებლად უღერდა, ხომ არა გგონია, მერეც ასეთი კარგები ვიქნებით? დაითვალე აბა, აქ რამდენი სართულია?

— იდიოტო, თავი დამანებე, — ვუთხარი და ზაზას ტყვეობიდან თავის დაღწევა ვცადე.

— სწორს გეუბნება, — „ჩააბიჩოკა“ სიგარეტი იქვე ჩაცუცქულმა გიამ და ქვევიდან ამომხედა.

ამასობაში კარზე ნერვიულად დაირეკა, მანცდამანც ვანგა არ უნდა ყოფილიყავი, რომ მიმხვდარიყავი, — ეს ჩემები იყვნენ.


* * *

დედაჩემი მაშინ 37 წლის ახალგაზრდა ქალი იყო. ქუჩაში რომ მივდიოდით, არ შეიძლებოდა, მისთვის თვალი არ გაეყოლებინათ, თაღისი მასზე ათი წლით უფროსი იყო და საოცრად ეჭვიანობდა. ამიტომ ყველგან ერთად დადიოდნენ და ყველაფერთან ერთად, კარგი მეგობრებიც იყვნენ. ნუხანდელი თეთრად გათენებული ღამე სახეზე აღბეჭდვოდათ. ორივე ერთდროულად გადამეხვია.

— დრუნჩი, როგორა ხარ? — მკითხა თაღისმა და ლოყები მომისრისა.

— კარგად, მამ...

მანანა ხმას ვერ იღებდა, როცა ნერვიულობდა, დედას ყოველთვის ყელის



ლალი პირველ ქმართან და პირველ შვილთან ერთად

სპაზმი ემართებოდა.

— მობრძანდით, რატომ დგახართ კარში? — პირველად დეიდა ლია მოვიდა გონს და ინიციატივა ხელში აიღო, — რას იზამ, მანანა, გოგოების მშობლე-



ბის ბედიც ეს ყოფილა, ჩემი ნინოც სკოლიდან გაგვექცა.

— მე არ გაგეცეულვარ, — ჩავიბურტყუნე და თან ნუკრის არეული მზერა დავიჭირე.

— დიდი მადლობა, ლია, შეიძლება, ლალიკოს ცალკე დავვლაპარაკო? — როგორც იქნა, ამოიღულულა მანანამ.

— რა თქმა უნდა, აგერ შებრძანდით, — შეგვიპატიჟა ლიამ ცარიელ ოთახში.

ქართული მენტალიტეტი, ადრე, ნენი და მრწამსი მოითხოვს „ქალიშვილობის ინსტიტუტის“ დაცვასა და პატივისცემას. მიუხედავად იმისა, რომ დედაჩემი სოჭის მკვიდრი გახლდათ, ეს ძირძველი ქართული ტრადიცია მისთვისაც უპირობოდ მნიშვნელოვანი იყო. ფირუზისფერი თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე, ქერა თმა გაჭლარავებული მომჩვენა.

— დე, მე არ მინდოდა, სკოლიდან მომიტაცეს, ჩვენ შორის არაფერი მომხდარა, ნუკრი ძალიან კარგი ადამიანია, მაგრამ მე სახლში მინდა, ჯერ სკოლას დავამთავრებ, მოსკოვში წავალ, მერე კი ვნახოთ, — ვლულულუღებდი მე.

— და ნუკრის აღარ ნახავ? — მკითხა შედარებით გონს მოსულმა მანანამ.

— კი, როგორ არა, სკოლიდან აქაც მოვალ ხოლმე. კინოში ვივლით, თეატრში, დისკოთეკაზე... — ჩემმა ნათქვამმა მანანა აშკარად საგონებელში ჩააგდო.

— ეს როგორ?

— რა, როგორ? სკოლიდან მოვალ ხოლმე.

— იცი, რას გეტყვი? ესე იგი მე გდიო კუდში, როდის სად იქნები, სკოლაში თუ კინოში? „ჯონჯოლას“ რა უყყო, სადარბაზოში რომ ზის? თუ დაცვა დაგიქირაოთ? ერთი რამე გამაგებინე, ნუკრი გიყვარს?

— კი, ეგ რა შუაშია? მიყვარს, მაგრამ გათხოვება არ მინდა! ასე ძნელი გასაგებია?

მანანამ სიგარეტს იმ დღეს პირველად მოუკიდა.

ასეთივე დიალოგი გაიმართა ნუკრისა და მამამის შორის მეზობელ ოთახში.

— ეს რა ქენი, ბიჭო? ასე მოვილაპარაკეთ მე და შენ? თუ გგონია, ადვილი იყო შენი სოხუმში განაწილება? აი, გაგიშვებენ ჩიტაში და ნახავ მერე! ხელსაც არ გავანძრევ, — ბრაზობდა ლეონტიევიჩი.

— კარგი რა, მამა, ჩვენები ვინც წავიდნენ, გოგოები ყველას გაუთხოვდა, ველოდო, სანამ ლალის სხვა წაიყვანს?

— მოითმენ ორ ნელინდას, არაფერი მოგივა! — აგრძელებდა ლერი, — და საერთოდ, მადლობა თქვი, რომ ნესიერი ხალხია, თორემ ნახავდი, თხუთმეტწლიანის გატაცებაზე რასაც გიზამდნენ! ჩემი მანქანისა და ალიკას წაყვანა როგორ გაბედე? თფუ, ბედოვლათო... ახლა გადი, ბოდიში მოიხადე და დავამთავროთ. მოიარე ჯარი, ლალიმ სკოლა დაამთავროს და მერე ვინ გიშლით ხელს?

— ლერი უკვე ოთახიდან გასვლას აპირებდა, როცა ნუკრი გიჟივით წამოხტა და ფანჯრისკენ გაიწია.

— რა გინდა, გადავეშვა აქედან? ხომ იცი, რომ ვიზამ, ლალი აქედან არ წავა, წავა და ნახეთ მერე...

საბრალო ლერი მიხვდა, რომ ამ ასაკთან ხუმრობა ცეცხლთან თამაშის ტოლფასი იყო. სხვა რა გზა ჰქონდა? მოჰკიდა ხელი გვარის გამგრძელებელს, გულში ჩაიკრა და უთხრა:

— მამა, მე შენთვის გუთუნები, ისწავლე, იგულავე-მეთქი, ვინ გიშლის, მაგრამ თუ ასე გაქვს გადაწყვეტილი, რა გაეწყობა, მეც და დედაშენიც შენ გვერდით ვართ.

მოლაპარაკება მესამე გადამწყვეტ ფაზაში გადადიოდა.

* * *

ადამიანებს სწვევიათ თვითგვემაც და თვითშეცოდებაც. ალბათ, ეს თავად მათ არსში ეგოიზმის პროცენტზეც არის დამოკიდებული, შესაბამისად, მე მეორე უფრო მახასიათებს, ისიც იშვიათად. როცა ძალიან გადავიღლები, ბედს შევჩვივლებ, რომ არა მყავს არც მდიდარი მშობლები, არც ქონება დამიგროვებია, და საერთოდ, ოჯახში რა ხანია, კაციც და ქალიც მე ვარ. გამახსენდება, რომ თურმე ყველაფერი ცხოვრებაში სხვაგვარად შეიძლებოდა ყოფილიყო: სკოლის თავის დროზე დამთავრება, შემდეგ რუსეთში სწავლა, მერე, ალბათ, საზღვარგარეთ, შემდეგ სადღაც 30-ის მერე ვინმე ბიზნესმენის ან დიპლომატის გაცნობა, გათხოვება „по всем правилам“ და უდრტივივლი ცხოვრება სადმე სეიშელის კუნძულებზე... მხოლოდ ერთთან და მხოლოდ ერთი ქორწინება და მერე ხის, ფოლადის, ვერცხლის, ოქროს, ბრილიანტისა და პლატინის ქორწილები, ერთი ოჯახური ალბომი და მხოლოდ ერთი გვარი რამდენიმე შვილისათვის. ღმერთო, არ იფიქრო, უკმაყოფილო ვიყო, დიდი მადლობა ყველაფრისათვის, რაც მაქვს, მადლობა ჯანმრთელი შვილებისათვის, ეს ჩემი ყოველდღიური ლოცვაა, მაგრამ ადამიანი ხომ გაუმაძღარი ქმნილებაა?

„აუსრულებელი ოცნებების“ განტევების ვაიცი კი ყოველთვის დედაჩემია: „რა მოხდებოდა, მაშინ მანანას ქეჩოში მოეკიდა ხელი და სახლში წავეყვანე?“

მესამე რაუნდმა ნერტილი დაუსვა 48-საათიან რბოლას, მშობლების ვერდიქტი ჩემთვის სასჯელივით უღერდა, — დღეიდან მე გათხოვილი, ოჯახის ქალი და პერსპექტივაში ჩაგანაგებვის გვარის გამგრძელებლის დედა ვიყავი.

დედაჩემის არგუმენტი სრულიად უსუსური, მაგრამ ლოგიკური იყო: „Я не смогу целый день бегать за тобой, у меня маленький сын растёт, კარგი ხალხია და დარჩი, ლია დამპირდა, რომ სანამ 16 წლის არ გახდები, ნუკრი არ მოგეკარება!“

ლია თანხმობის ნიშნად თავს აქნევ-

და, ბედნიერი, მიზანმიღწეული ნუკრი ილიმებოდა, მე კი ხეირიანად არ მესმოდა ჩემი ახალი ფუნქციის აზრი. სხვათა შორის, ლიამ დედაჩემისათვის მიცემული სიტყვა პირნათლად შეასრულა.

ჩემს მეგობრებსა და მათ მშობლებს ისეთი შოკი დაემართათ, ერთი კვირა გოგოებს სახლიდან არ უშვებდნენ. სხვა ყველაფერი ბანალურად წარმოგონებოდა: ახალი საღამოს სკოლა, რადგან ჩემს „ამორალურ საქციელს“ გმობდა კომუნისტური რეჟიმის განათლების სისტემა და „ჩემწერიების“ ადგილი მხოლოდ სპეციალურ საღამოს სკოლაში იყო. სკოლაში მისვლამდე წარმოდგენილი მქონდა მრავალჯერ ნანახი საბჭოთა პროპაგანდისტული ფილმები მუშა-მოსამსახურეებზე, როგორ მიუჯდებოდნენ მერსს სწავლამონყურებულ მენალებთან, მეტალურგებთან, მალაროელებთან ერთად და ასე, ერთ „საბჭოთა უძლეველ მუშტად“ შეკრულნი პუშკინს, მაიაკოვსკისა და შოთა რუსთაველს გადავებულულებდით. მაგრამ, როგორც ყოველთვის, ჩემი ფანტაზია უფრო სწრაფმავალი იყო, ვიდრე რეალობა. ახალ სკოლაში აღმოვაჩინე, რომ ჩემი კლასელები იყვნენ არა ქარხნის მუშები და ჩემსავით უდროოდ გათხოვილები, არამედ ფულიანი მამიკოს შვილები, რომლებსაც საჯარო სკოლაში უჭირდათ მედლის ან წარჩინებულის ატესტატის აღება, საბჭოთა ლამის სკოლა კი განსაზღვრულ საფასურად ამის სრულ გარანტიას იძლეოდა. საქართველოს განათლების სისტემა, ისევე როგორც სხვა მრავალი სფერო, ყოველთვის გამოირჩეოდა გამჭირავებლობით და პროგრესული იდეებით, აბა, რა დროს მუშათა კლასის სწავლა-განათლება იყო?

საბჭოთა კანონმდებლობის თანახმად, ხელის მოწერა მხოლოდ 17 წლის ასაკში იყო ნებადართული. ასე რომ, ჩვენს მშობლებს ჩვენზე მეურვეობის აღებამ მოუწინათ და ოფიციალური ნაწილიც დაგვირგვინდა. ჩემი მეჯვარე მარიკუნა იყო, ნუკრის კი — სკოლის მეგობრები, რომლებიც იმ დღიდან აღარავის უნახავს. ჯვრისწერაზე ლეონტიევიჩისგან ცივი უარი მივიღეთ, რადგან კომუნისტურ ნომენკლატურას აკრძალული ჰქონდა ყველანაირი საეკლესიო რიტუალი, მათ შორის ნათლობაც. 1986 წელს „მშრალი კანონი გამოიცა, შესაბამისად, ქორწილიც პატარა და უღიმღამო იყო. სამაგიეროდ, ვერა-საბურთალოს მოპავერე დაჯგუფებებმა მაინც მოახერხეს ჩვენს დღესასწაულზე ერთი-ორი სერვიზის დაღწევა. რაც მთავარია, „სისხლის გამოშვების რიტუალი“ უსისხლოდ ჩაიარა.

მშობლების შეთანხმება და „ხელშეუხებლობის გარანტია“ მუდმივად დაცული ვერ იქნებოდა, შესაბამისად, 1986 წელი სამი მნიშვნელოვანი თარიღით შევიდა ჩემს პირად საქმეში: დავამთავრე სკოლა, გახდენი 17 წლის და ორ კვირაში ქვეყანას კიდევ ერთი ქართველი — სანდრო (ალექსანდრე) ჩაგანავა მოველინა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ნანარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი
ნ. „გზა“ №37, 2009
— №4, 2010

გორა მანველიძე

დილით გოგა რომას ხმამ გამო-
აღვიძა.

— რიტა... რიტა... — ორჯერ
ზედიზედ დაიძახა დაჭრილმა.

გოგამ მაშინვე გაახილა თვალები
და წამოჯდა. მისდა გასაოცრად, რო-
მას გააფთრებულ მზერას გადაანყ-
და. აფხაზი მოსიხსლე მტერივით შე-
მოსცქეროდა და კბილებს ახრჭიალებ-
და. მისმა ხმამ რიტაც გააღვიძა,
რომელსაც იქვე, სანოლის გვერდით
მდგარ სავარძელზე ეძინა.

— რა მოხდა?... — მაშინვე
დაჭრილისკენ წაინია ახალგამოღ-
ვიძებული რიტამ.

— ამას რა ესაქმება აქ? — გო-
გასკენ გაიშვირა ხელი რომამ.

— იგივე, რაც შენ... გთხოვ, დაწ-
ყნარდე... — მშვიდად უპასუხა რი-
ტამ და სიცხის შესამოწმებლად ხელი
შუბლზე დაადო.

რომამ თავი გასწია და ბრახით
განაგრძო ლაპარაკი:

— დავმშვიდდე?! როგორ მეუბნე-
ბი ამას?! ამ არაკაცის გულისთვის
ხიჟბამ კინალამ მტრობა გამოგვიცხ-
ადა. ქართველებს დესანტი რომ არ
გადმოესხათ, ის საქმე ასე იოლად
არ ჩამთავრდებოდა და ყველაფრის
შემდეგ ამ ქართველს შენს სახლში
ვნახულობ. ხვდები, რა მოხდებოდა,
ხიჟბას აქ რომ მიეგნო მისთვის?!
დედაზე, მამაზე, ჩემზე თუ ვიქრობ-
დი, როცა აქ მოგყავდა?! ან როგორ
დაგრთეს შენებმა მისი სახლში
შემოყვანის ნება?! ჩანს, ისინიც
მოატყუე. ისევე მოატყუე, როგორც
მე!..

— მე არაკაცი არა ვარ, რომა! —
ცივად მიუგდო გოგამ.

— შენთვის მერე მოვიცლი! —

შეუღრინა აფხაზმა და ისევ რიტას
მიუბრუნდა: — ამისხენი, ბიძაშვი-
ლო, როგორ მოხვდა ეს კაცი შენს
სახლში?!

— მომოიხედე, რომა, — მშვიდად
უპასუხა რიტამ, — გეცნობა ეს სახ-
ლი?

რომამ მიმოიხედა და გაცეცხუ-
ლი მზერა მიაპყრო რიტას.

— ეს ჩემი სახლი არ არის, —
თქვა მან.

— სად ვართ? — ჰკითხა რომამ.
— ჩემი მეგობრების ბინაა. ისი-
ნი ამჟამად რუსეთში იმყოფებიან.

— ახლა უკვე ვხვდები, რომ ამ
ქართველს შენ დაენმარე საავადმე-
ოფოდან გაპარვაში. ამას თავიდანვე
ვეჭვობდი, მაგრამ ვფიქრობდი: ჯან-
დაბას, რაც მოხდა — მოხდა, მისი
გაქცევით თუ გაპარვით, ჩვენ მაინც
არაფერი დაგვაკლდება-მეთქი. ახლა
კი რას ვხედავ! შენ ის საავადმეო-
ფოდან გამოაპარე და შენი მეგო-
ბრების სახლში დამალე. რატომ
მოიქცევი ასე, რიტა, და მე რისთვის
მომიყვანეთ აქ?!

— შენ რა, არაფერი იცი?! —
გაცეცხით ჰკითხა რიტამ.

— რა უნდა ვიცოდე?

— ის თუ გახსოვს, სად დაიჭერი?

— დამცინი?! — მოიღრუბლა
რომა.

— გახსოვს თუ — არა?

— მახსოვს... ყველაფერი კარგად
მახსოვს. განთიადთან შევაჩერეთ
ქართული დესანტი. ყუმბარმტყორცნი
ცოტა გვექონდა, თორემ საერთოდ გა-
ვანადგურებდით. ბრძოლა ახალი
დანწყებული იყო, როცა რომელიღაც
ქართველმა ავტომატის ჯერი მო-
მანვდინა, — უპასუხა რომამ.

— მერე რა მოხდა?

— ბიჭებმა საავადმეოფოში წამ-
ომიყვანეს...

— და გზაში ტკივილისგან შოკ-
ში რომ არ ჩავარდნილიყავი, მორ-

ფი გაგიკეთეს, — განაგრძო რიტამ.

— არ ვიცი, მორფი გამიკეთეს
თუ პრომიდოლი. მხოლოდ ის
მითხრეს, ტკივილს მოგისწისო.

— და მაგის შემდეგ აღარაფერი
გახსოვს?

— არა, — ყრუდ ჩაილაპარაკა
რომამ, — რა უნდა მახსოვდეს?

— გოგას დანახვამ ისე გაგაბრა-
ზა, რომ სხვა აღარაფერი გაგხ-
სენებია. დაფიქრდი, როგორ და
რატომ უნდა მოხვედრილიყავი ამ
სახლში, როდესაც შენმა მეგობრებ-
მა საავადმეოფოში წამოგიყვანეს? —
ჰკითხა რიტამ.

რომა წამით ჩაფიქრდა, შემდეგ
ავორიაქებული მზერა მიაპყრო
თავის ბიძაშვილს და შეცვლილი
ხმით ჰკითხა:

— რა მოხდა, რიტა?

— შენმა მეგობრებმა ვერ შეძლეს
ქართველების შეჩერება. მათ გაგრაც
აიღეს!

— არა?! — გაოცდა რომა.

— ქართველები ფეხდაფეხ შემო-
ჰყენენ გაგრაში შენს მეგობრებს. მერე
მათ მანქანაც გაუფუჭდათ და ჩემთან
მოგიყვანეს.

— ესე იგი, საავადმეოფომდეც
ვერ მიმიყვანეს?

— ვერ მიგიყვანეს, — დაუდას-
ტურა რიტამ.

— მაშ, ეს რა არის? — რომამ
მკერდზე დადებულ სახვევზე დაიდო
ხელი. — ვინ და სად გამიკეთა ოპ-
ერაცია?

— ოპერაცია ამ სახლში გაგიკეთეს.
დანარჩენს კი თვითონაც მიხვდები.

— შენ?! — რომამ გაცეცხით
გახედა გოგას.

— ჰო... მან გადაგარჩინა, — ჩაუ-
რთო რიტამ.

— არა... ამის ერთბაშად გადახ-
არშვა შეუძლებელია, — ჩამქრალი
ხმით თქვა რომამ და თვალები დახ-
უჭა.

— არ დაიძინო, — სწრაფად
უთხრა გოგამ.

— რატომ? — თვალდახუჭულმა
ჰკითხა რომამ.

— სახვევი და დრენაჟი გაქვს
გამოსაცვლელი. ჯერ ეგ გავაკეთოთ
და მერე მე თვითონ მოგთხოვ, რომ
დაიძინო, — უპასუხა გოგამ და სა-
წოლიდან ადგა.

შუადღეს რიტა სახლიდან წავი-
და. რომა და გოგა დიდხანს სთხ-
ოვდნენ, ხელი აედო განზრახვაზე.
მეორე დღე იყო, რაც ქალაქი
ქართულ სამხედრო ფორმირებებს
ჰქონდათ დაკავებული და შესაძლოა,
ცხელ გულზე ვინმეს რაიმე დაეშა-
ვებინა მისთვის. მაგრამ რიტამ არ
შეისმინა. ტელეფონი არ მუშაობდა.
მისმა დედ-მამამ კი არაფერი იცო-



და რომას შესახებ: პირველ რიგში, რიტას მათი დამშვიდება სურდა. გარდა ამისა, მის ორივე პაციენტს წამლები და ჭრილობების შესახვევი საშუალებები სჭირდებოდა.

რიტა წავიდა და ყოფილი თანამოსაკნეები ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ.

— დაუჯერებელი ამბავია. რა არ შეიძლება მოხდეს ცხოვრებაში?! ერთი ქართველი თავგამოდებით ცდილობდა ჩემს მოკვლას, ამისთვის სიცოცხლესაც საფრთხეში იგდებდა, მეორემ კი გადამარჩინა, — მცირე ხნის შემდეგ წამოიჩყო რომამ, — ბოლოს და ბოლოს, მეტყვი, ვინ ხარ, თუ — არა?

— მე ჩვენი პირველი შეხვედრისთანავე გითხარი, ვინც ვარ, — საკანში გატარებული დრო შეახსენა გოგამ.

— მაგრამ შენ ისიც მითხარი, რომ „კაპუჩინი“ საკუთარ ვინაობაზე ლაპარაკს არ აპირებდი.

— გითხარი, მაგრამ შენ გამხადე იძულებული. გახსოვს, როგორი თავგამოდებით მიმტკიცებდი, რაულ ხიჟბა ხარო?!

— სხვა რა უნდა მეფიქრა? შენ ხომ ტყუპისცალივით ჰგავხარ რაულს!

— ნუ მიწყენ, მაგრამ მოდი, ამაზე ნულარ ვილაპარაკებო, — თქვა გოგამ.

— როგორც გინდა... ეგ შენი და რაულის საქმე... ესე იგი, გოგა გქვია, თბილისში ცხოვრობ და ექიმი ხარ.

— ასეა.

— მოდი, კაცურად ვილაპარაკოთ. პირდაპირ გეტყვი სათქმელს და შენგანაც იმავეს ველი, — განაგრძო რომამ, — რიტა ჩემი ბიძაშვილია. ბავშვობიდან ერთად ვიზრდებოდით. კარგად ვიცნობ მის ხასიათს, მაგრამ მაინც ვერ ვიჯერებ, რომ ამდენი გაბედა. აი, ასე, უბრალოდ, ადგა, საავადმყოფოდან გაგაპარა და მერე სამალავიც მოგინახა.

— ესე იგი, არ გცნობია კარგად...

— არა, შენ ვერ გამიგე. მე არც ხიჟბას ვაქცევ ყურადღებას და არც შენს საავადმყოფოდან გაპარვას. რიტამ მე მომატყუა და ეს ადრე არასოდეს გაუკეთებია. პირველი შემხვედრის, მითუმეტეს ქართველის გამო ასე არ მოიქცეოდა.

— მაგრამ მოიქცა.

— მოიქცა და, მეც სწორედ ეგ მაშინებს. პირდაპირ მითხარი — რა ხდება თქვენ შორის?

— ჩვენ შორის?.. რა უნდა ხდებოდეს?! არაფერი... — დაიბნა გოგა. მაგრამ რომას არ გამოჰპარვია მისი დაბნევა.

— ესე იგი, რალაც ხდება, — თქვა მშვიდად, — და რა იქნება სხვალ?

— ვერ ვხვდები, რას მეკითხები?

— კარგად მომისმინე, რასაც გეტყვი. რიტა სპეტაკი სულის, ალალე ადამიანია. მას არასოდეს ჩაუდენია ბოროტება და არც იცის, რა არის ეს. შენი მადლიერი ვარ. შენ რომ არა, იქნებ ცოცხალიც ვერ გადავრჩენილიყავი, მაგრამ გახსოვდეს: ჩემს ბიძაშვილს შენს სათამაშოდ არ ვაქცევ. ჩემზე დიდი მტერი არ გეყოლება, თუ მარტო საავადმყოფოდან გასაპარავად აუბნე გონება. სიცოცხლეს დაეთმო, მაგრამ შენ მაინც მოგკლავ და ამაში ვერაფერი შემოიშლის ხელს; ვერც ჭრილობა და ვერც ის ქართველები, იარაღით ხელში რომ დაძრწიან გაგრის ქუჩებში!

— და თუ ასე არ არის? — ჰკითხა გოგამ.

— თუ ასე არ არის, ძმებად დავშორდებით ერთმანეთს. დამშვიდობების წინ კი იმას გეტყვი, რასაც კაცები და მეგობრები ეუბნებიან ერთმანეთს: ღმერთი შენკენ და ყველგან და ყოველთვის გქონდეს ჩემი იმედი! — უპასუხა რომამ და მარჯვენა ჩამოსართმევად გაუნოდა.

გაგრამში მალე აღდგა მშვიდი ცხოვრება. გაგრელების საბედნიეროდ, აფხაზებმა ბრძოლის გარეშე დაიხიეს უკან და ქართულმა დე-

სანტმა ზიანის მიუყენებლად დაიკავა ქალაქი. მაგრამ ის მაინც აღარ ჰგავდა ყველასთვის საყვარელ საკურორტო ქალაქს. არსად მოჩანდა დამსვენებელთა ხმაურიანი და მრავალრიცხოვანი გუნდი. პლაჟები თითქმის ცარიელი იყო. სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში ქართული სამხედრო ქვედანაყოფები დაბანაკებულიყვნენ, ქუჩებში კი საბრძოლო ტექნიკა იდგა. ყველგან მოჩანდნენ შეიარაღებული მებრძოლები. დროდადრო ქალაქამდე არტილერიის გრიალ-გუგუნე და შორეული გასროლების ხმა აღწევდა. ეს იმ ბრძოლების გამოძახილი იყო, რომლებიც გაგრის გაღმა, კოლხიდის სიახლოვეს მიმდინარეობდა.

აფხაზების გასაოცრად, ქართველი სამხედროები ისევე მოიქცნენ, როგორც სოხუმში შესვლისას — დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი და შეტევა შეაჩერეს. გაბედული და ელვისებური სადესანტო ოპერაცია, თავისთავად გადაიზარდა პოზიციურ ბრძოლებში. აქტიურ მოქმედებაზე უარის თქმამ მძიმე შედეგები მოუტანა ქართულ ქვედანაყოფებს. არ გამოიყენეს ის უპირატესობა, რომელსაც ფლობდნენ. მძიმე ტექნიკა და არტილერია უმოქმედოდ იდგა. სანგრებსა და მოსახლეობისგან მიტოვებულ სახლებში გამაგრებულ მებრძოლებს კი რაოდენობრივად ბევრად მცირე აფხაზური დანაყოფები უპირისპირდებოდნენ. მაგრამ ქართველებისგან განსხვავებით, ისინი გულხელდაკრეფილები არ ისხდნენ. თითქოს ქართველთა მზადყოფნას ამონებენო, აფხაზები პერიოდულად, ფრონტის სხვადასხვა უბანზე შეტევებს ახორციელებდნენ და ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ ისევ უკან იხევდნენ. დროდადრო კი ქართული ქვედანაყოფების ზურგშიც აღწევდნენ და თავს ესხმოდნენ გზაზე მოძრავ სამხედროებს.

აფხაზთა მოქმედება საგრძნობ ზარალს აყენებდა ქართულ მხარეს. იშვიათი იყო ისეთი დღე, როცა გაგრის საავადმყოფოში რამდენიმე დაღუპული არ მიესვენებინათ ან დაჭრილი არ მიეყვანათ. ამასთან ერთად, მალე იჩინა თავი კიდევ ერთმა დამლუპველმა მოვლენამ: ქვედანაყოფების უმოქმედობა უკონტროლობაში გადაიზარდა. მე-





ბრძოლთა უმრავლესობა აქტიური მოქმედების მომხრე იყო. ისინი ვერაფრით ხსნიდნენ ხელისუფლებისა და სარდლობის მოქმედებას. გუდაუთა, რომელიც აფხაზეთის მთავრობა და სამხედრო ხელმძღვანელობა იმყოფებოდა, ხელის ერთ განვდენაზე იყო. მებრძოლებს ადგილზე დგომასა და აფხაზეთა უსასრულო შემოტევების მოგერიებას, ომის ერთი იერიშით დამთავრება ერჩივნათ, მაგრამ ეს არ ხდებოდა, ხელისუფლება არ ცვლიდა მიღებულ გადაწყვეტილებას და რუსეთის მთავრობის შუამავლობით ცდილობდა საკუთარ პირობებზე აფხაზეთის დათანხმებას. ამასობაში კი უმოქმედობით გაღიზიანებული ქართველი მეომრები უნებართვოდ ტოვებდნენ საბრძოლო მოქმედების ზონას... მალე მდგომარეობა იქამდე მივიდა, რომ გაგრის სამხედრო ხელმძღვანელობამ არც კი იცოდა, თუ რამდენი მებრძოლი იყო მის დაქვემდებარებაში. სხვა იყო ოფიციალური მონაცემები და სულ სხვა — რეალობა.

მაგრამ ამას არავინ აქცევდა ყურადღებას და საქართველოს ხელისუფლება ისევ აგრძელებდა მოლაპარაკებებს იმ იმედით, რომ აფხაზეთის თავის პირობებზე დათანხმებას შეძლებდა...

იმ დღეს რიტა შეშინებული მივიდა სახლში. ამის მიზეზი იყო დაკითხვა, რომელიც გაგრის პოლიციაში მოუწყვეს.

— პოლიციაში?! — ამის გაგონებაზე რომამ საწოლიდან წამოიწია. — რამე ხომ არ დაგიშავეს?!

— არა... არა... — დაამშვიდა რიტამ. — მაგრამ მაინც შემეშინდა, როცა სახლში გულბანი და მისი თანამშრომლები მოგვადგნენ.

— გულბანი უკან დაბრუნდა? — გაუკვირდა რომამ.

— რატომ არ უნდა დაბრუნებულიყო?! ქალაქს ქართველები აკონტროლებენ, ის კი არავის გაუთავისუფლებია სამსახურიდან და როგორც კი გაგრის აფხაზები გავიდნენ, პოლიციაში დაბრუნდა, — თქვა რიტამ.

— რა უნდოდა გულბანს? — განაგრძო რომამ.

— თქვენს თაობაზე დამკითხა.

— ჩვენს თაობაზე?! — გოგამ და რომამ გაოცებით გადახედეს ერთმანეთს.

— ჰო... თქვენს თაობაზე.

— თავიდან მომიყვივი ყველაფერი, — სთხოვა რომამ.

— სახლში ახალი დაბრუნებული ვიყავი, როცა გულბანი და სამი პოლიციელი მოვიდნენ. სიმართლე გითხრათ, ძალიან შევშინდი.

თავიდან ვერც კი ვიცანით. გულბანს და ორ პოლიციელს სამხედრო ფორმა ეცვათ და ქართველი ჯარისკაცები გვეგონენ. თვითონაც შეგვაჩინა, რომ დავიძაბეთ და დაგვაშვიდა: ნუ ლელავთ, ის კაცი არა ვარ, რომელიც თქვენს ოჯახს რამეს დაუშავებსო. მერე კი თქვენზე და პოლიციიდან გაქცევაზე დამინყო გამოკითხვა, — უპასუხა რიტამ.

— შენ რა შუაში ხარ?! — გაუკვირდა რომამ.

— დაგავინცდა, საავადმყოფოში რაც მოხდა?! გოგა შენ არ მოიყვანე ჩვენთან?! მერე კი შენ და ხიჟბა ერთად დაეძვდით. გულბანმა ყველაფერი იცოდა ამის შესახებ. შენ არ მოუკითხავხარ, — გოგას გახედა რიტამ, — სამაგიეროდ, შენზე მეკითხებოდა ძალიან ბევრს, რომა, — სად არის? იბრძვის თუ არაო?.. მერე ხიჟბაც გაიხსენა. ისიც სცოდნია, რაული გოგას რომ ეძებდა გაგრაში და ჩვენ შეგვხვდა.

— რას ერჩი, მაგარი ყოფილა, — გაიცინა რომამ, — სოჭიდან თუ ასე მუშაობდა, წარმოიდგინე, გაგრაში ყოფნისას რა ამბებს დაატრიალებს...

— მაინც რა გითხრა ხიჟბაზე? — ჩაურთო გოგამ.

— ჩემთვის არაფერი უთქვამს. მასთან ერთად, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი იყო. იმას უთხრა: ტყუილად ვანვალეთ ის ბიჭი, შევცდით, ხიჟბა გვეგონა და ძალიან დამწყდება გული, ჩვენი მიზეზით რამე თუ შეემთხვაო.

— ვინ იყო ის კაცი? — ჰკითხა რომამ. — გაგრელი?

— არა... არც გაგრელი იყო და არც სოხუმელი. მგონი, თბილისიდან უნდა ყოფილიყო.

— სახელი? — სწრაფად ჰკითხა გოგამ.

— გიორგი. ასე უწოდებდა გულბანი, — უპასუხა რიტამ.

— საშუალო ტანის იყო, მრგვალი სახით, თაფლისფერი, მეტყველი თვალებით, — განაგრძო გოგამ.

— ჰო... ასეთი იყო, — დაუდასტურა რიტამ.

— იცნობ? — გოგას გახედა რომამ. — თბილისელი გამოძიებელია. მაგან გამოაცხადა ჩემზე ძებნა, — უპასუხა გოგამ.

— ოჰო... ჩანს, სერიოზულ საქმეზე იძებნები. წერილმანისთვის ასეთ დროს გაგრაში არ ჩამოგაკითხავდა, — თქვა რომამ.

— ძალიან სერიოზულ საქმეზე, — ამოიოხრა გოგამ.

— მაინც რა საქმეზე?

— ხიჟბას ვგავარ.

— და მეტი არაფერი?! — გაუკვირდა რომამ.

— შენ წარმოიდგინე, რომ არაფერი.

— მძიმე შემთხვევაა, — გაელიმა რომამ.

— მაგ მძიმე შემთხვევამ ჩამომიყვანა აქ, მაგრამ ვეღარც ვხვდები, ვინაო, თუ — არა? — რიტას გახედა რომამ.

აფხაზ ქალს უმაღლესი სიწინილე მოედო სახეზე და მხერა აარიდა რომამ.

— როგორ დაგშორდნენ გულბანი და გამოძიებელი? — ჰკითხა გოგამ.

— ბოლოს ხიჟბას შესახებ დამისვეს რამდენიმე კითხვა, მაგრამ მე ხომ არაფერი ვიცოდი მის შესახებ, — თქვა რიტამ, — საუბარი ამით დამთავრდა. გულბანი და მისი ხალხი მანქანაში ჩასხდნენ და იქაურობას მოშორდნენ.

— და ამან შეგაშინა? — ჰკითხა რომამ.

— არა მხოლოდ ამან.

— კიდევ რამე მოხდა?

— შეიძლება, დაძაბული ვარ და ყველაფრის მეშინია, მაგრამ გულბანის გამოჩენა იმ კაცთან შეხვედრას დავეუკავშირე.

— რომელ კაცთან? — ჰკითხა გოგამ.

— გახსოვს ის მძლოლი, რომელმაც საავადმყოფოდან წამოგვიყვანა?

— ბუნდოვნად.

— აქაური სომეხია, ძველ გაგრაში ცხოვრობს, არმენი თუ არტური ჰქვია. იმ ღამის შემდეგ აღარ შემხვედრია. გუშინ კი აქ სახლთან მოვკარი თვალი. საპირისპირო მხარეს იდგა და სახლს აკვირდებოდა. როცა შეშინებულა, თვალი ამარიდა. შემეშინდა და სახლში აღარ შემოვედი. გზა გავაგრძელე. ვითომ სხვაგან მივდიოდი. მოსახვევს რომ გავცდი, ცოტა ხანს მოვიცადე და მერე ფრთხილად გამოვხედე ქუჩას და იცით, რა ვიხილე?.. ის კაცი მე მომყვებოდა. ერთმანეთს პირისპირ გადავანწყდი. შევატყვე, რომ დაიბნა. მაშინვე ზურგი შემაქცია და უკან გაბრუნდა. დღეს კი გულბანი მოვიდა და თქვენზე დამინყო გამოკითხვა.

— აქ მოსვლისას ვინმე ხომ არ შეგიმჩნევია? — ჰკითხა რომამ.

— არა. ძალიან ფრთხილობდი. ვიდრე არ დავრწმუნდი, რომ ვერავინ მხედავდა, სახლში არ შემოვსულვარ...

რიტამ სიტყვის დამთავრებაც ვერ მოასწრო, რომ სახლის ეზოში ხმაური გაისმა. ოთახში მყოფთ მოეჩვენათ, რომ ვიღაც სახლის კარს ამტვრევდა. რიტა მაშინვე ფეხზე წამოიჭრა, ფანჯარას გახედა და გაფითრებული შემობრუნდა უკან.



გიორგი უკმაყოფილო დაბრუნდა პოლიციაში. მცირე იმედი, რომ გაგრაში მაინც მიაკვლევდა გოგას კვალს, ამაო აღმოჩნდა.

— მე ხომ არ მადანაშაულებ რამეში? — ჰკითხა რეზო გულბანმა, როგორც კი მის კაბინეტში შევიდნენ.

— შენ რაში უნდა დაგადანაშაულო?! — სავარძელზე დაჯდა გიორგი. — პირველმა მე დავუშვი შეცდომა. სხვებმა კი მხოლოდ ჩემი შეცდომა გაიმეორეს.

რეზომ კარადიდან კონიაკის ბოთლი გამოიღო, ჭიქა შეავსო და გიორგის მიანოდა: მოსვი, მოდუნდები და შევებას იგრძნობო.

გიორგიმ სულმოთქმელად გამოცალა ჭიქა და მაშინვე შეავსო.

— ისე, შენი ბრალიც არ არის, — განაგრძო გულბანმა, — იმ ნაბიჭურის ტყუპისცალია. ქუჩაში რომ გადავწყდომოდი, შეიძლება, იქვე გამეხვრიტა შუბლი.

— ვითომ ცოცხალია? — ჰკითხა გიორგიმ.

— სიმართლე გითხრა, ეჭვი მეპარება. ხიჟბა ცოცხალს არ დატოვებდა.

— რატომ?.. ბოლოს და ბოლოს, ძმები არიან!

— ბოლოგითურად მართლაც ძმები არიან. მაგრამ ამ შემთხვევაში, ეგ აღარაფერს ნიშნავს. ჩვენც ვხვდებით და ხიჟბაც მისხვდებოდა, რისთვისაც ჩამოაკითხა აფხაზეთში, — თქვა გულბანმა.

— მეცოდება, — ამოიოხრა გიორგიმ, — რაც დრო გადიოდა, უფრო მეტს ვიგებდი მაგ ბიჭზე. იშვიათად შემხვედრია კაცი, რომელზეც მართო კარგს ამბობდნენ. ამ საქმეზე ყველაზე ცოტა, 50 მონემ მაინც დავეითხე. ზოგი მათგანი დიდი ხნის განმავლობაში იცნობდა კილაძეს, ზოგმა ახლახან გაიცნო, მაგრამ არც ერთ მათგანს ცუდად არ მოუხსენიებია. ამიტომაც ჩამოვედი გაგრაში. სამმართველოს ხელმძღვანელობა ამის მომხრე არ იყო: თავი დაანებე, ჩვენ ჩვენი საქმე გავაკეთეთ, დავადგინეთ, რომ მაგ ბიჭს არაფერი აკავშირებს მკვლელობასთან, ბრალდებაც მოვუსხენით და ძებნაც გავაუქმეთ, დანარჩენი კი მისი პირადი საქმეა; ნაწნალი თუ ეხალიცება, ინანნალოს, რა ჩვენი საქმეა?!. მაგრამ როგორ დავბრუნებულეთ თბილისში?.. ვხვდებოდი, რომ ხიჟბას მოკვლა ჰქონდა ჩაფიქრებული და არ მინდოდა, რომ არაკაცის გულისთვის დაღუპულიყო. ახლა კი რაღა დროსია. ვერ ვხვდები, რატომ მოიქცა ასე. საკანში რომ დარჩენილიყო, ყველაფერი კარგად იქნებოდა... — გიორგი მცირე ხნით

ჩაფიქრდა და მერე თქვა: — იქნებ ახლაც არ არის გვიან?.. ხიჟბას ძალიან ცოტა დრო ჰქონდა მის მოსაძებნად. მისი გამოჩენიდან ორი დღის შემდეგ, გაგრა ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს.

— ჰო. მაგრამ მაშინ სად გაქრა?! — უპასუხა გულბანმა.

— ჩანს, კილაძე თვითონაც მიეჩვია, რომ ყველა შემხვედრს ხიჟბა ეგონა. „კაპეზენიც“ ასე ეჭირა თავი. აფხაზები დარწმუნებულები იყვნენ, რომ თანამომქეს ესმარებოდნენ. ამიტომაც ჰპატრონობდნენ დაჭრილს. როგორ გგონია — ომის დანყების შემდეგ ქართველის დასახმარებლად გამოიდებდნენ თავს?!

— რა თქმა უნდა, არა.

— ეს საავადმყოფოშიც დაადასტურეს. ლაკობა და მისი მეგობრები თავს დასტრიალებდნენ კილაძეს. მან კი, როგორც კი დრო იხელთა, საავადმყოფოდან გაიპარა. მაგრამ სად უნდა წასულიყო დაჭრილი და დასუსტებული?! საბუთები და ფული არ ჰქონდა. მკურნალმა ექიმმა მითხრა, რომ იმ კატეგორიის ტვინის შერყევით, რომელიც მას ჰქონდა, ორას მეტრსაც ვერ გაივლიდა. რომც გაეგლო, რუსეთში მაინც ვერ გააღწევდა. თუმცა რომ მიეღწია, საბუთების გარეშე საზღვარს მაინც ვერ გადაკვეთდა, მით უმეტეს — დაჭრილი.

— კიდევ ერთი შესაძლებლობა არსებობს: კილაძეს ნაცნობი ჰყავს გაგრაში...

— ...რომელმაც შეიფარა! — მისი აზრი დაასრულა გულბანმა.

— გამოორიცხავ ამას?

— რა თქმა უნდა, ვერ გამოვრიცხავ. მაგრამ ერთი გარემოება ამის საწინააღმდეგოდ მეტყველებს.

— რომელი გარემოება? — ჰკითხა გიორგიმ.

— კილაძე მიმტკიცებდა, რომ ის ხიჟბა არ იყო. მთხოვდა, გადაემოწმებინა მისი საპასპორტო მონაცემები, მაგრამ ერთხელაც არ უხსენებია მისი გაგრელი ნაცნობი, რომელიც მისი ვინაობის დადასტურებას შეძლებდა.

— მის მდგომარეობაში, ეს ლოგიკური იქნებოდა, — დაეთანხმა გიორგი.



— მაგრამ ასე არ მოქცეულა... სანყენია, მაგრამ მგონია, რომ ტყუილად კარგავ დროს. კილაძემ თვითონ გააკეთა არჩევანი. თბილისში რომ დარჩენილიყო და ძიების დამთავრებას დალოდებოდა, ეს უბე-

დურება არ მოხდებოდა. მაგრამ მან თავად გადაწყვიტა სამართლიანობის აღდგენა და თავიც წააგო. ჯობს, თბილისში დაბრუნდე, გიორგი. მე თავიდანვე მეპარებოდა ეჭვი, რომ მაგ საქმიდან რამე გამოვიდოდა. ახლა კი უკვე დავრწმუნდი, რომ კილაძე დაიღუპა... გავა დრო, ომი დამთავრდება და თუ ხიჟბა და ლაკობა ცოცხლები გადარჩნენ, იქნებ მართლაც მოხერხდეს ამ საქმეში გარკვევა.

გიორგი მცირე ხნით ჩაფიქრდა და მერე თქვა:

— მართალი ხარ. ვგრძნობ, რომ ტყუილად დავრჩები გაგრაში. პირველივე ვერტიფრენით დავბრუნდები სოხუმში.

რეზო კონიაკის ბოთლს გადასწვდა, რომ ისევ შეევსო მისი ჭიქა.

— შენ რა, ჩემი დათრობა გინდა?! შენც დალიე, თორემ რა გამოდის — ლოთივით მართო ვსვამ.

— დავლევ, — უპასუხა რეზომ და ჭიქის მოსატანად კარადისკენ წავიდა. სწორედ ამ დროს კაბინეტში ტელეფონი ანკრიალდა. რეზომ ზურგი შეაქცია კარადას და ყურმილი აიღო.

— დიახ... დიახ... აქ არის... ახლავე გამოვდივართ! — თქვა, ყურმილი დადო და გაოცებული მზერა მიაპყრო გიორგის.

— რა მოხდა? — ჰკითხა მან.

— არ დაიჯერებ... კილაძე გამოჩნდა!.. წავედით!.. — სწრაფად უპასუხა რეზომ და პირველი გავარდა კარისკენ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



სეფის სუნიელი

სება კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“,
№ 51, 2009 - №4, 2010

— მშვენივრად მხიარულობთ, —
შეცბუნებულმა ვთქვი, როცა კახიმ შე-
მაჩნია.

— მგონი, გამოგვდის, — ალერსიან-
ად შემომღიმა, — შემოდით.

ნეტავ ასე არ იდიოდეს, ეგრევე ვდ-
ნები, როცა მილიმის. არ ვიცი, რა მე-
მართება. მამაკაცი წამოდგა და შევამჩ-
ნიე, რომ სავარძელზე, მის გვერდით,
რალაც წიგნი იდო. მექანიკურად დავწვ-
დი და სათაური წავიკითხე: „ბავშვის
მოვლა“.

— ამას კითხულობთ? — გაოცებულმა
ვკითხე.

— კი არ ვკითხულობ, ვსწავლობ.
თქვენ ალბათ ყველაფერი იცით ბავშვე-
ბის შესახებ, მე კი ჯერ დილეტანტი
ვარ, — მიპასუხა და შემომცინა.

გადავფურცლე და შევამჩნიე, რომ
სანიშნი სწორედ იმ გვერდზე იყო ჩადე-
ბული, რომელიც ჩვილის პირველი კბი-
ლის ამოსვლის პრობლემებს ეხებოდა.

— ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო...
თითქმის სიურპრიზი.

— რატომ?

— როგორ გითხრათ... არ მეგონა,
თქვენნიარ დაკავებულ ადამიანს იმის
დრო თუ ჰქონდა, ბავშვების მოვლაზე
ლიტერატურა ეკითხა.

— ხდება ხოლმე... — ეშმაკურად
გაიღიმა მამაკაცმა და ბავშვი მომაჩეჩა,
— დროა, გავიდეთ ქალაქში, ორივე
გაემზადეთ...

ერთი საათის შემდეგ ბავშვიანად უკვე
კახის მრგვალფარებიან „მერსედესში“
ვიჯექი და გზადაგზა ზღვის პეიზაჟით
ვტკბებოდი.

— რა ლამაზია ზღვა, — ჩემთვის
ჩავილაპარაკე.

კახიმ შემომხედა და სიჩქარეს მოუ-
მატა.

— ჩემი აზრით, საქართველოზე
ლამაზი მხარე მსოფლიოში არ არსე-
ბობს. ყველაფერი გვაქვს — ზღვა, მთა,
ტყეები, ნაკრძალები, წყაროები... და ამ
ყველაფერს კიდევ პატრონი არ ჰყავს.

იცით, როგორი საკურორტო
ზონის გაცემა შეიძლება აქ?
ვერც კი წარმოიდგენთ, მაგრამ
რად გინდა, ამაზე არავინ
ფიქრობს. ზღვა მეც მიყვარს,
იმიტომაც შევიძინე ქობულეთ-
ში აგარაკი, ზაფხულობით
ყოველთვის აქ ჩამოვდივარ,
მიუხედავად იმისა, რომ ხმელ-
თაშუა ზღვის წყალი გაცილებით
უკეთესია.

— უფრო სუფთა?

— უფრო სუფთაც და უფ-
რო მსუბუქიც. ფერც კი საო-
ცარი აქვს — ლურჯი, ლურ-
ჯი... ქობულეთს რომ გასცდე-
ბი, ერთი არაჩვეულებრივი
ადგილია, წყალწმინდა ჰქვია.
სანაპირო მთლიანად ქვიშისაა
და ირგვლივ სულ ფიჭვნარია.
გაივლი, გამოივლი და გრძნობ,
როგორ გახვევს თავბრუს
ფიჭვის სურნელი.
ყოფილხართ?

— არა. სამწუხაროდ, ჩემი სამსახ-
ურის გადამიდე, დრო არ მრჩება ასე-
თი რამეებისთვის.

— აბა, ასე გარუჯვა როგორ მოახ-
ერხეთ? — ირიბად გამომხედა.

ელეთმელეთი დამემართა, მაგრამ არ
დავიბნე.

— ვისთანაც ვმუშაობდი, მისი ბავშ-
ვი გამყავდა ხოლმე დილა-სალამოს სან-
აპიროზე.

— გასაგებია... ვისთან მუშაობდით?
შეიძლება ვიცნობ კიდეც.

— არა! არა! — ლამის შევყვირე
შემინებულმა. — არა მგონია.

დმერთო, რაში მჭირდებოდა ეს ყვე-
ლაფერი? თავიდანვე მეთქვა, თბილი-
სიდან ჩამოვედი-მეთქი.

— რატომ არ გგონიათ? მართალია,
სულ აქ არ ვცხოვრობ, მაგრამ ბევრს
ვიცნობ.


— ისინი ქართველები არ არიან, —
ჩემდა უნებურად წამოვროზე.

— მართლა? ახლა არ მითხრა, სომხის
ბავშვს ვუვლიდიო.

ციებინავით შემეკანკალა.

— ნახევრად გერმანული ოჯახია,
ერთი წელია, აქ ცხოვრობენ, — ტყუილს
ტყუილზე ვაცხობდი და თავადვე
ვიჯერებდი მას, — სახლის პატრონს
ცოლი ჰყავს გერმანელი.

— რა გვარიაო, რა მითხარი? —



ჩამაცივდა.

— კაცი ქათამაძეა, ქალი კი... ვე-
ბერი.

— და რამდენ ხანს იმუშავებთ მათ-
თან?

— დაახლოებით რვა თვე.

— ო-ჰოოო! მაშინ გერმანულსაც
შეისწავლიდით, — თქვა კახიმ და რამ-
დენიმე ფრაზა გერმანულად წარმოთქ-
ვა.

— ცოტა ვისწავლე, გაქცეულ გერ-
მანელს მოვებრუნებ, — გერმანულადვე
ვუპასუხე.

კიდევ კარგი, გერმანულენოვანი სკოლა
მაქვს დამთავრებული, თანაც — წარ-
ჩინებით, თორემ ხომ მომეჭრებოდა
თავი.

გზაჯვარედინთან მამაკაცმა სიჩქარე
შეანელა და მარცხენა მხარეს გზას გახე-
და. ამით ვისარგებლე და საუბარი სხვა
თემაზე გადავიტანე.

— ქალბატონი ჯული სად მოყვა
ავარიამი? — ვკითხე, თუმცა მშვენივრად
ვიცოდი, ავტოკატასტროფა რომელ ქვეყ-
ანაშიც მოხდა. მაგრამ ეს ერთადერთი
საშუალება იყო, მამაკაცს ჩემი დაკითხ-
ვა არ გაეგრძელებინა.

— თქვენ რა, გაზეთებს არ კითხუ-
ლობთ? — არ შემოუხედავს, ისე მკითხა.

— იშვიათად.

— თუმცა, გაზეთებიდან სიმართლეს
მანაც ვერასდროს გაიგებ. იმას წერენ,
რაც გაუხარდებათ და არა — სიმარ-
თლეს. დარწმუნებული ვარ, რომ უფრ-



ნალისტების ნახევარი სენსაციის გამო ღვიძლ დედასაც კი გაყიდის.

— არ გეთანხმებით, — პროტესტი გამოვთქვი, — იცით, რამდენი რამის გადატანა უხდებათ ჟურნალისტებს ხანდახან? ერთობ რთული სამუშაოა, შორიდან ადვილია მათი განსჯა. ისინი რომ არ იყვნენ, რამდენი უსამართლობა მიიჩქმალებოდა, ვინ იცის.

— მაგრამ ეს მედლის მხოლოდ ერთი მხარეა, ქეთი. ხშირ შემთხვევაში ისინი მაინცდამაინც იქ ყოფნე ცხვირს, სადაც არაფერი ესაქმებათ. ყველაფრის გამოქვეყნებს ცდილობენ და არასდროს ფიქრობენ იმაზე, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მათ ეგრეთ წოდებულ სენსაციურ რეპორტაჟებს. და ყველაფერ ამას სხვებისთვის კი არა, კარგი ჰონორარის მისაღებად აკეთებენ.

მოვიკუნტე. სულის სიღრმეში სინდისის ქენჯნა ვიგრძენი. მართალი არ არის? სწორედ ამას ვაკეთებ მე ახლა, ამნუთას. თუმცა, ასეთი თემები არასდროს მიზიდავდა, ჭორების განქიქება ჩემი საქმე ამ დრომდე არ ყოფილა, მაგრამ სიტუაციამ მოითხოვა და რა ჩემი ბრალია?!

— პასუხს ვცემ თქვენს კითხვას: ჯული გერმანიაში მოყვა ავარიაში, — თქვა მოულოდნელად.

— გასაგებია, — ჩავიბუტბუტე ჩემთვის.

მინდოდა, კიდევ რამდენიმე შეკითხვა დამესვა, თან ჩემი უსინდისობა უკვე ძალიან მანუხებდა. მიუხედავად ამისა, მაინც ვერ მოვიტოვინე.

— როცა ქალბატონ ჯულის გამოწერენ, მერე რა მოხდება? ძიძა ალბათ აღარ დაგჭირდებათ, არა? ბავშვს გერმანიაში წაიყვანთ თუ თვითონ ჩამოვა აქ? — მივაყარე და მივაყარე.

— სულ ველოდებოდი, ამას როდის მკითხავდით. — განელილი ხმით თქვა კახიმი.

— მართლა? — გულუბრყვილოდ წამოვიძახე და მიამიტი ბავშვის სახე მივიღე. — რატომ ელოდით?

— ეს ხომ ბუნებრივია... თქვენ გეშინიათ, სამსახური არ დაკარგოთ, — მხრები აიჩეჩა.

— თქვენი აზრით, უნდა მეშინოდეს? ნუკის გერმანიაში უპირებთ წაყვანას?

ნუთიერი ყოყმანის შემდეგ მან ოდნავ მოაბრუნა თავი და მომწუსხველად გამიღიმა. როგორ მაგიჟებს ეს ლიმილი!

— ყველაფერს თავისი დრო აქვს, ქე-თე-ვან! — ხაზგასმით მიმანიშნა, ზედმეტი მოგდისო.

ამასთან, გამახსენდა მისი გუშინდელი მუქარა, — ჩემზე რომ რამე დაწერონ, რედაქციას სასამართლოში ვუჩივლებო, — და გამაჟრიალა. უფრო მეტი სიფრთხილის გამოჩენა მმარ-

თებს, თორემ გავებებები.

— აქამდე ხომ ქეთის მეძახდით, — მსუბუქად შევასხენე და მომაჯადოებელი ლიმილი ავიკარი ტუჩებზე, — ქეთევანი ძალიან ოფიციალურად უღერს. არ მომწონს, ასე რომ მომმართავენ, შებოჭილად ვგრძნობ თავს.

— კურსებზე გასწავლეს, მიმართვის როგორი ფორმა აირჩიოთ დამქირავებელთან? — შევკრთი, ისეთი ცივი ხმით მკითხა.

— კურსებზე ხშირად გვახსენებდნენ, რომ წავიდა ის დრო, როცა მოსამსახურეებს კიბის ქვეშ გამოუყოფდნენ ხოლმე ოთახს, — საშინლად სარკასტულად გამომივიდა.

პასუხი არ გაუცია, არც შემოუხედავს. ამასობაში სადგურს მივუახლოვდით.

— ახლა საით? სად ცხოვრობენ შენი ყოფილი დამქირავებლები? მისამართი მითხარით.

— მისამართი? — ბრინჯივით დავიბენი.

— რომელ ქუჩაზე ცხოვრობენ, არ იცი? — გამჭოლი მზერა მესროლა მამაკაცმა და სვლა კიდევ უფრო შეანელა.

— რუსთაველის ქუჩაზე, მაგრამ მე... მე მეგონა, ჯერ თქვენს საქმეზე მიდიოდით, ამიტომაც არაფერი გითხარით. კარგა ხანია, გამოვცდით. უკან უნდა დაგებრუნდეთ. ნუ ლელავთ, შორს არ არის.

— არ ვლელავ. რატომ აქამდე არ მითხარით? — მოუთმენლობა დაეტყო ხმაში.

— მეგონა, ჯერ...

— არაფერია, — მკვახედ შემანყვეტინა, — მითხარით, სად შევუხვიო.

— თუ არ ვცდები, მეორე შესახვევი უნდა იყოს... — შიშისგან დამბურძგლა.

ცოტა რომ გავიარეთ, ვუთხარი, აქ შეუხვიეთ-მეთქი.

— აქ არ შეიძლება, მაშინ ზემოდან უნდა მოვუარო.

— არ გინდათ, ბატონო კახი, აქვეა, ახლოს. ფეხით მივალ იქამდე. ნახევარ საათში ჩავალაგებ ჩემს ნივთებს, ბევრი არაფერი მაქვს და ისევ ამ ადგილას დაგხვდებით, — სხაპასუხით მივაყარე. ძალიან ავლელდი, ამდენი ნერვიუ-

ლობისგან თავი ამტკიცდა.

— რა სისულელეა! რატომ უნდა ათრიოთ ჩანთები, როცა მანქანით ვართ? ზემოდან მოვუვლი. რა ნომერია სახლი?

სხვა გზა აღარ დამიტოვა, იძულებული გავხდი, ზუსტი მისამართი მეკარნახა. რამდენიმე წუთში „მერსედესი“ ჩემს ნაქირავებ ბინას მიადგა. ბინას კი არა, უზარმაზარ ორსართულიან სახლს, ეგრეთ წოდებულ ოჯახურ სასტუმროს.

— აი, მოვედით, — რაც შეიძლებოდა, მშვიდად წარმოვთქვი და ჩაძინებული ნუკი უკან გადავსვი, მანქანაში გამომულ ბავშვის სანოლში, — დიდი მადლობა, შეძლებთ ნახევარ საათში გამომიაროთ?

— აქ დაგიცდით, — თითქოს ჯიბრით მითხრა და ძრავა გამორთო.

— არა, არა, ნუ დამელოდებით. აჯობებს, თქვენი საქმეები მოითავოთ. დრო ტყუილად რატომ უნდა დაკარგოთ? — ფერნასული რას ვლულულელებდი, თავადაც არ მესმოდა.

— არა უშავს, — თქვა კახიმი და საზურგეს მიეყრდნო, — ნახევარი საათი არც ისე დიდი დროა.

— შეიძლება არც მეყოს ნახევარი საათი, რა ვიცი... — ავნრიალდი, — სანამ მათ დავეშვიდობებები, სანამ ნივთებს ჩავალ...

— მიხედეთ საქმეს, ქეთევან! ასე გაცილებით მეტი დრო იხარჯება! გგონიათ, მსიამოვნებს აქ ყურყუტი? — მბრძანებლური ტონით გამანყვეტინა.

ნათელი იყო, რომ შეკამათებას აზრი არ ჰქონდა. გული გამალებით მიცემდა. არ მახსოვს, როგორ გამდოვედი მანქანიდან და ჭიშკარს მივუახლოვდი. ფეხები აღარ შემორჩინებულა. რა საშინელი კაცია! რა საჭიროა, ჩემი ყოველ ფეხის ნაბიჯზე შემონმება? მაინცდამაინც ჭიშკრამდე მომაყვანინა თავი. რატომ? ვაითუ, დაინტერესდეს და გამოიკითხოს, აქ ვინ ცხოვრობს... არა მგონია, ასეთი რამ იკადროს.

შევეცადე, ოდნავ მაინც დავმშვიდებულყავი. ხელი ისე მიკანკალებდა, ველარ ვიმორჩილებდი. რის ვაი-ვაგლახით შევალე ჭიშკარი და მეორე სართულის კიბეს ავუყევი. ეზოში არავინ იყო, რაც ძალიან გამიხარდა. არადა, ყველას ვიცნობდი, ვინც ამ სახლში ისვენებდა.

სალამობით ფლოიში გამოვდიოდით და ხან ვსვამდით, ხანაც ჯოკერს ვთამაშობდით, ან უბრალოდ, ჭორაობით და ტელევიზორის ყურებით ვიქცევდით თავს, მზესუმზირის „თანხლებით“.

აი, რა ცუდია ტყუილის თქმა. ერთს მეორე მოჰყვება, მეორეს — მესამე და ბოლოში სად გაგიყვანს, კაცმა არ იცის. მართალია, როცა ამბობენ, ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო. ნეტავ ჩემს ტყუილს რამდენად მოკლე ფეხები აქვს?..

ის იყო, ბოლო საფეხურზე





შევდგი ფეხი, რომ კახის ხმა დამენია.

— იცით, თქვენ მართალი ხართ, აქ რისთვის გელოდოთ? წავალ და ნახევარ საათში მოვბრუნდები.

— ასე აჯობებს, — ნაძალადევად გაუფლმე შევებით ამოვიხსნითქე.

ჩემდა გასაკვირად, ქალები ფოიეში დამხდნენ, ჩვენი დიასახლისიც იქ იყო, გრძელტარნიანი ცოცხი ეჭირა და იქაურობას გვიდა.

— ვაა! დაკარგულს გაუმარჯოს! ქეთი, სად იყავი ნუხელ? — შემომხეხვინე ყველანი.

— გოგოებო, სამსახურის საქმეზე დავბრძოდი. რალაც საინტერესო სიუჟეტი ავაგდე და მასალეს ვაგროვებ. ქალბატონო ეთერ, უნდა დავცალო ოთახი, იმ ორი დღის ფულს აღარ გამოგართმევთ, იყოს.

ეთერმა მადლობის გამომხატველი ღიმილი მესროლა. ქალების ქაქანს ყურადღება არ მივაქციე და ოთახში შევევარდი. რაც შეიძლებოდა, სწრაფად მოვუყარე ჩემს ტანსაცმელს თავი, ჩანთაში დაუდევრად ჩავყარე და მობილური ჩავრთე, რომ მამუკასთვის დამერეკა.

— ქეთი, სად დაიკარგე, გოგო, მთელი თბილისი შენ რომ გექებს? რატომ გქონდა ტელეფონი გამორთული? — დამიცაცხანა რედაქტორმა.

— სად დავიკარგე და, ანდრონიკაშვილის სასახლეში დავსახლდი. ძიძა ვეგონე და უპრობლემოდ მიმიღო, გესმის? იძულებული გახვდი, ღამით იქ დავრჩენილიყავი. ტელეფონი კი შეგნებულად გამოვრთე, შენი და დედაჩემის ზარების შემეშინდა.

— რას ამბობ, მართლა?! — ღამის გამოძვრა მობილურიდან მამუკა. — რა მაგარი ხარ, ყოჩაღ, შენ! არაჩვეულებრივია!

— არც ისე, შენ რომ გგონია. არ იცი, როგორ შარში ვარ გახვეული. არ ვიცი, სანამ გაუძღვებ. ძალიან მეშინია, არაფერს მიმიხვდეს. დედაჩემმა ხომ არ დაგირეკა?

— დამირეკა და დავამშვიდე, ისეთ ადგილას გაუშვი ინტერვიუს ჩასაწერად, ტელეფონი არ იჭრის-მეთქი.

— გაიხარე, შენც მაგარი კვაჭი ხარ, რომ იცოდე!

— ბავშვი ნახე?

— აბა, არ ვნახე? მე ხომ მისი ძიძა ვარ!

— ფოტოები? გადაღება მოახერხე?

— როგორც შევძელი... სხვათა შორის, კარგი კადრები მაქვს.

— პირველ რიგში, ანდრონიკაშვილის და ბავშვის ფოტოები გვჭირდება. ორივეს ერთად თუ დააფიქსირებ, მთლად ოქრო იქნები. მთავარი სურათებია, ხომ იცი.

— ვეცდები, მამუკა, არ არის ასე ადვილი.

— შენ ხომ ჩემპიონი ხარ, მოახერხებ.

— არ იქნება ადვილი. ხომ არ ვეტყვი, ახლა ბავშვი ხელში აიყვანეთ, უნდა „ჩაფაფოტო“-მეთქი?

— მაგის არ შეგეშინდეს, მე ვიზრუნებ. რომელიმე ფოტოგრაფს გამოვგზავნი.

— არ გინდა, მამუკა, არ დამლუპო, გეხვეწები! ისიც საკმარისია, მე რომ შევძვერი მის სახლში. ვერავის შეყვანას ვერ მოვახერხებ, გამორიცხულია. ყველაფერი სიგნალიზაციაზე აქვს დაყენებული.

— კარგი რა, შენ ხომ პროფესიონალი ხარ, რალაცას მოიფიქრებ. უთხარი, შეყვარებული უნდა ჩამოვიდეს ჩემს სანახავად-თქო.

— გაგიჟდი? რა შეყვარებული, რის შეყვარებული. ახლა აქ ვინმეს მოსვლა ძალიან საშიშია, შეიძლება მთელი შრომა წყალში ჩამყაროს. მე თვითონ მოვუვლი მაგ საქმეს, გემუდარები.

— კარგი, მოგვიანებით დაგირეკავ და რამეს მოვიფიქრებ.

— ვერ დამირეკავ, მობილური გამორთული მექნება.

— სახლის ტელეფონი რა ნომერია, არ იცი?

— აბა, საიდან უნდა ვიცოდე! არც ეცადო, რომ გაიგო. იქ დარეკვა არ გაბედო, გესმის? მამუკა დაეჭვდებოდა. ძალიან გთხოვ, ნუ იზამ ამას.

— ბოლოს და ბოლოს, ქალს დავარეკვინებ, რა მოხდა. ვითომ შენიანებმა მოგივითხეს. რა სახელი დაირქვი?

— ჩემი სახელით მივედი, რატომ უნდა მომეგონებინა ახალი. რა იცის, ვინ ვარ. მამუკა, გთხოვ, არ დარეკო. ძალიან სახიფათო სიტუაციაში ვიმყოფები ისედაც.

— ასე რამ შეგაშინა, გოგო? აგვისტოში, იმ გაგანია ომის დროს გორში რომ გაბრძოდი, შენ არ იყავი? თუ უკვე დაგავინწყდა?

— ის სხვა იყო, ადამიანო, აქ ტყუილების თქმა მიწევს, განსხვავებას ვერ ხედავ?

— იცი, მარგველაშვილი გონს რომ მოვიდა?! მალე სრულიად გამოჯანმრთელდებოდა, ამბობენ. სხვათა შორის, ბავშვი რომ ანდრონიკაშვილთან იმყოფება, უკვე მთელმა საქართველომ იცის.

— ჯანდაბას! ეს რა ცუდი ამბავი მითხარი. ახლა დახვეწიან ჟურნალისტები თავს და ერთი ამბავი ატყდებოდა.

— აბა რა იქნება, ამიტომაც ყველას უნდა დაასწრო, გასაგებია? რამე გამოსტყუე მაინც? რას ამბობს, იმ ქალს ცოლად შევირთავო?

— ცოლად შეირთავს? — გაოგნებულმა გავიმეორე. — არა მგონია... მე სულაც არ ვფიქრობ ასე.

— მიდი, მიდი, დროზე გაარკვიე და გამოიქეცი. იმ კაცს ჯუჯლისთან შეილი ჰყავს და არ არის გამორიცხული, მალე ქორნილიც კი ვჭამოთ. პირველებმა ეს ამბავი ჩვენ უნდა დავბეჭდოთ, გესმის? შენი იმედი მაქვს.

— რალაც არ მომწონს ეს ყველაფერი, მამუკა. ძალიან უსინდისოდ ვიქცევით.

— გამიგიჟდი? რას ნიშნავს „უსინდისოდ“? შენ შენს მოვალეობას ასრულებ, იპარავ რამეს, თუ რა?! არ

მაინტერესებს შენი აზრები, მე მასალა მჭირდება, სენსაციური მასალა და შენგან ველი ამას, გესმის?

— მესმის, უფროსო, მესმის... ნავედი და ჩემს ზარს დაელოდე. იცოდე, არ დამირეკო, თორემ ყველაფერს გააფუჭებ. დამიჯერე ამ ერთხელაც, რა იქნება.

— კარგი, კარგი, აღარ დავრეკავ და ფრთხილად იყავი. აბა, გკოცნი.

მამუკასთან ლაპარაკს რომ მოვრჩი, სახლში დავრეკე. დედას ვუთხარი, არ ინერვიულო, სენსაციური მასალას ვაკეთებ, პარლამენტარებთან მიხდება გამუდმებით ყოფნა, ამიტომ მობილური უნდა გამოვრთო, ვინმემ უდროოდ დროს რომ არ დამირეკოს-მეთქი.

ერთი სიტყვით, დედაც დავამშვიდე ჩემი ტყუილებით, ჩანთა მხარზე მოვიგდე და გამოვედი. ქალებს იქვე დავემშვიდობე, არ გამაცილოთ, ამ პროცესს ვერ ვიტან-მეთქი. შემეშინდა. წარმოიდგინეთ, რა სანახავი ვიქნებოდი, ქალებით გარშემორტყმული რომ ჩავიდოდი ეზოში. ჩემდა გასაოცრად, კახი უკვე მოსულყო.

— მოგესალმებით! — მხიარულად შევეძახე.

მამაკაცი მანქანიდან გადმოვიდა და ჩანთა ჩამომართვა.

— ამას საბარგულში ჩავდებ, — თითქოს ნებათაღვა მთხოვა.

— რა თქმა უნდა, ფეხებთან ამხელა ჩანთას ვერ დავიდებ, — ისეთი ხმით ვლაპარაკობდი, ამკარად მეტყობოდა, რომ ხასიათი რალაცამ გამომიკეთა.

— გაუხარდათ თქვენი ნახვა? — მკითხა კახიმ, როცა გზას გაუდევქით.

— ძალიან! ბავშვმა ღამის იტირა.

— მერე? ასე თუ დაენანათ თქვენი წამოსვლა, ჭირკრამდე ვერ გამოგაცილეს? — გამომცდელი მზერა მესროლა.

ალმური წამევიდა. კიდევ ერთი ტყუილის თქმა მომიწევს!

— არ მიყვარს, როცა მემშვიდობებიან. ამ პროცესს ვერ ვიტან. ამიტომაც ვთხოვე, არ გამომყოლოდნენ.

— გასაგებია-ა-ა, — სიტყვა რატომაც განელა მამაკაცმა.

მთელი გზა ისე გავიარეთ, ხმა არ გაგვიცია ერთმანეთისთვის. ნუკის ჯერაც ტკბილად ეძინა თავის საწოლში.

უეცრად კახიმ „გემრიელად“ შეიგინა და სვლა შეანელა...

იმდენად მოულოდნელი იყო ჩემთვის მისგან გინების მოსმენა, გაოცებულმა შევხედე. ის წინ იყურებოდა. მის მზერას თვალს გავაყოლო და... თავზარი დამეცა! მწერილის სახლის წინ ჟურნალისტების მთელ ბრიგადას მოეყარა თავი. მე ჩემი დარდი მქონდა. ადვილი შესაძლებელი იყო, მათ შორის რომელიმე ნაცნობიც ყოფილიყო. ვაი, შენს ქეთის! აი, სად დამერხა! რაც უფრო ვუახლოვდებოდი ჭიშკარს, მით უფრო ვიძაბებოდი. კახიმ მანქანა გააჩერა. გამიკვირდა, რას აკეთებს-მეთქი. „ბრიგადა“ ჩვენკენ დაიძრა. შორიდანვე ატყდა



ფოტოაპარატების ჩსაკუნი. ჩემდა უნებურად, ხელეუბნი სახეზე ავიფარე, ვინმემ არ მიცნოს-მეთქი. მართალი უთქვამს მამუკას, უკვე ყველამ იცოდა ანდრონიკაშვილის ჩამოსვლის ამბავი... და არა მარტო ჩამოსვლის...

კახის მინები ჩანული ჰქონდა, რადგან ბავშვის გამო კონდიციონერი არ ჩაურთავს. ერთმა მსუქანმა ჟურნალისტმა იყოჩაღა და სანამ მამაკაცი დაბურულ მინებს ასწვდა, დიქტოფონი შემოყო ფანჯარაში.

— მართალია, რომ თქვენ და ჯული მარგველაშვილი დაქორწინებას აპირებთ? ნუკი მართლა თქვენი შვილია?

მამაკაცმა შეხედვის ღირსადაც არ მიიჩნია „თავხედი“ ჟურნალისტი. ღილაკს თითი მიაჭირა და მინები ასწია, მერე მოულოდნელად დაძრა მანქანა და სწრაფად გააქანა ქიშკრისკენ. მივხვდი, რატომაც გააჩერა მოშორებით. ისინი გამოიტყუა, რომ მერე სახლამდე დაუბრკოლებლად მისულიყო.

ერთიანად ვკანკალებდი. ვაითუ, რომელიმემ მიცნო? თითქოს მართლაც დავლანდე ძალიან ნაცნობი სახე, მაგრამ... არა, მომეჩვენა ალბათ. ის ვილაცა თემურს მივამსგავსე, რაც გამორიცხული იყო. თუმცა რატომაც არა? ის ხომ ფოტორეპორტიორია?

— კოლოებივით არიან ეს ოხრები. ერთი სული აქვთ, როგორმე გიკვინონ, — გაღიზიანებულმა ჩაილაპარაკა.

შუშჩინველად აწევივ წარბები. კიდევ კარგი, არ იცის, რომ მეც ამ „ბანდის“ ერთ-ერთი წევრი ვარ...

— რა ქნან, ისინი თავიანთ სამუშაოს ასრულებენ, — გავამართლე „კოლოები“.

— ასე გგონიათ? — შუბლშეკრულმა გამოხედა. — რა დაგემართათ? გაფითრებული ჩანხართ.

— არაფერი, თქვენი არ იყოს, არც მე მესიამოვნა მათი აქ დახვედრა. ახლა მეც ვხვდები, რასაც განიცდით ასეთ დროს.

— ამ მომწერლო ელემენტების ატანა არა მაქვს! — იყვირა უცებ მთელი ხმით და ხელისგული საჭეს დაჭრა. — ვისი რა საქმეა, ვის შევირთავ ცოლად? რაში აინტერესებთ, რა მაკავშირებს ჯულისთან? ამ ხალხს სხვა საზრუნავი არაფერი აქვს? — განრისხებული გაყვიროდა. — ხომ ნახეთ, ხმა არ ამოიღია, მათ კითხვებს პასუხი არ გაუცვი. გგონიათ, ამას დანერენ? ა-რააა! თვითონ მოიფიქრებენ პასუხს და რალაც სისულელეს გამოაცხობენ! ეგ არის, რომ მეზინზლებს! შეიძლება, ისიც თქვან, რომ ამ ეტაპზე მე თქვენთან მაქვს რომანი.

— ჩემთან? არა მგონია... — ისე გამაკვირვა მისმა სიტყვებმა, პირი დავაღეთუმცა კი ძალიან სასიამოვნოდ მომხვდა ყურში.

— გეუბნებით, ასეა. ამ ხალხს ნამუსის ნატამალი არა აქვს შერჩენილი, ყველაფერს იკადრებენ.

— მაგრამ ყველა ერთნაირი ხომ არ

არის? თქვენ ცნობილი ადამიანი ხართ. რა გაქვთ დასამალი? როცა პრესას და ტელევიზიას არ იკარებთ, ძალაუნებურად ჩნდება კითხვები. არ გასურთ პასუხის გაცემა? გამოდის, რალაცას მალავთ... თუ ჩრდილში ყოფნა მოგწონდათ, მაშინ მესხანძრეობა უნდა აგერჩიათ, ან სანტექნიკოსობა, ან რალაც ამდაგვარი... — რას მელაპარაკებით?! — ცინიკურად გაიცინა, არ მოეწონა ჩემი „მწარე“ სიმართლე.

— იცით, რა? ცნობისმოყვარეობა ნებისმიერი ადამიანის ხასიათში ძვეს. ყოველთვის ყველა ინტერესდება ამა თუ იმ პერსონის ცხოვრებით, განსაკუთრებით, თუკი ცნობილი ხართ, — ისეთი აღგზნებული ვიყავი, მისი ირონიული ღიმილი არაფრად მივიჩნიე, — დავიჯერო, თქვენ არასდროს გამოგიჩენიათ ცნობისმოყვარეობა ვინმეს მიმართ? არასდროს გაგჩენიათ სურვილი, კულისებში შეგხედათ?

— და რა გგონიათ, რასაც გაზეთებში წაიკითხავთ, ყველაფერი მართალი აღმოჩნდება? ნუ მაცინებთ, თუ ღმერთი გნამთ! ნახევარზე მეტს თვითონ იგონებენ რედაქტორებიც და კორექსონდენტებიც. დავიჯერო, მართლა ასეთი მიაშიტი ხართ? მე ძალიან სკეპტიკურად ვუყურებ პრესას, განსაკუთრებით ქართულს. როცა არასაკმარისი ინფორმაცია აქვთ, მაშინვე თავად გამოაცხობენ სენსაციას. „ვის მალავდა ჯული მარგველაშვილი გრძელი კაბის ქვეშ“? არ არის სენსაცია? „მეგობრის ორი წლის ბავშვს, რომელიც დამალობანას თამაშობდა თავის ტოლებთან“... სამაგიეროდ, სათაური ხომ არის სენსაციური? აი, ეს არის ჩვენი ჟურნალისტიკა! მინდოდა, კვლავ შევწინააღმდეგებოდი, მაგრამ გაჩუმება ვარჩიე.

— რალაცის თქმას აპირებდით, მგონი... — ცალი წარბი ასწია და კითხვით სავსე მზერა მომამპყრო.

— არა, არაფერი, — თავი გავაქნიე, — უბრალოდ, ყველას თავისებურად გააქვს თავი.

— ესე იგი, თქვენი აზრით, მე ცუდად მოვიქციე? ჩემი დუმილი სისასტიკეში მეთვლება?

— როგორ გითხრათ, — მხრები ავიჩეჩე, — შეგეძლოთ რალაც მაინც გეთქვათ.

— შეიძლება მართალიც იყოთ. გონს მოსვლაც ვერ მოვასწარი, ისე მოულოდნელად დაძრა კახიმ მანქანა. შემეშინდა, რადგან ვიფიქრე, ალბათ მათთან მიდის ინტერვიუს მისაცემად-მეთქი, მაგრამ შევცდი. მან მხოლოდ მოაბრუნა მანქანა, რათა ჭიშკართან

მიეყენებინა და ეზოში შესვლა გაეადვილებინა. მერე ძრავა კვლავ ჩააქრო.

— გინდათ, ანუკის გადავუგდოთ? მივცეთ მასალა კარგი სტატიისთვის? — ეშმაკურად შემომცინა.

— ანუ? — შუბლი შევიჭმუნე, ვერ მივუხვდი, რას გულისხმობდა. მამაკაცმა მარჯვენა ხელი ჰაერში



ასწია, თითები ამოძრავა, მერე საჩვენებელი თითი ნიკაპქვეშ ამომღო და ჩემი სახე თავისას მიუახლოვა.

— ანუ... თუ მე თქვენ ახლა გაკოცებთ, კრება მხიარული დარჩება და სახლში ყველა კმაყოფილი და ბედნიერი დაბრუნდება, — ეს სიტყვები ხმადაბლა თქვა, ძალიან ხმადაბლა.

თვალბგავართოებული მივაჩერდი... ჟრუანტელმა დამიარა სხეულში. ვიგრძენი, როგორ წამოვხურდი სახეზე მისი სიახლოვისგან.

— ჩემი აზრით... მე მგონი, ეს პრობლემას ვერ გადაჭრის, — ჩავილულულე აცახცახებულმა და უნებლიეთ მის ტუჩებს დავაშტერდი.

გულს ისეთი ბაგაბუგი გაჰქონდა, სუნთქვაც კი გამიჭირდა.

— გეშინიათ? ან, იქნებ, არაკორექტულია, როცა საკუთარ ბოსთან „ზასაობ“? — ბოლო სიტყვა განსაკუთრებული მახვილით წარმოთქვა.

მის კითხვას პროფესიონალური შეკითხვა დაუხვედრე.

— და მერე როგორ აუხსნით ამ ამბავს ქალბატონ ჯულის?

— არავისთვის არაფერი მჭირს ასახსნელი, მაგრამ რადგან მეკითხებით, გიპასუხებთ. ჯულის ვეტყვი, რომ ამით მასმედიას სასიამოვნო სიუპრიზი მოვუშვადე.

სანამ რამეს მოვისაზრებდი, კახიმ ხელი თმაში ჩამავლო და ტუჩებზე დამეკონა. მინდოდა, წინააღმდეგობა გამენია და ძალიან ადვილიც იყო ამის გაკეთება, მაგრამ... რატომღაც, კოცნაზე კოცნით ვუპასუხე...

— ჰმ... თურმე რა სასიამოვნო ყოფილა, ასიამოვნო პრესას... — ჩაიჩურჩულა კახიმ, როცა ჩემს ტუჩებს მოსწყდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



შახვედრები სტალინთან

ფრაგმენტები ვლადიმერ ანტონოვის ნოველი „გენერალისიმი“



დასაწყისი იხ. „გზა“, №27, 2009 - №4, 2010

გერმანელები მოსკოვს უახლოვდებოდნენ. მინსკი აღებული ჰქონდათ, კიევის მისადგომებთან გააფთრებული ბროლა მიმდინარეობდა, ლენინგრადი ბლოკადის რკალში ექცეოდა... ამ დაძაბულ დღეებში ერთხელ სტალინმა გენერალ შუკოვს დაუხვდა და ჰკითხა:

— დარწმუნებული ხართ, რომ მოსკოვის შენარჩუნებას მოვახერხებთ? ამას დიდი ტვიკილით გეკითხებით. გულწრფელად მიპასუხეთ, როგორც კომუნისტმა...

ბრძოლა მოსკოვისთვის

შუკოვი ერთხანს დუმდა. ეს წამები სტალინისთვის ალბათ, უსასრულოდ გაინელა. არადა, შუკოვს კარგად ესმოდა, თუ რა პასუხისმგებლობა აწვევდა მხრებზე, ნებისმიერი — დადებითი თუ უარყოფითი პასუხის შემთხვევაში. ცხადია, გაცილებით მარტივი იქნებოდა, როგორმე თავი დაეღწია პირდაპირი პასუხისთვის, მაგრამ ეს მის ხასიათს ეწინააღმდეგებოდა. თუმცა მთავარი მაინც სხვა რამ იყო: მას ყველაფერი — შესაძლებელიც და შეუძლებელიც ჰქონდა გაკეთებული საიმისოდ, რომ დედაქალაქი ხელში არ ჩავარდნოდა მტერს; ამიტომ ბოლოს, მტკიცედ თქვა:

— მოსკოვს უეჭველად, შევინარჩუნებთ. მაგრამ კიდევ, სულ

ცოტა, 2 არმია და 200 ტანკი დაგვჭირდება.

— კარგია, რომ ასე დარწმუნებით ლაპარაკობთ. დარევეთ გენშტაბში და მოელაპარაკეთ, სად განლაგონ 2 სარეზერვო არმია, რომელიც გჭირდებათ. ისინი ნოემბრის დამლევითვის იქნება მზად. აი, ტანკებს კი ჯერჯერობით ვერ მოგცემთ...

1941 წლის 15 ოქტომბერს, დილის 9 საათზე სტალინმა პოლიტიბიუროს გაფართოებული სხდომა ჩაატარა, რომელზეც მონაწილე იყვნენ: თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელები, მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი შჩერბაკოვი და მოსკოვის სამხედრო ოლქის სარდალი, გენერალი არტემიევი.

სტალინი მშვიდად და მობილიზებულად გამოიყურებოდა. მან დამსწრეთ აცნობა:

— აღმოსავლეთიდან ჩვენი რეზერვების მოსვლამდე გერმანელებს ჩვენთან შედარებით უპირატესობა აქვთ. შესაძლოა, ჩვენი ფრონტი გაარღვიონ. აუცილებელია, მოვაზადოთ ქალაქი იმ შემთხვევისათვის, თუ მასში მტერი შემოაღწევს.

მოვიტან გენერალ შტემენკოს მოგონებათა წიგნში გადმოცემულ ცოცხალ სურათს, რომელიც ნათელს ჰფენს იმას, თუ რა ვითარებაში მუშაობდა სტალინი 1941 წლის ოქტომბერში:

„გერმანელები მომეტებულად ბომბავდნენ მოსკოვს... 29 ოქტომბერს ღამით ერთი ბომბი ჩვენი შენობის (გენშტაბი კიროვის ქუჩაზე) ეზოში ჩამოვარდა. რამდენიმე მანქანა განადგურდა, 3 მძღოლი დაიღუპა და 15 მეთაური (გენშტაბის ოფიცერი. — ავტ.) დაიჭრა. ბევრი ადამიანი მინის ნამსხვრევებისგან დაიჭრა. დაზარალებულებს შორის გენერალი ვასილევსკიც აღმოჩნდა. სტალინი თავის მიწისქვეშა კაბინეტში არც ერთხელ არ ჩასულა, ის აქვე, მისთვის გამოყოფილ



ბევრი ადამიანი პირდაპირ ფეხით მიდიოდა ქალაქიდან — ქვეყნის აღმოსავლეთისკენ...

ოფილ ფლიგელში მუშაობდა...“

მოსკოვში სიტუაცია იძაბებოდა. ცნობა გერმანული ჯარების მოახლოების შესახებ არა მარტო სამხედრო დაწესებულებებში, არამედ თითქმის მთელ ქალაქში გავრცელდა. საარტილერიო ზალპების ხმები უკვე ყველას ესმოდა...

წითელი არმიის ზურგის უფროსი, გენერალი ხრულევი შემდგომში იხსენებდა:

„16 ოქტომბერს დილით გენშტაბის უფროსმა, მარშალმა შაპოშნიკოვმა დამირეკა და გადმომცა სტალინის ბრძანება — ქალაქ კუბიშევში ზურგის ყველა ორგანოს ევაკუაცია მოგვეხდინა. ამავე ბრძანების თანახმად, უმაღლესი შტაბი ქალაქ არზამასში უნდა გადასულიყო. სტალინის გასამგზავრებლად, სპეციალური მატარებლის სასწრაფოდ მომზადება მიბრძანეს. ამავე დღეს, მოგვიანებით შეხვედრა მქონდა სტალინთან, რომელმაც ამ განკარგულების ამბავი დამიდასტურა...“

სახელმწიფო დაწესებულებების ევაკუაციის შესახებ განაყვეტილება დასტურდება აგრეთვე, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებით მოსკოვის ევაკუაციის შესახებ, სადაც ხაზგასმული იყო მთავრობის გადაუდებელი გადასვლის აუცილებლობა. ერთ-ერთ ღამეს, სრული საიდუმლოების დაცვით, მაგზოლუქვიდან ლენინის ნეშტი გამოასვენეს და საგანგებო დაცვის თანხლებით, მატარებლით კუბიშევში გადაასვენეს.

როგორც კი მოსკოვში მოსახლეობისა და დაწესებულებების ფართო ევაკუაციას მიჰყვეს ხელი, დაიწყო ის, რასაც შემდგომ „მოსკოვური პანიკა“ უწოდეს, — განუკითხაობა, რომლის შესახებაც დღემდე უაზრება ჭორ-მართალი დადის. ბევრი თვითმხილველი ადასტურებს, რომ ქალაქში მართლაც, მალაზიებიდან, საწყობებიდან ყველაფერი გაჰქონდათ; უფრო მეტიც — საქონელს არა მარტო თვითნებურად ეზიდებოდნენ, არამედ ხელისუფლება ამაზე თვალს ხუჭავდა, ღამის ნებართვაც კი არსებობდა იმისა, რომ ხალხს საჭირო პროდუქტები და ნივთები გაეტანა... რკინიგზის სადგურებში ქარხნებისა და დაწესებულებების დანადგარებითა და ინვენტარით ეშელონებს ტვირთავდნენ... ბევრი ადამიანი პირდაპირ ფეხით მიდიოდა ქალაქიდან — ქვეყნის აღმოსავლეთისკენ...

რამდენიმე ღამის განმავლობაში ფაციფუცი სუფევდა ლავრენტი ბერიას უწყებაში. სხვადასხვა გადაუდებელი სამუშაოს გარდა, პატიმრების დახვრეტაც „გახდა საჭირო“ და იმათი არჩევაც, ვინც მოსკოვიდან უნდა წაეყვანათ... განსაკუთ-



ამ დროს მოსკოვს დემერტირები და სხვადასხვა ჯურის კრიმინალები მოედნენ

რებულად „ფასეულ“ ტუსალებს, რომლებსაც გრანდიოზული პროცესისთვის ამზადებდნენ (იმის მსგავსს, 1937-1938 წლებში რომ იმართებოდა), გაძლიერებული დაცვით კუბიშევში გზავნიდნენ. ამ ჯგუფში იყვნენ: ორგზის „საბჭოთა კავშირის გმირი“, გენშტაბის უფროსის ყოფილი თანაშემწე სმუშკევიჩი, თავდაცვის სახკომის ყოფილი მოადგილე და საბჭოთა ავიაციის ყოფილი სარდალი, გმირი მფრინავი რიჩაგოვი და მისი ცოლი (ასევე მფრინავი), საჰაერო თავდაცვის სამმართველოს ყოფილი უფროსი, გენერალი შტერნი... 18 ოქტომბერს, ტუსალებით დატვირთული ვაგონების კუბიშევში ჩასვლიდან სულ ცოტა ხანში, მოსკოვიდან მოვიდა სახელმწიფო უშიშროების გენერალური კომისრის, ლავრენტი ბერიას განკარგულება, — დაუყოვნებლივ დაეხვრიტათ 25 პატიმარი, მათ შორის, ზემოთ დასახელებული ყოფილი სამხედრო ჩინოსნები. ბრძანება გადაუდებლად შესრულდა — ტუსალები ყოველგვარი სასამართლოსა და გამოძიების გარეშე დახვრიტეს.

ამ დროს მოსკოვს დემერტირები და სხვადასხვა ჯურის კრიმინალები მოედნენ, რომლებმაც მასობრივ ძარცვასა და სხვადასხვაგვარ დანაშაულს მიჰყვეს ხელი.



მითხრეს: „დროა, კუბიშევში სტალინიც გაემგზავროს. წაიღო უთხარი ამის შესახებ“

მიუხედავად ამ ყველაფრისა, სტალინი დედაქალაქის დატოვებას არ აპირებდა. წლების შემდეგ, გენერალი ჩადაევი ისხენებდა:

„— ოქტომბრის შუა რიცხვებში, სახკომსაბჭოსა (მთავრობის) და საქმეთა მმართველობის ევაკუაციის დაწყებამდე, დაცვის ოთახში შევედი, რათა გენერალ ვლასიკს დავმშვიდობებოდი. იმ დროისთვის უკვე კარგად ვიცნობდით ერთმანეთს, ოჯახებთანაც კი ვსტუმრობდით ხოლმე ერთურთს.“

სტალინის პირადი დაცვის უფროსს ჩემი წასვლის შესახებ მიღებული ცნობა არ ესაიამოვნა.

— მაგრამ არა უშვს, — დასძინა მან, — მალე დაბრუნდებით.

— დიას, ამაში დარწმუნებული ვარ, — მივუგე.

— ამაში ამხანაგი სტალინიც დარწმუნებულია, — მიპასუხა ვლასიკმა. —

სომ არ გისაუბრიათ იმაზე, რომ უკიდურეს შემთხვევაში, ისიც უნდა გადავიდეს კუბიშევში? — ვკითხე გენერალს. მან მიპასუხა:

— ვიცი, ამის შესახებ, სტალინსა და უდანოვს შორის საუბარი შემდგარა. „პატრონმა“ მტკიცედ და უყოყმანოდ განუცხადა, რომ იმის განხილვაც კი, რომ მან მოსკოვში თავისი პოსტი დატოვოს, სრულიად უადგილოა. მაგრამ ჩვენ მაინც, ყოველი შემთხვევისთვის, მოვამზადეთ სპეციალური მომცრო მატარებელი, რომელიც სადგურზე დგას.

— ამხანაგმა სტალინმა მის შესახებ, ცხადია, არაფერი იცის, — დავინტერესდი.

— ჯერჯერობით არ იცის, მაგრამ შესაძლოა, დღეს ან ხვალ შეიტყოს“.

აი, კიდევ ერთი მეტყველი ეპიზოდი, რომელიც სტალინის პირად დაცვასთან დაახლოებულმა, ჩემმა ძველმა ნაცნობმა, სოჭის მკვიდრმა, ემზარ აკაკის ძემ მიამბო:

„— ჩემი ნათესავი, სტალინის პირადი დაცვის უფროსის მოადგილე ეგნატაშვილი მრავალი წლის შემდეგ მიყვებოდა:

— როცა მოსკოვის მისადგომებთან კრიტიკული ვითარება შეიქმნა და დედაქალაქიდან სახელმწიფო დანესებულებების მასობრივი ევაკუაცია დაიწყო, მიქოიანმა და მალენკოვმა მითხრეს: „დროა, კუბიშევში სტალინიც გაემგზავროს. წაიღო უთხარი ამის შესახებ“. თვითონ უფრთხოდნენ მასთან ამ თემაზე საუბარს...

შევედი სტალინთან და, მეტი სანდომიანიობისთვის, საუბარი ქართულად დაუწყე. თან, კრინტიც არ დამიძრავს წასვლაზე. ცოტა ხანში ვკითხე:

— რა ნივთები წამოვიღო კუბიშევში?

სტალინმა ისე შემომხედა, რომ ვიფიქრე — ახლა ჩემს ტანსაცმელს ცეცხლი მოედება-მეთქი...

— შე მშიშარა, შენა! როგორ მიბედავ გაქცევაზე ლაპარაკს, როცა ჯარი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწევა?! ასეთი პანიკური ლაპარაკისთვის დასახვრეტი ხარ!

სრულიად დაბნეული და სასონარკეთილი დავბრუნდი მათთან, ვინც ამ მიზნით სტალინთან გამგზავნა.

— რაო? რა გადწყვიტა? — შემაგებეს კითხვები.

პასუხის გაცემის თავიც არ მქონდა, სტალინის მწველი მხერა ჯერ კიდევ მდაგავდა. სიტყვა „დასახვრეტი“ გონებიდან ვერ ამომგედო: სტალინი სიტყვებს ტყუილად არ ისროდა... უეცრად კონიაკის ბოთლი მომხვდა თვალში, მას ხელი წამოვაგლე და დიდი ყლუპი გავაკეთე. ჩემი თანამოსაუბრეები არა და არ ცხრებოდნენ:

— რაო? მაინც რა თქვა?

— თქვა, რომ ასეთი პანიკური ლაპარაკისთვის დამხვრეტს. და თუ ეს მოხდება — ჩემი სიკვდილი თქვენს სინდისზე იქნება...

საბედნიეროდ, გადავრჩი“.

მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა. 18 ოქტომბერს გერმანელებმა კიდევ ორი ქალაქი — მალოიაროსლავეცი და მოჟაისკი აიღეს.

28 ოქტომბერს სტალინმა მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალი ჟიგარევი გამოიძახა და ისეთი კითხვა დაუსვა, რომელმაც კინაღამ სკამიდან გადმოაგდო:

— 10 დღეში დიდი ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულია. არ ჩავატაროთ ალღუმი წითელ მოედანზე?

გენერლები გაოგნებული იყვნენ. მოსკოვი საევაკუაციო ციებ-ცხელებას მოეცვა, ქალაქში ჰაერი მილიონობით დოკუმენტის დანვისგან წარმოქმნილი კვამლით იყო გაჟღენთილი და ამ დროს ვის მოუვიდოდა აზრად წითელ მოედანზე ალღუმის ჩატარება?!

სტალინმა კი მშვიდად გაიმეორა კითხვა:

— კიდევ ერთხელ გეკითხებით — ვატარებთ თუ არა ალღუმს?


არტიმეევმა გაუბედავად დაიწყო:

— მაგრამ ვითარება ისეთია... თან, ქალაქში ჯარიც არ არის... არტილერია და ტანკები წინა ხაზზეა... რამდენად მიზანშეწონილი იქნება...

— მაგრამ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტს, — და სტალინმა პოლიტიუროს ნევრებს მოავლო თვალი, — მიჩნია, რომ ალღუმი აუცილებლად უნდა ჩატარდეს.

...სარდლებმა დავალებები მიიღეს და სრული საიდუმლოების დაცვით, ალღუმისათვის მზადება დაიწყო.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



მარი ჯაფარიძე

ანა რამდენიმე წუთის განმავლობაში ასე თავჩარგული იჯდა. არ ტიროდა, უბრალოდ, ფიქრობდა. თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ეს პატარა გოგონა მისი შვილი იყო, რომელთან შეხვედრაც ასე უნდოდა.

შემდეგ თავი ასწია და იმ მხარეს დაინცო ყურება, საითაც გოგონა გაუჩინარდა. გადაწყვიტა, დალოდებოდა და არაფრითარ შემთხვევაში არ გადასულიყო მანქანიდან, ვიდრე ისინი არ დაბრუნდებოდნენ და თავიანთი გზით არ წავიდოდნენ. მხოლოდ ამის შემდეგ ავიდოდა ავადმყოფის მოსანახულებლად.

2 საათზე მეტი მოუწია ლოდინმა. როგორც იქნა, ჯერ გოგონა გამოჩნდა, შემდეგ მამაკაცი მოჰყვა. ანა ბავშვს ხარბი მზერით ჭამდა, მის თითოეულ ნაკვთსა თუ მოძრაობას აკვირდებოდა და სულ უფრო და უფრო მეტ მსგავსებას ხედავდა და სიტბოს გრძნობდა. მანქანის ფანჯარა ოდნავ ჩამოუშვა და კონდიციონერი გამორთო, რომ მათი საუბრიდან არაფერი გამორჩენოდა.

— მამა, ბებია კარგად იქნება, ხომ?
— ჰო, ხომ გაიგონე, ექიმმა თქვა, რომ კარგად იქნება.

— რაზე ინერვიულა ბებიამ?
— ანა, თავი დამანებე, კითხვებით ნუ გამაბუზრებ, თუ გინდა, ნაყინს გიყიდი, — მამაკაცმა ეზოს შემოსასვლელთან მჯდარი მენაყინისკენ გაიშვირა ხელი.

— კი, მინდა, — შესცინა ბავშვმა.
მამაკაცმა ჯიბიდან ფული ამოიღო და გოგონას მიაწოდა. ის გაიქცა, ცოტა ხნის შემდეგ კი უკან მობრუნდა.

— რატომ არ იყიდე? — ჰკითხა მამამ, როდესაც გოგონამ კარი გააღო და მანქანაში ჯდებოდა.

— შოკოლადიანი ნაყინი არ ჰქონდა, მარტო „ჭიქის“ ნაყინი იყო, — ეს იყო

ბოლო სიტყვები, რომელიც ანამ გააჩნია. შემდეგ მანქანა ადგილიდან დაიძრა და საავადმყოფოს ეზოდან გავიდა.

ანას უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ მამა-შვილი ეთერის სანახავად იყო მოსული და რომ ეს გოგონა ნამდვილად მისი შვილი იყო.

მანქანიდან გულდანწყვტილი გადმოვიდა, მაგრამ უცებ შეცვალა გადაწყვეტილება, ისევ საჭეს მიუჯდა და შავ ჯიპს უკან მიჰყვა.

კარგა ხანს ვერსად დალანდა, მაგრამ ქალაქის გასასვლელში წამოენია და კვალში ჩაუდგა.

გზიდან გამოძიებულს დაურეკა.

— ნუგზარ, ახლა ეთერის შვილს თუ სიძეს და ჩემს გოგონას მივყვები უკან. ტაქსი აიყვანე და სასწრაფოდ ორთაჭალაში დამხვდი. მე მივყვები იქამდე და მერე შენ უნდა გაჰყვე და გაიგო, სად წავლენ, სად ცხოვრობენ და ა.შ. ყველა ინფორმაცია უნდა მოიპოვო ამ კაცზე, — აჩქარებით ლაპარაკობდა ანა.

— კარგი, ანა, ახლავ. ორთაჭალაში მოვალ და დაგირეკავ.

ტელეფონი გათიშა თუ არა, ზარი შემოვიდა. ირაკლი რეკავდა. ანას მისთვის არ ეცალა და არ უპასუხა. გაფაცვიცებით უყურებდა გზას და იმ შავ ჯიპს, რომელიც მის გოგონას მიაქროლებდა. ცოტა ხანში ტელეფონი დადუმდა.

რამდენიმე წუთში ნუგზარმა დარეკა.

— ანა, მე ვარ, ორთაჭალაში ვარ და გელოდები.

— ახლა, ასე, 5 წუთში გამოვიღის შავი ჯიბი, რომელსაც უნდა გაჰყვე, — სუნთქვააჩქარებული ლაპარაკობდა ანა. შემდეგ მანქანის ნომერიც უკარნახა და ცოტათი დანყნარდა. დაინახა, როგორ აუდევნა გზის კიდესთან გაჩერებული ტაქსი ჯიპს და ნუგზარს დაურეკა. გადაამოწმა, ის იყო იმ ტაქსიში თუ არა. როდესაც დადებითი პასუხი მიიღო, საბოლოოდ მამინლა დამშვიდდა.

— შენ რომ ეგ ხელიდან გაუშვა, ჩემი ხელით დაგახრჩობ, — გააფრთხილა გამომძიებელი.

— დამშვიდდი, ანა, ყველაფერი რიგზე იქნება და თუნდაც ახლა ვერაფერი გავარკვიო, უკვე აღარ გავგიჭირდება მისი მიგნება.

მართლაც, ანა ამაზე არ დაფიქრებულა. მას ისე ეშინოდა ბავშვის ხელახლა დაკარგვის, რომ ეს შავი ჯიბი მასთან დაკავშირების ერთადერთ საშუალებად წარმოედგინა. ქალმა ციხეების წინ წრე დაარტყა და უკან, რუსთავეში გაბრუნდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ კი უკვე საა-

ვადმყოფოს რენიმაციულ განყოფილებაში ავადმყოფის ამბავს კითხულობდა. ეთერი იქ აღარ დახვდა, განყოფილებაში გადაეყვანათ. პალატის კართან კარგა ხანს შეყოვნდა, გული დაიმშვიდა, დანყნარდა და კარი ფრთხილად შეაღო.

ქალს თვალები დასუფული ჰქონდა და ხმაურზე გაახილა.

ანას დანახვაზე ფერი ეცვალა.

— არაფერზე ინერვიულოთ, ქალბატონო, მე სამტროდ არ მოვსულვარ, უბრალოდ, თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობის საკითხავად მოვედი და 2 წუთში უკან გავბრუნდები. არ მინდა, რომ ხელახლა შეგვექმნათ პრობლემა.

— მოდი, დაჯექი, — დაბალი ხმით უთხრა ქალმა და იქვე მდგარ სკამზე მიუთითა. ამით მიახვედრა, რომ კარგად უნყოდა, ანა ვინ იყო და რა უნდოდა მასთან.

ანა ფრთხილად ჩამოჯდა.

— როგორ ხარ?

— ახლა, მგონი, უკეთ, — ქალის ხმაში არც გაღიზიანება და არც აგრესია არ იგრძნობოდა. პირიქით, თითქოს ახლობელს ელაპარაკებო, ისეთი თბილი ხმა ჰქონდა.

— ხომ არაფერი გჭირდებოდა? — ძლივს ახერხებდა ანა სიტყვების მოძებნას.

— არა, არაფერი, გმადლობ.

— მაშინ მე წავალ, აღარ შეგანუხებთ, — წამოდგა და რამდენიმე ნაბიჯი კარისკენ გადაადგა. ისევ მიბრუნდა, — ხვალ ისევ გინახულებთ.

— კარგი, შვილო, — ამ 2 სიტყვაში უდიდესი სიტბო, მოკრძალება და პატივისცემა ჩააქსოვა ქალმა.

ანამ კარის სახელურს ხელი მოჰკიდა და ისევ შეყოვნდა.

— იცით, მე მომატყუეს... — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ისე, რომ უკან არ მოუხედავს.

— ვიცო, — მოულოდნელი პასუხი გასცა ქალმა.

ანამ თავი რამდენჯერმე დააქნია და თვალუბრები ცრემლები გამომოუგორდა, კარი გამოაღო და იქაურობა უკანმოუხედავად დატოვა.

ეთერის ქცევამ გულში იმედი ჩაუსახა, რომ დიდ პრობლემებს არ გადააწყებოდა, თუ გოგონას ნახვას და მასთან დაახლოებას მოისურვებდა. გარეთ გამოსულს ისეთი შეგრძნება დაეუფლა, ეგონა, სიხარულისგან გული გაუსკდებოდა. ეგონა, ახლა მკლავებს თუ გაშლიდა, ისე მოსწყდებოდა მინას და აფრინდებოდა, როგორც ჩიტი. ხმაბლლა სიცილი უნდოდა... არა, სიცილი კი არა, ყვირილი... უნდოდა, მთელი ქვეყნის გასაგონად ეყვირა, რომ შვილი იპოვა და რომ ყველაზე ბედნიერი ქალი იყო ქვეყნად...

მე მგონი, გავგიჟდიო, გაიფიქრა და ირგვლივ მიმოიხედა. გული დასწყდა, რომ საავადმყოფოს ეზოში ბევრი ხალხი ირეოდა. როგორ უნდოდა ახლა მარტო ყოფილიყო და ყველა ემოცია, რასაც ახლა განიცდიდა, გამოეხატა...



სასწრაფოდ ჩაჯდა მანქანაში და ცოტა ხანში უკვე დიდი სისწრაფით მიქროდა... სად? თვითონაც არ იცოდა, სად... რუსთავეს რომ გასცდა, მარჯვნივ გადასახვევი შენიშნა. მოეჩვენა, რომ ეს გზა ტყეში შედიოდა და სასწრაფოდ გადაუხვია, მაგრამ ცოტა ხანში რაღაც სოფელში შევიდა. გული არ გაიტყუა და გზას მიჰყვა. რამდენიმე წუთში ტრიალი მინდორი შენიშნა და მანქანა გზიდან გადაიყვანა, კარგა მანძილი გაიარა ოღორჩოლ-რო, გაუკვალავ მინდორში და გაჩერდა... უკაცრიელ ადგილზე იყო... ირგვლივ ხეც კი არ ჩანდა. მხოლოდ მღალაი ბალახი ბიბინებდა, რომელიც ანას წელამდე მოსწვდებოდა და ქარის დაქროლავზე ერთ მხარეს ლამაზად წველობდა. ანა მანქანიდან გადმოვიდა, იქვე გაჩერდა, ჯერ გაეცინა, მერე კი ხელები გაშალა, ცას ახედა და ხმაზალა დაიყვირა... ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... ასე, ხელებგაშლილი ადგილზე დატრიალდა და ზურგზე დაეცა. თვალები დახუჭა და ანას სახე წარმოიდგინა... მერე ტირილი აუფარდა... ცრემლი დაჰაღუპით სდიოდა თვალებიდან, საფეთქლებზე ჩამოედინებოდა და მიწას ასველებდა...

„...და სადაც გოგონას ცრემლი ეწვეთებოდა, იმ ადგილზე გვირილა ამოდოდა, გვირილებით გაივსო მინდორი“, — ბავშვობაში წაკითხული რომელიღაც ზღაპარი გაახსენდა და გაეცინა... „ასეთი მეოცნებე რომ ვარ, ალბათ იმიტომია ჩემი ცხოვრება მოულოდნელობებით აღსავსე“, — საკუთარ ფიქრებს უღიმოდა ქალი. კარგა ხანს იწვა ასე... მერე წამოდგა. უკვე თავს მშვიდად გრძნობდა, ემოციებისგან დაცლილიყო და საქვს უკვე სულ სხვა ადამიანი მიუჯდა — წყნარი, მშვიდი, პრაქტიკული და პრაგმატული. ისეთი, როგორიც ის ყოველდღიურ ცხოვრებაში იყო.

ანამ გეზი თბილისისკენ აიღო. „ბავშვი როგორც ჩანს, კარგ ოჯახში იზრდება, მამას უყვარს... არა, მამას კი არა, მამობილს... არა, მამას... არც გაჭირვებული ჩანს ეს კაცი, საკმაოდ სიმბათიურიცაა, ახალგაზრდა და ჯან-ღონით სავსე. ნეტავ, დედა როგორია? არა, დედა კი არა, დედობილი... არა, დედა, — ფიქრობდა ანა და ვერ ეგუებოდა იმას, რომ მის შვილს სხვა დედა და მამა ჰყავდა, — ახლა პირველ რიგში, დავითთან უნდა მივიდე და ახალი ამბავი გავაგებინო, მერე კი ლევანთან... იქნებ მოვიცადო და ლევანს ჯერ არაფერი ვუთხრა? არა, მამაა და უნდა იცოდეს, რომ შვილი ჰყავს, მერე მისაყვედურებს და მართალიც იქნება. ჰო, ლევანთან აუცილებლად მივალ. აუჰ, რა სიურპრიზი იქნება?! გაგიჟდება ალბათ, მაგრამ სიხარულით თუ მოულოდნელობით, ეგ ჯერ არ ვიცი. ღმერთო, ნეტავ კიდევ რა სიურპრიზს მიმზადებ? კიდევ რა უნდა მოხდეს ჩემს ცხოვრებაში?“

ფიქრი ტელეფონის ზარმა გაანყვეტიანა.
— ანა, რა იყო, არ გაგიარა გაბრაზე-

ბამ? — ირაკლის ხმაზე ცოტა გაღიზიანება ეტყობოდა.

— როდის ვიყავი გაბრაზებული? — ამდენ ახალ ამბავში ანას არც გახსენებია, რომ წინაღულს, ბარიდან მასზე გაბრაზებული წამოვიდა.

— ააა, არ გახსოვს, არა? აბა, ყურმილს რატომ არ იღებდი, როცა გირეკავდით?

— ჯერ ერთი, მე არ გაგვბრაზებულვარ შენზე და არც არავისზე. უბრალოდ, შენი საქციელი არ მომეწონა და სწორედ მანამდე წამოვედი, სანამ გაგვბრაზებოდი. მეორეც, საქმეები მქონდა და ტელეფონზე საპასუხო არ მეცალა.

— აჰა, დირექტორთა საბჭოს სხდომაზე იყავი ალბათ, — ირაკლიმ ირონია ჩააქსოვა ნათქვამი.

— შენი ხუმრობა უადგილოა, ჩემო ვარსკვლავებო, რას იზამ, ყველა მინისტრის მოადგილე ვერ იქნება, — თავის მხრივ წაკბინა მამაკაცს.

— კარგი, მამ, შევრიგდეთ?

— შესარიგებელი არაფერი გვჭირს.

— ანა, არ გიყვარვარ? — მოულოდნელი კითხვა დასვა მამაკაცმა.

— არა, — არ დაფიქრებულა, ისე მიუგო ქალმა.

— სულ, სულ არა? არც მოგწონვარ?

— ნუ, მოწონებით კი მოწონხარ.

— კარგი, მოდი, საღამოს შევხვდეთ ამ საკითხზე სალაპარაკოდ. მოსულა?

— ვნახოთ, საღამოს გეგმები ჯერ არ დამილაგებია, — თანხმობა მიანიც არ უთხრა.

— მოგვიანებით დაგირეკავ და შევთანხმდეთ.

— კარგი, თუ დირექტორთა საბჭოს სხდომაზე არ ვიქნები, აუცილებლად შეგხვდები.

— დავით, იცი, ახალი ამბავი? — ბიძამისის კაბინეტში დივანზე დაეშვა ანა.

აქ პირველად იყო და ირგვლივ ყველაფერი მოათვალიერა.

— არა, სანამ არ მეტყვი, არ მეცოდინება, — გაეცინა მამაკაცს, — ისე, საკუთარ ორგანიზაციაში პირველად ახლა უნდა მოსულიყავი?

— საკუთარი რაა, აქ შენ ხარ უფროსი და ყველანაირად გენდობი.

— ჰო, მაგრამ ისე შემოგველო, გენახა.

— ჯერ ერთი, არ დაგიპატივებია, მეორეც, თუ საკუთარია, აბა, მაჩვენე, ჩემი „საპრეზიდენტო-სადირექტორო“ აპარტამენტი სადაა? ის კი არა და, შენს თანაშემწესთან ლამის ხვეწნა დამჭირდა, რომ შემოგვევი.

— კარგი, მაგას გამოვასწორებთ, აბა, რა არის ახალი?

— გოგონა ვიპოვე, დავით, ანა ჰქვია, გაჭირილი ვაშლივით მგავს...

— ნახე კიდევ? — ნერწყვი ძლივს გადააგორა დავითმა.

— კი, ოღონდ, შორიდან.

ანამ დანერვილებით მოჰყვა 2 დღის განმავლობაში მომხდარი მოვლენები. დავითი გაოცებული უსმენდა.

— იცი, არ მეგონა, რომ ასე მალე მივაგნებდი. დეტექტივი რომ ავიყვანე, მეგონა, თვეები დასჭირდებოდა ამ საქმეს. „კინოებში“ როგორცაა, ხომ იცი, შვილის ძებნას რომ დაიწყებენ, უამრავი ბარიერის გადალახვა უწევთ ხოლმე. თან, ფილმებში დედა-შვილის შეხვედრაც სხვანაირად ხდება... მეც დაახლოებით ასე მქონდა წარმოდგენილი, თუმცა სულ უბრალოდ შევხვდი. ჩემ გვერდით მდგარი მანქანიდან გადმოვიდა, მე კი დავიშალე. სულ ეგ იყო...

— ნუთუ შეხვედრის სცენას ასეთი მნიშვნელობა აქვს?

— არა, რა თქმა უნდა. უბრალოდ, სხვანაირად წარმომედგინა, მაგრამ ალბათ როგორც მოხდა, ასე ჯობდა. აი, ნუგზარი მირეკავს, — ანამ აწკრიალებულ ტელეფონს უპასუხა.

— ანა, ახალი ინფორმაცია მაქვს და შევხვდეთ, თუ გცალაია.

— დავითთან მოდი, იცი, სადაა მისი ოფისი?

— კი, ვიცი, რამდენიმე წუთში მანდ გაეწნდება.

— მდაა, ანა, ამდენი ახალი ამბავი ერთად, ცოტა ძნელი გადასატანია, ალბათ.

— შევეჩვიე, დავით, ხომ იცი, „ახალი და უცნაური“ ამბების „დედა“ ვარ...

— ახლა რას აპირებ, მამასაც უნდა გაუზილო?

— აუცილებლად, ლევანს უნდა ვუთხრა. ამასობაში ნუგზარიც მოვიდა.

— ანა, მე მგონი, ძალიან მაგარი ამბავი მოგიტანე, — აქოშინებულმა ნუგზარმა კარიდანვე დაიწყო ლაპარაკი.

— მოდი, დაჯექი, ამოისუნთქე და მომიყვი, რა გაიგე ასეთი მაგარი, — ანამ დივანზე ადგილი დაუთმო.

— გახსოვს, შენი სიტყვები — გოგონას დედაზე ეჭვიანობდი და ამბობდი, როგორ შეეგუება, ახალი დედა რომ გამოუჩნდებო?

— კი, მახსოვს.

— ჰოდა, ანას დედა არ ჰყავს.

— როგორ თუ არ ჰყავს?

— როგორ და — ასე! მამამისი, რამაზ ინაური ქვრივია და ანას 2 წლიდან მართო ზრდის.

ანას პირი გაუშრა. ამას კი ვერასოდეს წარმოიდგენდა. ერთი მხრივ, თითქოს გაუხარდა კიდევ; რაღაც მომენტში ეგოისტურმა გრძნობამ სძლია, მაგრამ შემდეგ ბავშვი შეეცოდა. დედის სიტბოს გარეშე როგორ გაიზრდებოდა? თუმცა, ეს ფაქტი მის ნისკვილზე ასხამდა წყალს და საბოლოო ჯამში ვერ გაეგო, კმაყოფილების გრძნობა ჭარბობდა თუ სინანულის.

— ისიც ხომ არ გაგიგია, რა მოხდა? რატომ გარდაიცვალა ის ქალი?

— კი, როგორ არა... ავარიის მიხედვით, პატარა ანაც მათთან ერთად ყოფილა და ისიც მძიმედ დაშავებულა. მხოლოდ რამაზი იყო შედარებით მსუბუქად დამტვრეული. ქალი ადგილზევე გარდაცვლილა, ანა ექიმებს გადაურჩე-



ნიათ და ამის შემდეგ მამამისის ცოლი აღარ მოუყვანია. რამდენიმე ხნის განმავლობაში ბებია ანუ ეთერი ზრდიდა და ბავშვი რუსთავეში ცხოვრობდა, ხოლო როდესაც სკოლაში მისვლის დრო მოვიდა, მამას წაუყვანია და ახლა მამა-შვილი ერთად ცხოვრობს. რამაზს ისე უყვარს გოგონა თურმე, როგორც საკუთარი შვილი. ანას დღისით ძიძა ჰყავს, საღამოს კი ის ქალი მიდის და რამაზი უყლის.

— რამაზი ეთერის სიძეა? — დაინტერესდა ანა.

— არა, შვილია. თურმე შვილი არ უჩნდებოდათ და ამაში დამნაშავე მამაკაცი ყოფილა. ჰოდა, ბავშვი აიყვანეს, ოჯახი რომ შეენარჩუნებინათ, მაგრამ ღმერთმა იწინება, რომ გოგონა დედის გარეშე დარჩენილიყო.

— სად მუშაობს რამაზი?

— საკმაოდ დიდი ორგანიზაციის ფინანსური დირექტორია, მატერიალურად არ უჭირს, კარგად ცხოვრობს.

— გასაგებია. მისამართიც დაადგინე?

— კი, აი, აქ წერია, — ნუგზარმა ფურცელი გაუწოდა.

— ძალიან მაგარი ვინმე ხარ, ყველა კითხვაზე გაქვს პასუხი, ჩემს ფირმაში კარგ სამსახურს შემოგთავაზებ და კარგ ხელფასსაც დაგინიშნავ, — ანა ნუგზარს გადაეხევა და აკოცა. შემდეგ მობილურს დასწვდა და ნომერი აკრიბა.

— გიორგი, მე ვარ. ახლავ დანერგ ბრძანება, ახალი იურისტის, ნუგზარ კიკვიძის დანიშნვის შესახებ და დაუნიშნე ხელფასი 2... არა, 3 ათასი ლარი.

— ეს ძალიან ბევრია, ანა...

— ამას საკუთარი ბიუჯეტიდან გადავუხდი, შენ არ ინერვიულო, — ანამ ნუგზარს თვალის ჩაუკრა და ტელეფონი გათიშა, — შენ კი, დავით, შაბათს ნუგზარს ბაზრობაზე გაჰყვები და მანქანას უყიდი.

— გასაგებია, — ჩაილაპარაკა დავითმა.

— მე მგონი, ძალიან გამიმართლა, თქვენთან რომ დამაკავშირა ბედისწერამ, — გახარებული იყო ნუგზარი, — მადლობა, ანა, თქვენ დაფასებაც შეგძლებოდათ ადამიანის.

— ახლა სამსახურში შეგიძლია, განცხადება დანერგო და წამოხვიდე, აღარაფერი შეიცვლება. მე კი წავედი, უამრავი საქმე მაქვს. ჰო, მართლა, დამირეკე დილით და შენი ახალი სამსახურის მისამართს მოგცემ, — უკვე მისაღებიდან შემოსძახა ნუგზარს და კიბეზე დაეშვა.

— ძალიან მაგარი ვინმეა, არა? სულ ასე დაქრის, ხან აქაა, ხან — იქ და ვერასოდეს გაიგებ, რა იქნება მისი მომდევნო ქმედება, — გაიცინა დავითმა, როცა ანა გავიდა.

— კი, ძალიან ლამაზია და თან მაგარი ვინმეც, — თავი დაუქნია გამომძიებელმა.

— ჩემი დისშვილია, — ამაყად დაამატა მამაკაცი.

— ჩემი კი — ბოსი, — გაელიმა ნუგზარს.

დავითისგან წამოსულმა ანამ გიორგის შეუარა.

— რა იყო, ასე სასწრაფოდ რომ დამინიშნინე ის კაცი? — გაელიმა გიორგის.

— ის ძალიან მაგარი ადამიანია და სამსახურიც სჭირდება. ჩემი პირადი იურისტია და ბარემ აქაც იმუშავებს.

— კარგია, რადგან ძველი თანამშრომელი 3 კვირის წინ გავათავისუფლეთ და ახალი ჯერ არ გყავდა მიღებული. ასე რომ, სულზე მოგვისწრო მაგ შენმა იურისტმა. რა ქენით, შერიგდით შენ და ირაკლი? — დაინტერესდა ბოლოს.

— დამირეკა დღეს და საღამოს შეხვედრანზე შევთანხმდით. იმედია, დარეკავს.

— აი, ძალიან ასხენე და ჯოხი ხელში დაიჭირეო, შენზე ნათქვამი სწორედ, — მიმართა კარში მოულოდნელად შემოსულ ირაკლის გიორგიმ.

— ჰოო? ჩემზე ლაპარაკობდით? კარგს არაფერს იტყობდით, ალბათ.

— პირიქით, გაქებდით.

— ჰა, მივდივართ ვარშავაში თუ არა? — თემა შეცვალა ირაკლიმ.

— მე და ანა მივდივართ და შენი არ ვიცი, თუ არ დაიშლი, მაშინ წამოდი.

— უჩემოდ ფეხსაც ვერ გაადგამთ! ანა, მოდი, ახლა შენი მანქანა დატოვე აქ და წავიდე სადმე. ხომ მოვილაპარაკეთ?

— პირობის შესხენება არაა საჭირო, წავიდე, — დაეთანხმა ქალი და წამოდგა.

— კარგად, აბა, თქვენ იცით, — გიორგის აღარ გაუღიმიო, რალაცნაირად, თითქოს მოღუშულმა უთხრა და მაგიდაზე დადებულ საბუთებს უაზროდ ჩახედა.

ცოტა ხნის შემდეგ, ირაკლის გვერდით მჯდომი ანა მამაკაცის ლამაზ პროფილს ყურადღებით ათვალიერებდა. მიუხედავად იმისა, რომ ის ცოტა უხეში, უცერემონიო და შეიძლება ითქვას, უტაქტოც იყო, რალაცნაირად, იზიდავდა. მასთან მარტო რომ რჩებოდა, მამაკაცის მოფერებისა და კოცნის სურვილი უჩნდებოდა. მის ლამაზ თმაზე ხელის გადასმა უნდებოდა.

— სად წავიდე? — სიჩუმე დაარღვია ირაკლიმ.

— არსად.

— არსად? — გაოცებულმა შეხედა ანას.

— ჰო, არსად, ვიაროთ ასე. ახლა რესტორნისა და ბარის ხმაურის მოსმენა არ მინდა, სიჩუმე და სინყნარე მირჩევნია.

— მოხდა რაიმე?

— არა, არაფერი. უბრალოდ, დავილაღე დღეს და ცოტა დასვენება მჭირდება.

— მაშინ ჯვარზე ავიდეთ, ახლა იქ სიგრილვე იქნება, სინყნარეც და სიჩუმეც. ღამე ლამაზია ჯვარი და იქიდან დანახული თბილისიც.

— კარგი, — დაეთანხმა ანა.

ირაკლიმ მაგნიტოფონი ჩართო. წყნარი მუსიკა დაიღვრა მანქანის სალონში. ანა ზურგით სავარძელს მიეყრდნო და გაირინდა.

— აი, მოვედით, — ირაკლიმ მანქანა ქვევით, ეკლესიის ლოხესთან გააჩერა.

ისინი გვერდგვერდ მიუყვებოდნენ აღმართს და დუმდნენ.

— დიდხანს უნდა იყო ასე ჩუმად? — ჰკითხა ქალს.

— სიჩუმეში ფიქრი მიყვარს, — ანამ მამაკაცს ხელკავი გამოსდო. ირაკლის ხელი ჯიბეში ჰქონდა ჩაყოფილი. მეორე ხელი ანას ხელს ზემოდან დაადო და თითები ოდნავ მოუჭირა. ანამ ხელი ამოაბრუნა, მამაკაცის ხელისგულს თავისი მიაკრო და თითები მის თითებში ჩახლართა.

გალავანთან გაჩერდნენ და თბილისს გადმოხედეს. ორივე თავის საფიქრალს ჩაღრმავებოდა. ერთმანეთზე ფიქრობდნენ და ხმამაღლა ვერაფრის თქმას ვერ ახერხებდნენ. თითქოს ემინოდათ, ხმაურს მათი იდილია არ დაეღრღვია. ირაკლიმ მკლავი გაითავისუფლა, ანას მხარზე მოხვია და გვერდზე მიიკრა. ქალი დაჰყვა. მამაკაცი ამან გაათამაშა, ანა თავისკენ შემოაბრუნა და თვალებში ჩახედა. ლოყა ლოყაზე მიადო ისე, რომ მისი ტუჩები ქალის ყურთან აღმოჩნდა.

— მგონი, ცოტა მოგათვინიერე, — ჩასჩურჩულა და უფრო თამამად ჩაიკრა გულში.

ანას გაეცინა და თავი მკერდზე მიადო, ხელები ნელზე მოხვია და მიეხუტა. მამაკაცის სითბო ესიამოვნა. თითქოს კლდის ქვეშ იდგა და შიში არაფრისა ჰქონდა. ირაკლიმ ზურგზე დაუსვა ხელი. ქალმა იგრძნო, როგორ უცახცახებდა თითები, სხეული დაეჭიმა, კუნთები დაეძაბა და ისეთი შეგრძნება დაეფუტა, რომ ცოტა ხანში მამაკაცის სხეულის შიგნით მოექცეოდა, ის კი გარს მჭიდროდ შემოეკვროდა.

— როგორ გრძნობ, ადამიანი რომ გიყვარს? — ისევ ჩასჩურჩულა ირაკლიმ.

— მის შიგნით მინდა ჩაძრომა... — ჩურჩულით უპასუხა ქალმა.

— ახლა ამას გრძნობ?

— კი, — გაუბედავად თქვა ანამ.

— მეც, — ირაკლიმ მისი ტუჩები მოეჭებნა და ფრთხილად შეეხო. თითქოს ემინოდა, ეს მოთვინიერებული ქალი ისევ კატად არ გადაქცეულიყო, მაგრამ ანამ კეფაზე, თმაში თითები შეუცურა და მამაკაცი თავისკენ მიიზიდა...

კარგა ხანს იყვნენ ასე ჩახვეულები და ერთმანეთის ალერსით თავდავიწყებულბს ერთმანეთის მეტი არაფერი ახსოვდათ.

შემდეგ ისევ ანა გამოერეკვა, ხელები ფრთხილად გააშვებინა და თავდაღმართზე დაეშვა.

ირაკლი უკან მიჰყვა, მაგრამ ვერ დაენია. პულტით შორიდანვე გაულო მანქანის კარი და ცოტა ხნის შემდეგ ქალს თვითონაც გვერდით მიუჯდა.

— ანა, — ჩაახველა უხერხულობისგან.

— ჰო, — გაეპასუხა ქალი.

ირაკლიმ ნიკაპში ხელი ამოსდო და თავი აანევირა.

— ამაღამ ჩემთან დარჩი, — ჩუმად უთხრა და მზერით ტუჩებზე დააკვდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გზის გზნიღლები

მარინა დედმო...

„დედა უცხო ენების სპეციალისტია, ბავშვებს ამზადებს... მისი ერთ-ერთი მოსწავლე ბებიას მეზობლად ცხოვრობს. გუშინ დაბარებული ჰყავდა და დანიშნულ დროს რომ არ მოვიდა, დედამისთან დარეკვა გადაწყვიტა. რადგანაც თვითონ საქმეს აკეთებდა, მთხოვა, ტელეფონში მიწერია და მოძებნე, მარინა ჰქვია დედა-მისსო. ვეძებ და რას ვხედავ? წერია: მარინა დედმო. ვაა, ვიფიქრე, დედა გადამერია თუ მე მეჩვენება-მეთქი? თვალები მაგრად დავაფახულე და ისევ დავხედე... ტექსტი იგივეა... ბოლოს სიცხლისგან გულწასულმა, ძლივს მოვახერხე დედაჩემისთვის მეკითხა, რატომ ეწერა ასე... თურმე თვითონაც არ დაჰკვირვებია და რადგანაც აბონენტთა სიაში ბევრი მარინა ჰყავდა, დასაზუსტებლად დაწერა: მარინა, დედაჩემის მეზობელი, მაგრამ ტელეფონმა უკანასკნელი სიტყვა შეამოკლა და ის უხერხული ტექსტი გამოვიდა, რაზე-დაც ამდენი ვიცინე... „პრიკოლი“ ხარ, დეე... SWEET-GIRL“.

ქმრის მაგივრად

„სასაცილო სიტუაცია? ვაა, პატრული კაცებს ცოლის გამო რომ იჭერდა და აჯარიმებდა, იცოდით? ახლობელი ალაინიდან მოდიოდა. პატრულმა გააჩერა და ღვედი რატომ არ გიკეთია, ჯარიმა უნდა გადაიხადოო. ცოლი გადაირია, ნახევარი საქართველო ღვედის გარეშე დადის და „მანდამაინც“ ჩვენზე გაგიჟდით? პატრულს ენა დაება და წყნარად იყავი, ჯარიმა გადაიხადე, თორემ... თორემ... რა — თორემ, რას იზამო? რას ვიზამ და შენს ქმარს დავიჭერო. კი, მაგრამ ჩემს ქმარს რატომ იჭერ, მე გელაპარაკებო. იმიტომ, რომ მის მაგივრად ცოლი ლაპარაკობსო. აი, ასე მუშაობს ჩვენი პატრული ბიძია! ჭორიკანა ასინეთა“.

ზანგი და ქართველი

„ერთ მშვენიერ და მზიან დღეს, ძმაცაცმა ძმაცაცი მოსკოვში წაიყვანა. გაეროვინ ქალაქის მარაქაში. ერთ-ერთისთვის ეს პირველი წასვლა იყო რუსეთში და თოკზე გამობმული ბოჩოლასავით დაჰყვებოდა ძმაცაცს. ისე მოხდა, რომ ეს უკანასკნელი მაღალიაში შევიდა და მეორეს ქუჩაში დალოდებოდა სთხოვა, მაგრამ მაღალიდან გასულს ძმაცაცი აღარ დახვდა ადგილზე. შეეშინდა იმის წარმოდგენაც კი, თუ რა

მარი ჯაფარიძე

გამარჯობა, ძვირფასებო და სულზე უტკებესებო, როგორ ხართ? ეს რა ბუტია და „წყენა“ ვინმეები ყოფილხართ, რაა... ნუთუ ერთ პატარა შეცდომასაც კი (ან შეცდომა რატომაა, ნეტავ, არ ვიცი) არ მპატიობთ? მე ერთი ვარ, თქვენ კი ათასნი (ღმერთმა გამრავლოთ) და რა ვქნა, ყველას როგორ ვამოთ? რატომ ვამბობ ამას? „ისე მარო, ხომ არ ჯობია, ცოტა ხნით გუდა-ნაბადი ავიკრა? რატომ მენწყინა იმ 2 მესიჯის არდაბეჭდვა ასე ძაან, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, მენწყინა. რომ გადამივიღის, ისევ მოვაალ. ფეშენა“. აი, ამიტომ. ფეშენას 2 მესიჯი რატომ არ დაებეჭდე, ახლა ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ ამის გამო განა განწრომა შეიძლება? მეც ბევრჯერ მწყენია თქვენგან (ისევე, როგორც ახლა ფეშენასგან) და მაშინ, მეც უნდა „დავიხურო ქუდი“ და ჰაიდა, გავქუსლო, გული რომ მომიბრუნდება, მერე მოვალ-მეთქი? რა ვიცი, რა ვიცი... მოკლედ, ამ კვირაში ძალიან ბევრი და ძალიან კარგი მესიჯი მივიღე. ბევრი ახალი მგზავნილისაც, მათ შორის, მაგრამ ყველას ახლა ვერ ვებეჭდვ და ნაწილი მომდევნო ნომერში გადავა. იმედია, არ გაიბუტებით არც ახლები და არც ძველები და სულგრძელად მაპატიებთ ამ „დანაშაულს“. მგონი სიტყვა გამიგრძელდა და ჯობია, მესიჯებს მივხედოთ.



სასაცილო სიბუასია



შეიძლება დაამართონდა უცხო ქალაქში დაკარგულ ადამიანს. დაუყოვნებლივ დაუწყო ძებნა. გაუყვა ქუჩას იქით, სადაც ბევრი ხალხი დაინახა, ადგილზე მისულს კი შემდეგი სცენა დახვდა: ხალხის წრეში დგას ორმეტრიანი ზანგი. ამ ზანგს წინ უდგას მისი დაკარგული ძმაკაცი, რომელიც ინერწყევებს თითებზე, აინვევა ფეხისწვერზე, ამ დანერწყვეტულ ხელს ჯერ ზანგს ჩამოუსვამს სახეზე, მერე დახედვს ხელს და პირჯვარს ისახავს ბურტყუნით: — ღმერთო, მიშველე, ღმერთო მიშველეო. ისევ დაინერწყევებს, აინვევა, ჩამოუსვამს და ამავე თითებით გადაინერს პირჯვარს და ასე გრძელდება კარგა ხანს. თურმე შავკანიანი ადამიანი პირველად დაუნახავს და ასეთ მასშტაბურ სიშავეს გამოუწვევია ტვინისთვის საგანგაშო სიგნალის გადაცემა, რამაც მისი არაადეკვატური საქციელი გამოიწვია. ამას ზანგი უკვირდა, ზანგს კი მისი ქმედება თავსატეხად ქცეოდა. მეშე“.

„პარლე დე ფრანსე“

„ამ თემამ ერთი ამბავი... ამბავი კი არა და, ერთი ადამიანი გამახსენა, რომელიც ფრანგულის ექსმასწავლებელია და ყველგან სასაცილო სიტუაციას ქმნის. პატარა ტანის გამო კოკროჩინა შეარქვს და ჩვენი კოკროჩინაც ერთადერთი შვილის მართხებლა მშობელი, დაკოკროჩინობდა აქეთ-იქით და 9 საქმეს ერთად აკეთებდა. ერთხელ გაკვეთილზე სათვალე დაასჭირდა და როცა ვერ მიავნო, გადაატრიალა ყველაფერი. მის სათვალეს დაქებდა მთელი სოფელი და ბოლოს, იცით სად აღმოაჩინა? პალტოს ჯიბეში, რომელიც ეცვა და სათვალეს ჯიბეში ხელბეჩანყობილი ექებდა. მერე იყო და, სკოლიდან დადღილი მივიდა სახლში. საწყალს ჩაეძინა და როცა გამოიღვიძა, დაინახა, გარეთ ბინდებუნი იყო. წამოხტა, ძროხები ნახირში წასაყვანი დამრჩაო და სულ წივილი-კვილით აატარა სოფლის ბირჟა. სასაცილო იცით, რა იყო? ახალი დალაშქრული იყო და საწყალს, დილა ეგონა. ნუ, ცალ-ცალი „ნასკი“ და კაბაზე 10 სანტიმეტრით გრძელი, წითელი „პადიუტკა“ ჩვეული მოკლენა იყო. კოკროჩინას სამედიცინო განათლება ჰქონდა და თუ ბავშვი გაკვეთილს ვერ იმასწავრებდა, ესე იგი ჩიყვი ჰქონდა. სათვალის შუშა ცარცით თუ დაესვრებოდა, იმის მაგიერ, რომ მინა გაენმინდა, ექიმთან ვარბოდა. ჩემო საყვარელო მასწავლებელო, შემთხვევით ეს ჟურნალი ხელში თუ ჩაგივარდათ, ნუ გამინყრებით და ნუ დამწყევლით, შენ ჩამოხტი მუხლებიდან და გაგითავდა გამდელოო. სკარლეთი“.

ვირების გადამბმელი

„ზაფხულში მე და ჩემს დას ძალიან გვიხაროდა ბებოსთან თიანეთში წასვლა. თითქმის მთელ ზაფხულს იქ ვატარებდით. თან ბებო-პაპას შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდით. ერთ დილას ძილში მესმის პაპას სიტყვები: შვილო, მე ვერ მოვასწრებ და ვირი იქნება მინდორში დაბმული და გადაანაცვლეო (ვისაც საფელთან შეხება არ ჰქონია,

გავანათლებ: მინდორში დაბმულ საქონელს შუადღემდე უკვე მოჭმული აქვს ბალახი და 2 საათისთვის ადგილი უნდა შეუცვალო და სხვა, კარგ ბალახიან ადგილზე დააბა). აი, ეს შედიოდა ჩემს მოვალეობაში. დაახლოებით 12 საათისთვის მესტუმრნენ მეზობელი გოგონები და გამიმხილეს, ბებიასთვის ქილით არაყი მოუპარავთ და დაველიოთო. აბა, უარი როგორ იქნებოდა? მოკლედ, უცებ გაიშალა სუფრა და შევუბერეთ. თან პირობა წამოვაყენე, ქეიფის შემდეგ გამოწყვიტო, ვირს უნდა მივხედო-მეთქი. თანხობა მივიღე. იქ ჭიქები იცლებოდა?! თავად მიკვირდა, რამდენის დალევა შემძლებია, თურმე. ჰოდა, ამ დროს გამახსენდა პატივცემული ვირი. ავდექით ეს მთვრალი გოგონები და წავედით ვირთან, მინდორში. სასმელი იმე მოგვეკვია, ძროხასა და ვირს ერთმანეთისგან ვეღარ ვარჩევდით. თუკი რამ ცხოველი დაინახეთ, ერთი არ დაგვიტოვებია თავის ძველ ადგილზე. ყველა გადავავით და წამოვედით კმაყოფილები. აი, სახლში მისვლა ნამდვილად არ მახსოვს. საღამოს, მიწინარეს მესმის პაპას ჩხუბი — როგორ ვთხოვე, ვირს მიხედე, ვინ გისმენს? ვირი ისევ იქ ებაო. ოო, გავისუსე, ჩუმად ავდექი, მეზობელ გოგონებთან გავედი, რომლებიც უბედურ პახმელაზე იყვნენ. დამინახეს და დამიწყეს ჩხუბი — შენც მაგარი ვინმე ხარ, რომ გაიგიჟე თავი და ვირთან ნაგვიყვანე, გვექონდა მაგის თავიო“

დაუფასებელი თავგანწირვა

„სასაცილო ამბების მთელი გუდა მაქვს და ახლა ისაა სასაცილო, რომ მთელი 2 დღეა, თავის ფხანით დავდივარ, რომელი მოგნერო და აი, ერთს გავიმეტებ, ოღონდ არ დამცინოთ... წინა ზაფხულს მზით გამთბარი და დედის წინ მორბენალი კვიცივით აკუნტრუშებული, სახლიდან გამოკუნტრუშული და დაქალისკენ გავნე. დედამ, მაინც რას მიკეთებ და წყაროს წყალი მაინც მოიტანეო. მეც დავავლე პატარა ჩაიდანს ხელი და წყაროს მივაშურე. ჩაიდანს გავასე, ყელიც ჩავიკოკლოხინე ცივი, წყაროს წყლით და უკან გამოვბრუნდი. ვაი, საცოდაობავე უბედურო თათავე! მეზობლის მარქენალი, თეთრი ძროხა, რომელსაც სამეზობლოში კაცი არ დაუტოვებია, თავისი რქების სიმყარე რომ არ ეწვენიზა, ისე ამაყად მოაბიჯებს, თითქოს ჩემთვის პრინცი მოჰყავდა (ნუ, მერე რა მოხდა, რომ ძროხით მოვიდოდა და არა — ცხენით?). როცა მივხვდი, რომ ეს პრინცის ვარიანტი „ტუფტა“ იყო, შიშმა ამიტანა... თან ისეთი ხასხასა წითელი სპორტულეები მაცვია, ბრმას რომ დავენახე, მზეს ვხედავო, იტყოდა და იმ თვალდაჭყტილ ძროხას დავემალეოდი სადმეე? რაც შეიძლებოდა, უხმაუროდ დავდგი ჩაიდანს და ირგვლივ ისევე გამალბებით ვეძებდი მშველელს, როგორც უდაბნოში, უწყლოდ დარჩენილი ქარავანი — წყალს. ეს ჩვენი თეთრი ბოჩოლა კი გაზონის ბალახს ისე თხრიდა უკან ფეხებით, მივხვდი, თუ რამეს დროულად არ მოვიმოქმედებდი, პრინცის ნაცვლად მიქელა

გამარბინებდა მარილის მოსატანად. ხეები კი იყო, მაგრამ მოშორებით. თან იქამდე გაქცევას აბა, რას შეეძლებდი? და იქვე ახლოს, განათების ბოძი დავინახე. უკან უკან დავიხიე და ისე სწრაფად ავბობლდი, მგონი ჩემს კატასაც ვაჯობე და რამ დავენახე, შურით გასკვებოდა. საჭირო სიმაღლემდე რომ ავალწიე, მაშინლა მივხვდი, თურმე ბოძის ქვემო ნაწილი, 1 მეტრის სიმაღლეზე შეღებილი არ ყოფილა?! ჰოოდა, ამ ჩემს უსაყვარელს სპორტულებს ზებრასავით თეთრი ზოლები დაედო... ერთი ამის გამოც შევიკურთხე და ბოძს რაც შეიძლება მაგრად მოვხვიე ხელები, რომ არ ჩამოვვარდნილიყავი. იმ იმედით ვიმშვიდებდი თავს, რომ ძროხას მალე მოზერდებოდა ჩემი ლოდინი და საბალახოდ მიბრძანდებოდა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ისე ურტყამდს თავის რქებს ამ ჩემს მშველელ ბოძს, ვიფიქრე, სადაცაა ძირს გამოუთხრის-მეთქი და ვიკადრე ყვირილი, მაგრამ ვის ესმის? ეს ძროხუნია კი წასვლის მაგივრად, იქვე ისე ლამაზად წამოწვა, თითქოს აბინებულნი მინდორი ყოფილიყო. მოკლედ, არ მახსოვს, რამდენ ხანს ვიყავი, ან კიდევ რამდენ ხანს ვიქნებოდი ასე ალპინისტივით გამოვიდებული და საჩუქრის „ბანტოჩკასავით“ შემონასკვული განათების ბოძზე, ამ მართლაც და ცხოველის პატრონი რომ არ გამოჩენილიყო.

— მაქ რამ აგიყვანა ბაბუ? — მკითხა მისთვის დამახასიათებელი კილო-კავით და თან ისე, თითქოს ვერ მიხვდა ჩემი ალპინისტობის მიზეზი მისი ძროხა რომ იყო.

— ბალი უნდა მოვკრიფო, აბა, განათების ბოძზე რა მენდობება? — მივუგე რაც შეიძლებოდა გაბრახებული ტონით, რომ მიმხვდარიყო, არ მეხუმრებოდა.

— ლამაზამ შეგამინა, თუ?! არა ბაბუ, აფერს არ გეტყვის, — დაიწყო ძროხის ბრალეულობის გაუწვებელიყოფა.

— ვიცი, რომ არ მეტყვის და პირდაპირ მოქმედებაზე გადავა. ამიტომ თუ შეგიძლიათ, მიაბრძანეთ აქედან, რომ ჩამოვიდე-მეთქი. უკვე გამწარებულ ხრივალზე გადავედი. როგორც იქნა, ძლივს გავაგებინე იმ კაცს, რომ წაებრძანებინა ეს რქოსანი არსება. როგორც იქნა, მელ-ირსა დედამინაზე დაბრუნების ბედნიერება და ისე ვიყავი გახარებული, ლამის მინას ვემთხვიე, ხელებს კი 1 კვირის განმავლობაში ვაკვირდებოდი სარკეში იმის შიშით, რომ გორილასავით არ წამომზრდოდა. მგონი გადავრჩიი... ამ ამბის შემდეგ მეგობრები მეხუმრებოდნენ, იმდენი ხანი გატელი, „გინესშიც“ კი შეგიტანდნენო, მაგრამ რადგან ლამაზას მეტი ამ ფაქტს თვითმხილველი არ ჰყავდა, ეს შანსიც დაკვარე. მე ხომ ბედი არ მაქვს. გოც-ნით თქვენი ვიალპინისტი, SWEET-GIRL“.

ნოსიკა, ცანცარა, ხისთავა და ჩემი და

„მამ ასე, ჩემს სადარბაზოში, მერვე სართულზე მცხოვრებ გრძელცხვირიან გოგოს ნოსიკა ჰქვია. მეშვიდეზე ცხოვრობი გოგოს სახელია ცანცარა, რადგან არაფერზეც კი შეუძლია სიცილი. ჩემს „ბათში“

ცხოვრობს ჩემი და და ბოლოს, მესამე სართულზე ცხოვრობს გოგო, რომელსაც იმდენად „უჯიშო“ აზრები აწუხებს, რომ მისი სახელია ხისთავა. ამ 4 ადამიანს ერთმანეთთან „პამპერსის“ დაქალობა აკავშირებს და შესაბამისად, სკოლის პერიოდში ერთმანეთთან ჩავლა და სკოლისკენ პერი-პერობა... ჩიტების ჭიკჭიკის, გრილი ამინდისა და ჩემი „ბებუ-ბებუნიკობის“ პერიოდის სხვა დილები-სგან არაფრით განსხვავებული დილა იდგა... მუშტებშეკრულმა გავიზომორე, თვალები მოვიფშვნიტე და იმდროინდელი შეყვარებულის მოსაკითხად, ხელი ტელეფონისკენ წავიღე, რომელიც დამჯდარიყო. შემოსასვლელისკენ ზანტად გავემართე, სადაც დამტენი, ბებიაჩემის თქმით — „გამტენი“ მეგულებოდა. ამ დროს კარი გაიღო და ნოსიკამ და ცანცარამ ტრუსებში გამოჩიმილი რომ დამინახეს, კარი მამინვე გაიხურეს და სიცოლისგან რასაც ჰქვია, ჩასკდნენ. მადლობა მხიარული დილის დასაწყისისთვის, შეს დას უთხარი, მალე ჩამოვიდესო და ხისთავას დასაძახებლად ხარხარით ჩაუყენე კიბეს. სამზარეულოში მოსაუბრე ჩემს დას მივაძახე, დაქალუშეები გეძახიან-მეთქი, ჩქარი ტემპით საძინებელში შევედი და „გამტენით“ ტელეფონს გატენვა დავიწყე. მისტერ“.

მშვიერი კავალრები

„უპირველეს ყოვლისა, მოგესალმებით და დავინყებ ამბავს, რომელიც ბათუმს გადაგვხვდა. ჩემი სამსახურის გვერდით ვარდების არაჩვეულებრივი ბალი იყო, წინ კი სამარშრუტო ტაქსების გაჩერება. ჩემი ძმაკაცი გაგა ერთ ვარდს მოიბარა და და ვარდის ფურცელზე თავის ნომერსა და სახელს აწერდა და მეტყოდა: მიდი, იმ გოგონებს გადაუტანე, „მარშრუტკას“ რომ უცდინ და საღამოს „პივას“ ვიკისრებო. მეც გადავიდოდი, მივართმევი წითელ ვარდს და ვეტყოდი, იქედან გამოგიგზავნეს-მეთქი და თითს გაგასკენ ვიშვერდი. ასეთი შემთხვევები ძალიან ხშირი იყო და ხშირად წითელ ვარდს თავზე მაპუტავდნენ. ისინი ალბათ გათხოვილები იყვნენ. ერთ საღამოს, როცა „ეშმაკის ბორბალზე“ ძრომილით გული ვიჯერეთ, სახლის გზას გავუდექით. უკვე შებინდებული იყო, 2 ლამაზი მანდილოსანი დავინახეთ და გაგას ვუთხარი, მიდი, რამე შეეკითხე და იქნებ გავიცნოთ-მეთქი. გაგა მივიდა და ეუბნება: უკაცრავად, კაფე „ცეროდენას“ ხომ ვერ მიმასწავლით, საით არისო? მიგვასწავლეს, მაგრამ რად გვინდოდა?

„ცეროდენას“ წინ ვმუშაობდით. ასლა მე ვეუბნები: გოგონებო, თქვენი გაცნობა გვინდოდა და არა კაფე „ცეროდენა“-მეთქი. მერე, პირდაპირ გეთქვათო და გავიცანით. ერთად მივდივართ, ვსაუბრობთ, სახლამდე მივაცილებთ და გაგამ ნაყინზე დაპატიჟა. გოგონებმა, ნაყინი არ გვინდა, „სნიკერსს“ კი ნამდვილად მივირთმევეთო. ერთი „გახვრეტილი“ 2-ლარიანი მქონდა და მოვიტანე 2 ცალი მწ-თეთრიანი „სნიკერსი“. გოგონები გვეუბნებიან, თქვენ რატომ არ ჭამთ? გაგინანილებთო. გავიგიჟეთ თავი. გვშიოდა, მაგრამ სირცხვილს სად წაუვიდეთ? ეს იყო და ეს, ამის შემდეგ არც ერთი გოგონა აღარ მინახავს! ბათუმელო მანდილოსნებო, თუ ვინმეს ეს სიტუაციები გეცნოთ, შემეხმანეთ. იუდას კაცი“.

იუმორის ბირჟა


„უზომოდ მიყვარს ჩემი ლამაზი იმერეთი. იქაურ ხალხზე ხომ საერთოდ ვგიჟდები. განსაკუთრებით ჭიათურელებისა და ქუთაისელების აქცენტი მიყვარს. ჰოდა, 2 კვირის წინ რამდენიმე დღით ქუთაისში ჩავედი, ბაზარში გავიარე საყიდლებზე. მოკლედ, სავაჭრო ადგილი კი არა, იუმორის ბირჟა ნამდვილად, ის დალოცვილი. მეც, ამდენი ხნის დანატრებული იმერულ ჰაერს, ყურდაცქვეტილი ვუსმენდი მყიდველ-გამყიდველის, გამვლელის დიალოგ-კინკლიობას და ხანდახან არსებული სიტუაციით ცოცხა გაბუტულ-განერვიულებულ რეპლიკებს.
— ცოტა კიდო ვერ გადმოგანიერდი შუა გზამდე, ქალბატონო? რაია ეგი, რავა მატარებელივით გამოგრძელებულხარ შე დალოცვილო აქანა, საცაღფებო ბილიკი მაინც დაგეტოვებინა, — წაიბუზღუნა სიმჭიდროვით შეწუხებულმა მამაკაცმა.
— არაა მაგი შენი კანტორის საქმე, შენ მაკლდი კიდო უფროსად, მიდი, მიდი, გვიარე თუ კაცი ხარ. დედაია ქალო, არ ამშალეს დღეს ნერვებზე ამ გადარეულებმა?! — შესჩივლა გვერდით მდგომს, ქალმა.
— ენა დააყენე მადანა ქალო შენ, რა ვქნათ აბა ხალხმა, ასკინკლით ვიაროთ ამ ბაზარში, თქვენ გამო?
— რა ღირს ეს ინკუბატორის კვერცხი, გოგონა? — იხუმრა შუა ხნის მამაკაცმა.
— ჯერ ერთი, ჩემი ქათმებისაა მაგ კვერცხები და ოცდაათი თეთრი ღირს, ცალი.“

— რაია ბიძია, წინილიც ზის შიგნით?
— არა, ვალები აქვს მამაჩემს ქვეყანა და მაგიტო წაუკიდე ცეცხლი.
— ეუჰ, სიტყვა-პასუხი კი გაქვთ მოსტრებული ამ ახალგაზრდებს და რალა გიჭირთ?!
— ბანანი რა ფასია შენთან?
— არ ვიცი ქალბატონო, სხვამ დამიტოვა.
— აბა, რას დაჩერებიხარ ზევიდან, ეგრე დასალობად თუ გინდოდა, რალას მოგქონდათ იქედან (ხელი გაიშვირა შორს), მაიმუნები მაინც დანაყრდებოდა...
— ხახვი რა ფასია, თქვენთან?
— ლარორმოცი.
— ძვირია ნამეტანი!
— იაფი წითელ ხიდზეა, ქალბატონო.
— აბა, ახალი თევზი გვაქ, მოდი, გენაცვალე!
— ამას იმნარი ამღვრეული თვალები აქვს, რიონში გეყოლებათ დაჭერილი, უეჭველი.
— არა, რას ამბობ, გადაირიე? ბათუმიდან მივილე დილაზე.
— რას აფასებ?
— სამნახევარი, კილო.
— რაია ქალბატონო, ცოცხალია ეს ამოსანყვეტი? აკვარიუმში გასაშვებათ კი არ მინდა მაგი მე.
— აბა გენაცვალე, თქვენი გაბარტის მუცელს ლარინი „სილიოტკა“ ამოავსებს? მიდი, მიდი, გვიარე, არა ხარ შენ მყიდველი.
ბიჭი წავიდა. მე ჩაბვირებას ცოტა მიკლდა. იმ დღეს ბევრი ასეთი იმერული მარგალიტი მოვისმინე, მაგრამ ერთი განსაკუთრებით ჩამრჩა გონებაში. კომბოსტოს გამყიდველთან მოხუცი ქალი მივიდა.
— რამდონია ამის ღირებულება, ბებო?
— ჰკითხა მზრუნველად.
— 50 თეთრია მაგი, კილო.
— ისე რა გითხარი შენ, რამდენი კილოს არ წონიდეს ეგ დანგრეული სასწორი.
— აუ, ეგი რა მითხარი ბებო, შენ თავს ვფიცავარ, თუ გატყუებდე, — უთხრა ბიჭმა და ისე პირდაპირ გაუყარა თვალი თვალში, მეგონა, საკუთარ ბეზას იფიცებს-მეთქი, ასე „გულწრფელად“. მე-სტრო“.

მსოფლიო ჩემპიონი

„მე და ჩემი დაქალი ინგლისურზე მივედიოდი. ერთ ყურში ყურსასმენი მეკეთა, მეორეში ჩემი დაქალის გაცხარებული საუბარი მესმოდა. მანქანამ გააჩერა, რალაც გვეკითხეს. ნუ, ჩემმა დაქალმა უარის ნიშნად თავი გააქინა და შემომხედა. მეც მიკუბრუნდი და უხეშად მივაძახე, არა, იყოს, მადლობა-მეთქი. კარგად რომ დავაკვირდი, საჭესთან ერთ-ერთი ოლიმპიური ჩემპიონი იჯდა და თურმე უკითხავს, წყალი სად მოდის, ხომ არ იციოთ? სიცილი ატებს და პირველივე მალაზიასთან გააჩერეს. იდიოტები-მეთქი, ჩემთვის ჩავიდუდუნე და ჩემი დაქალის გაოცებულ სახეს რომ შევხედე, მივხვდი, რალაც შეცდომა დაუშვი. ვაჟბატონი მალაზიასთან გადმოვიდა, დონი-ჯემორტყმული დადგა და მეძახის: არა,

სამსახურის ყიბზე შვიცის სიამოსლის მანქანით სიამოლი ზეჯმად ჰქმსაქციყოლია





იყოს, მადლობთო, არა?! ვაიმე, ისე შემრცხვა, სად დავმალულიყავი, აღარ ვიცოდი. აბა, ყურსასმენი რომ არ მქონოდა, ხომ ყველაფერს კარგად გავიგებდი? ისე მრცხვენოდა, 3 დღე სახლიდან აღარ გამოვსულვარ. ასე მეგონა, ყველამ ყველაფერი იცოდა. ეს ამბავი ქალაქ დუშეთში მოხდა, ის ოლიმპიური ჩემპიონი კი ზურა ზვიადაური გახლდათ. ბარცყაჭუნა“.

სამოთხის რეპეტიცია

„ამ 3 თვის წინ ერთი ბიჭი „მელავს-თორებოდა“. მოკლედ, ჩემი სიყვარულით ისე დაყარა კალორიები, კაცი ერთი დაფცხივებალა დარჩა. სამაგიეროდ, რა ქარიზმა და მერცხალა იუმორი ჰქონდა?! ჰოდა, ჩემი მიუპარებლობა დროებით მივაძილქუშე და გულის გადაყოლები მის მიზნით „სვიდოზზე“ მივუყომარდი (ეს „ლავსთორი“ თბილისში ხდება). ჯერ „მავდონალდსში“ შემიყვანა, სადაც გემრიელად შევექციე ბიგმასს, ის კი იჯდა და როგორც ხატს, ცრემლმორეული მიცქერდა. ნერვიულბობისგან მისი ბიგმაციც ისე შემომეჭამა, გულზეც არ დამდგომია. მერე ქალაქში მათარა თუ ვატარე ექსკურსიაზე და რაზეც კი მოწონება გამოვხატე, იმდენჯერ ჯიბეებს კონფისკაცია მოუწყო. რაკი მეორედ შეგვედრას აღარ ვაპირებდი, დიპლომატიურად ვაბეზრებდი თავს. მეშვიდე სუვენირით რომ დავინტერესდი, ბიჭმა ჯიბეები მოიჩხრიკა და ნახა, რომ დარჩენილი 4 ლარით სუვენირს ვერ შეწვდებოდა. მოულოდნელად, „ხელშეუხებლობის“ გარანტია დაარღვია, მტაცა ხელი და ისეთი ქარიზმით გამაქცუნა სავაჭრო ცენტრის რკინა-კაეულის სექციისკენ, რომ კბილქვე მოყოლილი ხვით ძლივს მოვასწარი გამორტესტება. ბიჭი კი გაცივებული გამყიდველის თვალწინ, სასაცილოდ და ხმაანული მამუნათებდა: სულ 4 ლარილა დამრჩა, შენ კიდევ ჯაჭვის ყიდვა დაგაიწყდა, ბარემ იმასაც გყიდი და კურთან დამაბიო. არა რაა, ასეთ სასაცილო სიტუაციაში გაბრაზებული იუმორი განსაკუთრებით მეფექტურება. ჰოდა, დაუფასებ ბიჭს საჩუქრებიც, იუმორიც და მეორედაც შევხვდი. ეტყობა წინა შეხვედრაზე ქალაქური კვალი ფიკაცია აიმაღლა და კაი ძუნწი ეკონომისტივით ზოობარკში წამაცუნცულა. სანამ ძილისმოგვრელი, ლაქუცა სიტყვებით ჩემი ფრთების ამოსვლაზე ზრუნავდა, მე სინდისდაუმძიმებლად, ერთჯერადი ამუხასავით ვყლაპავდი მის ნაყიდ, ნაირნაირ სასუსნავს, ხოლო როცა ჩემი შესაბამელი ლექსიკონი გაუთავდა, მე — სასუსნავი და მის ჯიბეს ჩემი ასამალღებელი ემოციებისთვის სავალდებულო ქრთამი, პროვინციული პირდაპირობით ვუთხარი: შენს ლექსებში სამოთხეს მირბეოდი. ჰოდა, ჯერ სამოთხე შემიქმენი და დანარჩენი მერე-მეთქი. ბიჭს წინა რანდევუს სპაზმები გაუმეორდა. ისევ მტაცა ხელი და (ვენათაღე ქარიზმას) „ქორმა წინილა წაილო, იძადა წიავ-წიავსა“ როა, ზუსტად ისე წამაპროწიალა ზოობარკის ადმინისტრაციული შენობისკენ და თლა უფროსს გაუგადად მოსთხოვა ლომების ვოლიერის გასაღები. თან აუხსნა: ამ ევას შთამომავალს რომ ხედავ,

სამოთხე მომთხოვა, ჰოდა თუ კაცი ხარ, შევამწყვდიოთ ლომებთან, რადგან სამოთხეში ადამიანები და ცხოველები ერთად ცხოვრობდა და მერე მაინც გამეხსენება ბედოი. — კაიი, კაცო, მერე, რო შეჭამონო? დაეჭვდა თლა უფროსი. — თუ შეჭამეს, მაშინ სამოთხის ღირსიც არ იქნება, მარა იმის უფრო მეშინია, აქეთ არ შემოეჭამონო, უსირცხვილოდ გაკრაკები ჩემს მადას. ახლა რომ გითხრათ, დაუჯერა იმ კაცმა, ლომებთან სამოთხის კერძო პრაქტიკა გავიარე, ამ გზავნილს ვოლიერიდან გიგზავნით და იმ ბიჭსაც ბედი გაუხსნა-მეთქი, მაინც არ დამიჯერებთ და რავიი, ზაფხულში ისევ ჩამოვპროვინციალდები ქალაქში და თუ ახალ „ლავსთორს“ ვერ ავაგდებ, ძველ ქარიზმას მაინც გამოვიყვან ბისზე. უარს მეტყვის თუ რა? მამ, თქვენ ადამის მოდგმა კარგად არ გცნობიათ. ვაშლს აღარ ვჯობივარ? ელექტრა“.

ბებიების მტანჯველი

„სამწინელი ძილისგულა ვარ და უმეტესად ჩემი „ბუძილინიკი“ ბებიანქმია. ერთხელ მეღვიძა და მისი ფეხის ხმა მომესმა. ჩვეულებრივ, ჩემს გასაღვიძებლად მოემართებოდა. გადავწყვიტე, გავხუმრებოდა და მობილურიდან სახლის ნომერზე დავრეკე. როგორც კი მიუახლოვდებოდა ტელეფონს, ვთიშავდი. თან ვიგუდებოდი სანოლში, ჩემი სიცილით. შენუხდა ქალი, ვილაც რეკავს, ვერ გამოდისო და ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა. მერე ადგა და ყველა ნაცნობს გადაურეკა, შენ ხომ არ რეკავდიო. როდესაც ყველამ იუარა, ძველ ქალებში გადარეკა, გენაცვალე, ზარი შემოდის და ითიშება, რამია საქმეო? ეგ ჩვენ აღარ გვხვებოდა და სხვა ნომერი მისცეს. გადარეკა იმ ნომერზე და იმათმა პირველად სადაც დარეკა, ის ნომერი უთხრეს. აი, აქ იფთქა ბებოს ნერვებმა და ატეხა ყვირილი. დღემდე არ იცის, რა თქმა უნდა, რომ მისმა ძილისგულა შვილიშვილმა „ბუძილინიკ“ ბებოს ერთგვარი რევანში აუღო. :) მარი მასწ, მე ვარ, მე, GREEN GIRL“.

„სექს“

„საბედნიეროდ, სასაცილო სიტუაციების ეპიცენტრში ხშირად ვარ. ცოტა შორიდან დავიწყებ: ჩემს ძირითად სპეციალობაში ლექციებს ფრანგი გვიკითხავს. ანდრე 25 წლის, საოცრად სიმპათიური, გემოვნებიანი და ხალისიანი ბიჭია. რადგან მის ლექციებს მხოლოდ გოგონები ვესწრებთ, ცოტა გვეპრანჭება კიდევ და ჩვენც ვინაზებთ. ენის ცოდნის მიუხედავად, ზოგჯერ სირთულეებს ვაწყდებით. ამას წინათ, ჩვენს კერძებს ვუქებდით და თან ვუხსნიდით რეცეპტებს. საცივის ასნისას გავიჭედეთ. ვერ ვამბობთ „ხორც-საკეპში გატარებულ ნიგოზს“. უცებ, ჩემი ჯგუფელი წამოხტა და ზედა კიდურების აქტიური მანევრირებით, ხორცსაკეპის ტრიალის იმიტაცია მოახდინა. გაოგნებული ანდრე უარესად რომ არ დაგვხვნიდა ხაჭაპურის რეცეპტით, პირდაპირ საჭმელად გავაქანეთ ფალიაშვილზე, ამოჩემებულ კაფეში. მაგიდასთან სხვადასხვა

საკითხი განვიხილეთ და გვერდი გენდერულ თანასწორობასაც ვერ ავუარეთ. ანდრე გაცივებულია, რომ ჩვენი კაცები ჭურჭლს არ რეცხავენ, შეიძლება შეძინისას შევუბლებოთ არ გადიან და სადილს არ ამზადებენ. თემამ კამათი გამოიწვია და განუშემა ვარჩიე. უცებ მივხვდი, რომ კაფეში დანა-ჩანგლის წკარუნი შეწყდა და ყველა ჩვენ მოგვეჩვენოდა გაცივებული თვალებით. საქმე ისაა, რომ ფრანგულად „სექსი“, როგორც „სექს“ ისე უღერეს და წარმოიდგინეთ, რამდენჯერ ვინმარეთ იგი სექსთა ბალანსზე საუბრისას. რა თქმა უნდა, ვერავის ავუხსნიდით, რომ ახალგაზრდა ვაუს არა სექსზე, არამედ საყოველთაო პრობლემაზე ვეკამათებოდით. ახლა გვეცინება, მაგრამ ისე შეგვრცხვა, ფალიაშვილისკენ აღარც ვიხედებო. დაინვას სტექსის მომგონი, რა დღეში ჩაგვყარა?! პარიჟანკა“.

მამა

„თურქეთის ავტობუსი ჩვენმა პატრული ბიძებმა გააჩერეს და მასში მოქალაქეები აჰყავდათ, რომ გორიდან გასულიყვნენ. მამაჩემი რის მამაჩემია, სიტუაციიდან გამოსავალი არ მოენახა? მოიმარჯვა მუშტები და მუჯღუგუნები და თან ნაჩქმეტი ქალივით კიოდა: გამაბარეთ, თქვე გზააბნეულდებო, „დაბრონილი“ მაქვს, „დაბრონილი“... ვითომ თვითონ ძან „გზადალაგებული“ მყავდა და... სულ რაღაც 2 წამში ჩანთებიდან ავტობუსში შერგო თავი. ისეთი კლასი გვიჩვენა, კანდელაკს შემურდებოდა და მშვიდობით... ჩავიდა ადგილზე. მეორედღეს დარეკა, ვუთხარი, სოფელი დაცალა, ყველანი წამოვედით, სოფელი ბაბო, პაპა და მამიდა დავტოვეთ და არ ვიცით, რა იქნება. უცებ იცით, რა მოხდა? მამაჩემის ზღუქუნმა კინალამ ოტიტი დამმართა. ხვალვე უნდა დავბრუნდევ, ჩემი ადგილი მანდ არიიი, აქ რა გამაჩერებს... ვაიმე და უიმე რომ აღარ დაამთავრა, ტელეფონი გავთიშე და ქსელებს დავაბრალე. აი, ასეთი „პატრიოტი“ მამიკო მყავს... დრაგო133“.

გერასიმეს ციხის თავდასავლები

„გამარჯობა ჩემო კარგო მარი, 2 თვე არ ვიყავი საქართველოში და ვერ გწერდით. ათენში მივდიოდი და საბერძნეთის საზღვარზე დაგვაკავეს, 7 ქალი. ცოდა გამხელილი ჯობია და შენი გერასიმე 5 წელი იჯდა ორესტიადოს ციხეში. ჩემი შვილი მეუბნება, ახლა იმდენი ციხის ამბები გაქვს მარისთვის მოსაყოლი, მისწერე, არაფერი გამოგწერესო. მეც შევცადე, მოგწეროთ. ძალიან რთული ყოფილა ციხის ცხოვრება. ნეტავ ახლოს მყავდე, რომ ყველაფერი მოგიყვე. დედამ „გზის“ ყველა ნომერი დამახვედრა და ვკითხულობ. ციხეში 2-სართულიანი საწოლები იდგა. მე მე-2 სართულზე ვიყავი წამოკუთებული, ჩემს პატარა მეგობრებთან ერთად. მათ დედაჩემის ლექსი ვასწავლე, რომელიც ციხის გიმნად იქცა. როცა ვტიროდით და სევდიან განწყობილებაზე ვიყავით, ხათოს დაუფახებდი, ისიც იმღ-

ერებდა, გაცივებდა ყველა და ცოტა გულს მოეშვებოდა. ეს ჰიზნი ყოველდღე სრულდებოდა თან — დიდი ოვაციებით. ახლა თიკოზე მოგიყვებით, რომელსაც სვანი ქმარი ჰყავს. ახალი დაჭერილები ვიყავით და თიკომ ქმარს დაურეკა, მიშველე, ჩქარა გამომიყვანე აქედანო. იმან კიდევე, ლურსმანი სად შეინახე? ჰკითხა. მეორე დღეს კი „პლაში“ ვერ ვნახე და თიკო, „პლაში“ სად არისო? ახლა ეს ჰკითხა. თიკომ გულმოსულმა უთხრა — მე დამკარგე მგონი და ლურსმანს და „პლაშს“ რას დაეძებო? გერასიმე“.

ქალი იაფად

„მოკლედ, მამიდაჩემი ხშირად დადის თურქეთში. ჰოდა, ამ ბოლო ჩამოსვლის დროს ხელს თან ქალის თეთრეულის სარეკლამო კატალოგიც გამოაყოლა. ყველანი ჩვენთვის ვფუსფუსებთ, მარტო ბიძაჩემია თავისთვის, წყნარად. დამინტერესა და ვკითხე, რას შერებ-მეთქი? იმანაც თვლი ჩამიკრა და მალულად მინიშნა, მოდი, რა უნდა განახეო. მივედი, რას ვხედავ? ნახევრად გახდილი ქალი თეთრეულის რეკლამაში და გვერდით აწერია ფასი — 12 დოლარი. გახარებული ბიძაჩემი მუშუბნება, ნახე, თურქეთში რა სიააფა, ისეთი კრიზისი აქვთ, ქალები 12 დოლარი ღირს უკვეო, მაგრამ გახარებული სახე 2 წუთში მოეშალა კაცს, როცა ვუთხარი, მაგი ქალის კი არა, რაც აცვია, იმის ფასია-მეთქი. აბა?! ასეც ხდება. მოკითხვა ყველას. მუდამ თქვენი კეთილისმუსურველი კოზანოსტრა, ზოგისთვის ბისკვიტი“.

„აჰა და მიყურე“ ...

„ხაშურის ერთ-ერთ სოფელში, რომელსაც მ მარტი ჰქვია, უშვილო ცოლ-ქმარი ცხოვრობდა, რომლებმაც ტელევიზორის ყიდვა გადაწყვიტეს. საამისოდ კი, პენსიიდან ნაკონინები 200 მანეთით გაუდგნენ ხაშურისკენ მიმავალ გზას. მალაზიაში შევიდნენ და გამყიდველს უუბნებინან: — მოიხედე გენა აქეთ-კენა, აი, ეს ტელევიზორი მოგვეწონა ძაანა და უნდა მოგვიყიდო. კი, ბატონო, თქვენი ნებააო, მიუგო გამყიდველმა. ამოიღო სონიამ ცხვირსახოცში საგულდაგულოდ გადახვეული ფული და გამყიდველს უთხრა, აქა, გენა, 200 მანეთია და დაითვალეო. გამყიდველმა დათვალა ფული და 10 მანეთი აკლიაო, უთხრა სონიას. რაი, კაცოო?! გადაირია სანყალი ქალი, მიუბრუნდა ბიჭტორას და დაუნყო წყველა-კრულვა — შელოთო, შენ გაგისკდა ეგ მუცელი, რატო მომპარეი ფული, სიდან მოვიტანო 10 მანეთი ახლა მე? მერე აინია კაბა და მიუშვირა უკანალი — აჰა და მიყურეი ახლა აქაო. ამ ყველაფრის მნახველებმა იმდენი ვიცინეთ, მალაზიაში მყოფმაც და გამყიდველმაც, რომ ძირს ვინფით. გამყიდველი ძალიან კეთილი ადამიანი აღმოჩნდა და სონიას უთხრა, თქვენ იმდენი გვაცივებთ და გვამხიარულეთ, იმ 10 მანეთს მე დავამატებო და ცოლ-ქმარს ნანატრი ტელევიზორი გაატანა. მ.ვ.ლ“.

თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები

„სასაცილო სიტუაციაოოო?!.. იმაზე მეტი სასაცილო რა უნდა იყოს მარიამ-ულო, რომ მსოფლიოში ყველაზე პოპულარული პოპჯგუფი საქართველოშია, მის სოლისტს საქართველოში ყველაზე პოპულარულ გადაცემაში ინვევენ და წამყვანი კლოუნის ფორმით ეგებება. სანყალი კაცი ამბობს, 2 დღეა აქ ვარ და არაფერი მაჭამესო. სასაცილოა ეს ყველაფერი? ყველაზე მთავარი: „ბონიემის“ სოლისტს სტეფანეს რომ შეადარებ, სულ ცოტა, გიჟი უნდა იყო და ასათიანის მისამართი ეძებო. სასაცილოდ კი არა, სატირლად მაჭამესო საქმე, საქვეყნოდ შევირცხვინეთ კიდევე ერთხელ თავი. სკარლეთი“.

„მე და ჩემი დაქალი დავნაძლევედით, ჩვენ შორის ვინც პირველი გათხოვდებოდა, მეორეს მისთვის ტორტში თავი უნდა ჩაეყოფინებინა. ჰოდა, იცი, რა მოხდა? პირველი ის გათხოვდა. მე მეჯვარე ვიყავი. ნუ, მოკლედ, მაგარი ქორნილი იყო, ყველაფერი იდეალურად მიდიოდა, სანამ თამადამ ნეფე-დედოფალი არ დალოცა და უთხრა: ასე ტკბილად შეაბერდით ერთმანეთსო. მეც ამ სიტუბოებაზე ნაძლევი გამახსენდა და ჩემს ძვირფას დაქალს საქორნილო ტორტში ჩავაყოფინე თავი. იქ ამავეი ატყადა?! მტრისას! ბოლოს, სიტუაცია რომ დაწყნარდა, დაქალი დამემუქრა, შენს ქორნილში უარესს ვიზამო, მაგრამ... ისე, ვინმეს მეჯვარე თუ დასჭირდა, აქ ვარ. ყველანი მიყვარხართ. ახნელ“.

„2 იანვარს ჩვენს საყვარელ ქალაქ ფოთში ქართული შოუბიზნესის ვარსკვლავები კონცერტს მართავდნენ. დათო კონცერტზე ცოტათი ნასვამი მივიდა და ერთ ლამაზ გოგოს, სალოს აუკიდა. ეს გოგო ჩვენც გვესიმაპათიურა, მაგრამ რადგან ის ჩვენს მძაკაცს მოეწონა, თავი დავანებეთ, დათომ კი ამ გოგოს შეხვედრა სვალისთვის დაუთქვა, მეორე დღეს კი მარტო წავიდა პაემანზე და 1 საათში კარგად გალამაზებული დაგვიბრუნდა. როგორც გაირკვა, ჩვენი დათო ამ გოგოს მთელი ღამის განმავლობაში ემესიჯა, ამ გოგოს კი დათოსთვის ძმის ნომერი მიუცია და სალოს ნაცვლად, ძმას ემესიჯებოდა. ამ ბიჭმაც გაგილამაზა ჩვენი დათუნია. კოსმოსა“.

„ცუდად ვარ. ჩემს შვილს ფილტვების ანთება აქვს. 2 წლისაა და საავადმყოფოში წევს, მე კი მასთან ვერ ვარ, რადგან პატარა მყავს 6 თვის და ვერ ვტოვებ. ბუნებრივ კვებაზე მყავს და მაგიტომ. ჩემი პატარა თემი ძალიან ენატრება. სანახავად რომ მივდივარ, არ მიშვებს, მაგრამ მესუტება და ტირის. ვენათალე. მაპატიეთ, თუ დაგასევდიანეთ. 7.69“.

„ჩვენთან ტანსაცმლის მალაზია გაიხსნა. წარწერა რა გაუკეთეს, არ იკითხავთ? „მოდი, ქექა“. მივედი, ვქექა, ვქექა და ჩინელი გამოქვეყნდა და გამიცინა. გადაარეული“.

„ერთი ბიჭი გავიცანი ტელეფონით. მხარა, ბუბიაჩემმა ვირი დამიტოვა მემკვიდრეობითო. აჰა, ვირით აპირებს ჩემს შებმას-მეთქი, ვიფიქრე. ცოტა ხანში მწ-

ერს, შენ წითელი ბიკინები დაგიტოვაო. მაგან კი დამინტერესა და მივწერე, დიდი მადლობა, ბაბოს სანთელს დაეუნთებ-მეთქი. სანთელი არა, „პაკრიშკა“ დაუნთე, უფრო ნათელში იქნება მისი სულიო. უჰ, იმდენი ვიცინეეე. მოკითხვა ყველას. სანტა“.

„აუ, რა პრიკოლი გაცდროო?! 2 წლის სოფის სურდო აქვს და პირით უწევს სუნთქვა. ნელან მოვიდა და მეუბნება — იცი, მე ცხვირი პირში რომ მაქვსო? :) ისე, ამას რას დავცინი? მეც პატარა ვიყავი, დედას რომ ვუთხარი, მე გული გულშიც მაქვს, ყელშიც და მჯავშიც-მეთქი. სადაც პულსი ცემდა, ყველგან გული მეგონა და, ეჟეე... გუშინ კიდევე ერთი ქალი და 2 პატარა ბიჭი ამოვიდა „მარშრუტკაში“. ბავშვები „გზის“ ანეკდოტებს კითხულობდნენ. მერე ერთმა მეორეს კუთრნალი გამოართვა და „ომეხით“ წაიკითხა: გოგონების (ანუ გონების) სავარჯიშოო. არა, რა, მაგარი ვიხალისე. დამავოი“.

„სასაცილო მაშინ ვიყავი, საჭირო ოთახიდან რომ გამოვედი და კაბა „ტრუსიკში“ მქონდა ჩატანებული. ოთახში კი ჩემი ძმა და მისი ძმაცალები ქეიფობდნენ. მაგრამ კი გამიტყდა, მარა რაღას ვიზამდი? კაიფში გაატარეს. მე კიდევე, ახლაც მიტყდებოდა, როცა შემხვებინან ხოლმე. ძაან მაგრები ხართ, მგზავნელებო. თქვენი ერთგული მკითხველი. ბუთი“.

„გამარჯობა ყველას. „გზას“ ოდიტ-განვე თვალს ვადევნებ, განსაკუთრებით — „გზავნილებს“, ოღონდ ზუსტად არ მახსოვს, ეს რუბრიკა პირველად როდის აღმოვაჩინე. ახლა მაგარ „ცვეტშია“ „გზავნილები“ და მგზავნელის სტატუსით სარგებლობა ყველას უნდა. მეც მიწოდდა, ბევრჯერ მომწერა აქ, მაგრამ სულ თავს ვიკავებდი, რადგან ჩემს ამბებს დასაბუქდი არაფერი აქვს-მეთქი, ვამბობდი და ისეც კითხვას ვჯერდებოდი. ახლაც „თემის გარეშე“ მესიჯს გწერთ, ხომ ხედავთ? რატომ? რატომ და ახლა მოვრჩი „გზავნილების“ კითხვას და როგორც ყოველთვის, ვისიამოვნე. ასე რომ, ჩემნაირებიც არსებობენ — არ ჩანან, მაგრამ აქ არიან... P.S. მარი, რა მაინტერესებს, იცი? ნახევრად შექმული დედამიწის ლოგოდ არჩევა ვისი იდეა იყო, თავის დროზე? :) სანამ კარგად გავიცნობდი „გზას“, მარტო მაგის გულისთვის ვკითხულობდი ხოლმე. :) ნიკეა“.

„გზავნილების“ მომდევნო თემად გთავაზობთ — „საქციელი, რომელსაც ვნანობ“. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com



„კრიმინალის სიყვარულით ჯერ არავინ გაბედნიერებულა“

„ადამიანი ღამნაშავედ არ იბადება!“

„გზის“ №4-ში დაიბეჭდა პუტკუნა ნანუკას მესიჯი. იგი გვწერდა: „7 თვე ვიყავი შეყვარებული, ბედნიერი, მაგრამ ის 1 თვის წინ დაიჭირეს და 10 წელი მიუსაჯეს“. ნანუკა ამბობს, რომ ახლა ძალიან ცუდადაა, რომ სიყვარულის აღარ სჯერა და საკუთარ თავს უსვამს კითხვას: თუ მართლა ვუყვარდი, დანაშაული რატომღა ჩადინაო?!

ლიკა ქავია

მეამოვნე სული:

„ჩემო კარგო, იცი, რატომ ჩაიდინა დანაშაული? ბევრ ქურდს უყვარს ოჯახი, მაგრამ მაინც ქურდობს. ეშმაკს არ სძინავს, დაელაპარაკე და გაარკვიე, რამ აიძულა დანაშაულის ჩადენა. ჩემი აზრით, 7 თვე არასაკმარისია ადამიანის გასაცნობად. აი, 10 წელი კი ბევრი დროა და ეს ყველაფერს ცვლის. იქნებ, გატაცებული ხარ მისით? ან ასეთი რა ჩაიდინა, 10 წელი რომ მიუსაჯეს? მასზე ნულარ იფიქრებ, შენთვისვე აჯობებს“.

ლუზა:

„ძალიან ცუდია, საყვარელ ადამიანთან სიყვარულით ტკობის უფლება რომ არ მოგეცა. დანაშაული კი ჩაიდინა, მაგრამ ეგ იმას სულაც არ ნიშნავს, რომ არ უყვარხარ. რაც მოხდა, იმას ვეღარ გამოასწორებ და ისლა დაგრჩენია, მოგონებებით იცხოვრო. თავს უფლება არ მისცე, სევდა მოგერიოს. გაკოცე“.

ღამნაშავე:

„საინტერესოა, ისეთი რა დააშავა, რომ ამდენი წელი მიუსაჯეს? ნანუკა, დაელაპარაკე შენს შეყვარებულს და კითხვა: თუ მართლა გიყვარდი, დანაშაული რატომღა ჩაიდინე? — თავად მას დაუსვი. რა იცი, იქნებ, უსამართლოდაც აღმოჩნდა ციხის კედლებში? საყვარელო, თუ მართლა გიყვარს, ასე მოიქეცი და შეყვარებულის პასუხი მიგანიშნებს, თუ როგორ უნდა მოიქცე. წარმატებები, ჩემო კარგო!“

მძინარა:

„სამწუხაროდ, სიყვარული დანაშაულის ჩადენას არ გამოორიცხავს. სისულელეს შეყვარებულებიც სწადიან ხოლმე. ცოტა მოითმინე და მერე ყველაფერი გაარკვიეთ. ისე, 10 წელი დალოდება ძალიან ძნელი იქნება“.

ზორჯომსკი:

„ჩემო კარგო, 10 წელი ხომ ვერ დაელოდები? დარწმუნებული ვარ, რომ ჰყვარებოდი, დანაშაულს არ ჩაიდენდა! ასაკი რომ მიგეთითებინა, აჯობებდა. წარმატებებს გისურვებ!“

პიკოლო:

„ჩემო კარგო, შესაძლოა, მას მარ-



თლაც უყვარდი, მაგრამ რას იზამ, საბოლოოდ მაინც, ასეთი ცხოვრება აირჩია... შეეცადე დაივიწყო! უბრალოდ, წარმოიდგინე, რომ ის სიყვარული ერთი ლამაზი სიზმარი იყო და ყურადღება რაიმე კარგზე გადაიტანე. ცხოვრება გრძელდება! აბა, შენ იცი, უფალი გფარავდეს“.

რუხისპირი:

„რას მიქვია, სიყვარულის აღარ გჯერა? ერთხელ გაგიცრუვდა იმედი და უკვე ფარ-ხმალი დაყარე? ქართველები ხომ გამძლეობით გამოვიჩრევით! უნდა გამაგრდე და გადალახო ეს დაბრკოლება. მართლა არ ვიცი, რა გირჩიო. რომ გეტყვა, რა დააშავა შენმა „ლოვემ“, რჩევის მოცემა უფრო გამიადვილდებოდა. მე მნამს, რომ მარადიული სიყვარულიც არსებობს, იშვიათად, მაგრამ მაინც! იცოდე, სიყვარულს გისოსები ვერ დაიჭერს!.. 10 წელი? ე.ი. ძალიან მძიმე დანაშაული ჩაიდინა, ამიტომ ვერ გეტყვი, — სახლში დაჯექი და ელოდე-მეთქი. დანაშაული აპატიე, სული დაიმშვიდე და ყველაფერი კარგად იქნება. უფალი გფარავდეს“.

სანთა:

„პუტკუ, 10 წელი ხომ მთელი საუკუნეა შეყვარებული ადამიანისთვის?! დაელოდე, აგისნის ყველაფერს და თუ შენი ღირსი არაა, დაშორების გადაწყვეტილება თავადვე უნდა მიიღო“.

კამო:

„გენაცვალე, შენი „ლოვე“ სამუდამოდ უნდა დაივიწყო! დარწმუნებული

იყავი, ახალი სიყვარული გეწვევა“.

შოკოლადა:

„შენი მესმის, დღეს ძნელია არა მარტო ბიჭებს, არამედ ზოგადად, ადამიანებს ენდო. შენმა შეყვარებულმა სიმართლე დაგიმალა, იქნებ, არც უნდოდა, გული გტკენოდა, მაგრამ მაინც გატკინა და კარგია, თუ მის დავინწყებას შეძლებ. იმედს ნუ დაკარგავ, აუცილებლად შეგიყვარებს ვინმე ღირსეული. წარმატებები!“

ჭრიჭინა:

„ვბი, პუტკუნ, რა ცუდ დღეში ხარ. ჩემო ძვირფასო, სიყვარული გულს კვებავს, მშვიერმა კუჭმა კი სიყვარული არ იცის. წარმოიდგენია, რასაც გრძნობ. ალბათ, ყველაფერი უაზროდ გეჩვენება, მაგრამ იცოდე, ფარ-ხმალი არ დაყარო, მას ყველაზე მეტად ახლა სჭირდება. აი, 10 წელი დაელოდები თუ არა, ეს სხვა პრობლემაა. იმედია, ციხეში კარგად მოიქცევა, შეინჯალებენ და დროზე ადრე გამოვა. თუ ერთად ყოფნა გინერიათ, დრო ვერაფერს დაგაკლებთ“.

აზიელი:

„უპირველესად მინდა, შენდამი თანაგრძნობა გამოვხატო. ძალიან ვწუხვარ, საყვარელ ადამიანთან განშორება რომ მოგიხდა. კარგი იქნებოდა, ისიც მოგეწერა, თუ რა დანაშაული ჩაიდინა შენმა „ლოვემ“, ალბათ, ძალიან მძიმე, რადგანაც ამან შენდამი მის სიყვარულში დაგაუჭვა. თუმცა, ჩვენზე უკეთ შენ გეცოდინება, როგორი ადამიანია და ამის მიხედვით გამოიტანე დასკვნაც. თუ ძლიერი სიყვარული გაკავშირებთ, ის ამ გამოცდას გაუძლებს, თუ არადა, შეეცადე, დაივიწყო. ჩემი აზრით, ცუდად მოიქცა, შენზე რომ არ იფიქრა. გირჩევ, ყველაფერი კარგად აწონ-დაწონო, მიუხედავად იმისა, რომ დაღლილი ხარ, კიდევ იფიქრე — აზრები და ფიქრები ხომ იმისათვის იბრძვიან, რომ შეცდომა დაამარცხო და ჭეშმარიტ გზაზე დაგაყენონ. აბა, ჰე“.

იკუშკაზი:

„საყვარელო, დარწმუნებული ვარ, საოცრად გულნატკენი და იმედგაცრუებული ხარ, მაგრამ რას იზამ, ხომ იცი, ეს ცხოვრება ზოგჯერ ძალიან მკაცურია, რიგ შემთხვევაში კი სასტიკიც გახლავთ. პატიმრებიც ადამიანები არიან და საზოგადოებიდან მათი გარიყვა, მათთვის ზურგის შექცევა არ შეიძლება. მაგრამ ისიც ძნელია, მთელი ცხოვრება მის მოლოდინში გაატარო. პირადად მე, მამაკაცს 10 წელი ნამდ-

ვილად ვერ დაველოდებოდი. ასე რომ, თუ ჩემს რჩევას გაითვალისწინებ, ცხოვრება მის გარეშე უნდა განაგრძო. სიყვარული, რა თქმა უნდა, მთავარი გრძობაა, მაგრამ თქვენ შორის არის კი ნამდვილი სიყვარული? — აი, რა არის საკითხავი. ქალებს იმდენი ტკივილისა და ტანჯვის გადატანა გვინევს, რომ ზედმეტი პრობლემა და თავის ტკივილი ნამდვილად არაფერში გვჭირდება. ასე რომ, ჩემო კარგო, წარმატებებს და დიდ ბედნიერებას გისურვებ! დარწმუნებული ვარ, ტკივილი მალე გაგიყურდება და ნამდ-

ვილ სიყვარულსაც მალევე შეხვდები!“
ურჩი ბოვო:

„მაგ ბიჭს შეეშვი! კრიმინალის სიყვარულით ჯერ არავინ გაბედნიერებულა. საერთოდაც, რამდენ ხანს უნდა ელოდო? თანაც, ბოლოს ან დაგიბრუნდება, ან — არა“.

რამა:

„კარგი იქნებოდა, მოგენერა, თუ რა დანაშაულის გამო დაიჭირეს. ეს მოგვცემდა საშუალებას, შენთვის სწორი რჩევა მოგვეცა. ნუ გაკიცხავ შეყვარებულს. რა იცი, იქნებ, ის ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდა, საიდანაც თავის

დაღწევა სხვანაირად ვერ შეძლო ან იქნებ, ვინმეს ზენოლის, ზეგავლენის ქვეშ მოექცა?! ჯობია, როგორმე ნახო და ყველაფერი გაარკვიო“.

ბიორბი, კახათიდან:

„ვიცი, შენს მდგომარეობაში ყოფნა ძალიან ძნელია, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, გირჩევ, თავი ხელში აიყვანო და სიმშვიდე შეინარჩუნო. იცოდე, ადამიანი დამნაშავედ არ იბადება! ცხოვრება გრძელდება და ის ღირსეულად უნდა გააგრძელო. უფლის იმედი არ დაკარგო. წარმატებებს გისურვებ!“

ფლაშინგო:

„ლიკ, ძალიან მიხარია, როცა თინეიჯერების მესიჯებს ვკითხულობ, მართლა კარგები არიან. აბა, რა მნიშვნელობა აქვს, ადამიანი ქალაქელია თუ სოფელი? — კარგები და ცუდები ყველგან არიან. ბოლოს და ბოლოს, ყველანი ქართველები ვართ და ერთმანეთი უნდა გვიყვარდეს, ყოველ შემთხვევაში, არ უნდა გვჭულდეს მაინც... თანაც, სოფელელობაში სამარცხვინო არაფერია, სოფელი ძალიან, ძალიან მაგარია! მეთანხმებით?“

კლიოპატრა:

„უღრმეს მადლობას გიხდით მხარდაჭერისთვის. პანუს ვეტყვი, რომ დამნაშავე მართლა არ ვყოფილვარ და კიდევ, ვიდრე სხვას დავადანაშაულებ, საკუთარ შეცდომას ვეძებ ხოლმე. აი, სამსახური კი ჩემი მიზეზით ნამდვილად არ დამიკარგავს, უბრალოდ, ასე მოხდა... უკვე კარგად ვარ, უფალმა ყველაფერი დაამალევინა. გმადლობთ რჩევებისთვის, ძალიან მიყვარხართ“.

რუისარი:

„ქართველმა თინეიჯერებმა როდემდე უნდა ავიტანოთ უსამართლობა? „გზის“ ფურცლები ერთადერთი საშუალებაა იმისათვის, რომ ბავშვებს ტკივილი გავუზიარო. ისეთი სიტუაცია, როგორც დღეს ჩვენს ქვეყანაშია, აფრიკაშიც აღარაა. მე ჟურნალისტობა მინდა, მაგრამ სურვილი ერთია, რეალობა — მეორე. არ მინდა იფიქროთ, რომ ვინმეს მშურს, მაგრამ ერთი ადამიანი რატომ უნდა იყოს მომღერალი, მსახიობი, წამყვანი და მოდელი ერთდროულად, როცა უბრალო კაცის შვილი, არაუბრალო განათლებით, სახლში ზის? პირდაპირობა მჩვევია და ამწუთას ნუკი კომპლექსივით ვგულისხმობ (გთხოვ, დამიბუქდე). მთავარია, „იქ“ გაყავდეს ვინმე, ჟურნალისტიკაში რაიმეს რომ მიაღწიო?! საქართველოს სირცხვილად მიმაჩნია ინგა პოლიტიკაში და ევა კვესიტაძე — ეთერში. ეს 10 გამოცდაო? თავი დავაკალით 3-4 საგანს და არ დააყოვნეს, სიურპრიზი მოგვინყვეს — ახლა ათიო, ათიი... მოკლედ, რამდენი

თინეიჯერები გვწერენ

სათქმელი გვაქვს და არ გვყოფნის „გზის“ 2 ფურცელი. გასკდა გული!.. და კიდევ, ბავშვებო, რალაც უნდა გთხოვოთ: ახლა წავიკითხე სტატია სათაურით — „მჯერა, ნინოს ცხოვრება არ დაუმახინჯდება“ და ცუდად გავხდი. ვიცი, მდიდარი არც ერთი არ ვართ, მაგრამ გთხოვთ, ყურადღებით, სითბოთი და ცოტადენი თანხით მაინც დავეხმაროთ ამ ოჯახს“.

უცნობი:

„ლიკა, ვიცი, ის სტატია — „მჯერა, ნინოს ცხოვრება არ დაუმახინჯდება“ შენი დანერვილი არაა, მაგრამ გთხოვ, იმ გურჯაანელი ბავშვის ტელეფონის ნომერი მაინც გავაგებინო. სკოლებში საკვები პროდუქტი, ტანსაცმელი მოვაგროვეთ და გვინდა, დავეხმაროთ. გთხოვ, უპასუხოდ არ დაგვტოვო“ (სტატიის ავტორს შეგიძლიათ დაუუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(93) 499502).

„მეგობრებო, როგორცაა საკუთარ სულსა და პანდოზი, „დამიკიდეს“

EKOBOY:

„ბავშვებო, ამ მესიჯის მონერა იმიტომ გადავწყვიტე, რომ ახლა თქვენი რჩევა ძალიან მჭირდება. მყავდა ორი მეგობარი, რომლებთანაც ძალიან ახლოს ვიყავი, ერთმანეთის შესახებ ყველაფერი ვიცოდით, ყოველ წუთს ვმესიჯობდით, ზოგჯერ საუბარში ღამეებიც გაგვიტენებია, ერთმანეთისთვის სულსაც გავიმეტებდით, მაგრამ ყველაფერი შეიცვალა, თურმე, ცვადებოდი. ერთხელ ქუთაისელ მეგობარს ცუდი სიტყვა ვუთხარი და ეს არ მამაბტია. უკვე 1 წელია, შერიგებას ვთხოვ, მაგრამ უშედეგოდ; მეორემ — თელაველმა ისე განწყვიტა ჩემთან ურთიერთობა, ერთი სიტყვაც არ უთქ-

ვამს. ალბათ იმიტომ, რომ როცა მარტოსული იყო, მხარში ვედექი, ახლა კი სამუშაო იშოვა და „დამიკიდა“ კიდევ. ალბათ, ახალი მეგობრებიც გაიჩინა, არადა, როგორ მეფიცებოდა სიყვარულს. მერწმუნეთ, მისთვის კარგის მეტი არაფერი გამიკეთებია, სამაგიეროდ კი რა მივიღე? — მეგობრებმა, რომლებსაც საკუთარ სულსაც ვანდობდი, „დამიკიდეს“ და დღემდე ვერ მივხვდარვარ ამის მიზეზს. რა ვქნა, რა გავაკეთო, რომ ორივე დავიბრუნო? მარტოსული ვარ, არავრის ხალისი არ მაქვს“.

„ეს რომ გაიგოს, აუსილახლად დაგპორდაბა!“

ვიკა, 16 წლის:

„გამარჯობა. მე თქვენი ერთგული მკითხველი ვარ. მყავს შეყვარებული, მაგრამ მან არ იცის, რომ ბოზი ვარ. ეს რომ გაიგოს, აუცილებლად დამშორდება, მე კი მასთან ურთიერთობის განწყვეტა არ მინდა. რას მირჩევთ, როგორ მოვიქცე? თქვენი დახმარება ძალიან მჭირდება“.

P.S. მაშ ასე, თუ EKOBOY-სა და ვიკას წერილების ნაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმისჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.



მოზილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მოზილი-ზაციაში“ მოხვდეს, მოზილურ ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვით ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნით ნომერზე: 8884. ჩემს მოზილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ წრცელი მესიჯის გამოგზავნა გასურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.



ქაღაბი

- ვარ 179/1875. მსურს შევექმნა ლამაზი ოჯახი, მაგრამ ვერ ვიპოვე ჩემი ღირსი ვერავინ. დამირეკეთ და იქნებ ერთ-ერთს გაგიმართლოთ. ეპ, სიყვარული. დიკი ანგელი.
- ვარ რაიონიდან და ქმარს გაცილებული. ვცხოვრობ მშობლებთან. მსურს შევექმნა თბილი ოჯახი. თუ სურვილი ექნება ასეთ პიროვნებას, გამოემხმეაუროს. ვარ 27 წლის.
- ვარ ცისფერთვალეა, ქერა, მაღალი, გამხდარი, ფსიქოთერაპევტი. მაქვს საკუთარი ბინა და მანქანა. მაქვს სოლიდური შემოსავალი, ვარ 32 წლის, ქალიშვილი. ოჯახის შექმნის მიზნით გამოემხმეაუროს სიმპათიური, 35-45 წლის მამაკაცი. ლოთებისა და უსაქმურების ატანა არ მაქვს. სასურველია, კახეთიდან.
- მინდა, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნო 35-წლამდე ასაკის მამაკაცი. მქვია ირმა, ვარ 25

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მოზილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრიბილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ლ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

- წლის. დამირეკეთ და შევექმნათ ბედნიერი ოჯახი.
- ვარ 40 წლის, ქვრივი, მინდა გავიცნო 50-55 წლამდე ასაკის მამაკაცი, დაოჯახების მიზნით. გელთ ერთგული და პატიოსანი ქალი, იუმორის მოყვარული, მხიარული. ლია.
 - ვარ 41 წლის, ქვრივი ქალბატონი. გავიცნობ თბილისელ, ქვრივ, შეძლებულ მამაკაცს, ჯერჯერობით სამესიჯოდ. არასერიოზულებმა თავი შეიკავეთ. დანარჩენი — პირადად. ნია.
 - გავიცნობ 42-47 წლის ქვრივ ან უცოლო, შეძლებულ მამაკაცს, სერიოზული ურთიერთობისთვის, ჯერჯერობით სამესიჯოდ. ვარ 42 წლის, ქვრივი ქალბატონი. დანარჩენი — პირადად.



ქაჯი

- გავიცნობდი ოჯახის შექმნის მიზნით 36-წლამდე ქალბატონს. ვარ 38 წლის, რაიონიდან.
- გავიცნობ 18-23 წლამდე გოგოს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ ლადო, 23 წლის.
- მინდა გავიცნო გოგო სამეგობროდ და ლამაზი ურთიერთობისთვის. ლუკა, 20 წლის.



სპელდსპა

- წვიმი... მიყვები წვიმით დასველებულ და სიცივისგან მოწყვნილ ხეებს. ნეტავ წვიმისა და სიცივის ბრალია თუ მათაც ჩემნაირად გული ატვირის?
- მარი, საყვარელო, როგორ ხარ? თქვენი მუდმივი მკითხველი ვარ, მაგრამ აქამდე ვერ გავხედე, მომეწერა. მიყვარხარო ყველა. გზადლობთ რომ არსებობთ! გვანცი.
- ოჰ, FILIPPO! PLEASE, TELL ME: WO AM I? IF YOU HAVE N'T BALI NETWORKS NUMBER, U COULD WROTE ME... OK? ALL UNDERSTEND? SO WAT... ASHLEY PCD.
- დიდი მადლობა გოჭუკებო, ჩემი ლექსები

- რომ გეცავებთ. სკარლეტს ბავშვო კი არა, ბარტყო მივწერე. :) ზაფხული მინდა. მინდა მინიკაბები და დეკორატიული ჩაიცვა. ASHLEY PCD.
- HEELP! ყოველდღე ფაქტობრივად, ვკვდები ბავშვი. შხაპის მიღება ტრაგედიად მექცა, უჟემგონი დროა, მარტო პრანდინკებზე ვიბანაო. :) ASHLEY PCD.
- კამ-კამ, ცხადია, გაგეცნობი, ლამაზო. ბათუმელე, პირველ თოვლს გილოცავთ. ASHLEY.
- ყველას გილოცავთ დავითობას! განსაკუთრებით, დათოებს. :) ეექს, ცხონებული ბებიჩემი გამახსენდა. ჩემს ძმას ეძახდა ხოლმე: დათო, სადა დაეთრევი, დაეთებმა შეგჭამონ შენაო. ASLEY PCD.
- ილო პაპა, ღმერთის იმედი არ დაკარგო, სულ ვლოცულობთ. კარგად ვართ. სალოს დიდი წინვლა აქვს, ნინო გველაპარაკება! ძალიან გიყვარხარ, პაპი! ბარბარე, ნინო, ია.
- გამარჯობა, მგზავნელებო, დიდი სიყვარულით მოვიკითხავ პარიფენას, ილინს, უკარვლას, ლიმონას, GREEN GIRL-ს, ლუნას, უზნეო ანგელოზს, ოლეგარიოს, სესის, კოზანოსტრას.
- კოზანოსტრა, არადერს. ჰმ, ისევ შენი კნუტი ვარ? აბა, ხათო ვინღაა, შენი ფისუნია? ASHLEY PCD.
- გოგონებო, მომისმინეთ, აბა, გამიფრეთ, მხოლოდ ია ყოველთვის ვარდებ ადრე რატომ ხარობს, რისთვის... პასუხი ნომერზე მომწერე! მბა.
- ეს ლექსი 2009 წლის 23 მაისს, ლამის 12-ის 56 წუთზე დავწერე და ერთ ადამიანს მიუუძღვენი, ვინც სიცოცხლეს მერჩინა. ამ ლექსს „შენი თვალისათვის“ ჰქვია: შენი თვალები, ასე უძირო, ამოუცნობი მზერით მიზიდავს... ცარიელ ოთახს მოვავლებ მზერას, მზერას სევდიანს, მზერას ფიქრიანს... შენი თვალები თან დამსდევს თითქოს, სიცოცხლე მიხმობს, მე კი ვნებდები... და მაგ ლამაზი თვალების გამო, ტკივილიანი მცვივა ცრემლები... ოდესღაც მწვანედ ჰყვავოდა ცაცხვიც, ახლა გაყვითლდა, დაადარდიანდა. უმწუბობისგან გადაქანცული, შენზე ოცნებას გულში ვინახავ... დაცარიელდა ამ ოთახივით, ჩემი სიცოცხლე, ბედნიერ დღეთგან... ძილი გამიტყდა, ისევ მოგელი, იქნებ დაბრუნდე, უაზროდ მეყრა. შენი თვალის მზერამ, სიცოცხლე, შენმა ტუჩებმა გონი წამართვა; განშორებისას არც შემომხედე, შენ სიყვარულის ალბათ არცა გწამს... ცარიელ კედლებს, ცარიელ სულებს, გამტყრებული შეყვრებ დიდხანს, შენ მე მომპარე უმანკო სული, გული, რომელსაც უყვარხარ, ვფიცავ! ავტორი მე, ASHLEY PCD.
- ეკამო, რა დანერწყვილი ხელით კეფაში წამოსარტყმელი ბავშვივით ონავრობ და 09-ის ოპერატორივით მინელავ საუბარს? ROCK SMILE, დამიკავშირდი. მადლობა, არიანდა. მისტერი.



• ვალერი მამასახლისო, არ დაიგრუხო, შეი-
ლო. მაგრად იყავი, სანამ ცოცხალი ვარ, არ
გაგერდები, ვიბრძობ ბოლომდე. დედა შენ-
თანა, მარტო არ ხარ. შეილო, მიყვარხარ.

• გამარჯობა, სუუუუუუ... ყველა... მეც დაგე-
რუნდი „გზაში“. ASHLEY, მაგარი ლექსებია. ცოტა
დამახვედინა, მაგრამ მაგარი იყო. მოვიკითხე
იკუშებს, დიდი სიყვარულით. პიკოლო.

• მინდა, რუსუდან გელამვილს ვუთხრა, რომ
უმაგრესი ჟურნალისტია. ძალიან საინტერესო
ამბებს წერს. „ეს სამყაროსა“ და „ტაიმ აუტს“
უდიდესი ინტერესით ვეცნობი. ASHLEY PCD.

• აუ, ლალი მოროშინას ავტობიოგრაფიაში
ფოტო რომა ჩართული: მიშა სააკაშვილის კლა-
სი, მასნის წინ 2 ბიჭი რომ ზის, ეგენი დედაჩე-
მის მამიდაშვილ-ბიძაშვილები არიან. ერთ-ერთი
მათგანი, მამუკა, ცოცხალი აღარაა. ASHLEY PCD.

• SCARLET, ე.ი. მეორე დღესაც თბილისში
ბრძანდებოდით და არ მწახვ, ხომ? კაი, დავიმასხ-
ოვრებ. :(ASHLEY PCD.

• გლუკოზ, გაიხარე. აბარექსია, მერამდენედ
ხარ ახალი? :) ROCK SMILE, კაქი ლა, გოჭი,
სულ დაგრუხული უნდა იყო? :(ASHLEY PCD.

• რა უბედური ვააღ. :(პაპაჩემი კვდება. თუ
2200\$-იან ოპერაციას არ გაუკეთებთ, 2 კვირაც
ვედარ იცოცხლებს. :(ეს 1 პაპა და მარჩა, სხვა
არ მყავს. ჩემი პაპიკო. :(თან ჩემს ძმასაც ფილტვ-
ბის ანთება აქვს. :(ASHLEY PCD.

• აუ, „გზაში“ „ქუდად გარყვნილი ფოტოა
რომა მიბეჭდილი, იმ პუტანკის ქუსლიანი ბა-
ჩიები დამეცასა. :) ფილმი რომაა, „შობაგოლიკი“,
ისე ვარ მეც. :) ASHLEY PCD.

• FILIPPO, გაიხარე, საყვარელო. :) გაგარი-
ნი, მინდა მე მოვიკითხო ჭორიკანაც. :) არიანდა,
გენცვალე, კაი ხარ და გზადავ მოკითხისთვის.
ყველა გაკოცოთ თქვენაო. სოფი19, ცისფერ-
თვალეა ქალი, კეთილი იყოს შენი მობრძანება.
ქ-ნო შხია, თქვენს ვალერს გამოუშვებენ, რწმენა
არ დაკარგოთ, უფალი მოწყალეა. ASHLEY PCD.

• 9717, შენმა გამოგზავნილმა ლექსმა „ეს შენ
გაგონა, წახვედი ჩემგან“, ჩემი უდიდესი აღფრ-
თოვანება დაიმსახურა. ვინაა ავტორი? გლუკოზ,
გმადლობ. გაცნობდი. ASHLEY PCD.

• გლუკოზა, გმადლობ სისხარელო, სიამოვნებით
გაგიცნობ. კოზა, სულ არ მაინტერესებს, თავანი
რომ მაქვს ჩასაბარებელი. :) ხიფათს მე კი არ
ვეძებ, ერთხელ მიპოვა თვითონ და... :) სოფი19,
მისტერის, ჭრიჭინასა და სო-ნის გზაზელებზე
საკუთარი STORY-ები გამახსენდა. 2008 წელს,
რამდენჯერ გადავწვიეთ მე და ჩემმა ექსსასტავმა
იპოდრომი, აღარც მახსოვს. :) მერე კი, სახან-
ძროს ვიძახებდით, არიკა, გვიშველეთ, იპო ინვი-
სო. :) ერთი ფიზიკის მასნი მყავდა, რომელიც,
თავის დროზე ჩემს სადარბაზოშიც ცხოვრობდა.
სიარული საკმაოდ უჭირდა, მადა კი ჰქონდა,
იცოცხლე! მუდმივად ნაცხერებსა და ღვეზელებზე
გვაგზავნიდა, დამშულო, ნერწყვილმდარ ბავშვებს.
მხოლოდ ერთადერთხელ შემოგვთავაზა მე და
ჩემს კლასელს, თითო-თითო ცალი ფუნჯულა და
მამინაც, სამივე მოვიწამლეთ. :) პირდაპირი გაც-
ნობის მსურველი ხალხიც, ჩემსავით არავის ჰყავს:
1 კვირის წინ, მომივიდა SMS: „გამარჯობა ლამ-
აზო, შენი გაცნობა მაგრად მინდა. ვიცო, თემ-
ქაზე ცხოვრობ, მაგრად გეყვება დისკოთეკები.
გამეცანი და ხვალ, 2 სთ-ზე ასმეტელების
მეტროსთან მოდი. გიო“. ASHLEY PCD.

• გადარეულო, შენ მაგაც არ იდარდო, უყე
ჩაიბრთლი ვარ „გზის“ მორევი. :) აუ, აზიელი
მართლა ჩათელი ყოფილა. 2 წელზე მეტია,
ვამეცხვებ და არ მახსოვდა. და... აზიელი, SOR-
RY. ASHLEY.

• აუ, თქვენ არ იცით, როგორ მიყვარს
ექსკურსიები. მით უმეტეს, ამით მგზავნელების
გაცნობის საშუალებაც მომეცემა. მე ხომ ასე
ძალიან შეგვიყვით. მიყვარხართ ყველა. MISS.

• გარკვეულ არც დაკვირვებთარ, გადავშალე
და მინდობდა, რამე წამეკითხა და დრო მალე

გასულიყო. „წითელი ფესხამელი“ (საყვარელი
ფერია ჩემი, თან მთავარ გმირს ჩემი სახელი
ჰქვია). ჰოდა, დავინეგ გაფაციცებით კითხვა...
მას შემდეგ ყოველ ხუთშაბათს გულსფანცქალირ
ვკითხულობ ყველა „გზის“ მორეგს. :) MISS.

• ვიტყვი, მორჩა, არ დავინეგებ ლოდინს, მა-
გრამ გული ისევ შენვე მოქრის, დავეჭიდები,
ღმერთო, ეს რა მომდის, ასე ძლიერ შემეყვარ-
დი? როდის? MISS.

• P.S. ეს ლექსი „გზას“ და მგზავნელებს
გეძღვნებათ. ვერც კი მივხვდი, ისე ჩამითრია
მგზავნელების მორეგმა. :) მინდა, ყველა გაგიც-
ნოთ... MISS.

• დილა მშვიდობისა, როგორ ხართ? რაღა
დილა, უკვე შუადღეა... მაგრამ ჩემთვის დილაა,
რადგან ამ დროს ვიღვიძებ... აღარ გეყოფს ამდენ-
ი ჩხუბი? ქუჩა ხომ არაა? პიკოლო.

• დოლარ, როგორც ყოფ... შინაბერა, შენც
ხომ დამუხვდი ადრე და ახლა ალიკლიკდი? ასე
მოუვიდა იმ კაცსაც. ბერბიჭ, თავს ნუ გაუყა-
დრებ მაგ შეგნებაგაგზერტილ ძუნას. გააკოო-
ცოო.

• გონება შენთან ფლირტს მიშლის, შენვე
მენევა ინსტიქტი. ვერა, ვერ გამოვუტანე, საკუ-
თარ ვნებაც ინსტიქტი. მაგ შწარე ირონისთვის,
სამაგიეროს ვერ გიხდი. ცისია.

• არიანდა, გმადლობ, შენმა შეფასებამ გული
გამიხარა. ნიუ, შემოგველე, პალატელო. FILIP-
PO, რაის მადლობა? :) ნეტავ რუსიპირი გე-
კითხულობს? მომწონს მაგის აზროვნება. ფეშენა.

• ჩემო ბერბიჭა, ჩვენ რა გვაქვს, გასაპარ-
დასამალავი? დაე, ქვეყანამ გაიგოს, ამ სიყვარუ-
ლის ამბავი! ზოგიერთი არა ვარ, სხვისი
გრძნობების მპარავი! გოცნი, ცხრათვალა.

• აუ, JEAN CARLOS CANELA-ზე ვფორთხ-
აა! მაგარი ზმანი და მაგარი სექსია. მაგრადაც
მეღრის. მისი სიმღერებიდან ყველაზე მეტად BUS-
CAME მიკაალს. აუ, გზის რედაქციას უმორ-
ჩილესად გათხოვ, JEAN CARLOS CANELA-ზე
ინფორმაცია გამოაქვეყნო. მინდოსი და ფი-
ლოგრაფია მაინც. ASHLEY PCD.

• აუ, ხალი, როგორ ბიჭს ეძებ? ქალაქელს?
:) ვაიშე დედიკო, სიცოცხესაც ცუდად ვარ. დივი
ანგელო, 100%-ით ვარ დარწმუნებული, რომ ბარელი
დაკვი ანგელი ხარ და იმის გათვალისწინებით,
რასაც წერდი ფსიქოლოგ ლინდუკას, გასაგებია,
რატომაც ვერ თხოვდები. არავის მოსწონს გოგო,
რომელიც ყველა ბიჭს ეზახავება და ყველა ბიჭს
ლოგიში უსტება. ჩემი SMS-ი სანწყინდა არ მი-
ილო, რჩევად მიიღე. ისე კი, ჯერ მთელი ცხ-
ოვრება წინ გაქვს და რა გეჭაქრება? :) ასე რომ,
ჩემო სოფი, ჭკუით და გააკოე. ASHLEY PCD.

• მოვიკითხე ჩემს საყვარელ ხალხს: სოფი19-ს,
SCARLET-ს, კოზანოსტრას (გაბრაზებ ხოლმე,
ვიცი. მარა მაინც ძან მიკალქალი), SWEET GIRL-
ს, სუპერსთარს (შემოეთრიე ხოლმე „ოდნოში“),
GREEN GIRL-ს, უკვდავ ხმას, აპოლონს. ვინც
გამომრჩა, SORRY. მიკალქალი. გიპაჩეთ. ASH-
LEY PCD.

• ASHLEY, ცუდი გოგო არ ჩანხარ. ბერბიჭ,
ჩემი ბრალი იყო. ორივეს გირიგდებით. დოლა-
რა.

• მომბაძე, რაც მართალია, მართალია, ორივეს
მაგარი იუმორი აქვთ. მოკეთე, არ გამაბრაზო.
ნავლი.

• ვალერი მამასახლისო, მამაო მოვა და გა-
ზიარებ. ღმერთს მივნივ, რწმენა არ დაკარგო.
მამაშენი შენს მოლოდინშია. პაპამ მოგიკითხა.
ყველა ენატრები. არ დიდარდო, გოცნი.

• უკვდავი ხმა, კაი ტიპი ჩანხარ. გაგიცნობ
დიდი სიამოვნებით. :) ქალი ცდუნება გავიცანი.
უსაყვარელესი ქალუკაა. ASHLEY, მაგარი ლექსე-
ბი გაქვს, სისუფ, ჭორიკანა, მუჰა. სოფი19.

• ემიგრანტო, ახლა ამსვა-დამსვა და თენში
დამსვა, ჩანა ჩაგვუტებოდი მაგ თბილი იუმორ-
ი გახივოსნებულ გულში! არიანდა, შენი დაბ-
რუნება გამიხარდა. გლუკოზ, თუ მოინდომებ,

მიპოვი. ჩემო ათინავ, რით გიბლავთ? რით და
გული მაქვს კეთილი. ჰოდა, გისუტებთ ამ გულ-
ში, თოლი, მემე და SWEET GIRL-ი. აი, დოლა-
რასნარებს, პარდონ და — მრავალწერილი.
ბერბიჭა.

• დოლარა ხარ თუ სტერლინგა, დამლალა
შენმა სივრემ, დავაი, ბანაო, აუდე, გარშემო შე-
მოიბრძინე. წელს შემოთ პენა მეყოფა, ახლა
წელს ქვემოთ მიკბინე. რას ყმუი, ჰა? ბერბიჭა.

• ვაპ, მემეო, რამიგან ხარ, რას მამრუნებ, რა
ზნე გჭირს? ცხრათვალას რომ ვერ ვალატობ,
ჩახვედი ჩემსა გასაჭირსა. გილიარებ სილამაზეს
და გონებას, თამარისას. ბერბიჭა. გაკოცე.

• დოლარ, ისევ ისეთი გველი ხარ, ახალ ტყავში.
უკან შემეშრალი, უკვდავი სოლიტერივით, ნუ მე-
ლაკნები მაგ გარყვნილი ფანტაზიებითა და მო-
მავედავი ინტელექტით. ფუუჰ. ბერბიჭა.

• მგზავნელებო, ამ გოგოს გესლისგან უკვე
ჰაერი ყარს. თუ თქვენც და მარცხ ასე ფიქრობთ,
ახლად მითხარით, ნადი ნიკების მითითებით
და ნავალ. გეყვადეთ ეგ ავი რეკაბი. ბერბიჭა.

• ვალერი მამასახლისო, გენაცვალოს ლამარა
ბუბო. გილოცავ დაბადების დღეს. გაუფრთხილ-
დი თავს, კარგად იყავი. გოცნი, ლამარა, ლია,
ლელა, ლეანა, გია. გეყვარხარ, ვალერიკო.

• თაზო, არ ვიცი დედა, როგორი ტყვილია
შენი გაჭირება ჩვენთვის. გაუძელი, მალე კარ-
გად იქნება ყველაფერი. ამას მე გაბრძობი. გოცნი,
ზოია.

• ახალი ვარ, მაგრამ ვეცდები, შემოგიერთ-
დეთ. იმედია, გამოვივა. :) ვიგრები ხართ... ჯორ-
ჯო.

• ემ, ჩემო სიცოცხლე, ძალიან მიყვარხარ და
მეყვარები სულ. სალომეს თავიდან მოვიშორებ,
იცოდე, გახანდაგურებ. ძალიან მიყვარხარ. მარი.
• ჭიქას დახვდა შავი თვალებით, მთვრალი
იყო და მაინც დალია, ნამიერად კი ისევ წა-
მოსცდა, ოჰ, სიყვარულო, შენი ბრალია! MISS.

• ლუნა, ნიკა ქურდაძე განსაჯის, ჰო? ნიკა
ჩემი დედაშვილია, მეც მანდ ავიღე სერტიფიკატი,
მაგრამ დავდივარ ისევ დაუსაქმებელი. :) გადა-
რეულო და აბუზარა, გაიხარეთ დამავიო.

• დოლარავ, ვინ მოგვა ადამიანების ასეთი
შურაცხყოფის უფლება, შე ძროხავ? რა უნდა
წმინდანს, თოვლისპაპობასთან? თვითონ ბილ-
ნსიტყვაობ და ეგ მორალი შენს ბოზურ სულს
ნაუკითხე, უდრო. ელენიკო.

• გამარჯობა ყველა. მე დიდი ხანია, „გზას“
ვკითხულობ, მაგრამ დღეს პირველად დავამეცხვე.
9717, ძალიან მომწონს შენი ლექსები, ძან მაგარი-
ია, გაიხარე. ბარტყი.

• სიცარილე... ისევ სიმარტოვე. ისევ ცრემ-
ლები და ისევ მონატრება. ვნება დალეული,
როგორც სილამაზე, მზერა დალეული, როგორც
მონატრება...

• მთავარო, ადამიანში ადამიანურმა არ გადა-
წონოს ღვთიური. სწორედ ამიტომ გამოხმარე
ჩემს SMS-ს, არა? ჰმ. რა ხარ. მე ნამდვილად
არაფერი მანუხებ. აბა შენ იცი. სისჩო.

• მზეს ეძებს ვაზი, მზე მის გულში ჩაქარ-
გულია/ სიყვარულს ეძებს კაცის გული. არ დაი-
დარდოს/ ვისთვისაც მზე და სიყვარული დაქარ-
გულია/ უმჯობესია, არასოდეს არ დაიბადოს/
აზიელი.

• არიანდა, დაიკო, მეც თილისმად ვატარებ
შენს მოძღვნილ ლექსს. კამ-კამ, გლუკოზ, მომწ-
ერეთ და-მშურში ჩაგისუტებთ. მემე, უფლისგან
რჩეულო, სათუთო სულო, გეთყვანები. ენიგმა.

• დოლარა, კრიტიკასაც სჭირდება კულტუ-
რა. ბერბიჭსა რა ვთქვა, მარა შენაირები ნაღდდ
სისხლის აღრევისას იბადებიან. აგვენა? საკუ-
თარი შხაში მოისვი და ჩაგიცხვრება. ენიგმა.

• მარ. მესიჯებს თუ დამიბეჭდა, „გზის“
თავგადაკლული ფანი ვიქნები. თუ არა და, მეტს
აღარ მოგვერ. ვიფიქრო, მაინც არ მიბეჭდავს-
მეთქი და... :) მმპუჰა... ნინ...

• არიანდა, გენცვალე მაგ საყვარელ გულში.



შოკოლადი კაპანაძე იყო ჩემთან და მითხრა შენი წარმატებები. მომილოცავს, დაიკ. ლუჩი, მენატრები. GREEN GIRL.

• SWEET, აქ ვარ მე და გიყურებთ ყველას. საცივში კი არა, საწოლში გავატარებ ახალი წლები. ანთება მქონდა და... მომენატრე, ცუცქნა. კამკამ, გენაცვალე. GREEN GIRL.

• არიან, ქალი, მე ვარ ლიდერი? :) გამაცინე. ისე კი, ბავშვობაში ვოცნებობდი ლიდერობაზე, მხოლოდ, აყვანილი ბავშვების. :) მინდოდა, 20 ბავშვი მაინც მეშვილა, გამეზარდა მოდურ სუპერგოგონა-სუპერბიჭებდა, მე კი წინ მაღალყვლიან ჩექმაში, მინისა და დეკორატიული გამონახობილი ჩემს რაზმს ბრძანებთ — COMMON BABY-ს! და ისინიც მორჩილად გამომყვებოდნენ და მიპასუხებდნენ: WE'RE HERE MUMMY. :) ASHLEY PCD.

• მარ, მიყვარხარ! მართლა უკარგესი და უტკბილესი ხააარ! ვინაა მსოფლიოში ყველაზე მაგარი და საყვარელი ქალი? გააკოცე უამრავი. ASHLEY PCD.

• აუ, მგონი მსოფლიო სერიალების ისტორიაში ყველაზე კრეტინობა (სიტყვა სოფელულობას არ ვიხმარ, რადგან ცუდად იგებთ) „ჩვენი ოფისია“ აღარ იცინა, რაღა გადავიღონ. პრიმიტიული იუმორი და მუდმივად პავილიონებში გადაღებული კადრებია. ASHLEY PCD.

• ბერბიჭ, ჩემი ფავორიტი ხარ. გენათალე, ძაან მაგარი კაცი ხარ! ზუკ, კეთილი იყოს შენი მოზრძანება. ანანო, შენს გზავნილზე ვიფორთხე. :) გიპატივ, გაბუსკნულბო. ASHLEY PCD.

• რა მაინტერესებს, იცით? მართლა ვერ ხვდებით, რომ ბერბიჭა და ენიგმა ერთი და იგივე ადამიანია? მარ, ამოიღე ხმა, გვითხარი სიმართლე! ცხრათვალასა და ბერბიჭას ლექსებს დაუკვირდით, ერთი და იგივე ადამიანის დაწერილია ბერბიჭა საკუთარ თავს ეკვიფება. თანაც, ხასიათებს დაუკვირდით, სანამ აქებენ, ენიგმაც და ბერბიჭაც როგორი ბილინგუები არიან. თუ ვინმე მუშტია, მაშინვე ბილინგუაობაზე გადადიან და კონტროლი კარგავენ. ვაიიი მის პატრონს, ვინც მაგას ვერ ხვდება.

• აუ მარ, გვეწვები, მინრომანი დაწერე, სანტე-ქნიკოს ქალსა და მეუღლისგან წინა დღით მიტოვებულ მამაკაცზე. შპა, ქალუსი. ASHLEY PCD.

• როგორ ხართ, სისხარულბო, ძაან მიყვარხართ და გაფასებთ, არიან, კარგი ხარ სისხარულბო, გმადლობ მოკითხვისთვის, ძაან ყურადღებიანი ხარ. მე სუყველა მასხოვხართ და არასდროს მაინყვდებით. კრიშა, სად დამეკარგე? სადაური მეგრელი ხარ, შემეხმარე სისხ. გააკოცეთ გულში. თქვენი იდუმალი ქალი.

• ფურნალი „გზა“, SMS-ფიქვები და ათასობით ერთგული მკითხველი. SMS-თავაში მოყოლით ვიგარქნი, რომ ჩვენ ერთმანეთს ყოველთვის ვჭირდებით! არ მძულხართ, რა:) სარვიტა.

• კამ-კამა, არ ციცი, რით დავიმსახურე ამხელა პატივი. გმადლობ სისხარულბო, ასეთი სიყვარულისთვის. შენც ძალიან თბილი და კეთილი ხარ, ძალიან მიყვარხარ და გაფასებ. ოლეგა-რიო.

• თუ მოგენატრები, სიზმრად ჩაიყოლე ეს დიდი სურვილი და ჩემს წუმ სუნთქვას იგრძნობ უმალ... თუ გენატრები, თვალდახუჭულიც რომ იყო, მაინც მოვა ჩემი ლანდი.

• მოგესალმებითოო. მოგეჯორიკნდი და გადავვებთ თვალს, ჩუმად. ნუ, ჯერჯერობით. მოგიკითხავი, ნაცნობო. ვისაც ჩვენი არეული არ მონონს, იმისი დალაგებულის... ჭორიკანა.

• გიჟუნია, როგორ ხარ? შენი ჯავრი მაქვს. ყველაფერი კარგად იქნება. ხომ იცი, ყველანი შენ გვერდით ვართ. ძალიან მიყვარხარ და მენატრები. კოცინე უთვალავს. შენი ქალი.

• რუსთაველი მოვიკითხავ ბატონ გიორგი ფეთელავას, ვუსურვებ ბედნიერ და მშვიდ ცხოვრებას. იმედია, მალე გამოჯანმრთელდები, სისხარულბო. 744.

• მე მგებობრობამ დამძლია, ამაღებინა კალამი,

ამ SMS-ის ნამკითხველს, ჩემგან გულთბილი სალაამი. 777.

• გზავნილები პაპატარა ოლიმპიელებს და აბიტურიენტებს მოვიკითხავ... აბა, თქვენ იცით, ნიჭიერი როგორ... უმადლესი შესაფუძვლების მიღებას და წარმატებებს გისურვებთ. SWEET-GIRL.

• ბავშვებო, ფართი აღარ მაქვს და იმიტომ ვერ გწერთ ხოლმე. შოდა, ნუ ამანოიკეთ. შემეზაადეთ მაინც, წინასწარ, რომ მაქცრებით თავს თემურ ლენგის ლაშქარით. ელბიკუნა, ჩემს ბუქილინიკობას წარმატებით ითავსებ. შემოგვევლეთ თქვენ, SWEET-ს უყვარხართ ძაალიანოო... SWEET-GIRL.

• ერთი ბიჭი ბექუნია ძალიან მბრანებს და ჭკუით იყოს. სპეცნაზ, სად დამეკარგე? ძალიან გამიხარდა დათოს და ლალოლას გაცნობა. გაიხარეთ, ბავშვებო. ძალიან საყვარლები ხართ. FILIPPO, ASHLEY-ს არ იყოს, იმ 3 თარსი ციფრის ბრალია მგონი ის, რომ SMS-ები არ მოგდის. არ გამიბრუნებ, გენაცვა. SWEET-GIRL.

• მარი, როგორ ხარ? ძალიან კარგი ჟურნალია და ყოველთვის ვკითხულობ, მაგრამ ერთი შეკითხვა მაქვს: რატომ არ გაქვთ „გზის“ საიტი?

• გამარჯობა, მგზავნილებო, როგორ ხართ? ალბათ კარგად, მაგრამ ეს ერთმანეთის ჭამა რატომ ვიცით, ვერ გამიგია. მარი, გული დამწყდა, ჩემი გზავნილი სულ სხვანაირად დანერგე. თიკუნია999, მინდა გაგიცნო, მაგრამ... მეც ათენში ვარ. ათინანა.

• ბერბიჭა, შევეცდები საბერძნეთში სპონსორი მოგიძებნო. შენს განცხადებას და შენს ყველა SMS-ს ვაკითხებ, ვისაც კი ვნახულობ კვირა დღეს (სამწუხაროდ სხვა დღეებში ვეშუაობ. მართო კვირა დღეს ვნახულობ ქართველებს). ძალიან დიდი მონონება დამისახურე. ძალიან ნიჭიერი! მაინტერესებს, სწავლობ სადმე? და სად? შენს ნიჭს სათანადოდ გამოყენება (ბოდიში) სჭირდება. „გზას“ რომ ვკითხულობ, კითხვას „გზავნილებით“ ვიწყებ და გამოცანა, პირველად ვის SMS-ს ვკითხულობ? შენსა. შენს ნიჭზე შეყვარებული ვაიმე, რა ნიჭიერია ეს ადამიანი). მაპატიეთ. თქვენი თიკუნია999.

• „გზა“ „გზავნილების“ და მარის გარეშე წარმოუდგენელია. მე ახალი ვარ და ყველანი მიყვარხართ. პატარა ქალი.

• სალაამი ჩემს მონატრებულ საქართველოს და ყველა ქართველს. ასევე ყველა მგზავნილს მივესალმები და ვუტყვი, რომ ყველანი ძალიან კარგები ხართ. მარის მოვიკითხავ, განსაკუთრებით. მარ, დიდი მადლობა, რომ ჩემს SMS-ს აქვეყნებ. მართალია, ხშირად ვერ ვახერხებ მონერას, მაგრამ „გზა“ ყოველთვის მოუთმენლად ველოდებით. ეს ქართული ჟურნალ-გაზეთები ცოტას ვამხნევენ. ნეტავ, ყველაფერი მალე შეიცვლებოდეს და ჩვენც შევძლებთ ჩვენს საყვარელ ხალხთან ყოფნა. ამ მესიჯსაც თვალცრემლიანი გწერთ. ეგ იმ დიდი მონატრების ბრალია, რომელიც ჩემს პატარა გულს არ ასვენებს. მინდა დავამთავრო აქ, თორემ დასაძერი ბევრი რამ მაქვს. ყველანი ძალიან მიყვარხართ და გეხუტებით გულში. ნანუკა.

• ხათუ, სისხარულბო, ვერ წარმოიდგენ, როგორ გამახარა შენმა მესიჯმა. კვირას „გზა“ რომ ვიყიდე და ნავიკითხე, ვიბრუნე შენს სიტყვებზე. დიდი მადლობა, ლამაზი და თბილი სიტყვებისთვის. გეხუტუნე. ჩემთვისაც საყვარელი ადამიანი ხარ და უზომოდ მიყვარხარ. უძლიერესები ვართ და შოროდ მიყვარხარ. უძლიერესები ვართ და შოროდ ვერაფერი დავაკვლებ. ნანუკა.

• ბერბიჭა, გაიხარე ძირფასო. შენი და ციციას ვაკვირებ მაგრად მიგრძნობს. ASHLEY PCD, მაგარია „პაპატარა“ ტბის სერენადა“. ღმერთი გვარადვით მგზავნილებს და საქართველოს. ისე შევცვლილყოს მდგომარეობა საქართველოში, რომ მალე ყველა უკან დავბრუნებულიყავით, ჩვენს ოჯახებში. იტალია თამარი (ღარ მინდა აქ ყოფნა).

• ეიფორიაში მყოფი გრუზინკას გალობა: მე დავბრუნდი, გრუზინკა ვარ კუდრაჭა (ფუი, ეშ-მას, ჯვარი აქაურებს და არაუღელ კუდრაჭებსა),

დავფარფატებ, ჭრელ ბეჭელას ვედრები, შემეგებეთ სიმღერით და სიცილით, გადმოყარეთ სისარულის ცრემლები. შემოხედეთ! ხომ ნამდვილი გმირი ვარ? (მაშა კაცო, გრუზინკა ნამებული), მაშ დამეკითხე..... შედლები.

• გავამდიდრე ჩემი დეპოზიტი. გახარებულე! მარა ხუთშაბათს თუ დამერხა და მესიჯები ვერ ვნახე, რა ვქნა? ეპ, სანტა.

• ჩემი სანუკვარი „გზა“ ახლა მოვიპოვე. გადავფურცლე და ფაფუ! ჩემი SMS-ები ალ აღის. არ დაგიბეჭდავს, მარ. ცოტა კი მენყინასავით, მაგრამ მაინც ვამბეჭდებ. ორი ნიკით რომ გწერ, ალბად იმიტომ მწირავ, მაგრამ ასე მირჩევნია და გამიგე მარ, გთხოვ. მეორე ნიკით იშვიათად მოგწერ, გიბრუნებ. ბესტია.

• მე მაპატიე, თუ ოდესმე გული გატკინე, ერთხელ თუ მაინც მაგ თვალმდებ ცრემლი გადინე, გთხოვ მომიტევეო თუ მოგებურდი და მოგანყინე, იქნებ არა ვარ შენი ღირსი და მოგაცდინე. იქნებ მართლა ასეა. თიკუნია999.

• გამარჯობა მარ, როგორ ხარ? სამწუხაროდ, პირველად გწერ და იმედი მაქვს, თქვენს რიგებში მიმიღებთ. ძალიან კარგები ხართ. თქვენი ერთგული მკითხველი, პრინცესა.

• ცხრათვალა გაძლებს ფუჭ იმედს, დარს გადაგიტყვეს ავდარად/ გონს მოდი ვაჟო, ჭეშმარიტ სიყვარულის დრო დამდგარა/ ხორცს კი არ გიძლენი ძვირფასო, მსურს გაზიარო წმინდასო/ ცხრა ვაჟის შემდეგ ბერბიჭა, გოგოს გაჩუქებ შეიდას-სო/ P.S. შხად ვარ, დემოგრაფიული პრობლემები გადავჭრა/ შენთან ერთად საუცხოო ეს ნაბიჯი გადავდგარა/ სიყვარულის ცეცხლში დაგწვავ, არ თქვა — ჭირი გადამხდა/ მუმე.

• დილილა მშვიდობისა მარ, როგორ ხარ? რა ლამაზი დილაა, არა? შოდა, გისურვებ, ყოველი დილა ასე ლამაზად გაგიტენდეს. მიყვარხარ, ჩემო გემრიელი კარამელი. ბიკოლო.

• ერთმანეთს ვაჩუქეთ სიყვარული, მივუძღვნათ სიტბო და სისხარული, ვაჩუქეთ ერთმანეთს ვარდები, გაფანტით სევდა და დარდები, ვაჩუქეთ ერთმანეთს ხალისი, იმედი ჩავესახოთ ხვალისი, მივუძღვნათ ერთმანეთს ღიმილი, შევუძღვებუქოთ ტკივილი. ერთმანეთს შევხედოთ თვალებში, სიცოცხლე შევიგრძნოთ ნამებში, ავანთოთ ტაძარში სანთელი, რათა სული გველოდეს ნათელი. ყოველთვის ვგახსოვდეს მესია, ეს ჩვენი ცხოვრების ნუსია. ოდესმე ყველაფერი მთავრდება, დღის შემდეგ ყოველთვის აღმდებ. ერთ დღესაც ნათელი ჩაქრება, ცხოვრებაც ნამივით გაქრება და სანამ სიცოცხლე გვწყურია, რა დროს ბოღმა და შურია? განვდევნოთ ჩვენიდან სატანა, ვისწავლოთ ერთობისა გატანა. რა დროს ერთმანეთს წყენა, გავყვარდეს — ეს ჩვენი რწმენაა. მოდით, სანამ ფეთქავს ჩვენი გული, ვაჩუქოთ ერთმანეთს სიყვარული. მივუძღვნათ ერთმანეთს ტიტები, შევეხოთ პანია თითები. და როცა დრო მოვა დასასრულის, ნამი დავგიდგება აღსასრული, როდესაც ჩავგებარებს ისტორია, თქვან, რომ ნამდვილად გვიცხოვრია. ეს მგზავნილებს ჩემგან. მიყვარხართ. მავტრო.

• ეს ლუნას ეძღვნება უდიდესი, მსოფლიო მნიშვნელობის პოეტის (მეზუა ლაპარაკი), ანხა-ბაჩხას უკვდავი არქივიდან: იყო პატარა არინკო, ვირზე გადავჯდარიყო, ცოცხით დასდევს დედამისი, უი, შენ კი არ იყო!

• მარ, ყოველკვირა თითო ლექსს (რა თქმა უნდა საკუთარს და არა „ნამილებს“) გამოგიგზავნი ხოლმე, უსასრულოდინან. ასეთ შემთხვევაში მეცოდინება, რომ შენ, ჩემი ლექსები და „გზავნილი-ორკი“ ისევ მელიოდებით და დასაკარგავად არ გემტებით. ლექსს „სასონარკვეთილი ბარათი“ ჭკვი: ჩემი შიშველი ფეხისგულებით, დღეს დავაბიჯებ ნარსა და ეკალს. შემორჩენილი ეჭვი დუნდება და ჩემს თვალებში სიმთვრალე ცეკვავს და დამცინიან თითქოს და უხმოდ, ავაციები და ფანჩაჭური და მუხუშუშინა გულისსწორად უხმობს, მინის შვილი და მზის ნაწლავური. დაგზებ-



ტილობ უმისამართოდ, სასონარკვეთილ ჩემი ბუნებით, ჩემი ფიქრები და სევდა მკრთობს და უკმარისობის მოლოცულები და მილიმიანი ვიტრინებიდან ნაწუქრთმევი აზარტეზები, მე მივატოვებ ქუჩებს ნებით და გაუფიქრებლად გზებს მარტო შევრჩები. გადავავლებ აკრძალულ ზღუდეს, ვეღარ მიშველის ვერა, მისნობა. დაუნანებლად დავტოვებ გულს და შევეუერთდები მარადისობას. ჟამის ქურუმი ლიბრინ ბადეს, გადაფარებს ჩემს თვალს უხმოდ, ოცნება ლამაზ მირაჟს დაბადებს და მერე... მერე უკან მომიხმობ. ვეღარ გავიგებ და შენც ცდუნება, მოგერევა და ვეღარ განდევნი. და დაუნევენ ერთმანეთს ძებნას სასონარკვეთით, ჩვენი ლანდები. ქარი გაფანტავს უსასო ხმებს, ვერ გვიშველიან მზე და ვერსხვები... რადგან ერთმანეთს თუ დავთმობთ ერთხელ, მეორედ ალბათ ვეღარ შევხვდებით. ენიგმა.

• ჩემი დანერვილი ლექსია: აღარ დავთვრები ოხერტიალი, თუ სიმთვრალეში ვკარგავ გონებას, ასე უზომოდ სმა და გრილი მეორედ აღარ განმეორდება. როცა სუფრასთან მიმდევით, ჩვენი ვალდებულებას ნაღდად ვღებულობ, 10 ჭიქიდან 4 ჭიქას დავლევ, ისიც თუ იქნა, სავალდებულო. გადარეული.

• SCARLET, მეც გაკოცე, ჩემო კარგო. ვერ გიცანი, ახალი ხარ? ადრე არ შემომჩვენებია არ გადარეული.

• ეკაი9, მე არაფერმა გადამრია. შენ უფრო გაქვს ლომა გეტყობა. დიდი ხანია, არავის მიუპებლიხარ? თუ არ მოისვენებ, მართლა მიიპებლები. გაიგე, გოგო? გადარეული.

• CRAZY GIRL, მართალი ხარ. ზოგი გიყვირებს, ზოგი გადარეული. მე ამ ცხოვრებამ გამხადა გადარეული, თორემ ასე კი არ ვიყავი (მართალი არ გეგონოთ). გადარეული.

• არიანდნას მინდა ვუთხრა დიდი მადლობა, რომ ვახსოვარ. მეც ყველანი ძალიან მიყვარხარ, მგზავნილებო. გაიხარეთ. გკოცნით მარისთან ერთად. გერასიხე.

• რაც არ ყოფილა, ის არც იქნება/ მაგრამ რაც იყო, იქნება კვლავც/ გზა გაისწვება, ან შეიკრება/ მომსვლელი მოვა, წამსვლელი წავა.../ მე წავალ, ოღონდ ცოტაც მადროვეთ/ ბარემ შევავსო ბოლო ფურცელიც/ და ამოვწერო ეს სიმარტოვე/ ეს ფორიაქი ამოუსხნელი/ გაუსფარდა, ჩაბარდა წარსულს/ რითაც დროს ვკლავდი და თავს ვირთობდი/ მე კი სხვაგვარად ცხოვრება არ მსურს/ კარგად იყავით, გამდლობთ, მშვიდობით. აზიელი.

• მარ, გამარჯობა. მინდა, თქვენს კლუბში მეც მიმიღოთ. მე ახალი ვარ. ჩემი სახელია კოსმოსა.

• ბულბული წელიწადში სტვენს მხოლოდ 3 თვეს (მაისი, ივნისი, ივლისი), იადონი — მუდამ. კარგი იქნებოდა, ასეთი კანონზომიერებით ყოფილიყო დალაგებული „გზის“, „მობილი-ზახია“. იშვიათად მობილიზაცია დაეთმოზოდა კრიტიკას, შურს, ბოლმას, გამოავლენდნენ ერთმანეთის მიმართ ყველა გრძობას, დანარჩენად კი მშვიდობა დაისადგურებდა. ახლა კი მინდა, სარვიტას მადლობა გადავუხადო. მე „გზაში“ აზიელის ნიკით შემოვდი, მაგრამ ხანდახან, ხასიათის მიხედვით სხვა ფსევდონიმებსაც ვიყენებ (იშვიათად). ერთხელ ექიმის ნიკითაც მოვიწერე (პროფესიის გამო). ასე რომ, სარვიტა, მე ყოველთვის გვითხოვლობთ და ხანდახან გიერთდებით ხოლმე. გაიხარე, ყურადღებებისა და პატივისცემისთვის. ღმერთი გვარადედე ყველას. მიყვარხარ. ექიმი (აზიელი).

• მარიამულ, „გზავნილები“ უფრო და უფრო მაგარი ხდება. ძალიან მისარია ეს. ამ კვირაში სიაშოვნებით ნავიკითხე ურნალი. ძალიან მიყვარხარ, მარ. გამდლობ ლამაზი დღეების ჩუქებისთვის. მთელი გულით გაფასებ. ხომ იცი, სულ შენთან ვიქნები. მიყვარხარ, გაკოცე. ლუნა.

• ქალი ცდუნება იყო თელავში. :) ძალიან მაგარი დრო ვატარებ. სოფელ 9, ახლა შენ გელოდები. FILLIPPO, კარგი ხარო. 9717, მასხარა ხარ, რა. გენათაღვლი! უკვდავი ხმა.

• არიანდნას დიდი მადლობა, მოკითხვისთვის.

გაკოცე. ახლები არ დაიკარგოთ. „გზის“ მომავალი თქვენ ხართ. გრუზინკა, გამიხარდა შენი დაბრუნება, დაიკ: ჩუხად მიყვარხარ. კამ-კამა.

• ჩემი, სევდიანი დღეებია, ვიცი აღარავის დაგჭირდები. ჩემ წინ გაძარცვული ხეობა, ალბათ მარტოობით გავგიჟდები. აღარ გათავდება შემოდგომა, ვეღარ შემაშფოთებს გაზაფხული, დარდი ხომ ისედაც არ მაკლია, მინც ფიქრებს მივდეგ დაზაფხული. გავა უსასრულო შემოდგომა, ცივი, ქარიანი ამინდები, ალბათ გაზაფხულიც მალე მოვა, მე კი უშეზოებით გავგიჟდები. ვიცი, არ განუხებს უჩემოა, ვიცი ვეღარაფერს დამპირდები. სოფელ 9.

• სევდამორეული, ფიქრი გადამდობა, გული დარდით სასვე დამაქვს, საკინძე აწყვეტილი, გულგადაღელი, ქუჩას მივყვები, სად ხარ? სანტა.

• ამა, თურმე ჩემი მესიჯი სხვაგან ნახეთ. იქნებ გაგანათლო, სად და ზუსტი გადამდობა თქვა, სად იყო ჩემი მესიჯი დაბეჭდილი? მე არ მითქვამს, ახალი ვარ-მეთქი. ვინც ვარ, ბევრს არ მოვინოვარ და მტერი მყავს. რაც იმას ნიშნავს, რომ ვნანვარ აი ასე! მიყვარხარ ჩემი, კიკო, ლიბონა, ცდუნება, ნიკოლი, ჭრიჭინა, დუჩი, FILLIPPO, სოფელ 9, იკო, 9717, სიკვილია. გენათაღვთე მე. თქვენთვის უკვდავი მეგობარი ვარ და იქნები! ყველას მადლობა, შექმნისთვის. უკვდავი ხმა, იგივე..

• დღეს თელავში ჩამოვიდა/ ჩვენი ძალი ცდუნება/ მაშინ შეყვდა ფანტელთცენა/ შეიცვალა ბუნება/ ლხინით შეხვდა ჩვენს მეგობარს/ კაფე „მუა ქალაქში“/ ვისიერნეთ ბევრი ერთად/ გადათოვლილ ქალაქში/ ბახუსი გავქვს სიყვარულის/ პანმელია გრძობების/ მომავალშიც ერთად ყოფნა/ უეჭველი მოგველის/ შეგვიერთდა სამ გოგონას/ აწყურელი საბარალო/ მის ლოდინში ლუდი გათბა/ სიყვარულმა დაგვათრო/ ველოდებით გიჟურ მუხებს/ ხინკალი გვაქვს ზღაპრული/ მამაკაცებს უცებ ახნებთ/ ჩვენი მზერა, ქალგრი/ მე კი თქვენი მორჩილი ვარ/ საბარალო, თქვენქმისა/ იღბლიანი სიყვარული/ რატომ ვეღარ გეღირსა?! უკვდავი ხმა — ქალი ცდუნება.

• აუ, იდუმალი ქალის დაბადების დღეზე მაგრად მოვილხინეთ. მაგარი ხელი აქვს ნაწუნის, ისეთ საჭმელს აკეთებს, თითებს ჩაიკენიტავთ. განსაკუთრებით კი ტყემალი. რომ შეჭმით, ერთი კვირა ნასიამოვნებით იქნებით. გენათაღვთე, ნანუჩე, მაგარი ადამიანი ხარ, მაგრად გაფასებთ, ჩემო სიხარულეზო. ქალი ცდუნება.

• ქარი გელოკავს, რძისფერ ნისლში გახვევს მგზავნელს,

აღმართებზე მივუყვებით გზას, ლ-ურჯი ზეცა თეთრ ღრუბლებით დაქმნილია, ის ქარს გავსებს, ჩვენ ვიხსენებთ თავს. ც-ურ ფერდობზე, ტყის სიღრმეში, ვკლესია და-გას მდუმარედ, ხეთა ჯარით გარს, უ-ხმოდ მივალთ, ჯვარს ვწოხვებით მოკრძალებით, ნ-ინოს ჯვარი დავგილოცავს გზას. ე-რთი წამით მყუდროება, მდუმარებით, ბ-ინდი მოდის, მტირალ ტირიფს ტოტი სტყდება, ა-სე მალე გავიდა დრო? უკვე გვტოვებს, კ-ახეთის ცა ქალ ცდუნებას ეთხოვება. ა-ლბათ ქარიც მითომ იკრავს ასე გულში, ხ-ეთა ჯარიც მივომ იდგა მდუმარებით, ე-რთხელ კიდევ გაგაკრთება ტუჩზე ლიმი, თ-ვალებით გთხოვთ, ნუ ნახავთ, გემუდარებით, შ-ენ კი გვტოვებ, ვერ კითხვობ ჩვენს უტყე თხოვნას, ი-სვე შევიმოსუებით ჩვენ, მდუმარებით.

• არა რა, ჩემი ბრალია ლალი, არავინ იყო, მე და ბალის გარდა, ვერავინ დამინახავდა, მოხსენი რა, რაიმე წანილი მარშრუტება, ხომ ვეღარ ნახავიდოდი? ისე კი ვიფიქრე, მაგრამ დომკრატით არ მქონდა, რომ ამენია. სულ ვეუბნები ლიკას, ჯიბით სულ უნდა გქონდეს დომკრატით და 19-იანი „მლუჩი“, მაგრამ არაა. სულ რჩება სახლში... ეეჰ, მენატრებით უკვე. 9717.

• მარი, დიდი მადლობა საყვარელო, რომ SMS-ს მიბეჭდა. არაწვეულებრივი ხარ! ოდესმე აუცილებლად გადაგიხრი სიკვდილს, უფალი მინაც, მე თუ ვერა. ისე, რა ლამაზი გოგონები და სიმპა-

თიური ბიჭები გყავს, არა? აღფრთოვანებული! მართალია გარეგნობა ჩემთვის მეთათხარისხოვანია, მარა მინც. თქვენს დიდ, როზროზა, იესუს და გადარეულს უყვარხარ და ენატრებით! კოზა-ნოსტრა, მე მაინც მოვალა! :) SCARLET, ჯეჯე, FILIPPO, ატარექსია, გადარეული, სანტა... არ გამეცნობით? გაკოცეთ! CRAZY GIRL.

• შენირულის გამოჩენას ძალიან ველოდებოდი და გული დამწყდა, რომ ნავიდა. მე ახალი ვარ, მაგრამ მისი ძველი გზავნილები მაქვს ნაკითხული და ისინი ჩემთვის განსაკუთრებულად ახლობელი იყო. შენირული, ალბათ ნანუგემო სიტყვებით შედმეტი იქნება. უბრალოდ, გამძლეობას და დღეთის წყალობას გისურვებ. ატარექსია.

• მარ, ახლა თმა მაქვს დასაწერი ამ დილა-უთენია, სიყვარულე. ეჰ, რას გვიშვრება ეს საკავშირევილი, რაა. :) სანტა.

• ბერბიჭა, დააჩქარე, გესმის? დააჩქარე მალე! თორემ ამ შენს დობილს, ვერსად დავგვალ... გაახარე დედოკო და თუ ლაივში არა, ვირტუალურად მინც გვაქევი ქორნილი, რაა! ემიგრანტი.

• ცისიავ, თავს ნუ გასწირავ/ ბერბიჭას ბოძზე დაცემით/ გარკვევით გითხრა, სხვა უყვარს/ და რა გაქვს თავში საცემი?/ ის არ იქნება, სხვა მოვას/ იღრსეულ-პატივისცემი/ მგონია არც შენთვის ივარგებს/ მოლაღატე და გამცემი./ როგორ გიშველო, ხომ ხედავ/ დასწრებაზე კაცები. ემიგრანტი.

• მემე, შენმა SMS-მა გული ამიჩუყა და მატირა. გამდლობ, რომ ტკიბილი სიტყვები არ დაიშურე ემიგრანტების გულის გასათბობად. გაიხარე და უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს. ემიგრანტი.

• გადარეული, გენაცვალე, რა საწუქარი გინდა, ამა მითხარიოო. ისე, ახალი წელი გავიდა დაა... :) თუმცა, მინც სანტა ვარ და უნდა დაგასაწუქრო. სანტა.

• ყველაზე მეტად გამაკვირებს ჟურნალ „გზაში“ ჩემი მესიჯის ხილვა. რატომ? იმიტომ, რომ რამდენჯერაც მესიჯი გამოვუშვი, ყოველთვის დამბლოკა მარო. მარ, სადმე, როგორმე, რომ ჩააგვეხო ჩემი მესიჯი არ შეგიძლია? თუ ახლამე ალერგია გაქვს? გთხოვთ, მამაკითხე პირდაპირობა. ნინია.

• დამწყები ბოქსიორი ვარ და ძალიან გამიკვირდებოდა ჩემი საქართველოს ჩემპიონატზე გასვლა და მოგება. ახალი ვარ, მეგობრებო. გობლინი.



გილოსავ!

• მანანა არჩაიას დაბადების დღეს ულოცავენ ნატალი, ნინო და ირაკლი. უსურვევენ დიდ წარმატებას, მომავალში.

• ჩუნეში ლია ასლანიკაშვილს დაბადების დღეს, მ თებერვალს ვულოცავთ აბესა, ეთო, ნური ასლანიკაშვილები და ელისო. ვუსურვებთ ყოველივე საუკეთესოს, თავის ოჯახთან ერთად.

• ეთო იობიძეს დაბადების დღეს, 7 თებერვალს ვულოცავთ ნათლული, ნური ასლანიკაშვილი, ეთო, აბესა და ელისო. ვუსურვებთ ყოველივე საუკეთესოს, თავის პატარა ოჯახთან ერთად.

• ჩემს უსაყვარლეს მამიკოს, სლავიკ პერტახიას ვულოცავ დაბადების დღეს, 10 თებერვალს. მამიკო, გისურვებ ჯანმრთელობას და უფლის მფარველობას! მიყვარხარ. მამიკო.

• ჩვენს საყვარელ მამიდამიკოს, სალომე კაკაურიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ სიხარულს, ბედნიერებას და უფლის წყალობას.



დათო და ნიკოლოზ ლაღანიძეები. ხონი.

ჩემს საყვარელ შვილსა და მერაბ მებონიას ვულოცავ პატარა მარიამის დაბადებას. ბედნიერი მშობლები ყოველივეს კეთილად მოგილოცებ.

თეო, გილოცავთ დაბადების დღეს. ქეთი და თორნიკე ჩადუნაშვილები.

თეონა ჩადუნაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს და ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და ღმერთის მფარველობას.

ჩვენს შვილს, თეონა ჩადუნაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, 2 თებერვალს. ვუსურვებთ ყოველივე საუკეთესოს. გოჩა და მაია.

ჩემო საყვარელო, პატარა, მონატრებულო ძამიკო, დათო ხურციძე, გილოცავ დაბადების დღეს, 2 თებერვალს. გისურვებ ყოველივე საუკეთესოს. 2 თებერვალს ჩვენს გარდაცვლილ დედიკოსაც 42 წელი შეუსრულდებოდა. მივულოცავ იქ, სადაც არის. ძალიან გვენატრები და გვაკლიხარ, დედიკო. თიკო ხურციძე.

მინდა მივულოცო ჩემს ძამიკოს, თორნიკე ხურციძეს დაბადების დღე, 8 თებერვალს. ვუსურვებ ყოველივე საუკეთესოს. მაცრად მენატრები. თქვენი დაიკო თიკო.

ათენში დროებით მცხოვრებ ნაირა ჩიტაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 2 თებერვალს. გისურვებ ჯანმრთელობას, სიყვარულსა და უღვე სიხარულს ოჯახთან ერთად თინა.

ჩემს საყვარელ ძმისშვილს, გიორგი ლოსაბერიძეს, 23 თებერვალს ვულოცავ დაბადების დღეს. ღმერთის მფარველობა არ მოგკლებოდეს. მენატრები ძალიან. მამუკა ბიძია.

23 თებერვალს დაბადების დღეს ვულოცავ ცირუკა სანაძეს. ღმერთმა ბედნიერი გამოყოფოს. ყველა ჩანაფიქრი აგსრულებოდეს, შენ მუდღელსთან ერთად. მამუკა ლოსაბერიძე.

4 თებერვალს დაბადებულებს, ბექა ჩართოლანს, მარი მარგიანს და კობა ბერძენაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარით, სეანებო! გახიარეთ. სანტა.

ჩემს მონატრებულ დედას, ლოლა ტყეშელაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. დე, გისურვებ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს. მე მალე ჩამოვალ და ჩაგესტები. მაია. გაცინი უამრავს.

ჩემს მუღს, ლიანა ჭელიძე-გედენიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობასა და გახარებას, საყვარელ შვილიშვილებთან ერთად. მაია ჭელიძე.

ჩემს დას, როზეტა ლეონიძეს ვულოცავ დაბადების დღეს დაიკო, მაიკო ჭელიძე. ვუსურვებ ბედნიერი დღეების გათენებას, პატარა შვილიშვილებთან ერთად.

დიდი სიყვარულით დაბადების დღეს, 30 იანვარს ვულოცავ ჩემს საყვარელ შვილს, ძაკო მამასახლისს. ჯანმრთელობა, სიხარული და სიყვარული არ მოგაკლოს უფალმა. გისურვებ ყველაზე დიდ ბედნიერებას და უფლის წყალობას, ჩემო სიხარულო. დედა, მზია ხარაბაძე.

უცნობ ბიძიას, ძაკოს, დაბადების დღეს, 30 იანვარს ულოცავს პატარა თეკლა. ბიძი, მალე წამოდი, რომ გაგაცინო. ყველას ენატრები. შენი პატარა, უცნობი თეკლა ჭუმბურიძე.

დაბადების დღეს, 30 იანვარს ვულოცავთ ჩვენს მონატრებულ ძმას, ძაკო მამასახლისს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, უღვე სიხარულსა და ღვთის წყალობას. გვიყვარხარ და გვენატრები, ძაკო. კახა, ანა. ხათუნა, ლაშა.

დაბადების დღე, 17 თებერვალს მინდა მივულოცო ჩემს მონატრებულ შვილიშვილს, ალექო გურულს. არ მოგკლებოდეს ღვთის წყალობა. შენზე გულით გვინდა ვილოცოთ, ჩემო მონატრებულო ბიჭუნა. უფალი იყოს შენი მფარველი ყველგან. მენატრები და მიყვარხარ. ცინარა ბებო და დეიდა მზია.

უმშვიდეს მგეი ლიპარტელიანს ვულოცავ 5 თებერვალს, დაბადების დღეს. ჯანმრთელო-

ბასა და უფლის წყალობას გისურვებ, გენაცვალოს დეიდა, ღმერთმა ყველაფერი კარგი დაგანათლა და ვთხოვ, რომ ბედით კარგი გაღირსოს. მენატრები უზომოდ, მიყვარხარ და გკოცნი. ცისანა დეიდა.

გაგი ლიპარტელიანს 9 თებერვალს ვულოცავ დაბადების დღეს. ჩემო გაგი, დალოცვილი მყავდი, გენაცვალოს დეიდა, სულ გახარებული და ბედნიერი, შენს საყვარელ ცოლ-შვილთან ერთად. გიცოცხლოს ყველა, ვინც გიყვარს და ვისაც უყვარხარ. წინვლა-გამარჯვებები გქონდეს ცხოვრებაში, ჩემო მონატრებულო დისშვილო. ცისანა დეიდა.

ბაჩო, გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას, ოჯახთან ერთად. გისურვებ ნარმატებებს პირად ცხოვრებაში. შენი კარგის მსურველი, მერაბ ბერიძე.

თიანეთში ჩვენს მონატრებულ მამას, თამაზ დოლიაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს და ვუსურვებთ ყველაფერ კარგს და საუკეთესოს. ირმა და გიორგი.

თიანეთში, ჩვენს მონატრებულ ვაჟსაც, ვახო დოლიაშვილს 2 თებერვალს ვულოცავთ დაბადების დღეს. უფალი და ღვთისმშობელი გფარავდეს, დედიკოს კოკოროჭინაც. დედიკო და მაიკო.

ჩემს დისშვილს, ზაზა ბარკალაიას ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ყოველივე კარგს, უღვე სიხარულსა და სიყვარულს. გაცინი გულიზა დეიდა.

ნუნუკა, ჩემო უახლესო მეგობარო, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, საყვარელ ქმარ-შვილთან და შვილიშვილთან ერთად. შენგან მონატრებული გულიზა.

ციალა ბიკოლა, მინდა, შორიდან მოგილოცო დაბადების დღე. გისურვებ ჯანმრთელობას, შენ საყვარელ ოჯახთან ერთად. ძალიან მენატრებით ყველა. გაცინი. გულიზა.

თიანეთში ჩემს პატარა ანგელოზს, ვახო დოლიაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჩემო სიხარული ჯანმრთელობასა და ბედნიერებას, საყვარელ ხალხთან ერთად.

საყვარელ ბიძაშვილს, ნინელი ხაჭანას ვულოცავ დაბადების დღეს, 8 თებერვალს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და ღვთის წყალობას, თავის ორ ვაჟსაცთან ერთად. მინდა გახარებული და ბედნიერი იყოს. ამას ნამდვილად იმსახურებს. ბიძაშვილები.

დინა მიშვიძეს 3 თებერვალს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ნარმატებას ცხოვრებაში და უღვე ბედნიერი წლების გატარებას საყვარელ ოჯახთან ერთად. ლა.

მონატრებული დედა დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს საყვარელ შვილებს, ნინო ნიკლაურს 29 იანვარს და თამილა ნიკლაურს, 4 თებერვალს. უფალი გფარავდეთ და მრავალს დაგანართო ჯანმრთელები და ბედნიერები, თქვენს ლამაზ ქმარ-შვილებთან ერთად. უჩა და ლუკა გაგიმრავლდეთ, მზიან ქვეყანაზე. გაცინით და გეყვრებით. ნანული.

ათენში დროებით მცხოვრებ მარი გოდერძიშვილს სულითა და კეთილი გულით დაბადების დღეს, 27 იანვარს ვულოცავ. დაე, ამ ახალმა წელმა ბედნიერება და უღვე სიხარული მოგატანოს, ჩვენო ლამაზო გოგონი და შენს მეორე ნახევართან შეგახვედროს. გაცინი ბებრი და ძალიან მიყვარხარ, ნანული დეიდა.

თელავში მინდა მივულოცო ჩემს უსაზღვროდ მონატრებულ შვილს, ჯოყოლა რკინაულს და რძალს, ნათია გაბაშვილს დაბადების დღე, 1-ლი და 19 თებერვალს. ჩემო ტკბილებო, ყოველ დღესასწაულს თქვენთვის სიხარული და ჯანმრთელობა მოგეტანოს. დალოცვილები მყავდით, თქვენს და-ძმებთან ერთად. თქვენ ჩემი სიცოცხლის აზრი და ჩემი სიმდიდრე ხართ. ძალიან მიყვარხართ და მენატრებით. უფალი გფარავდეთ. დედა თამარიკო.

თამარ ჭავჭავაძეს: დედი, გილოცავ დაბადე-

ბის დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, სიძლიერეს, სულ მუდამ გახარებული და ბედნიერი ყოველივეს. ხატი გლოცავდეს, ღმერთი გფარავდეს, აგსრულებოდეს ოცნება ბეგრი, გქონდეს ბალაი წყალობა ღმერთის. გაცინი მონატრებული შვილი, ლალი.

თბილისში თამა პაპუაშვილს მინდა დაბადების დღე მივულოცო, 31 იანვარს. ჩემო ლამაზო თამა, გისურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და ყველაფერს საუკეთესოს, ცხოვრებაში. სულ გახარებული მენახე, შენს საყვარელ ოჯახთან ერთად. გფარავდეს უფალი. ნათელა ბაბო.

მინდა, დაბადების დღე მივულოცო ჩემს საყვარელ შვილს ათენში, ხათუნა სარმანიძეს. გისურვებ ჩემო გოგო, ყველაფერს საუკეთესოს ცხოვრებაში. სულ გახარებული მენახე, შენს ქმარ-შვილთან ერთად. გფარავდეს უფალი. ნათელა.

დაბადების დღეს ულოცავ ათენში შვილები, ლილა და ლიზიკო, ხათუნა სარმანიძეს. ჩვენო მონატრებული დედიკო, გილოცავთ დაბადების დღეს, 1-ელ თებერვალს. გეყოლე მუდამ ჯანმრთელი და გახარებული. ღმერთი გფარავდეს შენ და შენი ოჯახს. შენი პატარა შვილები, ლილა და ლიზიკო.

ბაღდათში, წითელსევში 31 იანვარს ანანო ნიორაძეს ვულოცავთ 5 წლის შესრულებას. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერ მომავალს, სიხარულს, მშობლებთან და ძამიკოსთან ერთად. წმ. მარიამი იყოს მთელი ცხოვრება შენი მფარველი. გვიყვარხარ და გვენატრები ძალიან, სიხარული. გაცინით და გესტები. მამიდები, იზო, მზია, ილზა. მამიდაშვილი, შმაგი.

საბერძნეთში დროებით მცხოვრებ შორენა დოკაძეს მინდა მივულოცო დაბადების დღე. გილოცავ, ჩემო სიხარული და გისურვებ ყველაფერს საუკეთესოს. გფარავდეს მუდამ უფალი. გაცინი გულში დალი დეიდა.

ნინო გელაშვილო, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ წინვლას. გახიარე და გამრავლდი. გფარავდეს უფალი. დალი კოჭლამაზაშვილი.

დაბადების დღე მინდა მივულოცო თებერვალში დაბადებულ ყველა ჩემს საყვარელ ადამიანს: თამილა ნიკლაურს, ბესო ნიკლაურს, ნათია გოგოლაურს, დინო ბერაიას, ლალი კვიციანს, ანი აფციაურს, ლაშა ბაშარულს, ზაზა ყოლბაიას. გამრავლოთ უფალმა და თეთრი თმა-წერით შეგაბეროთ, თქვენს ახლოლებთან ერთად. გაცინით ბებრი. ნანული.

„მოზილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მოზილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მოზილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.



ტაიმ-აუზი

ტატუანია და ტანზე გამოსახული სომარი ბატალიები

* XIX საუკუნეში, ხანგრძლივი ნაოსნობიდან დაბრუნებულ ყველა მეზღვაურს ტანი სვირინგით ჰქონია აჭრელებული. მოხატული მამაკაცების დანახვისას ქალებს თურმე გული მისდიოდათ.

* იაპონელ გეიშებს სიყვარულის დასამტკიცებელი 5 წესი აქვთ: ტატუს გაკეთება, თმის მოჭრა, სასიყვარულო ფიცის დადება, ფრჩხილების დაჭრა და ნეკა თითის ამპუტაცია.

* ყველაზე მოხატული ადამიანი შოტლანდიაში ცხოვრობს. მას სხეულის 99.9% მოხატული აქვს.

* სვირინგი ჰოლივუდის თითქმის ყველა ვარსკვლავს აქვს, მაგრამ ამ მხრივ ყველაზე ორიგინალური ვიქტორია ბექჰემია, რომელიც საყვარელი ადამიანების სახელებს უკანალზე ინერს.

* ძველი სლავური წესის თანახმად, სვირინგის გაკეთების უფლება მხოლოდ ქალს ჰქონდა — მას სხე-

ულზე ოჯახის მფარველი ქალღმერთის სიმბოლო უნდა გამოესახა.

* კათოლიკური ეკლესია სვირინგის გაკეთებას არ კრძალავს. მსურველს შეუძლია ან ჯვარი ამოისვირინგოს, ან ბიბლიური სცენა.

* ტატუ ბრიტანეთის სამეფო ოჯახშიც დაშვებულია. 1862 წელს ედუარდ VII-მ მარჯვენა ხელზე ჯვარი გამოისახა; პრინც ჩარლზსაც ჰქონდა სვირინგი, მაგრამ დიანაზე დაქორწინებამდე მოიცილა; ჰაროლდ მეფეს კი ტანზე სომარი ბატალიები ჰქონდა აღბეჭდილი.

* ჯონ კენედის მხარზე კუ ეხატა; უინსტონ ჩერჩილს — ლუზა. სხვათა შორის, 1900 წელს დაადგინეს, რომ აშშ-ის სამხედროების 90%-ს სვირინგი ჰქონდა.



* სვირინგები ჰქონდათ ალბერტ აინშტაინსა და სტალინსაც.

სად შევხვდეთ სიბერეს

* პენსიონერებისთვის ცხოვრების საუკეთესო პირობები ელვანტური არქიტექტურისა და კლასიკური მუსიკის ქვეყანაში — ავსტრიაშია შექმნილი. გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ ვენაში მსოფლიოში საუკეთესო კერძო კლინიკებია. თანაც, იქ შეგიძლიათ მთებშიც იმოგზაუროთ და სოფლის ცხოვრებითაც დატკბეთ.

* ირლანდიაში, სადაც შემოსავლის 43% იბეგრება, თუ პენსიონერის შემოსავალი 59 ათას დოლარს არ აჭარბებს, ის გადასახადებისგან თავისუფალია.

* თუ მზისა და ეგზოტიკის მოყვარული ხართ, ტაილანდში გაემგზავრეთ. ცხელი ქვიშა, ბუნგალოები და ცისფერი ლაგუნა სიბერის დღეებს გაგილამაზებთ, მაგრამ გახსოვდეთ, კლინიკები მხოლოდ ბანგკოკში მდებარეობს. თანაც, ხშირია პოლიტიკური არეულობა.



* გემრიელი კერძები, მშვენიერი ღვინო, ტკბილეული, ლაყბობის მოყვარული მეზობლები, კულტურული ღირსშესანიშნაობები და ჯანდაცვის საუკეთესო სისტემა — ამ ყველაფრით იტალია გაგანებიერებთ.

* მთელი წლის განმავლობაში პანამაში მზიანი დღეები, დაბალი გადასახადები, კერძო საავადმყოფოები და ტროპიკული ტყეები გელით.

* მსოფლიოს საუკეთესო სამზარეულო და ხანდაზმულებზე განსაკუთრებული ზრუნვა ფრანგების პრეროგატივაა. მართალია, პარიზში ცხოვრება ძალიან ძვირი ღირს, მაგრამ შეგიძლიათ მარსელში, პროვანსში ან ლიონში დასახლდეთ.

* თუ აქტიური დასვენების მოყვარული ხართ, ესპანეთს ეწვიეთ. ფლამენკო, კორიდა და ისტორიული ძეგლები დაუეინყარ მოგონებებს გაპრდებთ.



ქალი, რომლის საკვიზისა და წყლის გარეშე ცხოვრობს

„ახლა ჩემი ორგანიზმი სხვა წყაროებიდან იაჰვება“



„გვგავარ ახლა მე მომაკვდავს?“ — ღიმილით ეკითხება გარშემო მყოფებს 67 წლის ზინაიდა ბარანოვა, რომელიც ასაკთან შედარებით, ბევრად ახალგაზრდად გამოიყურება. არადა, როგორც თავად და ზოგიერთი მისი ახლობელიც ირწმუნება, უკვე 3 წელია, რაც საკვებისა და წყლის გარეშე ცოცხლობს.

ზინაიდა პროფესიით კვების მრეწველობის ინჟინერ-ტექნოლოგია. ხუთი წელი სვერდლოვსკში იმუშავა, შემდეგ კი კრასნოდარში გადავიდა საცხოვრებლად. ის კომპარტიის წევრი და მსხვილი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანიც იყო და მის ცხოვრებაში მომხდარი უბედურებების მთელი წყება რომ არა, ალბათ, დღეს ერთი ჩეულებრივი

დახმარებისთვის ექიმებს მიმართა, რომლებმაც საბოლოოდ, მეორე ჯგუფის ინვალიდობა დაუმიტიცეს.

„გაჯანსაღების რამდენიმე არატრადიციული საშუალების გამოყენება ვცადე, — იხსენებს ზინაიდა. — მივედევდი პორფირი ივანოვის გაკაჟების სისტემას, სხეულზე ცივ წყალს ვივლებდი, მთელი წელი ფეხშიშველი დავდიოდი, უარი ვთქვი ხორცსა და თევზზე. შემდეგ კავკასიონის მთისწინეთში პატარა სახლი ვიყიდე, სადაც დიდხანს, სრულიად მარტო ვცხოვრობდი და მხოლოდ საკუთარი ხელით მოყვანილი მცენარეული საკვებით ვიკვებებოდი“. ზინაიდას თქმით, 2000 წლის მარტში, სულიერი ხილვის შედეგად მიხვდა, რომ საკვების გარეშე უნდა ეარსება. შიმშილობას ადვილად და ერთგვარი სიხარულითაც კი შეუდგა, რადგან იმ დროს სააღდგომო მარხვა იყო დაწყებული. თუმცა, ორი კვირის გასვლის შემდეგ იმავე „შინაგანმა ხმამ“ ზინაიდას წყალზე უარის თქმაც ურჩია.


„გართულებებიც სწორედ ამის შემდეგ დაიწყო, — იხსენებს ქალი, — როგორც ჩანს, ორგანიზმში სიღრმისეული განმედიის პროცესი მიმდინარეობდა, რომელსაც სისუსტე, კრუნჩხვები, პირის სიმშრალე და მთელ სხეულში უჩვეულო ვიბრაციაც ახლდა. კანმა აქერცვლა დაიწყო და მალე, კოლოს ნაკუნის მსგავსი წერტილებით დაიფარა. ჩემი აზრით, ორგანიზმი ამ გზით ჰაერიდან ტენის მიღებას სწავლობდა. სიარული მიჭირდა, კიბზე ასვლა კი საერთოდ აღარ შემეძლო. ზოგჯერ შიში მოპყრობდა კიდევ, მაგრამ თვენახევრის შემდეგ თავი უკეთ ვიგრძენი. მას შემდეგ საქმლისა და წყლის (ანუ ფიზიკური საკვების) გარეშეც იოლად გავდივარ, ახლა ჩემი ორგანიზმი სხვა წყაროებიდან იკვებება — ის მზის ენერგიას ითვისებს და თვითონ გარდაქმნის იმად, რაც მისთვის აუცილებელია. მე ამ პროცესს ვერ ვგრძნობ, მაგრამ ვიცი, რომ ის ისევე გამოუდგებით და ბუნებრივად მიმდინარეობს, როგორც მაგალითად,

სუნთქვა“.

ზინაიდას ამბავი ყველა მისმა მეზობელმა და ნაცნობმა როდი იცის და არც თავად ცდილობს ამის აფიშირებას. როცა სტუმრად მისულს მასპინძლები გაშლილ სუფრასთან ინვევენ, მშვიდად პასუხობს, რომ ახლახან ჭამა. მისი მდგომარი — ტომა, რომელიც უკვე 3 წელია, მასთან ცხოვრობს, ირწმუნება, რომ ამ ხნის მანძილზე ერთხელაც კი არ უნახავს, რომ ქალს რამე ეჭამა ან თუნდაც, წვეთი წყალი დაეღია. თავად ზინაიდას თქმით კი კარგა ხანია, შიმშილი აღარ უგრძნია და თვით ყველაზე გემრიელი საჭმლის სუნიც კი არანაირ მადას არ აღუძრავს. არადა, სტუმრებისთვის ნაირ-ნაირ სადილებს დღემდე სიამოვნებით ამზადებს. „მე ხომ ყუბანში ვცხოვრობ და უამრავი სხვადასხვა, რუსული თუ უკრაინული რეცეპტი მაქვს. განსაკუთრებით, ბორშჩის მომზადება მიყვარს“, — ამბობს იგი.

2 წლის წინ, მეგობრების ხანგრძლივი და დაჟინებული თხოვნის შემდეგ, ზინაიდამ მოსკოვში, ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პროფესორ ჩიჟოვთან სამედიცინო გამოკვლევა ჩაიტარა. აი, ამონარიდი მისი დასკვნებიდან: „დარღვეულია ორგანიზმიდან წყლისა და გაზების (ფილტვები) გამოდევნის, გულის დაცვის (პერიკარდი), საჭმლის მომწელებელი და მკვებავი ნივთიერებების (ელენთა და კუჭქვეშა ჯირკვავილი), ორგანიზმის განმედიის (ლვიძლი) ფუნქციები“.

უფრო მარტივად და გასაგებად რომ ვთქვათ, ზინაიდას ლამის მთელი ორგანიზმი მოშლილი აქვს, ის კი მაინც, შესანიშნავად გრძნობს თავს. როგორ შეიძლება ასეთი რამ მოხდეს? — ამ კითხვაზე პასუხის საპოვნელად, ზინაიდამ კიევსა და სოფიაში კიდევ ორი (ოლონდ, ამჯერად არატრადიციული მედიცინის მეთოდებით) გამოკვლევა ჩაიტარა. შედეგები გამ-



კანმა აქერცვლა დაიწყო და მალე, კოლოს ნაკუნის მსგავსი წერტილებით დაიფარა

რუსი პენსიონერი იქნებოდა.

ზინაიდას ჯერ დედ-მამა გარდაეცვალა, სულ მალე კი ავტოკატასტროფაში 18 წლის ვაჟიშვილიც დაეღუპა. ამის შემდეგ ქალს უმძიმესი დეპრესია დაეწყო, რასაც გულ-სისხლძარღვთა სისტემის მოშლა და სახსრების ტკივილი მოჰყვა. ზინაიდამ



გოგონა, რომლისთვისაც ბანაობა აკრძალულია

აოგნებელი აღმოჩნდა — ქალის ყველა ორგანო, საჭმლის მონელებასთან დაკავშირებული ორგანოების გარდა, მაღალი „ვიბრაციული“ აქტივობით გამოირჩეოდა და ზინაიდას ბიოლოგიურ ასაკად 30 წელი დაუდგინეს. აღსანიშნავია ისიც, რომ 67 წლის ქალს ნორმალური მენსტრუალური ციკლი ალუდგა. „ასე რომ, ბავშვის გაჩენა ჯერ კიდევ შემიძლია“, — ელიმება მას.

დროდადრო, თვეში ერთხელ ზინაიდა თავს ცუდად გრძობს და ამ დროს განმარტოების სურვილი უჩნდება. ორი-სამი დღის განმავლობაში ის თავს „პირგახსნილ ჭრილობად“ მიიჩნევს, უჭირს ადამიანებთან კონტაქტი და მათი ნებისმიერი სიტყვა თუ ჟესტი აღიზიანებს. თუმცა, იმავდროულად, გარშემო მყოფთა მიმართ გული თანაგრძობითა და ტკივილით, თვალები კი ცრემლით ევსება. ზინაიდას აზრით: „სწორედ ასეთ დღეებში უმაღლესი მასწავლებლები იმ სამუშაოს ატარებენ, რასაც საჭიროდ მიიჩნევენ. არ ვიცი, წინ რა მელის, ეს თავადაც ძალიან მინტერესებს. ამკარაა, რომ მე უკვე აღარ ვარ ჩვეულებრივი ადამიანი. და კიდევ, გარდასახვა ჯერ არ დასრულებულა“.

ზინაიდას უცნაურ ცხოვრებასთან დაკავშირებით, ნიკოლაი ზოლოტოვა — რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ზოგადი პათოლოგიების ინსტიტუტის დირექტორმა გააკეთა ასეთი კომენტარი:

— არსებობს სამკურნალო შიმშილობის მეთოდიკა, რომლის დროსაც ადამიანის ორგანიზმში ყველა პროცესის ნორმალიზება ხდება. შიმშილობა რამდენიმე კვირა გრძელდება და ამ დროის განმავლობაში ადამიანი მხოლოდ უგაზო წყალს სვამს. შედეგად, საჭმლის მონელებელი პროცესი ნელდება და ადამიანი საკუთარ ორგანიზმს თითქოს, აკონსერვებს. აღწერილია შემთხვევები, როცა ამგვარი მკურნალობის დროს ავთვისებიანი სიმსივნეებიც კი განოვლია, მაგრამ ხაზგასმით ვამბობ, ასეთი მეთოდი ყველასთვის როდია რეკომენდებული.

რაც შეეხება ზინაიდას, პირველ რიგში, ის კვების ინსტიტუტში უნდა გამოიკვლიონ, რათა დადგინდეს, რა ცვლილებები მოხდა ჰორმონულ დონეზე, საიდან მოდის გლუკოზა?... ინტორიაში ჯერ არ დაფიქსირებულა შემთხვევა (ამჯერად, წმინდანთა ცხოვრება მხედველობაში არ მიიღება), ადამიანს სამი წელი უსმელ-უჭმელს გაეძლოს... ჩვენს ინსტიტუტს ამ ქალის კომპლექსური შესწავლა შეუძლია, თუ რა თქმა უნდა, ამაზე მისი თანხმობაც იქნება.



ემლი მორისი ავსტრალიაში დაიბადა და 15 წლის ასაკამდე ერთი ჩვეულებრივი, თანატოლებისგან არაფრით გამორჩეული მოზარდი იყო. თხუთმეტი წლისას ანგინა დაემართა და ერთხანს პენიცილინის შემცველი პრეპარატებით მკურნალობდნენ. გოგონას ანგინამ კი გაუარა, მაგრამ ამის შემდეგ სრულიად უცხო და ახალი სენი — ურტიკარია შეეყარა. ეს ავადმყოფობა წყლის ნებისმიერი პროცედურის შემდეგ, კანზე წითელი გამონაყარისა და აქერცვლის სახით იჩენს თავს. ექიმების დასკვნით, ეს პენიცილინის ძალიან დიდი დოზის შემცველი პრეპარატების მიღებამ გამოიწვია — წამალმა სისხლში ჰისტამინის

რაოდენობა შეცვალა და ორგანიზმ-მაც ნორმალურად ფუნქციონირება შეწყვიტა. ემლიმ ექიმებისგან ისიც შეიტყო, რომ ეს უიშვიათესი დაავადება მთელ პლანეტაზე მხოლოდ ხუთ ადამიანს სჭირდა.

თავიდან ემლი ძალიან იტანჯებოდა, რადგანაც ექიმებმა მას პრაქტიკულად, წყალთან შეხება (აბაზანის მიღება, აუზში ცურვა) აუკრძალეს, ახლა კი ამის გაკეთებას თავადვე ერიდება, რადგან წყალთან ყოველი შეხებისას კანი უწითლდება, ექერცლება და ქავილიც ეწყება. ავსტრალიის მცხოვრებარე მზე ემლის მთავარი მტერი გახდა. საკმარისია, ოდნავ გაოფლიანდეს, რომ ავადმყოფობა უმალ ახსენებს თავს და ამიტომაც, ცხელ დღეებში ის შინიდან თითქმის აღარ გადის.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე ხუთი წელია, ემლი მორისი ჩვეულებრივი ადამიანი აღარაა, ყველანაირად ცდილობს, თანატოლებს არაფერში ჩამორჩეს და თავი ბოლომდე გარიყულად, დაზარალებულად არ იგრძნოს. ემლი წარმატებით სწავლობს და აქტიურად მუშაობს. გოგონას მეგობარი ახალგაზრდა მამაკაციც ძალიან ყურადღებიანი აღმოჩნდა და ის ცდილობს, შეეყარებულ წყალს არ გააკაროს, ჭურჭლისა და თერთრულის რეცხვასაც კი უკრძალავს. გოგონას სჯერა, რომ ოდესმე, ამ სენს თავს დააღწევს და ბოლოს და ბოლოს, წყალში ჭყუშპალაობით ძველებურად იჯერებს გულს.

თავგადასავლახის მაკიუბლის ფილოსოფიური მსჯელობა

26 წლის გერმანელმა კრისტოფ რიჰეიჯმა ჩინეთიდან სამშობლოში დასაბრუნებლად ყველაზე გრძელი გზა აირჩია, თანაც — იმდენად გრძელი, რომ მოგზაურობამ ორ წელს გასტანა და ყველაფერი, რაც ამ ხნის განმავლობაში თავს გადახდა, ვიდრეც გადაიღო. 2007 წლის ნოემბერში, საკუთარ დაბადების დღეს ბეიჯინგიდან (ჩინეთი) გამოსულმა კრისტოფ რიჰეიჯმა ბედ-ენდორფამდე (გერმანიის ჩრდილო-დასავლეთი) ჩასასვლელად, არც

მეტი, არც — ნაკლები, ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის გადაკვეთა გადაწყვიტა. ერთი წლისთავზე, უდაბნოების, ქვიშის ქარიშხლების, ქანცამომცლელი სიცხისა და უცივესი ქარბუქების გამოვლისა და 4,646 კილომეტრის ფეხით დაფარვის შემდეგ, თავგადასავლების მაძიებელმა ახლგაზრდამ მოგზაურობის უმოკლესი გზით დასრულების გადაწყვეტილება მიიღო, მოგზაურობისას გადაღებული მასალა კი ხუთწუთიან რგოლებად დაყო და YouTube-ზე განათავსა.

რიჰეიჯის თქმით, მისი უცნაური მოგზაურობა რაიმე რეკორდის დამყარების კი არა, ოცნებებისა და ვნებების სფეროში მოხვედრის ფილოსოფიური მცდელობა უფრო იყო.



რუბრიკა მოამზადა რუსუან ლიპანიძემ



„ყველაზე ჭკვიანი“ „ერუდიტი“

„ყველაზე ჭკვიანი“ ბავშვად აღიარებული ალექსი ყოლბაია „ერუდიტის“ ყველაზე მცირეწლოვანი სტუმარია. მას საბავშვო მოთხრობების კითხვა მანამდე დაუწყია, ვიდრე პირველკლასელი გახდებოდა, ახლა კი დიდი ინტერესით ეცნობა დეტექტივებსა და ფანტასტიკური ჟანრის ლიტერატურას. მისი საყვარელი ავტორები ჟიულ ვერნი და არტურ კონან დოილი არიან, ქართველი მწერლებიდან კი — ნოდარ დუმბაძე.

**იმდენ ლიტერატურას ვერ
კავითხულობ, რამდენიც მინდა**

თამუნა კვინიკაძე

პრაქტიკული გაზიარება

— ალექსი, თუ ელოდი, რომ „ყველაზე ჭკვიანი“ გახდებოდი?

— არ მეგონა, თუ გავიმარჯვებდი. ამ პროექტში წინა წელსაც ვმონაწილეობდი, მაგრამ „ყველაზე ჭკვიანი“ წელს გახდი (იცინის).

— ამ პროექტმა შენს ცხოვრებაში რა შეცვალა?

— ყველგან მცნობენ, მეფერებიან, გამარჯვებას მილოცავენ. ზაფხულში დიდ ბრიტანეთში, ინგლისური ენის შესასწავლად მივემგზავრები. სხვათა შორის, ინგლისურში ახლაც ვემზადები.

— „ვის უნდა 20.000“-ში წინა ხოშტარისათვის როგორ შეაფასებ?

— კარგად ითამაშა. ჩანერას „ყველაზე ჭკვიანის“ ფინალისტები ვესწრებოდი, ე.წ. დარბაზის დახმარება ვიყავით და წინასწარ ვგულშემატკივრობდით, მაგრამ სამწუხაროდ, კარგი დახმარება ვერ გაუწიეთ. სხვათა შორის, „ყველაზე ჭკვიანის“ ჩანერისას თავადაც გვამხნევებდა ხოლმე.

— ალექსი, ბევრი წიგნი გაქვს წაკითხული?


— კი, მაგრამ უფრო მეტი წასაკითხი მაქვს. საერთოდ, კითხვა ძალიან მიყვარს, სიამოვნებას მანიჭებს და ამისთვის ზაფხულის არდადეგებია საუკეთესო პერიოდი. VII კლასში ვარ, გაკვეთილების მომზადებას ბევრი დრო მიაქვს, თან, პედაგოგებთანაც დავდივარ და იმდენ ლიტერატურას ვერ ვკითხულობ, რამდენიც მინდა.

— შენ მომავალი პროფესიაც არჩეული გექნება...

— ხან პროგრამისტობა მინდოდა, ხან — ჟურნალისტობა, ახლა კი გადავწყვიტე, ფსიქოლოგი გამოვიდე. ადამიანის ფსიქიკა მაინტერესებს — შეიძლება ვიღაც ერთს ფიქრობდეს და მეორეს გეუბნებოდეს ანუ გატყუებდეს, შენ კი ეს მისი მიმიკით, შესტიკულაციით უნდა ამოიცნო.

— შენ ამ რუბრიკის ყველაზე პატარა სტუმარი ხარ, მაგრამ პასუხის გაცემა იმავე სირთულის კითხვებზე მოგიწევს, როგორც ზრდასრულს, სხვადასხვა თანამდებობისა თუ წინის ადამიანებს. ამისათვის მზად ხარ?

— აბა, დავინწყით!



— თბილისში მდებარე ეს უძველესი ბაზილიკური ეკლესია ვახტანგ გორგასლის ვაჟის — დაჩის ბრძანებით აშენდა. რომელ ეკლესიაზეა ლაპარაკი?

— არ ვიცი.

— ანჩისხატის ეკლესიაზე იენის, ჰარვარდის, ოქსფორდის უნივერსიტეტიდან რომელია გერმანიაში?

— იენის უნივერსიტეტი.

— რა ენოდება მდინარე ფაზისს ამჟამად?

— რიონი, არა?

— რა თქმა უნდა! მუსიკაში, რომელი ნიშანი მიუთითებს ბგერის სიმალის ნახევარი ტონით დაბლებას?

— ბემოლი.

— რა ჰქვია ძვირფასი ქვების წონის ერთეულს?

— (ფიქრობს) უნცია, არა?

— ცდები.

— კარატი.

— რა ჰქვია მიმდინარეობას ხელოვნებაში, რომელიც საგნების რეალურად გამოსახვას უარყოფს?

— კუბიზმი.

— ცდები, ამ მიმდინარეობას აბსტრაქციონიზმი ჰქვია. რომელ გუნდს ეკუთვნის მადრიდში მდებარე სანტიაგო ბერნაბეუს სტადიონი?

— „რეალს“.

— რა დრო სჭირდება დედამიწას მზის გარშემო ერთი სრული ბრუნის გასაკეთებლად?

— 365 დღე და 6 საათი.

— რომელი ქვეყნის პოეტია რობერტ ბერნსი?

— შოტლანდიის.

— ხელბურთი, ფეხბურთი, ჩოგბურთი, წყალბურთი — ჩამოთვლილთაგან, სპორტის რომელ სახეობაში არ არსებობს საჯარო დარტყმა?

— ჩოგბურთში.

— რომელი რელიგიის მსახურია ილუმენი — ბუდისტურის, მაჰმადიანურის, მართლმადიდებლურის თუ კათოლიკურის?

— მართლმადიდებლურის.

— ვინ არის ავტორი სიქსტის კაპელაში მოხატული ცნობილი ფრესკისა — „განკითხვის დღე“?

— მიქელანჯელო.

— რა ენოდება საგანგებოდ მოწყობილ საცავს,



სადაც ბოლოებში ჩამოსხმული სხვადასხვა მარკის ლენის კოლექცია ინახება?

— ვერ გიპასუხებთ.

— ენოთეკა. რომელი მწერლის სახლ-მუზეუმის დათვალიერება შესაძლებელი კახეთშიც, ქართლშიც და დედაქალაქშიც?

— ვერ ვიხსენებ.

— დაფიქრდი, აქ წამშობი ჩართული არ არის.

— კარგია, ე.ი. მოსაფიქრებლად დრო მაქვს (პაუზის შემდეგ) ილია ჭავჭავაძის.

— მონღოლთა თითქმის ასწლიანი ბატონობის შემდეგ, რომელმა მეფემ მოახერხა საქართველოდან მათი განდევნა?

— გიორგი V ბრწყინვალემ.

— ამ ქვეყანაში ექიმებს ძალიან მაღალ ხელფასს უხდიდნენ, მაგრამ თუ იმპერატორი ცუდად გასდებოდა, მეურნაღს მის გამოჯანმრთელებამდე ფულს არ აძლევდნენ. რომელ ქვეყანაში ხდებოდა ასე?

— ფიქრობ, ასე ჩინეთში ხდებოდა.

— გამოიცანი. რომაული მითოლოგიის მიხედვით, რა ერქვა ქორწინებისა და დედობის ქალღმერთს?

— არ ვიცი.

— იუნონა. ოჯახში დედის, მამის და შვილის წლოვანებათა ჯამი 60 წელს შეადგენს. მამის წლოვანება დედისა და შვილის წლოვანებათა ჯამის ტოლია, ხოლო დედა 5-ჯერ უფროსია შვილზე. რამდენი წლისაა მამა, დედა და შვილი?

— თუ შეიძლება, კითხვა გამიმეორე და ვიანგარიშებ (კითხვის გაშეორების შემდეგ) შვილი — 5 წლის, დედა — 25 წლის, ხოლო მამა 30 წლისა ყოფილა.

— ყოჩაღ! დაასახელე ისეთი რიცხვი, რომლის დასახელება იმდენ ასოს შეიცავს, რამდენსაც ეს რიცხვი გამოხატავს.

— ოთხი, ეს კითხვა მომეწონა (იცინის).

— როდესაც ფრენის დრეკმა ამერიკის დასავლეთ ნაწილს მიაღწია, მან იქ გარკვეულ ტერიტორიას თავისი სახელი უწოდა. რა შქვია დღეს იმ ადგილს?

— სან-ფრანცისკო.

— ისტორიულად, რომელ ქვეყანაში არ განუცდიათ ებრაელებს ეროვნული და სარწმუნოებრივი დევნა?

— ასეთი რამ საქართველოში არ მომხდარა.

— სად გამოვიდა პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი?

— „ქართულ-იტალიური“ ლექსიკონი რომში გამოსცეს.

— ევროპის ჯუჯა სახელმწიფოთაგან, რომელი მდებარეობს საფრანგეთ-ესპანეთის საზღვარზე?

— ანდორა.

— რომელ ნაწარმოებს უწოდებენ ბეთჰოვენის ანდერძს, რომელიც მან დაწერების შემდეგ შექმნა?

— მე-9 სიმფონიას.

— სად იყო საფრანგეთის სამეფო ოჯახის საზაფხულო რეზიდენცია — ლუვრში თუ ვერსალში?

— ვერსალში.

— მწერების რომელი ოჯახია დაყოფილი ფენებად — დედალი, მუშა, ჯარისკაცი, მონა?

— ჭიანჭველების.

— რა ერქვათ მექადან მედინაში გაქცეულ მუჰამედის თანამებრძოლებს?

— მუჰაჯირები.

— რომელ სრუტეს არ გაივლის ბათუმიდან მარსელში გემით მიმავალი მოგზაური — ბოსფორის, დარდანელის თუ გიბრალტარის?

— გიბრალტარის სრუტეს.

— ვინ არის ავტორი ლექსისა — „თავო ჩემო, ბედი არ გინეროა“?

— არ მახსოვს.

— აკაკი წერეთელი. რომელ ქალაქში ემალებოდა ანა ფრანკი გერმანელ ფაშისტებს?

— სამსუხაროდ, პასუხი ამ კითხვამდეც არა მაქვს.

— ამსტერდამში. რომელი ქართველი საზოგადო მოღვაწის მეუღლემ განაცხადა უარი ქმრის მკვლელობის სიკვდილით დასჯაზე?

— ილია ჭავჭავაძის მეუღლემ — ოლა გურამიშვილი-მა.

— ისლანდია, გერმანია, ირლანდია, ტაივანი, ესპანეთი — ჩამოთვლილი ქვეყნებიდან, რომელი მდებარეობს ნახევარკუნძულზე?

— ესპანეთი.

— რომელ წიგნზე სრულდება საქართველოს პრეზიდენტის ფიცის დადების ცერემონიალი?

— საქართველოს კონსტიტუციაზე.

— ამერიკის ეს პრეზიდენტი ახალგაზრდობაში მოჯამაგირედ, მინისმზომელად, ტყიმჭრელად და ფოსტის მოხელედაც კი მუშაობდა. დაასახელე იგი.

— (ფიქრობს) ლინკოლნი ხომ არა?

— გამოიცანი. შენი პასუხებით კმაყოფილი ხარ?

— ბოლომდე კმაყოფილი არ ვარ. ამ შედეგით ალბათ, „წლის ერუდიტი“ ვერ გავხდები (იცინის).

— საუკეთესო სუთულში მინც მოხვდები. ეს 14 წლის ბავშვისთვის საუკეთესო შედეგია. დაბოლოს, მინდა გთხოვო, დამიტოვო შეკითხვა, რომელსაც რუბრიკის მომდენო სტუმარს (რომლის ვინაობაც ჯერ არ ვიცი) შენი სახელით დაფუსვამ...

— (ფიქრობს) დასახელეთ ტბა საქართველოში, რომელიც ყველაზე მაღლა მდებარეობს, და კიდევ, რომელია ბრუნის დედაქალაქი?

ნოემბერი იხილეთ: 2 პოსტარი

5 თებერვლიდან

მზრინაპი მისანძრეპი

ბრძოლა საზღვარს დესანტთან

„მხნეთი თაოვა“ რუსულად

ბაჰრეინის ავიაშოუ

ყვილსაჲ კასპარი შუარტალი არა მარტო მამაკასპეინისთვის

არსენალი

საბარეინი

საჰაჲთისო

ჩხალიაილი

მეიარაღა

ანბონიო კოლი - თანამაღროკოპოზის საჰაჲთისო ჩხალიაილი მეიარაღა



გონების საპარჯიშო

„გზის“ ერთგული მართხვალისათვის (აითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვებისაჲნ არ გაგაქცეთ თვალი

1. რისი ჯიშია პინო?
2. ახლო წარსულში ერთმა უცხოურმა ჟურნალმა გამოაქვეყნა საინტერესო პიტ-პარადი, სადაც პირველ ადგილზე ბობი მაკფერინის სიმღერა — „Don't worry, be happy“ გავიდა, მეორე ადგილზე — ენო მორიკონეს მუსიკა ფილმიდან — „The Good, the Bad and the Ugly“, მესამე ადგილზე „სკორპიონის“ სიმღერა — „Wind of change“. რა საერთო ნიშნით ხასიათდებოდა პიტ-პარადში მონაწილე სიმღერები?
3. ორბიტაზე ყოფნისას რუსი კოსმონავტები მოკლებულნი არიან ისეთ სიამოვნებას, როგორც ტელევიზორია. სამაგიეროდ, მოცალეობის ჟამს DVD-ზე უყურებენ მხატვრულ ფილმებს. რომელი ფილმი სარგებლობს მათ შორის ყველაზე მეტი პოპულარობით?
4. დაასახელეთ გოდერძი ჩოხელის ფილმი, რომელიც რეჟისორმა 13 დღეში გადაიღო.
5. რით გარდაიცვალა ბობ მარლი?
6. რა ჰქვია კაზაკთა დიდ სოფელს ყუბანსა და დონზე?
7. რომელ ცხოველებს მწყემსავდა ახალგაზრდობაში ინკების იმპერიის დამაქცევარი — კონკისტადორი პისარო?
8. რამდენი ავიაშვიდი ჩაძირეს იაპონელმა კამიკაძებმა მეორე მსოფლიო ომის დროს?
9. რა განსაკუთრებული ფიზიოლოგიური მსგავსება აქვთ აფრიკელ ბუმბენებსა და ინდიელებს?
10. რას ნიშნავს საერთაშორისო სამართალში „ინდენიტეტი“?
11. რა არის „კურტუი“?
12. ჯორჯონეს რომელი ტილოა ხელმოუწერელი?
13. რომელ ქალაქში დაიბადა რიჩარდ ლომგული?
14. ძველგვიგებლებს სამი ნილოსის არსებობის სწამდათ. სად მდებარეობდა ეს სამი მდინარე?

ანექლოცენი



ზუგდიდელი მეგრელი თბილისელ მეგრელს ეკითხება:
 — მეგრული თუ იცი, შენ?
 — არა!
 — ხოხ!.. სად გაიზარდე, ტყეში?!

ებრაელი ანდერძს წერს და ნოტარიუსს ეკითხება:
 — „ვირის თავ-ფეხი“ ერთად ინერება თუ ცალ-ცალკე?

ქუთაისელი გამვლელს აყაჩაღებს:
 — ფული, ჩქარა!
 — არ გრცხვენია, ბიჭო?! სადაა ფული!
 — სულ არა გაქვს, შე კაცო?
 — არც ერთი თეთრი!
 — რა ცხოვრება დაგვიდგა, ამის დედა რო ვატირე!.. აჰა, შენ ორლარიანი და გამეიზოგე.

ერთი რუსი მეორეს ეკითხება:
 — არაყი გინდა?
 — არა!
 — დალევ?
 — კი!

სვანი სახურავზე ზის და ქვემოთ სხვადასხვა ფორმის ბლოკს ყრის.
 — რას აკეთებ, კაცო, მანდ, გადაირიე?! — ასძახა მეზობელმა.
 — რას ვაკეთებ და „ტეტრისს“ ვთამაშობ!



ბლუ ტაქსის მძღოლთან მიდის და ეკითხება:
 — ამ-ამ-ამ-ამბროლაურში წამიყვან?
 — ოღონდ არ მიკბინო და სადაც მეტყვი, იქ წაგიყვან!

— იცი, დეპუტატობის ერთ კანდიდატს მიტინგზე სულ ლაყე კვერცხები ესროლეს.
 — მართლა? მე კი მითხრეს, ტაში იყო...
 — ჰო, როცა კვერცხი მიზანში ხვდებოდა.

მეგრელი ქალბატონი უცხო ენების პედაგოგთან მიდის და ეუბნება:
 — ძალიან მინდა, ჩემს ბიჭს უცხო ენა ვასწავლო.
 — რომელი, ქალბატონო, ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ესპანური თუ იტალიური?
 — რომელია მაგათში უფრო უცხოური?

გურულს ეკითხებიან:
 — ცურვა იცი?
 — სად, წყალში?

ზარი კომპიუტერულ ფირმაში:
 — ძალიან გთხოვთ, დამეხმარეთ, ჩემს კომპიუტერს პრინტერი ვერაფრით დავანახვე; სულ მეუბნება, — ვერ ვხედავო. მონიტორიც კი შევატრიალე პრინტერისკენ, მაგრამ არაფერმა უშველა!..



გონების საპარჯიშო

„გზის“ ერთგული მართხვალისათვის

(პასუხები)

1. პინო ვაზის ფრანგული ჯიშია. სხვათა შორის, იგი საქართველოშიც ხარობს.
2. მათი შესრულებისას მომღერლები უსტვენენ.
3. „უდაბნოს თეთრი მზე“.
4. „სამოთხის გვრიტები“.
5. მომღერალი 36 წლის ასაკში, კიბოთი გარდაიცვალა.
6. სტანიცა.
7. ლორებს.
8. არც ერთი.
9. მათ წვერი არ ეზრდებათ.
10. ზარალის ანაზღაურებას.
11. მაკლერის გასამრჯელო რაიმე გარიგებაში შუამავლობისათვის.
12. ყველა.
13. ოქსფორდში.
14. მიწაზე, მიწის ქვეშ და ზეცაში.



დიალოგი საპასპორტო განყოფილებაში:

- გვარის გამოცვლა მინდა.
- რა გვარი ბრძანდებით?
- კაცმანი.
- და რა გვარი ჩვენერო?
- კაცმანავტი.

ჯარში ასმეთაურს წერილი მიუვიდა, — რიგით ჭიჭიკიას მამა გარდაეცვალა და პირდაპირ ნუ ეტყვი, არ ინერვიულოსო.

ასმეთაური ყაზარმიდან გამოვიდა, ასეული ხაზზე მოაწყო და მიმართა:

— რიგითები, ვისაც მამა ჰყავს, ერთი ნაბიჯი — წინ! ჭიჭიკია, შენ სადღა მოეთრევი?!

ზვიადა ორლობეში ზის და დანა პირს არ უხსნის. ჩამოიარა ბექნუმ:

- რა იყო, ბიჭო, რა ცხვირპირი ჩამოგტირის?
- სახლში ხანძარი გაჩნდა და ყველაფერი დაინვა!
- ცოლი როგორ არის?
- ხანძრის დროს დაიღუპა!
- ბავშვები როგორ არიან?
- ისინიც ხანძრის დროს დაიღუპნენ!
- მშობლები?
- მშობლებიც!
- პოოო, სხვა როგორა ხარ?!

იმერელი სანაპიროზე სეირნობს. დაინახა ქალი, რომელიც აშკარად, ვიღაცას ელოდება და ნერვიულობისგან თითებს იმტვრევს:

— ყოველ შაბათს ის აქ მოდის... სწორედ ამ დროს... დღეს კი უკვე ორი საათით დააგვიანა... ალბათ, მიმატოვა... რაღად მინდა ასეთი სიცოცხლე! — ამბობს ქალი, მდინარის მოაჯირზე დგება და გადასახტომად ემზადება.

— აჰ, არ ქნა მათი, ქალბატონო! არავის მიუტოვებხართ თქვენ! — აყვირდა იმერელი.

- თქვენ საიდან იცით?!
- პარასკევია დღეს, პარასკევი!

— ბრაზილიაში ძირითადად, ფეხბურთელები და მეძავეები ცხოვრობენ.

- აბა, აბა!.. ჩემი ბიძაშვილი იქ არის გათხოვილი!
- მართლა?! რომელ გუნდში თამაშობს?

ცოლი ქმარს ებუზღუნება: — გაგონილა ყოველდღამე, სამ საათზე დაბრუნება?

— ვინ გითხრა, რომ დავბრუნდი?! გიტარა უნდა წავილო!..

მატარებელში მეგრელი ენად გაიკრიფა:

— ნაკლი ყველას აქვს. მაგალითად: კახელები უხეშები არიან, გურულები — ჩქარები, რაჭველები — ზანტები, იმერლები — ხისტები, ქართლები — ბაქიები.

— კი, მაგრამ მეგრელებს არა გაქვთ ნაკლი?

— როგორ არა, ნაკლი რომ არ გვაქვს, ესეც დიდი ნაკლია.

ჭიჭიკიას ცოლი ეჩხუბება:

— სულელი ვიყავი, ცოლად რომ მოგყვებოდი!

— მაგი მეც შეგამჩნიე, მაგრამ ვიფიქრე, დრო გავა და დაჭკვიანდება-მეთქი!..

რენიფოსოგანაა





ჰოროსკოპი

4-10 თებერვალი

ვიწყრ:

შეიძლება მოგჩვენოთ, რომ კოლეგები წარმატების მიღწევაში გიშლიან ხელს. საკუთარ იდეებს სხვებს ნუ გაანდობთ, დამოუკიდებლად იმოქმედეთ.

კუჩრი:

საყვარელი ადამიანის მხარდაჭერით უამრავ დაბრკოლებას გადალახავთ. კარგი პერიოდია საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად.

ჯუჯუპი:

თუ საკუთარ შესაძლებლობაში დარწმუნებული არ ხართ, ნუ გარისკავთ. შეეცადეთ, ყოველდღიური საქმეებით შემოიფარგლოთ და მეტი ყურადღება დაუთმოთ ჯანმრთელობას.

კიჩქობი:

ამ კვირაში უცხოელი კოლეგების მასპინძლობით იქნებით დაკავებული. საქმის ცოდნა კარიერულ აღმავლობაში შეგიწყობთ ხელს.

ციფი:

კვირის დასაწყისში ახლობლების პრობლემების მოგვარებით იქნებით დაკავებული, მეორე ნახევარში კი საკუთარი გემების განხორციელებას შეძლებთ.

ქაფუცი:

ახალი რომანტიკული თავგადასავალი გელით. გაფრთხილდით, რაიმე ღირებული ნივთი რომ არ დაკარგოთ. უფროსების მიმართ მეტი პატივისცემა გამოიჩინეთ.

სახსიწი:

დაჩაგრულისა და განაწყენებულის როლში რომ არ აღმოჩნდეთ, საოჯახო საკითხების მოგვარებისას სიფრთხილე გამოიჩინეთ. დასვენების დღეები შემოქმედებით საქმიანობას დაუთმეთ.

ვიწყრ:

უცხოელ პარტნიორებთან მოლაპარაკებები სასიკეთოდ წარიმართება. თუ არ გსურთ, რეპუტაცია შეგელახოთ, ახალი რომანტიკული თავგადასავლებისგან თავი შეიკავეთ.

მეფიწიწი:

საკუთარი პრობლემები დამოუკიდებლად მოაგვარეთ. მეგობრებთან ფულზე ნუნუნს არ გირჩევთ. დასვენების დღეები მშობლებთან ერთად გაატარეთ.

თხილწი:

ნაცნობების დახმარებით იდეების განხორციელებას შეძლებთ, მოაგვარებთ უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საკითხებს. დასვენების დღეები მეგობრების გარემოცვაში გაატარეთ.

ვიწყრ:

ამ კვირაში მატერიალური კეთილდღეობა გელით. საზღვარგარეთიდან საინტერესო შემოთავაზებას მიიღებთ, რაც თქვენი ბიზნესის გაფართოებას შეუწყობს ხელს.

თხილწი:

მეგობრებთან ურთიერთობა განწყობილებას გაგიუმჯობესებთ. მათი დახმარებით ახალი იდეების განხორციელებასაც შეძლებთ. ახლობლებს დახმარებაზე უარს ნუ ეტყვიან.

უბრალოა, ჯადო, ნებროზი და ჩაკბილი ბაღი

ანუ როგორ დავაბრუნოთ ბოროტი ძალა

ამ ბოლო დროს თითქმის ყველა ადამიანი უჩივის ნებროზს, უბრალოებას, ოჯახურ პრობლემებს და ა.შ. ახალგაზრდები ოჯახის წევრებს ვერ უგებენ, რაც ჩხუბის მიზეზი ხდება და შემდეგ, ბავშვები სახლიდან გარბიან ან სულაც, თავის მოკვლაზე ფიქრობენ... როგორც ქალბატონი ლია ხუციშვილი ამბობს, ამ ყველაფრის მიზეზი გახლავთ ის, რომ ჩვენ სამი ექვსიანის ანუ ეშმაკის წლებში ვცხოვრობთ. ამ ქალბატონმა თავისი ნიჭის წყალობით და შელოცვებით არაერთი ადამიანი იხსნა მოსალოდნელი უბედურებისგან.

— ქალბატონო ლია, თქვენთან რჩევის საკითხ-ავად პოლიტიკოსებიც მოდიან?

— არა მარტო ისინი, არამედ ბიზნესმენები, შოუ-ბიზნესის წარმომადგენლებიც ხშირად მაკითხავენ. ძირითადად, პირადი პრობლემების მოსაგვარებლად, ზოგი კი უბრალოებას უჩივის და ასეთებს ლოცვების მეშვეობით ვეხმარები. ხშირად, ადამიანებს ჰგონიათ, რომ ძალიან ცუდად არიან, ყველაფრის ხალისი დაკარგული აქვთ, შიში და უძლეობა ეუფლებათ და ამ ყველაფრის ფონზე, ნებროზი უყალიბდებათ. სამწუხაროდ, მათ ექიმები ვერაფერს შევლიან. ასეთებს მერწმუნეთ, ნაშალზე მეტად ლოცვა უშველის.

— ვინ და რატომ აკეთებს ჯადოს?

— ბოროტი, სულით მძავვი ადამიანები. ასევე, არსებობენ მკითხავეები, რომლებიც ფულის გამო ყველაფერზე მოანერგ ხელს.



ბევრს უთქვამს: ამა და ამ მკითხავემ რაღაც მომცა, სასაფლაოზე უნდა წავიღო და ასეთი რიტუალი შევასრულო. თქვენ რას მიჩვენებთ? ასეთებს მოვეუწოდებ, მსგავსი რამ არავითარ შემთხვევაში არ გააკეთონ, თორემ ადრე თუ გვიან, ყველაფერი უკან დაუბრუნდებათ. ასევე, ძალიან ხშირად ინგრევა ოჯახები და ბიჭებს სხვისი ცოლები მოჰყავთ. როგორ შეიძლება, შენი შვილი მიატოვო და სხვისი შვილი ხეტიგულზე ატარო? მაგრამ ასეთებს ეშმაკი ამოძრავებთ. ხალხო, მთავარია რწმენა, ლოცვების კითხვა და ამით ეშმაკი განიდევნება. მოკლედ,

თუ თქვენ საყვარელი ადამიანი გაგეცქათ, მისი დაბრუნება თქვენს ხელშია — ამისთვის ვილაცისთვის ზიანის მიყენება სულაც არაა საჭირო. არსებობს სპეციალური ლოცვები, რომლითაც გაქცეული ადამიანის მობრუნება შესაძლებელი.

— ამ ბოლო დროს ქვეყანაში

ძალიან ბევრი უბედურება ხდება. თქვენი აზრით, ეს რისი ბრალია?

— ქვეყანა ცოდვებმა დაამძიმა, ამდენი სისხლის ღვრა, ამდენი ოჯახური ტრაგედია და ა.შ. არასდროს ყოფილა. ჰოდა, ყველაფრის სათავე სწორედ ესაა.

— პოლიტიკურ პროგნოზებსაც ხომ არ გააკეთებთ?

— მოგესვენებათ, ხელისუფლების სათავეში სააკაშვილის მოსვლა მე ვინანის-წარმეტყველე და მეორეც ვამბობდი, რომ ოპოზიციის მას თანამდებობიდან წასვლას ვერ აიძულებდა. მიშა მშვილდოსანი და ძლიერი აურის მატარებელი გახლავთ. რასაც მიზნად დაისახავს, აუცილებლად გააკეთებს. ის რომ წავიდეს, ჩვენს ქვეყანას სვაგები ჩაიგდებენ ხელში და სულ დავიღუპებით... და კიდევ, გაზაფხულზე მიწისძვრაა მოსალოდნელი.

— თქვენ ასევე ეკლესიას, ლოცვებს და ამავდროულად, თილისმას...

— მე მორწმუნე ადამიანი ვარ და მოძღვარიც მყავს. მან ჩემი საქმიანობის შესახებ იცის და თავიდან მითხრა, რომ ამ საქმეს უნდა ჩამოვშორებოდი, მაგრამ როცა დაველაპარაკე, მითხრა: რა ვიცი, ყველაფერი უფლის ნებაა. მე ბოროტ საქმეებს არ ვაკეთებ, მხოლოდ ადამიანების დახმარებას ვცდილობ და ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.



მისამართი: ნახალოვანა (კინოთეატრ „საქართველოსთან“), ქაოჯრელის ქუჩა №60 (ყოფილი სტახანოვის ქუჩა). ტელ: 69-60-00; 8(93) 21-52-33 (ჩაწერა ნინასწარ).



	1. პერიოდული გამოცემა		2. ზნე, ხასიათი		3. ვარყატი სსხეობა		4. დიდი, მეტისმეტად კაშკაშა მეტეორი		
							5. ქვეყანა აფრიკაში		
			6. ძაღლის ჯიშში						
			7. სირაქლეუმის სახეობა	8. მინიურსტორანი					
					9. მატყურა		10. პარკოსანი კულტურა	11. წისქვილის ქვა	
12. აღმოსავლური ორთაბრძოლა					13. მუსიკის დიდი მოყვარული	14. მამლუბის ჩხუბი		15. ... ფარულა	
16. უზარმაზარი კანდაკება									
17. იტალიელი კინორეჟისორი			18. ვეჯილედის ტიპი	19. მძიმე მოწამვლა კონსერვით					
			20. უმაღლესი სასწავლებლის ტიპი		21. პარტია ჩოგბურთის თამაშში	22. მუს. ნოტი	23. ისრის წვერი		
					24. რომის იმპერატორი			25. მათემატიკოსი ... ვეკუა	
	26. პორტუგალიის დედაქალაქი	27. უღატანო აფრიკაში	28. ინდუზმის ერთ-ერთი მთავარი ღვთაება				29. ზმლის ტარი	30. ხელოვნური ენა	31. სისხლნაკლებობა
					32. მკათათმამ	33. გერმანული პისტოლეტი			
	34. დინამიტის გამოგონებელი	35. ბაღის ან ვენახის მცველი							
36. ინდონეზიის კუნძული									
37. ავტორი რომანისა „ლაშარულა“							38. გაქცეული, გადახვეწილი		
			39. მშვიდით სასროლი						
40. პირველი ქალი		41. ბუნების დამანგრეველი მოვლენა							



ზინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. ნომინაცია; 2. მძარი; 3. ნანტი; 4. პანტომიმა; 5. ცვილი; 6. არომატი; 7. ტარანტინო; 8. აპნისი; 9. ტიტა; 10. ანცი; 11. სანტიაგო; 12. სიმი; 13. აკორდი; 14. სამბა; 15. ტოკო; 16. ბაზილიკა; 17. კანდელაკი; 18. კინო; 19. ბრილიანტი; 20. ჯართი; 21. ოკა; 22. აიაზმა; 23. აეროსტატი; 24. ბაი; 25. ბეისბოლი; 26. ოსლო; 27. რადიო; 28. გოია; 29. ტეკილა; 30. კარკასი; 31. რისლინგი; 32. ნალია; 33. იერი; 34. ბუკი; 35. ტრიო; 36. ტოკაი; 37. ლოსი; 38. არმინია.
სურათებზე: 1. ნატალი პორტმანი; 2. ზაკ ეფრონი.



საფიქსიმო კროსვორდში

პ	გ	ა	ვ	ო	ს	თ	ვ	ო	ს	ა	ო	ლ	ა	გ	კ	ო	თ	ხ	ვ	ვ	ლ	ო	ს	თ	ვ	ო	ს	ა	ო	
ვ	ა	ა	ა	ნ	ა	ა						ლ	კ	ლ	ო	ო	ლ	რ	ო	ს	თ	ა	ლ							

- შპს-ების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ.
- კროსვორდის სწორად ამოსწის შემთხვევაში გამუქებული უფრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავეთ.

შოტლანდიაში; **ო.** სისხლის აღრევა; **თ.** იენისის თვის ძველი ქართული სახელწოდება; **ხ.** რქიანი საქონლის ზოგადი სახელწოდება დასავლეთ საქართველოში; **ჰ.** თბილისის „დინამოს“ ფრანგული — ჟე, ესპანური — იო, ინგლისური — აი, ბერძნული — ?; **ლ.** პოტომაკი — ვაშინგტონი, ვლტავა — პრაღა, შპრე — ბერლინი, ტემზა — ?; **ი.** სუფთა მოგება ძიუდოში; **ს.** წინასწარმეტყველი ქალი ძველ რომსა და საბერძნეთში; **თ.** დაბა აღმოსავლეთ საქართველოში; **ჰ.** ქალის პირბადე; **ი.** ათენი — თეზეუსი, რომი — რომულუსი, თბილისი — ვახტანგი, მოსკოვი — ?; **ს.** სამეფო კვერთხი; **ა.** ყაჩაღი, რომელსაც მცხეთაში დაუდგეს ძეგლი; **ო.** რა ერქვა ბისმარკს.

ბ. გერმანელი მწერალი, რომელმაც „ფაუსტი“ 80 წლის ასაკში დაწერა; **ზ.** მუსიკალური საკრავი, რომლის სახელსაც მიაძახებენ ხოლმე კაცს, რომელიც ხმაბაღლა ყვირის; **ა.** დაავადება, რომელსაც სულის ხუთვა ახასიათებს; **გ.** რა ერქვა გერმანიის რესპუბლიკას 1918-1932 წლებში; **ი.** მაგალობელი ფრინველი; **ს.** კახეთის ერთ-ერთი რაიონი; **თ.** ირანის დედაქალაქი; **ჰ.** თბილისის საკალათბურთო კლუბი; **ი.** ცალკე პირის ან დანესებულების რომელიმე წლისთავი და ამ წლისთავთან დაკავშირებული ზეიმი; **ს.** თავის კანი თმისადა, რომელსაც ინდიელები მოკლულ მტერს აჭრიდნენ; **ა.** ძროხის ბარკლის ქვედა ნაწილი, მისგან მომზადებული წვინანი; **ო.** ნიშნის მოგების გამოშატველი შორისდებული, რომელიც იხმარება პირის ნაცვალსახელთან ერთად (ხმარობდა ლუარსაბ თათქარიძე); **დ.** ამ მდინარის ნაპირზე ევროპის ოთხი სახელმწიფოს დედაქალაქი: ვენა, ბუდაპეშტი, ბელგრადი და ბრატისლავა მდებარეობს; **ა.** რამდენიმე მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეერთება; **გ.** რა პროფესიის იყო კანადელი ნედ ლენდი, რომელიც პროფესორ არონაქსთან ერთად მოხვდა „ნაუტილუსზე“ („80 000 კილომეტრი წყალქვეშ“); **ჰ.** საგვარეულო გაერთიანება ირლანდიისა და

- წინა ნომერი გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**
- **ჩ.** ჩხეიძე; **ჰ.** ვენდუტა; **ა.** ელიტა; **ნ.** ნათლია; **ი.** იუმორი; **ჟ.** ყორა; **შ.** ურანოსი; **რ.** რევერსი; **გ.** ნიაგარა; **ა.** აკლდამა; **ლ.** ლიმა; **ი.** იუანი; **ს.** სვანეთი; **ა.** ანჯამა; **უ.** უტოპია; **ჰ.** კაბარე; **ა.** ელარჯი; **თ.** თოხი; **ა.** ელეგია; **ს.** სალიერი; **ო.** ოსირისი; **ა.** ასთმა; **რ.** რემარკი; **ჩ.** ჩაროზი; **ა.** ეკალი; **ჰ.** ვივალდი; **ა.** არარატი; **ნ.** ნელსონი; **ი.** იოსები; **ა.** ამონი.
- გამოქვეყნებული უპრედიკტი იკითხავა: ენით მრავალაზა აზოზა ხალით მრავალსო**

იაპონური სენსაცია

სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერი გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

7	4	6	8	1	5	9	2	3
8	5	3	7	9	2	1	6	4
1	9	2	4	6	3	5	7	8
3	6	9	2	5	1	4	8	7
4	8	5	3	7	9	6	1	2
2	7	1	6	8	4	3	9	5
5	2	8	9	4	6	7	3	1
9	3	4	1	2	7	8	5	6
6	1	7	5	3	8	2	4	9

1	7	8	2	3	6	5	9	4
9	3	4	5	1	7	2	8	6
6	5	2	8	4	9	7	3	1
4	8	3	6	2	5	1	7	9
2	9	6	1	7	8	3	4	5
7	1	5	4	9	3	6	2	8
8	4	1	3	6	2	9	5	7
3	6	9	7	5	4	8	1	2
5	2	7	9	8	1	4	6	3

4	6	8	2	9	1	3	5	7
3	2	7	6	5	4	1	9	8
5	1	9	3	8	7	4	6	2
9	5	3	1	4	2	7	8	6
2	8	4	7	6	5	9	1	3
6	7	1	8	3	9	2	4	5
8	4	2	9	7	6	5	3	1
7	9	6	5	1	3	8	2	4
1	3	5	4	2	8	6	7	9

* მარტივი

	5	6		7		1	
4				9		7	
7			1	3	2	6	
3				5		2	7
1				3	4		5
5	2				1		9
	3	1	8	9			2
	4		1				3
8			3			9	1




* * საშუალო

		3	2			7	6
5	9		8		6	2	
		4		3			9
		1		2			3
8	3		7	1		6	9
4			3			1	
	4			7	6		
		6	4		3	8	7
7	5				2	3	

* * * რთული

		2		3			8
	7	1			4	9	
		5					6
		3	9				5
2			8				6
	6					4	
	3					5	
		6	1			7	2
5				8		6	

ფოტოკუჩიონები





„კვირის პალიტრის“ კოლექცია
„დიდი მხატვრები“
 წიგნების სერია
 რჩეულ ფერმწებებზე - მუდევრები და ისტორიები

ესაიძე

8-დან - 14 თუბერვრვრვრვრ

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის სპეციალური ფასი 15 ლარი!
 „კვირის პალიტრის“ ხელმოწერითა საყურადღებოდ! წიგნის შეყენის მსურველები
 დაუკავშირდით „ელვაჯი“-ს ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერვის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ



კოლექციის III ნიშნი - შონე ნიშნის მალაქიებში უკვე გაყიდვებში.
I და II ნიშნი - ვანაგოი და ამოანი შამიქლიათ შამიქლიათ თაბარვლის დასაწყისში!